ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიქელაძე ნუნუ

ქართული სოციალისტ – ფედერალისტური
პრესა 1906 -1908 წლებში

სპეციალობა 07.00.01 – საქართველოს ისტორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები – ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ლეილა ჩიქოვანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დოდო ჭუმბურიძე

თელავი
2008 წ.

შინაარსი

შესავალი.

თავი I. გაზეთი «შრომა" და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრედო.

თავი II. გაზეთი «მეგობარი".

თავი III. გაზეთი «ისარი".

§. I საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები გაზეთ «ისარში".

§. II აგრარული საკითხი გაზეთ «ისარში".

§. III განათლებისა და კულტურის საკითხები გაზეთ «ისარში".

თავი IV. გაზეთი «ამირანი".

§. I აგრარული საკითხი გაზეთ «ამირანში".

§. II განათლებისა და კულტურის საკითხები გაზეთ «ამირანში".

§. III ქართული მწერლობის საკითხები გაზეთ «ამირანში".

დასკვნა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.

შესავალი

სოციალისტ-ფედერალისტურმა პრესამ უდიდესი როლი ითამაშა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში. ეროვნული მიმართულების გაზეთებმა – «ცნობის ფურცელმა" და «საქართველომ" გააგრძელეს XIX საუკუნის ეროვნული პრესის ტრადიცია, ხელი შეუწყვეს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილებას და ქართველი ხალხის მიერ სულიერი ფასეულობების შენარჩუნებას. მათი სულისკვეთება, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებთან დაკავ-შირებული მოწინავე აზროვნება გააგრძელა 1906-1908 წლებში გამომავალმა სოციალისტ-ფედერალისტურმა პრესამ. გაზეთები – «შრომა", «ისარი", «ამირანი", «მეგობარი", ყოველდღიური, საინტერესო თეორიული და პოლიტიკური მოვლენებით დატვირთული, ეპოქის რეალურად ამსახველი და მოვლენების ობიექტურად შემფასებელი ორგანოები იყო. ამ გაზეთებში დაბეჭდილი მასალები ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს მკვლევარი ისტორიკოსისათვის. ისინი დღემდე არაა სრულად შესწავლილი, მათი ბევრი სტატია და თეორიული მასალა მხოლოდ ფრაგმენტულად აისახა ამ ეპოქისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში. საჭიროა მთლიანობაში იქნას შესწავლილი და გააზრებული სოციალისტ-ფედერალისტური პრესის როლი რუსეთის I რევოლუციის და მისი დამარცხების შემდეგ განვითარებული რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამისა და ფაქტიური მოღვაწეობის ისტორიის სრულყოფილი გაანალიზება, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარის წარმოდგენა ამ ურთულეს ხანაში, მხოლოდ ზემოთ დასახელებული გაზეთების გულდასმით შესწავლითა და მათი კრიტიკული შეფასებით შეიძლება.

XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის ბრძოლა რუსეთის კოლონიური უღლის წინააღმდეგ გააძლიერა იმ რეალურმა ვითარებამ, რამაც იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების დამძიმება გამოიწვია. ქვეყანაში დაწყებული ძლიერი ეკონომიკური კრიზისი, კოლონიალური პოლიტიკა

იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრები არარუსი ეროვნების წარმომადგენლიბი-სადმი, მძიმედ აისახა ქართველი ერის ცხოვრებაზე, განსაკუთრებით მის სოციალურად დაუცველ ნაწილზე. მიმდინარეობდა ძველი წოდებების დაშლა და ახალი კლასების ჩამოყალიბების პროცესი. კაპიტალიზმის განვითარებამ და არსებულმა წინააღმდეგობებმა ქვეყნის შიგნით კი არ შეანელა, არამედ გააცხოვე-ლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამაღლდა პარტიათა პოლიტი-კური კულტურა, ეროვნული მიმართულების პარტიები უფრო რადიკალურნი გახდნენ.

სოციალური ინტერესები და მიზნები დიდ ზეგავლენას ახდენად ქართველ ხალხზე, რის გამოც ამ მიმართულების პარტიათა ავტორიტეტი ხალხში გაიზარდა. მათ განსაკუთრებით მოსწონდათ სოციალ-დემოკრატთა ექსპროპრიაციის გეგმა, რაც წარმოებასა და მიწაზე საკუთრების უფლების ხალხისათვის გადაცემას ითვალისწინებდა. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამა ითვალისწი-ნებდა ნაციონალიზაციას, მიწისა და წარმოების უსასყიდლოდ გადაცემას გლეხებისა და მუშებისათვის, ითხოვდა ქვეყნის ავტონომიურ მოწყობას, სადაც ჩამოყალიბდებოდა ეროვნული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, სახელმწიფო ენად კი ქართული ენა გამოცხადდებოდა.

სოციალ-დემოკრატები უპირველესად აყენებდნენ კლასთა ბრძოლის თეორიას, წარსულისა და თანადროული მოვლენების ახსნა-შეფასების კრიტერიუმად მარქსის მოძღვრებას იშველიებდნენ. ეროვნული მიმართულების სოციალისტ-ფედერალისტები კი მთავარ ღირებულებად არა კლასს, არამედ ერს მიიჩნევდნენ, ყველა მოვლენას ერის ინტერესების პრიზმაში ხედავდნენ, პიროვნებას და არა კლასს, პარტიის წინაშე დამსახურებით, არამედ ერის მიმართ გაწეული ღვაწლით ხსნიდნენ და აფასებდნენ. ამ პარტიის გაზეთები – «შრომა”, «ისარი”, «ამირანი”, «მეგობარი” და სხვა უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატიულ პრესას, აწარმოებდა მასთან იდეურ-თეორიულ პოლემიკას ისევე, როგორც ადრე «ცნობის ფურცელი” და «საქართველო”. ალექსანდრე წულუკიძე, ფილიპე მახარაძე და სხვა ბოლშევიკები ანადგურებდნენ არჩილ ჯორჯაძის «საერთო ნიადაგის” თეორიას, უსაფუძვლო ოცნებად აცხადებდნენ კლასებისა და ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფების გაერთიანებას. მათი აზრით, კლასთა ბრძოლას ვერ აღმოფხვრიდა ვერც

ეკონომიკური თეორიები, ვერც ქართველთა ხელში მიწისა და მეურნეობის გადასვლა.[1] საბჭოური ისტორიოგრაფია სოციალისტ-ფედერალისტების საბედის-წერო შეცდომად თვლიდა ეროვნული საკითხის წინ წამოწევასა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას.[2]

XX საუკუნის 30-50-იან წლებში კონიუნქტურა და კომუნისტურ-ლენინური წნეხი საზოგადოებრივ და სამეცნიერო აზრს შეეხო. მკვლევარები იძულებულნი გახდნენ თითქმის ყველა მოვლენა და ფაქტი კომუნისტური იდეოლოგიის მიერ შექმნილი სქემის ჩარჩოებში მოექციათ. იდევნებოდა განსხვავებული კონცეფციები. «ხალხის მტრის" იარლიყი ჰქონდათ მიკერებული ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, სოციალ-დემოკრატებს და ყველა სხვა პარტიის წარმომადგენლებს, რომლებიც ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიისგან განსხვავებულ შეხედულებებს იზიარებდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტური პრესის ირგვლივ და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე წერდნენ ის მეცნიერები, რომლებიც XX საუკუნის პოლიტიკურ აზროვნებას იკვლევდნენ. ესენი იყვნენ: გ. ჯანგველაძე,[3] ა. სურგულაძე,[4] მ. გაფრინდაშვილი,[5] ფ. ნადიბაიძე,[6] ე. ახობაძე,[7] შ. გაგოშიძე,[8] ლ. გორგილაძე,[9] ლ. ერმანი,[10] გ. ზაქარიაძე[11] და სხვები. თუმცა ეს ავტორები იდეოლოგიის საკითხებს ტენდენციურად, არაობიექტურად განიხილავდნენ, აკრიტიკებდნენ ეროვნული მიმართულების პარტიებსა და მათი ხელმძღვანელების შეხედულებებს, ასევე ეროვნული პრესის მიმართულებას, მიიჩნევდნენ, რომ ეს პრესა და მათში მოღვაწე პუბლიცისტები ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენ. ამ ავტორთა ერთადერთ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო ბრუნვაში ახალი მასალების შემოტანა, მანამდე უცნობი პრესისა და საარქივო მასალების კვლევის ობიექტად ქცევა.

ზოგიერთმა ავტორმა თავისი ადრინდელი შეხედულებები შეიცვალა მას შემდეგ, რაც კომუნისტური რეჟიმი დაემხო და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღსდგა. ასეთი იყო მკვლევარი აკაკი სურგულაძე. თავის ადრინდელ გამოკვლევებში მეცნიერი ვიწროპარტიულ პოზიციაზე იდგა. იგი წერდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი და ცნობილი

პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე, ცდებოდა როცა ერთი დროშის ქვეშ ცდილობდა სხვადასხვა კლასისა და პარტიის გაერთიანებას და ადგა «საერთო ნიადაგის" თეორიას. მისი აზრით, არჩილ ჯორჯაძის თეორიაში ეროვნული ინტერესების საკითხი ოსტატურად იყო გამოყენებული სოციალური გათიშულობის მისაჩქმალად. ეს კონცეფცია აკაკი სურგულაძის აზრით, ქართველ ხალხს და მის ინტელიგენციას მცდარ გზაზე აყენებდა. შემდეგში მკვლევარმა სრულიად შეიცვალა აზრი და კომუნისტური ზეწოლის მოხსნისთანავე დიდი შეფასება მისცა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ეროვნულ პოზიციას.[12]

სრულიად ახლებურად, ობიექტურად და დაწვრილებით იქნა შესწავლილი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამა და მის პარტიულ პრესაში ასახული ამ პარტიის ლიდერების შეხედულებანი ალ. ბენდიანიშვილის,[13] დ. შველიძის,[14] მ. ვაჩნაძის,[15] ვ. გურულის,[16] ლ. ნანიტაშვილის,[17] თ. მაღლაფერიძის,[18] თ. მირიანაშვილის,[19] და სხვათა გამოკვლევებსა და წერილებში.

ძირითად საკვლევ მასალად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთები, რომლებიც 1906-1908 წლებში გამოდიოდა. ესენია: «შრომა", «მეგობარი" «ისარი" და «ამირანი". პრესის ამ ორგანოებს მეტნაკლებად ბევრი მეცნიერი ეხება იმ საკითხების კვლევისას, რაც განსახილველ ეპოქაში შედის. მაგრამ ამ ოთხი გაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მიმართ დაჭერილი პოზიცია ძირეული შესწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა. ოთხივე გაზეთი თითქმის ერთ ასპექტში მოიაზრება, რადგან ცენზურის მიერ ერთი მათგანის დახურვისას მისი თვალისახვევის მიზნით, ხდებოდა გაზეთისათვის სახელის შეცვლა. ახალი გაზეთი კი კვლავ ძველ იდეურ მიმართულებას აგრძელებდა, არ ეპუებოდა ცენზურას, ებრძოდა ბიუროკრატი მოხელეებისა და მთავრობის ანტიქართულ პოლიტიკას.

გამოკვლევაში გაშუქებულია 1906-1908 წლების სოციალისტ-ფედერალისტური პრესის დაარსების და მოღვაწეობის ისტორია, ასახულია სარედაქციო კოლეგიისა და გაზეთის პუბლიცისტთა საქმიანობა, მათი იდეური კრედო, მეფის ცენზურასთან დაპირისპირება. გარკვეულია გაზეთების მიერ შემუშავებული ეროვნული

პროგრამის არსი და სოციალურ-ეკონომიკური პლატფორმა. ნაშრომში არის პერიოდული პრესის შესასწავლი ორგანოების მიერ დაკავებული პოლიტიკური პოზიციის განსაზღვრისა და ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მის მიერ შეტანილი წვლილის განსაზღვრის მცდელობა.

ნაშრომზე მუშაობისას, სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად გამოყენებულია პირველწყაროები. დისერტაციის ძირითადი შინაარსი და დასკვნები გამოტანილია გაზეთებში: «შრომა", «ამირანი", «ისარი" და «მეგობარი" – დაბეჭდილი სტატიების, თეორიული წერილების, საინფორმაციო და სხვა მასალების ანალიზის საფუძველზე.

შევეცადე, მოვლენები შემეფასებინა ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი პოზიციიდან. გამეთვალისწინებინა ყველა ობიექტური თუ კრიტიკული თვალსაზრისი ქართული პრესის, საზოგადოებრივი ცნობიერების და განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა, ასევე პრესის პუბლიკაციები დამოწმებულია სათანადო ადგილზე.

თავი I

გაზეთი «შრომა” და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრედო

1906 წელს დახურული «ცნობის ფურცლის” ნაცვლად გამოიცა გაზეთი «შრომა”, რომელიც ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი იყო. ის თბილისში გამოდიოდა ჯერ ალ. დიასამიძის (1 ნომრიდან 32-ე ნომრამდე), შემდეგ კი გრ. რცხილაძის (№33-დან) რედაქტორობით. გაზეთი გამოიცემოდა «წიგნის გამომცემელი ქართველი ამხანაგობის” სტამბაში და იყო სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების. მასში თანამშრომლობდნენ: ალ. ფრონელი, გ. დაფქვიაშვილი, მ. ბოლქვაძე, ი. ნაკაშიძე და სხვა. გაზეთს ჰქონდა სურათებიანი დამატება, რომელსაც გრიგოლ რცხილაძე რედაქტორობდა.

მიუხედავად სოციალური მიმართულებისა, გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს. ის რომ მისი წინამორბედი «ცნობის ფურცელი” მთავრობამ დახურა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, სადამსჯელო ღონისძიებათა სისასტიკის დაუფარავად აღწერის გამო, ვერ თრგუნავდა «შრომის” სარედაქციო ჯგუფს. იგი აგრძელებდა ეროვნული საკითხების თამამად გაშუქებას და პარარელურად აღწერდა იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

გაზეთი იმ დროს გამოვიდა, როდესაც საიმპერიო ხელისუფლებამ სათათბიროს მოწვევით სცადა პოლიტიკურ პროცესთა დარეგულირება. თუ ადრე სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას სურდა ბოიკოტი გამოეცხადებინა სათათბიროსთვის, «შრომის” პირველი ნომრის განცხადებით, მათ შეიცვალეს ტაქტიკა და არჩევნებში მონაწილეობა რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთ სტრატეგიად მიიჩნიეს. «რადგან სათათბირო, მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებულ რეპრესიულ ღონისძიებათა, ოპოზიციონერული იქნება და ხალხს შეეძლება სარევოლუციო იარაღად გამოიყენოს იგი”, – აცხადებდა სოციალისტური პარტიის ფედერალური კომიტეტი.[1]

«შრომის” პირველი ნომრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გენერალ ალიხანოვის მოქმედებას დასავლეთ საქართველოში. ეს წერილები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ნათელს ჰფენს რუსეთის შავრაზმული პოლიტიკის გატარებას XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. ალიხანოვ-ავარსკისათვის

ხელისუფლების მიერ მიცემულ დირექტივას: არ გაერჩია მტყუან-მართალი, არ მოეძებნა კანონიერება, ყველა განურჩევლად დაესაჯა, რადგან საქართველომ რეჟიმის წინააღმდეგ ხმის ამოღება გაბედა.

როდესაც დამარცხებულ გურიის აჯანყებულებს იარაღი აჰყარეს, აჯანყების მეთაურები დაიჭირეს, მათი იარაღი კი სახელმწიფოს ჩააბარეს, ალიხანოვ-ავარსკიმ არ დაუჯერა მათ, იეჭვიანა, რომ გაცილებით ბევრი იარაღი გადამალული ჰქონდათ და ასეთი სიტყვები უთხრა: «განა ამ ოცდაათ კაცს შეეძლო თქვენი მართვ-გამგეობა? თქვენ ცრუობთ ყველაფერში. რაღაც ნაყარ-ნუყარი, უვარგისი თოფები მოგვიტანეთ და კარგები შინა გაქვთ დამალული. ჩემზე რომ იყოს, მე თქვენ მართლა სასტიკად დაგსჯიდით, მაგრამ თქვენი ბედი, რომ ჩვენი მეფე და ნამესტნიკი მეტად გულკეთილნი არიან და თუ ამიერიდან ჭკვიანად იქნებით, გაპატიებენ დანაშაულს. . .”

გლეხობის კითხვაზე, რად არ იცავდნენ რუსულ კანონებს და დამნაშავეების ნაცვლად მართალ ადამიანებს იჭერდნენ, რუსმა გენერალმა უპასუხა: «ახლა თქვენ ზარბაზნებისა და თოფების ენით გელაპარაკებიან და ზარბაზნებმა თოფებმა მტყუ-ანისა და მართლის გარჩევა და შებრალება არ იცის. აქ, გურიაში, თითქმის ასია-თასი მცხოვრები ხართ და სათითაოდ ყველას საქმის გარჩევას რომ შევუდგეთ, ამას ათასი გამომძიებელი დაჭირდება.” ის ხალხს ეუბნებოდა, რომ გურიიდან ჯარი არასოდეს წავიდოდა, სულ აქ იდგომებოდა და წესრიგს მკაცრი კანონებით დაიცავდა.

გაზეთი «შრომა” აღწერდა გადამწვარ ოზურგეთს, დარბეულ ლანჩხუთს, გაზეთების აკრძალვისა და ძარცვა-რბევის მაგალითებს, გენერალ ალიხანოვთან ერთად პოლკოვნიკ გავრილოვის ჯარის მოქმედებას დასავლეთ საქართველოში. გაზეთი აღწერდა გავრილოვის გენერალური შტაბისა და ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის – დადეშქელიანის ჩასვლას სამეგრელოში და მათ სადილს ადგილობრივ მემამულე – კ. დადიანთან. დადიანის მზარეულებს შეშინებია დამსჯელი რაზმის ჯარის მეთაურებთან შეხვედრა, უარი უთქვამთ დადიანისთვის მზარეულობაზე და დამალულან. თავადი იძულებული გამხდარა სადილი საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად თავად მოემზადებინა და სტუმრებთან

ბოდიშიც დასცდენია; ჩვენი მომზადებულია და უკეთესი არ გამოვიდა, გვაპატიეთო. გავრილოვი დაინტერესებულა და როდესაც მზარეულების საქციელი გაუგია, ბრძანება გაუცია მათი მოძებნისა და დაპატიმრების შესახებ. დადეშქელიანს ბევრი უცდია, რომ გაროზგვა აეცდინა გლეხებისათვის, თუმცა მათი დაპატიმრება მაინც მომხდარა. ალიხანოვ-ავარსკის და პოლკოვნიკ გავრილოვის სტუმრობა გომში, დიდ ჯიხაიშში, ხონში, როგორც გაზეთ «შრომიდან" ჩანს, დამთავრდა ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-რბევითა და დატუსაღებით.[2] მაშინ როდესაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში 1908-1909 წელს გამოსული ქართველი დეპუტატები იხსენებდნენ 1905-1906 წლების სასტიკი შურისძიების მაგალითებს, რუსეთის ჯარის ძალადობას ქართველი ხალხის მიმართ, რუსი დეპუტატები ამას პროვოკაციასა და უსინდისო ტყუილს უწოდებდნენ. არადა ქართული გაზეთები 1906 წელს და მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტური «შრომა" დაწვრილებით აღწერდა ქართველ ქალთა გაუპატიურების, მოსახლეობის ძარცვისა და ძალადობის სხვა ფორმების გამოყენების შემთხვევებს.

გაზეთ «შრომის" მე-4 ნომერში აღწერილი იყო შორაპნის მაზრის ამბები. «მეოთხე თვეა, – წერდა გაზეთი, – თითქმის მთელი საქართველო ძალმომრეობის ბუდედ არის გადაქცეული: სიკვდილი, შიმშილი, ცემა-ტყეპა, ნაძალადევი სინანული, ნამუსის ახდა ისე გახშირდა, როგორც შემოდგომის სოკო". გაზეთი მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ, ძალმომრეობის დამხობისაკენ, თუმცა ასეთ რევოლუციურ მოწოდებას რა შედეგი მოჰყვებოდა ამას აღარ აანალიზებდა, რადგან მისი აზრით, «ნამუსახდილ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობდა". ზესტაფონის სოფლები: კიცხი, ფუთი, ვარძია, ჩალხეეთი და სხვები 90 კაცისაგან შემდგარმა დამსჯელმა რაზმმა დაარბია. ისინი ეძებდნენ რევოლუციონერებს, კერძოდ კი აფრასიონ მერკვილაძეს. «შრომა" გაოცებული იყო იმ სისასტიკით, რაც ამ ბოლშე-ვიკის გამო იქნა ჩადენილი შორაპნის მაზრაში და ეჭვს გამოთქვამდა, იყო თუ არა აფრასიონ მერკვილაძის შეპყრობა მიზეზი, თუ, პირიქით, საბაბი იყო ხალხის აწიოკებისათვის. «რათა გამოთქმული აზრი ადვილი გასაგები გახდეს, – წერდა «შრომა", გაცნობებთ, როგორ იქცევა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც ამხედრებულია ვითომ მერკვილაძის დასაჭერად და ნამდვილად კი ხალხს ანად-

გურებს". გაზეთი აღწერდა სვირში მერკვილაძის შეპყრობის საბაბით მომხდარ რამდენიმე დარბევას. მიიჩნევდა, რომ მაზრის ადმინისტრაცია არ იყო ისეთი გულუბრყვილო, ვერ მიმხვდარიყო ამგვარი მეთოდით მერკვილაძეს რომ ვერ დაიჭერდა, მაგრამ იყენებდა რა ამ შემთხვევას, არასასურველ პირებსა და მათ ოჯახებს სჯიდა და არბევდა.[3]

იმდენად დიდი იყო ხალხის დრტვინვა, რომ ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ლორთქიფანიძე იძულებული გამხდარა მიემართა კავკასიის ნამესტნიკისათვის, სადაც აღინიშნა ყველა ის უბედურება, რაც გუბერნიის მოსახლეობას დაატყდა თავს. ნამესტნიკის მიმართ დ. ლორთქიფანიძემ, ხალხის მდგომარეობის დეტალური აღწერის შემდეგ, რამდენიმე საკითხი დააყენა: 1. აკრძალული ყოფილიყო გენერალ-გუბერნატორის 25 იანვრის დადგენილება, რომლის ძალითაც შებინდების შემდეგ აკრძალული იყო ქუჩაში გამოსვლა; 2. განთავისუფლებულიყვნენ საპყრობილედან ის პოლიტიკური დამნაშავენი, რომელთა დანაშაული დამტკიცებული არ იყო; 3. ნება მიცემოდათ ქალაქიდან გადამალულ პირებს დაბრუნებულიყვნენ და თუ დანაშაული ჰქონდათ, საზოგადოებრივი წესით დასჯილიყვნენ; 4. დანიშნულიყო რუსეთის სამინისტროს მიერ სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოეძიებინა საქართველოს დაბა-ქალაქების დაწვის, დარბევისა და აწიოკების მიზეზები და თუ გაირკვეოდა, რომ ეს ყველაფერი დამსჯელი რაზმების და ჯარის წყალობით მოხდა, მთავრობას ზარალი აენაზღაურებინა მცხოვრებთათვის.[4] ბოლშევიკი რევოლუციონერების გამო არბევდნენ ხალხს, თვით დამნაშავენი კი ანადგურებდნენ შეძლებულ, ან ნაკლებად შეძლებულ თავადთა ოჯახებს. ასეთი შურისძიების ცეცხლში იხრაკებოდა მთელი საქართველო. მას ერთნაირად ანადგურებდნენ «თავისიანი" ბოლშევიკები და რუსი სადამსჯელოები. ეს რომ ასე იყო, ამას «შრომის" პუბლიკაციებიც მოწმობს. ერთ-ერთ ინფორმაციიდან ჩანს ბოლშევიკთა მიერ გორის მაზრის თავადთა ოჯახების აწიოკება. კერძოდ სოფელ იგოეთში თავად ფავლენიშვილის დაყაჩაღება და მოკვლა, ასევე თავად ზაალიშვილის გაძარცვისა და დაჭრის ამბავი და ა. შ.[5]

ამიერკავკასიის ადმინისტრაცია ხალხის «დაწყნარების" ახალ მეთოდებს და გზებს ეძებდა. ახალი გზების ძიებაში იცვლებოდნენ ხელისუფალნი. მეფისნაცვალ

ვორონცოვ-დაშკოვის თანაშემწენი სამოქალაქო თუ სამხედრო ნაწილში რევოლუციის დაწყებიდან რამდენჯერმე შეიცვალნენ. 1906 წელს სამოქალაქო ნაწილში თანაშემწე კრიმ-გირეი მიცკევიჩმა შეცვალა, ხოლო სამხედრო ნაწილში თანაშემწე გენერალი მალამა – ქუთაისის დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა, ხალხის დასჯაში თავგამოჩენილმა ალიხანოვ-ავარსკიმ.

სოციალისტ-ფედერალისტური «შრომა" თავგამოდებით იცავდა ეროვნულ ავტონომიასა და მსოფლიო ფედერაციას. მისი აზრით, უნდა მოსპობილიყო სახელმწიფოთა ამდროინდელი საზღვრები, რადგანაც ისინი «არ ეთანხმებოდნენ ეთნოგრაფიულ და ეროვნულ საზღვრებს".[6]

ავტონომიის მოთხოვნაში «შრომა" რუსული დემოკრატიული პრესის ისეთ ორგანოს იმოწმებდა, როგორიც იყო პეტერბურგში გამომავალი გაზეთი «სტრანა", რომლის რედაქტორი იყო ცნობილი მეცნიერი და სოციოლოგი მ. კოვალევსკი. გაზეთი «სტრანა" თავის ფურცლებზე აღწერდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობას წარსულში, მათ შეერთებას, რომლის დროსაც ორივე ქვეყანას თავისი მიზნები და სურვილები ამოძრავებდა, თუმცა კოვალევსკის აზრით, საქართველო მოატყუა რუსეთმა. რუსული გაზეთი მხარს უჭერდა საქართველოს ავტონომიის იდეას რუსეთის სახელმწიფოში და ქართული ეროვნული პარტიის დაარსებას. ვინც ამ მიმართულებით წაიყვანდა ერს, ექნებოდა ეროვნული მისწრაფებები. გაზეთის აზრით, ეს მისწრაფება შეიძლება გამოხატულიყო ფართო თვითმმართველობის მოთხოვნით, წარმომადგენლობითი დაწესებულების გახსნით თბილისში, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქციებიც ექნებოდა შინაური საქმეების მოსაგვარებლად. ასეთი ავტონომიური თვითმმართველობა არავისთვის არ იქნებოდა არც სახიფათო და არც საზიანო, არაფერს არ ავნებდა რუსეთის ინტერესებს, ქართველი ხალხის კულტურული წარმატებისათვის კი მეტად ხელსაყრელ პირობებს შეჰქმნიდა ეროვნული პარტიის არსებობა, რომლის აუცილებლობაზეც საქართველოში საუბრობდა გაზეთი «სტრანა". «შრომის" მიხედვით იმიტომ იყო აქტუალური საკითხი, რომ ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტია ჩვენში იყო სოციალ-დემოკრატიული, რომელიც ეროვნულ საკითხს გაურბოდა, უარყოფდა ავტონომიის იდეას, იცავდა «განუყოფლობას"

რუსეთის იმპერიისას, არადა ამ პარტიას სოციალური პროგრამის გამო დიდი გავლენა ჰქონდა ქართველ ხალხზე. გაზეთი მიმოიხილავდა ამ პირველი პოლიტიკური პარტიის შექმნას, 90-იანი წლებიდან მათ სიახლოვეს მარქსიზმის იდეოლოგიასთან, ეროვნული ინტერესებისადმი მხარდაჭერას, რაც სრულიად დაკარგეს შემდგომში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ათქვეფის გამო. «შრომა" იხსენებდა 1903 წლის ლონდონის ყრილობაზე წარსადგენი პროგრამის პროექტის II მუხლს, სადაც ეწერა: «დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება ფედერატიულ პრინციპის თანახმად (სახელმწიფოს სხვადასხვა ერის შეთანხ-მებული მოქმედების საფუძველზე) რუსეთის დაყოფა ოლქებად ეკონომიკურ და ტერიტორიულ პირობების მიხედვით". . .[7]

ამ შეხედულებით სოციალ-დემოკრატთა ნაციონალიზმთან სიახლოვეზე მიუთითებდა «შრომის" რედაქცია და მათ გადახრას კოსმოპოლიტიზმისაკენ რუს კოლეგებს აბრალებდა. გაზეთი ამის შესახებ წერდა: «მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა ვერ შეიგუეს და ვერ შეიგნეს დამონავებულ ერთა ნაციონალიზმის ბუნებრივობა და აუცილებლობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არ მოისურვეს პარტიული დისციპლინის დარღვევა, მხოლოდ ამის წყალობით ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ფარდა წააფარეს ეროვნულ საკითხს და თითქოს ეროვნულ თვითმმართველობის პრინციპიალურ მოწინააღმდეგეებად გამოვიდნენ. . . შესაძლოა ქართველმა სოციალ-დემოკრატების მეთაურებმა პარტიული დისციპლინის დასაცველად კიდევ დიდხანს განაგრძონ თავისი ანტინაციონალური პოლიტიკა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა მოველოდეთ, რომ ისინი მალე სრულიად დაჰკარგავენ გავლენას მშრომელ ხალხზე და მათ ადგილს სხვა პარტიები დაიჭერენ". ამ ადგილის დამჭერად და ხალხის ინტერესების გამომხატველად «შრომა" ორი წლის წინათ დაარსებულ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას მიიჩნევდა. რადგან ხალხს ავტონომიური სახელმწიფოებრიობა სურდა, დამოუკიდებელი განვითარებისაკენ მიისწრაფვოდა დიდ რუსეთის იმპერიაში და ამას კიდევ სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ. სოციალისტ-ფედერალისტები კი მხარს უჭერდნენ. ასეთი გათვლა «შრომისა"

რეალობასთან ახლოს იყო, რადგან ქართველი ხალხი წინამძღოლებს თავისი ინტერესების გათვალისწინებით თავადვე აირჩევდა.

«შრომა'' აკრიტიკებდა ცალკეულ მოსაზრებებს ავტონომიის შესახებ. მას მიუღებლად მიაჩნდა ეროვნული ავტონომიების ჩამოყალიბებისათვის მხარდაჭერა იმ მოსაზრებებით, რომ ტერიტორიალურ ავტონომიაში ერთი ერის ჰეგემონია განხორციელდებოდა და მოხდებოდა პატარა ერების დაჩაგვრა. «ვერ დავეთანხმებით ავტორს, – წერდა გაზეთი «შრომა'', რომ ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანი იყოს. ჯერ ერთი, ისიც არ არის მართალი, ვითომ დღეს თითქმის აღარ მოიპოვება ტერიტორია, სადაც ერთი ერი იყოს დასახლებული, შორს რომ არ წავიდეთ ავიღოთ თუნდ ჩვენი ქვეყანა საქართველო, ერთმანეთზე გადაბმული მაზრები: გორის, შორაპნის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთის – იდეალურად მთლიანი ტერიტორია არის, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული ერთის მოდგმის ხალხით; აღმოსავლეთი ნაწილი საქართვე-ლოს მართალია არ წარმოადგენს, ამგვარსავე იდეალურ ტერიტორიას, მაგრამ აქაც დიდი უმრავლესობა ქართველ ერს შეადგენს. მთელ ამ მოზრდილ ტერიტორიაზე სახლობს ერთი ერი, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ენა აქვს, თავისი კულტურა, ზნე-ჩვეულება, ტრადიციები, მისწრაფება-საჭიროებანი და სხვა. ამ შემთხვევაში ჩვენს თვალწინ არის ის ბედნიერი კომბინაცია როცა ტერიტორია და ერი ერთი და იგივეა (совпадение) და აქ აღარ არსებობს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ავტონომიაა უფრო სამართლიანი, – ეროვნული თუ ტერიტორიალური. ამგვარ შემთხვევაში უფრო კანონიერი და სამართლიანია აღიარება ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიისა, მთელი ერი შეკავშირებულია ერთის საკანონმდებლო და კულტურულ დაწესებულებებით, რომელთა შემწეობით უზრუნველყოფს თავის დაცვასა და განვითარებას. უსამართლობა იქნება, თუ ასეთ ქვეყანას დავაქუცმაცებთ მხოლოდ იმიტომ, რომ აქა-იქ იმის ტერიტორიაზე გაფანტულია რამდენიმე ჯგუფი სხვა ერის წარმომადგენლებისა. არის ისეთი კულტურულ-ეკონომიკური მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება უთუოდ მოითხოვს ჩვენის ხალხისთვის მთლიან და განსაზვრულ ტერიტორიაზე ერთის ავტონომიის განხორციელებას.''[8]

«შრომა" მიუღებლად თვლიდა საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენასა და ისეთი ტერიტორიების მოთხოვნას, როგორიც იყო ზაქათალა, რომელიც უკვე სხვა მოდგმის ხალხით იყო დასახლებული", მაგრამ მტკიცედ იცავდა თვალსაზრისს, რომ ის ტერიტორია, რომელიც რეალურად ქართველი ხალხის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა, საქართველოს ავტონომიაში უნდა შესულიყო, თუნდაც მის შიგნით რამდენიმე რაიონში კომპაქტურად ყოფილიყვნენ დასახლებულნი სომხები ან სხვა ერის ხალხნი.

გაზეთის აზრით ერთი ერის გაბატონება მეორეზე ვეღარ მოხდებოდა, რადგან ამას სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები გამორიცხავდნენ. სოციალისტ-ფედერალისტური «შრომის" ამგვარი თვალსაზრისი იყო ჯანსაღი და იმდროინდელ ეროვნულ ინტერესებს სრულად პასუხობდა. თუმცა მათი შეხედულება საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და საზღვრების შესახებ არ ეფუძნებოდა ისტორიულ კუთვნილებას, არ ემთხვეოდა ერის ინტერესებს. ზაქათალისა თუ ოსმალეთის საქართველოს საკითხს მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი არასოდეს განიხილავდა საქართველოს გარეთ და მას მომავალი ქართული სახელმწიფოს ნაწილად მიიჩნევდა. მაგრამ პირველი რევოლუციის საშინელი პოლიტიკური რეაქციის ჟამს ეროვნული ცნობიერება საქართველოს ავტონომიის საზღვრებს ფრთხილად მოიაზრებდა და ამაში არც იყო რაიმე გასაკვირი. შემდეგში, 1910-იანი წლების შუა ხანებიდან, ქართველმა პატრიოტებმა უფრო გაბედული პოლიტიკური გეგმები წამოაყენეს ქვეყნის ძველი ისტორიული რეგიონების ქართულ სახელმწიფოში დაბრუნების შესახებ. 1906-1908 წლებში ავტონომიის საკითხის დაყენებაც გმირობას უტოლდებოდა. მაშინ როცა რუსეთის სათათბიროში გამოსული ქართველი დეპუტატები ძირითადად სოციალური და ეროვნული ჩაგვრის კრიტიკით გამოდიოდნენ.

I სათათბიროს არჩევნებში, როგორც ითქვა, სოციალ-ფედერალისტებმა მხარი სოციალ-დემოკრატებს დაუჭირეს და მათ ბოიკოტზე უკიდურეს მემარცხენეთა გამარჯვების უზრუნველსაყოფად უარი თქვეს. ეს იყო სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთა, ხოლო ბოლშევიკური ფრთა სრულ ბოიკოტს უცხადებდა

სათათბიროს არჩევნებს. გარდა ამისა, იდეოლოგიურადაც შორს იყო ეს ფრთა სოციალ-ფედერალისტთა პროგრამასთან.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამ პარტიებს შორის მომხდარ უთანხმოებას გაზეთი «შრომა" აკრიტიკებდა და უადგილოდ თვლიდა. ამ ორ სოციალისტურ პარტიას შორის უთანხმოებას მთლიანად სოციალ-დემოკრატებს აბრალებდა. მკითხველს კი უხსნიდა, რომ სათათბიროს მოწვევის მომხრე პარტიებიდან მხოლოდ ამ უთანხმოების შემდეგ აირჩიეს სოციალ-ფედერალისტებმა ქართველ დემოკრატებთან და რადიკალებთან შეთანხმება. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი «ლამპარი" ამ შეთანხმების დარღვევას მიაწერდა დეპუტატ ალექსანდრე არღუთინსკი-დოლგორუკოვის გაყვანის მცდელობას, რასაც ისინი არ ეთანხმებოდნენ. «შრომა" აკრიტიკებდა მათი დეპუტატობის კანდიდატებს და წერდა: «ყველა დაგვეთანხმება, რომ ვანქის სობოროს ქტიტორს, პატივცემულ ა.ს. ბაბოვს ბ-ნ არგუთინსკი მაინც აჯობებს პოლიტიკურის რადიკალიზმითა და ნაციონალურის სამართლიანობით. მაგრამ საქმე ამაში როდია; სოციალისტ-ფედერალისტებს ბ-ნ არგუთინსკი თავის კანდიდატად არ დაუსახავთ. ისინი შეთანხმდნენ რადიკალებთან, რომელთა შორის ბევრი რუსია, ებრაელიც და სომეხიც". . . «შრომის" აზრით, საჭირო იყო ავტონომიისათვის ეროვნული თვითგამორკვევისა და სოციალური უფლებებისათვის გადამჭრელი ბრძოლა და მისი პარტია მხოლოდ იმ კანდიდატებს წამოაყენებდა, ვინც ამგვარი ბრძოლისათვის მზად იქნებოდა.[9]

გაზეთი განსაკუთრებით ებრძოდა კონსტიტუციურ დემოკრატებს. თბილისელი კადეტები უარყოფითად ეკიდებოდნ ავტონომიის საკითხს, ესეც კმაროდა მიზეზად, რომ სოციალ-ფედერალისტებს ეკრიტიკებინათ ეს პარტია. «შრომა" არც მათ პრესას ინდობდა, უმეტესად რუსულ ენაზე რომ გამოდიოდა თბილისში. ერთი ასეთი გაზეთი «კავკაზიც" იყო, სადაც ხოტბა-დიდება ჰქონდა შესხმული ძირითადი კანონების პროექტს, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს უნდა დაემტკიცებინა.[10]

გაზეთი თავის საარჩევნო ბლოკის სახელით ხშირად მიმართავდა მოწოდებით მკითხველს, სრულად საქართველოს მოსახლეობას დაეკავშირებინა თავიანთი ინტერესები ამ ბლოკთან, რადგან ის შეძლებდა დაეყენებინა სათათბიროში

ერისათვის საჭირო მოთხოვნები: დადგა დიდებული ისტორიული მომენტი, – ეწერა ერთ-ერთ მოწოდებაში, – დადგა ის დრო, როცა ერთმანეთს შეეტაკა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ორი მოსისხლე მტერი: თვითმპყრობელი ბიუროკრატია და სრული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი. ამ ბრძოლაში ხალხმა უნდა აჯობოს, რადგან მხოლოდ მას შეუძლიან იხსნას რუსეთი დაღუპვისაგან და დააყენოს იგი მშვიდობიან და ძლიერ განვითარების ფართო გზაზე. მაშ მიაშველეთ ხალხისათვის ბრძოლაში გაწვრთნილ მებრძოლთ მხნე და მტკიცე რწმენის წარმომადგენელი, რომელიც არ შეუშინდება არავითარ დაბრკოლებას და ძველ რეჟიმს არაფერს არ დაუთმობს.

სამი მემარცხენე პარტიის კავშირი ტფილისში უზრუნველყოფს ასეთ წარმომადგენლის არჩევას. ამიტომ აირჩიეთ ამომრჩევლებად ქართული დემოკრატიულისა, რადიკალებისა და სოციალ-ფედერალისტთა პარტიების კანდიდატები. ეს პარტიები შეთანხმდნენ, რათა ტფილისში ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა მისცენ შეძლება – მოითხოვონ:

1. გაუქმება იმ განსაკუთრებული კანონებისა და დროებით წესებისა, რომლებითაც ბიუროკრატიამ შეზღუდა 17 ოქტომბერს მოპოვებული თავისუფლებანი;

2. სრული ამნისტია პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ «დამნაშავეთათვის";

3. სიკვდილით დასჯის გაუქმება;

4. დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, რომელიც უზრუნველყოფს ნამდვილი კონსტიტუციის შემოღებას და ყველა დაჩაგრულ ერს მიანიჭებს ფართო პოლიტიკურ თვითმმართველობას".[11]

გაზეთი მკითხველს არც იმას უმალავდა, რომ მშრომელი ხალხის დიდი ნაწილი უკიდურესად მემარცხენე პარტიებს ემხრობოდნენ. მემამულეთა-მექარხნეთა ნაწილი და ინტელიგენციის წარმომადგენელთა საკმაოდ ფართო მასა კი ხშირად მემარჯვენე პარტიებს თანაუგრძნობდნენ, მაგრამ მემარცხენეთა ბანაკში ხვდებოდნენ. ასეთად «შრომა" მიიჩნევდა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიაში გართიანებულ ინტელიგენციას. სახელმწიფო სათათბიროში არჩეული დეპუტატებიდან, გაზეთის აზრით უფრო რადიკალურნი სწორედ განაპირა რაიონებიდან

არჩეული მემარცხენეები იქნებოდნენ, მაგრამ რადგანაც არჩევნები ცენზით იყო შეზღუდული და არც პირდაპირი იყო, ამიტომ იქ კადეტები მოხვდებოდნენ.

საქართველოში არსებული კადეტთა პარტია გაზეთს რეაქციულად მიაჩნდა, რადგან თვლიდა, რომ იქ ჩაწერილი ხალხი მტკიცე და თანმიმდევრული შეხედულებების არ იყო. ამგვარი ადამიანები რუსეთში «17 ოქტომბრის კავშირში" ეწერებიან, ჩვენში კი ამ ადგილს თბილისში მოკალათებული რუსის პატრიოტები" ავსებენო, «შრომა" აკრიტიკებდა ამ პარტიის ლიდერს – ლოპოჩინინს, მის თანაპარტიელებს და წერდა: «რა თქმა უნდა, ეს გარემოება ძლიერ შეუწყობს ხელს ჩვენებურ მემამულეთა და მექარხნეთა წარმომადგენლების სათათბიროს დეპუტატად გასვლას, რადგან ისინი «კადეტების" სახელით გამოდიან, კადეტებს კი დღეს გასავალი აქვთ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პროვინციელი მომხრე რუსეთში «17 ოქტომბრის კავშირისა" შიდა რუსეთისაზე უფრო საშიშია განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რადგან პროვინციელზე უფრო დიდი გავლენა აქვს უმაღლეს წრეებთან დაახლოებას. ასეთი დათმობა უფრო მეტად მოულბობთ მათ გულს და კომპრომისის გზაზედ დააყენებს". კონიუნქტურის მაგალითად «შრომას" ხატისოვი, თბილისელი სომეხი მოჰყავდა. ადარებდა მას «17 ოქტომბრის კავშირის" ლიდერს გუჩკოვს, რომელმაც უარი თქვა დეპუტატობაზე, თუკი ხალხი არ აირჩევდა. «მოიგონეთ მკითხველო, როგორი გავლენა აქვს ბ-ნ ხატისოვზე სასახლეების ნახვას, სხვა და სხვა უმაღლეს წრეებთან დაახლოებულ კომისიებში ყოფნას . . . წარმოიდგინე მკითხველო, ახლა ხატისოვი გუჩკოვის ადგილას. შენის ფანტაზიისათვის მიმინდვია იმ სურათის დახატვა, რა სურათადაც გადაიქცეოდა მაშინ ბ-ნ ხატისოვი, მაშ რითი სჯობია ბ-ნ ხატისოვი ან ბ-ნ ოპოჩინინი გუჩკოვს? იმითი, რომ ბ-ნ ხატისოვი კადეტია? სწორედ ეს არის სახიფათო და საშიში და სწორედ ამიტომ განაპირა ქვეყნებში საზოგადოდ და ჩვენში კონკრეტულად კადეტების არჩევა ძალზე საშიშია . . . ვისაც უნდა, რომ სახელმწიფო სათათბიროში მემარცხენე ელემენტები გააძლიეროს, მხოლოდ უკიდურეს მემარცხენეთა პარტიების წარმომადგენლები უნდა აირჩიოს",[12] ასკვნიდა «შრომა", უკიდურეს მემარცხენეებში არ იგულისხმებოდნენ ბოლშევიკები, რადგან ისინი სრულ ბოიკოტს აცხადებდნენ არჩევნებისადმი.

I სახელმწიფო სათათბიროს გასხნას მიესალმნენ იმპერიაში შემავალი ხალხები, მათ შორის იყვნენ ქართველებიც. თბილისის ქალაქის საბჭომ მისალმება დაავალა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელ, თავად ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, რომელმაც მისალმებასთან ერთად გაგზავნილ მიმართვაში ქართველი ხალხის ტკივილიც გამოხატა სადამსჯელო ოპერაციების გამო. სათათბიროს თავმჯდომარეს – ს. ა. მურომცევს – ჩერქეზიშვილი იმ სურვილებს და იმედებსაც უზიარებდა, რაც შეიძლებოდა რუსეთის ამ უმაღლესი ორგანოს ამოქმედებას მოჰყოლოდა: დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, – ეწერა მისალმებაში, – ჩვენ წარმომადგენელთ შეძლება არა აქვთ აიმაღლონ ხმა და აუწყონ პარლამენტს კავკასიის ჭრილობანი და გულისტკივილი, ქალაქის საბჭოს სურს იწამოს, რომ ყველა ის საშინელება რომელიც თავს დაგვატყდა, ახლო მომავალში პარლამენტის წევრთა სოლიდარული მოქმედების მეოხებით ისტორიას ჩაებეჭდება, რაც პირველი დღეებიდანვე უკვე გამოჩნდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ქმედებანი აღარ განმეორდება რუსეთის მიყრუებულ ადგილებშიც კი. ტფილისის საბჭო მხურვალედ ეგებება პარლამენტის საკეთილო მოღვაწეობის პირველ ნაბიჯს და უერთებს თავის ხმას მთელის რუსეთის მცხოვრებთა საუკეთესო ნაწილის სურვილს საყოველთაო ამნისტიისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ასეთი სასჯელი დღეს უსასტიკესი ანაქრონიზმია იმ ბრწყინვალე განთიადის წინაშე, რომელიც რუსეთისათვის მალე დადგება”.[13]

სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და საყოველთაო ამნისტიის მოთხოვნა მართლაც დიდმნიშვნელოვანი რამ იყო ამდროინდელ რეალურ ვითარებაში. პოლიტიკური რეაქციონერების და რუსეთის შავრაზმული წრეებისათვის, როგორც ამას საქართველოში მოქმედი «სადამსჯელო” რაზმების მეთაურები დაუფარავად აცხადებდნენ. არაფერს ნიშნავდა კანონზე მაღლა დგომა, უდანაშაულოთა ადგილზე მოკვლა, დატყვევება, ყოველგვარი საშინელი მეთოდების გამოყენება იმათ მიმართ, რომელთა ბრალეულობა გამორკვეული არ იყო. პირიქით, ისინი ასეთ ქმედებას აღებულ მომენტში კანონიერად და მისაღებად თვლიდნენ. სოციალისტ-ფედერალისტები, როგორც ხალხის ინტერესების გამომხატველნი, სწორედ ამ

პროცესის შეჩერებასა და საკუთარი ერის დახსნას ისახავდნენ მიზნად, როდესაც ამნისტიის და სიკვდილით დასჯის გაუქმებას ითხოვდნენ.

«შრომა'' ბეჭდავდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ბიოგრაფიებს, ესენი იყვნენ: ივანე გომართელი, რომელიც ამ დროს 29 წლის იყო და უკვე სახელგანთქმული ექიმის რეპუტაცია ჰქონდა. სერგო ჯაფარიძის ცხოვრებას, რომელიც წარმოშობით რაჭიდან იყო და თავისი ნათესავის, თბილისის I გიმნაზიის დირექტორის – ივანე გამყრელიძის დახმარებით მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ კი ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა წარჩინებით, ის ქუთაისის ოლქის სასამართლოში მუშაობდა და გაზეთი იმედს გამოთქვამდა, რომ ყოველთვის მშრომელი ადამიანების ინტერესს დაიცავდა.[14] «შრომა'' ბეჭდავდა მილოცვებს სოციალისტ-ფედერალისტი დეპუტატის იოსებ ბარათაშვილისადმი და ასახელებდა დეპუტატ შერვაშიძის არჩევნებში გასვლის მიზეზებს. ქართველი დეპუტატების სიტყვები «შრომაში'' უცვლელად იბეჭდებოდა. არათუ ამ სიტყვებს, გაზეთი კულუარებში მოსმენილ აზრსაც გადმოსცემდა ქართველ დეპუტატთა გამოსვლებზე. ქართველი დეპუტაციის საქმიანობის მიმართ იგი არც რუსული პრესის რეაქციას ტოვებდა უყურადღებოდ. მიუხედავად იდეური უთანხმოებისა, გაზეთი «შრომა'' აკრიტიკებდა პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებს საქართველოდან წარგზავნილ დეპუტატთა ლანძღვისათვის. თვლიდა, რომ ამ დეპუტატთა ნაკლი ზოგადი იყო და არა კავკასიურ-ქართული. რაც მიუღებელი იყო მათ გამოსვლაში. ეს იყო ან რუსეთის შავრაზმული წრეების ნამუშაკევის, ან და თვით იმ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გამო, რაც რუსეთიდან შეითვისეს ქართველმა რამიშვილმა თუ მისმა სხვა თანაპარტიელებმა. «შრომა'' იზიარებდა პეტერბურგის პრესის ზოგიერთ კრიტიკულ შეფასებას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმიანობის გამო I სახელმწიფო სათათბიროში. მათ მიერ პროლეტარიატისა და გლეხთა კლასის დაპირისპირებას შეუწყნარებლად მიიჩნევდა და წერდა: «რუსეთის რევოლუციის მომავალი განვითარება დამოკიდებულია პროლეტარიატის და გლეხობის ძალთა შეკავშირებაში. სოციალ-დემოკრატი დეპუტატები კი მთელს რუსეთს აუწყებენ – გლეხობა და პროლეტარიატი ეკონომიკურად ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან

და ამიტომ განცალკევებულად უნდა იარონ იმ დრომდე, ვიდრე შემთხვევითი სოლოდარობა არ იჩენს თავს მათ შორისო, მაგრამ ასეთი სოლიდარობაო დასძენენ ისინი მოსალოდნელია არა მარტო გლეხობისა და პროლეტარიატისა, არამედ რუსეთის მცხოვრებთა ყველა კლასებისაო. ასეთი აზრების ქადაგება იმ ტრიბუნიდან, რომელსაც მთელი რუსეთი უგდებს ყურს, ხელს უწყობს არა რევოლუციის განვითარებას, არამედ მის შესუსტებას, მაგრამ ნუთუ სატახტო ქალაქის პრესამ არ იცის, რომ ეს აზრები ქართველ სოციალ-დემოკრატებს რუსეთის სოციალ-დემოკრატებისაგან აქვთ შესწავლილი და ნაკარნახევი? მაშ რა შუაშია აქ სოციალ-დემოკრატ დეპუტატების ქართველობა და კავკასიელობა? რატომ ცდილობენ შინაგანი კავშირი აღმოაჩინონ რამიშვილის კავკასიურ, აღმოსავლურ გარეგნობასა და იმის სოციალ-დემოკრატიულ აზრებს შორის?. .”

«შრომის” აზრით ქართველი დეპუტატების პოზიცია, სახელი გაეტეხათ რუსეთის სათათბიროსათვის, როგორც ბურჟუაზიული დაწესებულებისათვის, იმავდროულად ექციათ იგი რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრად, იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული. ორი შეუთავსებელი და ორჭოფული პოზოცია, რაც ზოგადად ახასიათებდა რუს სოციალ-დემოკრატებს. სწორხაზოვნება და პრინციპულობა მისთვის მიუღებელი იყო.

«შრომამ” დიდი ადგილი დაუთმო ასევე სათათბიროს დათხოვნას. მისი ორთვიანი მოღვაწეობა გაზეთის რედაქციას მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა. სათათბირომ დაუფარავად ამხილა ხელისუფლება მის ანტიხალხურ პოლიტიკაში და უნდობლობა გამოუცხადა სამინისტროს. სათათბირომ ერთხმად დაადგინა სიკვდილით სასჯელის გაუქმება, სისხლისღვრის და რეაქციის შეჩერება, მაგრამ სამინისტრომ არ გაითვალისწინა ეს, მან არა თუ აკრძალა, არამედ გაზარდა სიკვდილით დასჯის პროცესი. სათათბირო გამოვიდა მოთმინებიდან და მიმართა ხალხს, სადაც ამხილა ხელისუფლება, ის ვინც არ აძლევდა გლეხობას მიწას და თავისუფლებას. ბიუროკრატიამაც არ დააყოვნა და თამამი სათათბირო თამამად დახურა ერთი დაპირებით: შვიდი თვის შემდეგ ახალ სათათბიროს მოვიწვევთო.

«შრომა” ხსნიდა სათათბიროსა და მთავრობის ურთიერთობას. თვლიდა, რომ კანონზომიერი იყო მთავრობის მიერ ძალადობის გზაზე დადგომა. «ეხლანდელ

მთავრობას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, – წერდა «შრომა”, იგი ვერ დაემორჩილებოდა ხალხის წარმომადგენლობას, რადგან ეს საკუთარი საფლავის გათხრა იქნებოდა და აშკარად, ურცხვად დააგდა ძალმომრეობის, სისხლისღვრისა და სახრჩობელის პოლიტიკას . . . გაზეთი იმედს გამოთქვამდა, რომ ხალხი თავად გამოასწორებდა შექმნილ მდგომარეობას, გაუსწორდებოდა მოძალადეებს.[17]

გაზეთის პუბლიკაციები დაუნდობლად აკრიტიკებდა თვით ალიხანოვის პიროვნებას, მის მოქმედებას დასავლეთ საქართველოში «მეფობას” უწოდებდა. არ იშურებდა მისთვის სალანძღავ სიტყვებს და თვლიდა, რომ ხალხი მის მიერ უდანაშაულოდ დაისაჯა. შორაპნის მაზრაში მის ნამოქმედარს გაზეთი «შრომა” ასე აღწერად: «ალიხანოვმა ქუთაისში მეფობის დროს ყვირილაში გაძარცვული ხაზინის შესავსებად 201 ათასი მანეთი დაადო ხარკად შორაპნის მაზრის მცხოვრებთ, რომელთაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღოდათ, რომ პოლიციისა და დარაჯების მაგივრობა ვერ გასწიეს და ვერ შეიპყრეს ხაზინის გამძარცველნი. ისიც კარგად მოგეხსენებათ, თუ რა შეუბრალებლობა და სისასტიკე გამოიჩინა გულქვა მბრძანებელმა ხარკის აკრეფის დროს: რამდენ ოჯახს გამოაცალა ხელიდან მარჩენალი ხარი, ძროხა, ცხენი და სხვა . . . ხალხი ამდენ ხანს თავზარდაცემული იყო და ითმენდა, მაგრამ როდესაც ეს ჯალათი გადაიყვანეს შემდეგ დაფიქრდა მისი მოქმედების კანონიერ საფუძველზეო. შორაპნის მაზრის საზოგადოებას განზრახული აქვს ხარკად დადებული და გადახდილი ფული უკან მოსთხოვოს მთავრობას, რადგან ალიხანოვის უკანონო მოქმედებას ქუთაისის გუბერნიის მაშინდელი მმართველი – იაზიკოვიც ადასტურებდა. ინფორმაციის ავტორი თხოვდა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებს – მხარი დაეჭირა შორაპნის მაზრის საზოგადოებისათვის, რათა საჩივარი წარედგინათ სახელმწიფო სათათბიროში ალიხანოვის უკანონო მოქმედების გამო”.[18]

სადამსჯელო ოპერაციების ასახვასა და მისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებასთან ერთად, «შრომა” არ ივიწყებდა კავკასიური ხელისუფლების უსამართლო დამოკიდებულებას შავრაზმელთა ღონისძიებებისადმი, ნაციონალური და აგრარული საკითხის გამო ხალხის გამოსვლის წინააღმდეგ. გაზეთი დაწვრილებით აღწერდა მთელს საქართველოში მიმდინარე აგრარულ გაფიცვებს

და ამბობდა, რომ ამ პროცესს ვეღარავინ შეაჩერებდა. იფიცებოდნენ კახეთის საუფლისწულო მამულების გლეხები, ქვეყნდებოდა საგლეხო ბანკის საქმიანობის ანგარიშები, მიწის ფასები და ა.შ. გაზეთს აინტერესებდა მიწების მოხმარებისა და ქართველი გლეხების მიერ მისი შესყიდვის შესაძლებლობის საკითხი, აქვეყნებდა მის სახელმწიფო ფასს, მემამულის, მომრიგებელი შუამავლის, მყიდველის ფასებს. აღნიშნავდა, რომ ფასების სხვადასხვაობა აზარალებდა საქმეს. კერძოდ, შექმნილ მდგომარეობას მიწების ყიდვა-გაყიდვის საქმეში, «შრომა" ასე აფასებდა: «ასეთი რყევა ფასების საქმეს ართულებს და აძნელებს. ამას წინათ ერთმა თავადიშვილმა ბანკს სამი მამული შეაძლია ბორჩალოსა, დუშეთისა და გორის მაზრებში იმ ფასად, რასაც თვითონ გლეხები და ბანკი დააფასებენ. გორის და დუშეთისა მაზრაში ამ მამულების ყიდვა არ მოხერხდა, ბორჩალოს მაზრაში კი საქმე ადვილად გათავდა, რადგან თათრებმა მაშინვე განაცხადეს მამულის ყიდვის სურვილი, ქართველებმა კი უარი სთქვეს, სულერთია, მამული ისედაც ჩვენ დაგვრჩებაო. გურიაში, სუფსას მახლობლად 6-7 მამული იყიდებოდა, მაგრამ გლეხებმა გადაჭრილი უარი შემოუთვალეს ბანკს, მიწა ისედაც ჩვენია და ტყუილად რად დავხარჯოთ ფულიო".

«შრომის" ეს ინფორმაცია კარგად ასახავს მიწათმფლობელობაში შექმნილ რთულ სიტუაციას. ქართული მიწების გაყიდვის ორგანიზაციას ვერ ახერხებდა საამისოდ შექმნილი ამიერკავკასიის საგლეხო ბანკი, რადგან მას ორი თანამშრომელი ჰყავდა, რომელთაც ადგილზე შეეძლოთ მამულების ნახვა და შეფასება. ბანკი ხშირად უარს ამბობდა მიწის ყიდვაზე სიძვირის გამო. ამ სიძვირეს არ უფრთხოდნენ საქართველოში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენლები, ქართველები კი ხან უფულობის, ხანაც რევოლუციის იმედით, რომ იგი უფასოდ დაუკანონებდა მიწას, თავს იკავებდნენ მიწების შეძენაზე.[19]

«შრომის" მომეტებულ სოციალისტურ ხასიათს მისი თავადაზნაურობისადმი დამოკიდებულება განსზღვრავდა. სოციალიზმისადმი ერთგულებას გაზეთი არც მალავდა. გაზეთი იხსენებდა რუსეთის თავადაზნაურობის წერილს იმპერატორისადმი – სადაც ეს საზოგადოება თხოვდა იმპერიის პირველ პირს, არ დათანხმებოდა

სახელმწიფო სათათბიროს და არ დაემტკიცებინა მის მიერ წარმოდგენილი აგრარული კანონპროექტი, «რადგან იგი პირველი ნაბიჯია სოციალიზმისკენ”-ო.

«შრომა” ქართველ თავადაზნაურთა კრების მიერ გაგზავნილ «პროგრესიულ დეპეშას” სათათბიროსადმი არ მიიჩნევდა გულწრფელად, რადგან თავადაზნაურთა კლასი საქართველოში დროებით, რევოლუციის დასაწყისში მიემხრო დემოკრატიულ იდეებს, შემდეგ კი როდესაც დაინახა რა მასშტაბით დაიწყო სოციალური უკმაყოფილება მაღალი წოდების პირებისადმი, როგორი დაჟინებით ითხოვდნენ აჯანყებულები თავადაზნაურთა მიწათმფლობელობის გაუქმებას და გლეხთა სრულ თავისუფლებას, ისინი ჩამოშორდნენ რევოლუციასო. – ასეთი იყო გაზეთ «შრომის” შეხედულება.[20]

საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ხდებოდა რუსული პრესის თემაც. «შრომას” აინტერესებდა რუსეთში გამომავალი ის დემოკრატიული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ობიექტურად აღწერდნენ რუსეთის I რევოლუციის შედეგებს, ქართველი ხალხის დასჯას, მათ ისტორიას იხსენებდნენ და რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს მიმართ ჩადენილ ბოროტებაში ადანაშაულებდნენ. ერთ-ერთი ასეთი გაზეთი იყო «ნაროდნი ვესტნიკ”, რომელმაც რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა «საქართველოს აოხრების” თემას. «საქართველოს, რომელიც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს ავტონომიის საფუძველზე, – წერდა რუსული გაზეთი, – სძარცვავდნენ, ჩაგრავდნენ, ამცირებდნენ ისე, როგორც შეუძლიან ძარცვა, ჩაგვრა და დამცირება მხოლოდ რუსის ჩინოვნიკებს. ქართველების დედა-ენა განდევნილი იქნა არა მარტო სასკოლო და სამოსამართლო დაწესებულებე-ბიდან, არამედ ეკლესიიდანაც კი, ქართველ გლეხებს ხელიდან აცლიდნენ სამშობლო მიწებს, რომ მიეცათ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის. გადასახადებს და ხარჯებს საზღვარი არ ჰქონდა. აუტანელი დევნისგან საქართველოში დაიწყო იგივე მოძრაობა, რაც მთელს რუსეთში და იქ გაგზავნილ იქნენ დამამშიდებელნი – ალიხანოვი, ტიმოფეევი, ბაუერი და სხვები ნაკლებად ცნობილნი, მაგრამ არა ნაკლები მოძალადენი”.

გაზეთი აღწერდა ჩვენში დატრიალებულ უბედურებას, როგორ ხვრეტდნენ უდანაშაულო და უიარაღო ხალხს, ხმლებით როგორ ჩეხავდნენ პატარა გიმნაზიელ

ბავშვებს, წვავდნენ სოფლებსა და ბაზრებს, აუპატიურებდნენ ქალებს . . . «რა პასუხი უნდა მივცეთ თავისუფლებამოყვარე და მამაცი ხალხის გოდებას, – დასძენდა რუსული გაზეთი", – მაგრამ ეს მსოფლიოში გამორჩეულ ქვეყანაში რუსეთში ხდება, სადაც საკუთარ ხალხს ასევე უსულგულოდ ექცევიან სხვა ერებთან ერთადო. თუ შიდა რუსეთში ეს არ ჩანს, იმიტომ, რომ ის დიდია და მთავრობასაც ძალა არ ჰყოფნის, პატარა საქართველოსავით ისიც სრულიად დააქციოსო. გაზეთი მოუწოდებდა რუსეთის ერებს შეკავშირებისა და თვითმპყრობელური ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.[21] გაზეთს მტკიცედ სწამდა, რომ ხალხის დასჯა სრულიად უშედეგო იყო, რადგან მხოლოდ რეჟიმის მოსპობა უშველიდა შექმნილ მდგომარეობას, იმ რეჟიმისა, რომლის მავნე შინაარსი რევოლუციამ გახადა საცნაური.[22]

როგორც ცნობილია, პირველმა სახელმწიფო სათათბირომ ხელისუფლების მოლოდინი არ გაამართლა. საკანონმდებლო ორგანომ, რომელსაც სრული უფლებები შეკვეცილი ჰქონდა მონარქიული ინსტიტუტის და მისგან დაარსებული სახელმწიფო საბჭოს მიერ, ვერ შეძლო ხელი შეეშალა თავისუფალი აზრებისათვის. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული საპარლამენტო კამპანია იმდენად ძლიერი იყო, რომ ხელისუფლებამ შეაჩერა მისი მოქმედება. გაზეთი «შრომა" თავის ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდავდა სათათბიროს მუშაობის მიმდინარეობას, გამომსვლელთა სიტყვებსა და რეპლიკებს. «შრომის" პუბლიცისტი მალაქია ბოლქვაძე სათათბიროს კულუარებში მომხდარ ამბებსაც კი გადმოსცემდა და საინტერესო საკითხავ მასალად აქცევდა ამ ინფორმაციებს. მის ერთ-ერთ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ეპისკოპოსი კირიონი, რუს ეპისკოპოს ანტონინთან ერთად პირველი იყო, ვინც ამგვარ შეკრებას დაესწრო.[23] მალაქია ბოლქვაძე აღწერდა კულუარებში წაკითხული დეპეშების შესახებ გამოხატულ დეპუტატთა რეაქციასაც. იმას, რომ დეპეშებს ზოგჯერ გლეხები ისეთ ყოფით საკითხებზე გზავნიდნენ, როგორიც იყო: ქათმებს მიკლავს მეზობელი, ცოლთან მინდა გაყრა და ა. შ., რაც ღიმილს იწვევდა, მაგრამ პუბლიცისტის აზრით, მთავარი აქ ის იყო, რომ გლეხს ადგილობრივი სასამართლოს იმედი არ ჰქონდა და ყველაფერში სათათბიროს დახმარების იმედზე იყო.

მალაქია ბოლქვაძე აღწერდა ასევე ხარკოვის გლეხთა დეპუტატ – ნაზარენკოსთან შეხვედრას. «კულუარებში დავსეირნობდი ვლადიმერ სტაროსელს-კისთან ერთად, – წერდა მალაქია ბოლქვაძე, – რომელიც იგონებდა ძველს, ჩვენი ქვეყნისათვის მწარს და შემაძრწუნებელ ამბებს, ამ დროს თვალი მოვკარი ნაზარენკოს და შევაჩერე. მიზეზი გახლდათ ის, რომ წინა დღეს მითხრეს, ნაზარენკომ ქართული იცისო". «ჰო, ქართული ვიცი, რასაკვირველია, საქართველოში 18 წელი ვცხოვრობდი"-ო, უთქვამს უკრაინელ დეპუტატს. ქართველი პუბლიცისტი და ნაზარენკო წასულან სათათბიროს რესტორანში და იქ უსაუბრიათ, საიდანაც გარკვეულა მთელი მისი ბიოგრაფია: «მე კარგად ვიცნობ საქართველოს და ქართველებს, – უთქვამს ნაზარენკოს, – მიყვარს იგი, ვაფასებ და სიამოვნებით ვიგონებ. მე ვცხოვრობდი ახალციხეში, ბორჯომში, უკანასკნელ დროს კი ქუთაისის გუბერნიაში – სამტრედიაში, სერებრიაკოვის ხე-ტყის ქარხანაში. მშვენივრად შევეჩვიე ქართველებსო". . . ნაზარენკოს ქართველებში ცხოვრება და ქართველ გლეხებთან ურთიერთობა ჩაუთვლია დიდ გამოცდილებად, რაც დახმარებია ხარკოვში ჩასულს, შეხვედროდა იქაურ გლეხებს, აეხსნა თავისი შეხედულებები აგრარულ საკითხზე და მათაც მოწონებოდათ. საქართველოში ყველა პარტიის პროგრამას და ტაქტიკას ვადევნებდი თვალს და ის დამეხმარაო, – უთქვამს მალაქია ბოლქვაძისთვის. ნაზარენკოს ბოლქვაძე ახასიათებს ქართული გარეგნობის მქონედ, შავი თმა და წვერ-ულვაში, საოცრად ცოცხალი სახე აქვს, ქართულ ჩოხა-ახალუხში ნამდვილი ქართველი იქნება და მის იმერულ კილოსაც თუ გავითვალისწინებთ, სულ ჩვენებურად გამოიყურებაო.[24]

ნაზარენკოს საქართველოში მცხოვრებ რუსებზეც უსაუბრია, უარყოფითად დაუხასიათებია ისინი, რუსული პოლიტიკა გაუკრიტიკებია და უთქვამს: უმთავრესად მე იქ ყურადღებას ვაქცევდი იმ საკითხს, რომელსაც ეძახიან «ობრუსენიეს". იქაური რუსები მე არაფერს მიფარავდნენ როგორც რუსს და ამიტომ ვხედავდი იმას, რასაც ყველა ქართველი ვერ ხედავს. მართალი გითხრათ, რუსების პოლიტიკა საქართველოში საძაგელი რომ არის ეს ყველამ იცის, «ობრუსენიით" ვერაფერს გახდებიან, ეს დიდი ხანია უნდა სცოდნოდათ მაგ ბრმებს, აი მაგალითად, მე გარუსებით ვერავის გავარუსებდი იქ და ისევ მე თვითონ

გავქართველდი, როგორც მხედავთ, ცოტახანს რომ დავრჩენილიყავ, რუსულიც დამავიწყდებოდა, მგონი რაც შეეხება ზნე-ჩვეულებას, დიდად შევითვისე და ეხლაც ვემორჩილები შეთვისებულს . . .“ ასე აღწერდა მალაქია ბოლქვაძე ერთ საინტერესო შეხვედრას გარუსებულ თუ გაქართველებულ უკრაინელთან.

«შრომის” ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ქართველი ინტელიგენციის გამორჩეული წარმომადგენლები პუბლიკაციები, რომელთა შორის იყო იაკობ გოგებაშვილი. დიდი ქართველი მწერალი და განმანათლებელი ებრძოდა ბიუროკრატიზმს, რუსული კოლონიური პოლიტიკის სისასტიკეს, სახალხო განათლებაში არსებულ უხეშ დარღვევებს და ყოველთვის ეროვნულ პოზიციაზე იდგა. განსაკუთრებული გულისტკივილით გამოხატა მწერალმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ახალი წესდების შედგენის გამო. ეს ძველი საზოგადოების გახლეჩვა-დანაწევრებად და საქართველოსთვის საზიანოდ მიიჩნია. როდესაც ამ ეროვნულ დაწესებულებას მეტ მოქმედებას თხოვდნენ, იაკობ გოგებაშვილი ეთანხმებოდა, მაგრამ ხელისშემშლელ პირობებსაც ასახელებდა «შრომაში” გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში – «ახალი შემენა”. მან XX საუკუნის დადგომისთანავე უარი თქვა გამგეობის წევრობაზე, რაც იმით ახსნა, რომ საზოგადოებას მეტი მოქმედების უნარი უნდა ჰქონოდა და უფრო აქტიურად უნდა ეღვაწა. მის ადგილზე ახალგაზრდა, ენერგიული კაცის არჩევის სურვილი გამოთქვა რაც არ მოხდა და ძველებურად ნაკლებად საინტერესო იყო მისი მუშაობა. ამაში ხელს რუსული ადმინისტრაცია და მისი კავკასიური განყოფილება უშლიდა, რომლის სურვილს, მისი თქმით ძალაუნებურად ასრულებდა საზოგადოების გამგეობა. გოგებაშვილი წერდა: «მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ვთხოულობდით სრულს თვითმმართველობას კავკავის სკოლისათვის და ყველა სხვა გამგეობის სკოლებისათვის და ეს ჩვენი აზრი კი არ იქნა შეწყნარებული გამგეობისაგან. მეორე მიზეზი ჩვენის გამოსვლისა გამგეობიდან გახლდათ ის, რომ იმედი გვქონდა ჩემს ადგილას ამოირჩევდნენ უფრო ნაკლები ხნის ქართველს, რომელმაც იქნება ჩემზე მეტი მხნეობა გამოიჩინოს მეთქი. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ აცხადდა. ახალმა გამგეობამ წინანდელზე მეტი მხნეომა ვერ გამოიჩინა, უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში კი თითქმის სრულიად შესწყვიტა თავისი

მოქმედება.” ი. გოგებაშვილი ამ უმოქმედობას ასაბუთებდა პლევეს (ვიაჩესლავ პლევე, – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრია 1902-1904 წლებში) დროს ყველა ერის, მათ შორის პოლონელების, სომხების და სხვებისათვის წიგნის გამომცემელ საზოგადოებათა დაკეტვას, სხვა ღონისძიებებს, რამაც იმოქმედა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაზეც და ისიც «შიშს მიეცა” და მიიყუჟა.”[25]

განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას გოგებაშვილმა მდგომარეობიდან გამოსავალი უწოდა და აღნიშნა, რომ ეს გამოცოცხლება საზოგადოებასა და მის გამგეობას გააქტიურებდა ქართველი ერის საკეთილდღეოდ. ამიტომ წუხდა ახალ პოლიტიკაზე, წერა-კითხვის საზოგადოებაში გახლეჩვაზე, მისგან პედაგოგების ჩამოშორებასა და მშობლების ამარა მის დატოვებაზე. საზოგადოებას ის მიიჩნევდა ერის განმანათლებლად, მის სულიერ გადამრჩენად. «წერა-კითხვის საზოგადოებამ თავისის სადგური გახადა უძვირფასეს გონებრივ სალაროდ, – წერდა მწერალი, მან ერთად მოუყარა თავი ყველა საუკუნის მწერლობას და დააარსა მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა. ამისთანა საზოგადოება განა ღირსი არ არის ყოველის თანაგრძნობისა და დახმარებისა? ჩვენ კი მას მეტოქეობას ვუმზადებთ და ძირს ვუთხრით. ცოდო არ არის ესა? . . . თუ აწინდელი გამგეობა უმოქმედობით და დაუდევრობით არის შეპყრობილი, მოვითხოვოთ მხნეობა, მოქმედება, სიფხიზლე და ნაყოფიერება. და თუ წადილს ვერ შეგვისრულებს დავცვალოთ მისის წევრები და მათ ადგილს ამოვირჩიოთ მხნენი, ფხიზელნი და ბეჯითნი ქართველნი. გავაუკეთესოდ, გავაფართოვოდ თვით წესდება საზოგადოებისა, თუ ამას საჭიროდ დავინახავთ. ახალი საზოგადოების დაარსება კი იმის გამო, რომ ძველი საზოგადოების გამგეობა უზრუნველობას იჩენს, რა ჭკუაში მოსასვლელია!”

მწერალი საზოგადოებას გამოსავალს სთავაზობდა. მისი აზრით ეს იქნებოდა დაარსება – «საშუალო და მაღალი სწავლის აღორძინების საზოგადოებისა საქართველოში”. ეს საზოგადოება იქნებოდა საყოველთაო, მოემსახურებოდა ყველა წოდებას, მისი განყოფილება იმუშავებდა დასავლეთ საქართველოში. ახალი ორგანიზაცია იზრუნებდა განათლების დონეზე, გაჭირვებულ მოსწავლეთათვის შემწეობაზე, იშუამდგომლებდა მთავრობის წინაშე, რომ სახელმწიფო პანსიონებისა

და სტიპენდიების რიცხვი ქართველი ერის რაოდენობასთან შეთანხმებულიყო. კერძო პანსიონებს დააარსებდა, ხელს შეუწყობდა ქართველი ენის სწავლების განმტკიცებას, და სახელმძღვანელოების გადმოთარგმნას ქართულ ენაზე და ა. შ. «აი, ამისთანა საზოგადოება იქნება ნამდვილი შეძენა და საუკეთესო წამალი აღნიშნული ნაკლის წინააღმდეგო", ასკვნიდა დიდი ქართველი პედაგოგი. მისი აზრით ამ ორგანიზაციაში საშუალო სასწავლებლების პედაგოგ-მასწავლებლები და მშობლები გაერთიანდებოდნენ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში კი სახალხო სკოლების მასწავლებლები. მშობლები და საზოგადოება ეს ორი დაწესებულება იღვაწებდა ერთი საერთო მიზნისათვის – ქართველი ერის განათლების დონის ამაღლებისათვის, მათ ერთმანეთთან არ ექნებოდათ არაფერი სადავო და საქმეც მოიგებდა.[26]

იაკობ გოგებაშვილი მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქართული სკოლის ბედ-იღბალით არ იყო დაინტერესებული, მისი გულისტკივილი ეხებოდა ყველა ქართულ საქმეს, ჩვენი ქვეყნისათვის საჭირბოროტო ყველა საკითხს. ერთი ასეთი საკითხთაგანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი იყო. მწერალი მთელ ერს მოუწოდებდა საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლისაკენ, ქართული ეკლესიისთვის ისეთივე უფლებების მიცემისაკენ, რაც უკვე ჰქონდა რუსულ, სომხურ და რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხთა ეკლესიებს. თუ არადა, ის ყველაზე უკიდურესი ფორმით – მართლმადიდებლობისათვის ზურგის შექცევის პროტესტით ურჩევდა ერს უკმაყოფილების გამოხატვას რუსეთის თვითმპყრობელური ბიუროკრატიული აპარატის მიმართ. მწერლის ამგვარი რადიკალური განცხადება გამოიწვია უთუოდ იმ ფაქტმა, სომხეთის ეკლესიამ, რომელსაც ავტოკეფალია ჰქონდა, თავისუფალი არჩევნები გამოაცხადა ყველა საეკლესიო თანამდებობაზე, რაც ამ დროის საქართველოსთვის სრულიად მიუღწეველი ჩანდა, რადგან მას საკუთარი კათალიკოსიც კი არ ჰყავდა, მხოლოდ რუსეთიდან მოვლენილი რუსი ეროვნების ეგზარქოსები განაგებდნენ ქართული სამოციქულო ეკლესიის ბედს.

«შრომა" ხშირად იხილავდა ეროვნებათაშორის ურთიერთობას საქართველოში, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ-სომხური ურთიერთობის ასახვა

მასში. გაზეთი წერდა, რომ სომხური პრესის მოწინავე ნაწილი გამოდიოდა თბილისში, მაგრამ სამწუხაროდ ქართველთა შორის სრული ინფორმაცია იმ საკითხებზე, რაც სომხურ პრესაში ქვეყნდებოდა არ იყო. «შრომა" თვლიდა, რომ ამ პრესის უმეტესი ნაწილი «დაშნაკცუტიუნის" პარტიის იდეოლოგიას ემსახურებოდა, მიმართული იყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და საჭირო იყო უფრო მეტად გაცნობოდა მოწინავე ქართული საზოგადოება ამ პუბლიკაციებს.[27]

1906 წლის ზაფხულში «შრომამ" გამოაქვეყნა თარგმანი სომხების მიერ ვენაში გამოცემული ბროშურის – «დროა თვალი გავახილოთ"[28]. ბროშურის ავტორი იყო ვინმე ბრავეკანი, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ განაწყობდა მკითხველს, აკრიტი-კებდა დიდ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, ავრცელებდა კავკასიაში სომეხთა წარმმართველი როლის ცნობილ იდეას, რაც დაშნაკელთა პარტიული პროგრამის პრიორიტეტი იყო. სომხური ბროშურა სომხური ბურჟუაზიის «პროტოტიპად" ფრანგულ ბურჟუაზიას მიიჩნევდა, რაც კიდევ უფრო ირონიული იყო, «მშაკ"-ის იდეოლოგს არწრუნს რომელიც თითქოსდა კავკასიელ ერთა თანასწორობას ქადაგებდა, მაღლა აყენებდა ილია ჭავჭავაძეზე და თვლიდა, რომ კავკასიაში პროგრესს აფერხებდნენ ქართველი და თათარი თავადაზნაურობის იდეოლოგები." «მაშინ, როდესაც სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგი წარმომადგენელი არწრუნი თავის გაზეთ «მშაკ"-ში ხმამაღლა გაიძახოდა კავკასიის ერთა თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის შესახებ, – ეწერა ბროშურაში – პოროქით, ქართველებისა და თათრების თავადაზნაურობის იდეოლოგიურ წარმომადგენლებს, ჭავჭავაძეებსა და აღაევებს, გაგონებაც კი არ სურდათ ამის შესახებ და ერთპირად გაჰყვიროდნენ და ჰქუხდნენ, სომხებმა გამოსტაცეს ხელიდან ქართველებსა და თათრებს მათი სამშობლო. სომეხთა ძმობისა და თანასწორობის ქადაგებას თათრები და ქართველები უპასუხებდნენ უშვერის სიძულვილით სომეხთადმი და ეს ძალინ ადვილი გასაგებიც არის. მართლაც სომხის ბურჟუაზიამ, ისე როგორც მისმა პროტოტიპმა ფრანგულმა ბურჟუაზიამ ააჟღერა თანასწორობისა და ძმობის სიმები არა იმიტომ, რომ იგი გამიჯნურებული იყო ჭეშმარიტ თანასწორობისა და

ძმობისათვის, არამედ იმიტომ, რომ მხოლოდ ერთადერთი თანასწორობა და ძმობა თავადაზნაურების პრივილეგიების მოსპობა და მისი უფლებების გათანასწორება ბურჟუაზიის უფლებებთან, საბოლოოდ დასცემდა მეხს ფეოდალურ წეს-წყობილებას და გზას გაუხსნიდა ბურჟუაზიის დაუბრკოლებლად განცხრომას.

ბროშურის ავტორის აზრით, ქართველებს არ ჰყავდათ ბურჟუები და მათი ცხოვრების წარმმართველი თავადაზნაურობა იყო რეაქციული, გონებრივი მოძრაობის არასწორად წარმმართველი. ვინაიდან სომხური იდეოლოგია დღესაც არაა ძალზე წინ წასული ქართველი ერის საუკეთესო შვილთა კრიტიკისაგან. საინტერესო იქნება მოვიტანოთ ბროშურიდან ადგილები: «ქართველთა თავადაზნაურობა თავისი იდეოლოგების – ჭავჭავაძეებისა და წერეთლების საშუალებით, გაზეთის ფურცლებზე და სხვა ასპარეზზეც გაცხარებულ კრივს მართავდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, განსაკუთრებით სომხის ბურჟუაზიისა. და რადგან გაბატონებული კლასები თავის მისწრაფებებს ყოველთვის ნაციონალურ ხასიათს აძლევენ, ქართველმა თავადაზნაურობამაც თავისი წოდებრივი მუშტი-კრივი სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ მონათლა ქართველების მხრით სომხების ეროვნულ მეტოქეობათ. მთელის ქართველის ერის გასაგონად ისინი აცხადებდნენ, რომ მჩაგვრელი სომხები გაბატონდნენ მთელ საქართველოზე, რომ სომხებმა დააძინეს მთელი ქართველი ერი, შემეცნება მოკლებულს ქართველთა მასას არ შეეძლო შეენიშნა, რომ ეს მუშტის კრივი წოდებრივია და არა ეროვნული, რომ თავადაზნაურობა არა თუ ქართველი ერის შესახებ ზრუნავს, არამედ თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, რომ ის ნამდვილად აცდუნებს და ატყუებს ხალხს”.

თურმე ქართველი ხალხის იდეოლოგებს, ჩვენს სახელოვან ინტელიგენტებს სომხურის «კლასობრივი ინტერესები” უნდა დაენახათ მათ ტერიტორიულ პრეტენზიებში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაყალბებაში სომეხი ერის სასარგებლოდ, თურმე «ქვათა ღაღადი” დიდმა ილიამ შემთხვევით ან შეცდომით დაწერა. სომხურ ბურჟუაზიას უნდა მისცემოდა პრივილეგიები საქართველოში, რომ ქვეყანა პროგრესულად განვითარებულიყო. ეს «რეგრესული” და «ჩამორჩენილი” ჭავჭავაძე – წერეთლები კი ღიმილით დათანხმდებოდნენ სომეხთა ყველა იმ პრეტენზიას, რითაც სავსეა XX საუკუნის დასაწყისი ისტორია. მათ მიერ

შედგენილი რუკები თითქოს და «კლასობრივი" პრეტენზია იყო მხოლოდ დაჩაგრული სომეხი ხალხისაგან დახატულ-შედგენილი.

სინამდვილის არსი კარგად იცოდა «მშაკ"-მაც და სომხურმა დიასპორამაც, მთელ მსოფლიოში რომ იყო გაბნეული და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან რომ იბრძოდა ე. წ. დიდი სომხეთის აღსადგენად კავკასიაში. ეს აქაურ ხალხთა ხარჯზე უნდა მომხდარიყო, ამიტომ წინასწარ ადანაშაულებდნენ მათ, ჩამორჩენილობასა და უკულტურობას უკიჟინებდნენ ეს «ფრანგული ბურჟუაზიის პროტოტიპები". მთელი ეს ბროშურა, რომელიც გაგრძელებებით დაბეჭდა «შრომამ", ძალზე საინტერესოა ანტიქართული აზროვნების გამოსავლენად, მათი ყალბი იდეოლოგიის შესასწავლად. არწრუნი დიდ პროგრესისტად, ძველის დამანგრეველ და ახლის მაშენებელ პიროვნებად ჰყავს შერაცხული სომეხ იდეოლოგს, ილია ჭავჭავაძეს კი ჩამორჩენილს დრომოჭმული საზოგადოების დამცველს უწოდებს. ეს იდეოლოგია ახლოს დგას არა მარტო ქართულ-სომხური ურთიერთობის გამამწვავებელ სომეხი ავტორების შეხედულებებთან, არამედ იმ ქართველ სოციალისტ იდეოლოგებთანაც რომელთაც ამ სომხური ბროშურის გამოსვლიდან ცოტა ხანში (ბროშურა 1906 წელს გამოვიდა) მოკლეს დიდი მწერალი, მანამდე კი დაუნდობლად აკრიტიკეს იგი, თავადობისა და მემამულური კლასის დაცვის გამო.

სომეხი ავტორი მართალია ცოტა აკრიტიკებს კიდეც «დაშნაკცუტიუნს", მაგრამ ეს ნადვილად მოჩვენებითია, რადგან მიაჩნია, რომ ამ პარტიის წევრები გმირები და თავდადებულნი არიან სომეხი ხალხისათვის, ფრიად ამაღლებულნი და დიდსულოვანი პირები. მაგრამ რა ქნას თუ ხედავს ორ რუსს – რეაქციულს, შავრაზმულს და წითელს და «დაშნაკცუტიუნიც" ორი ჰგონია: ერთი ბურჟუაზიული ფუფუნების მოტრფიალე-ექსპლოატატორების, მეორე კი სომეხი გმირების. მერე რა, თუ ხანდახან პატარა სიმართლეც წამოცდება ქართველ ხალხზე, მართალია ჩვენი ბურჟუაზია შეძლებულიცაა და ძლიერიც, მაგრამ ქართველი ხალხის განვითარების დონეს ჩვენი ხალხის დონე ვერ შეედრებაო. ეს პატარ-პატარა სიმართლეები არ უშლის ხელს, მოუწოდოს მსოფლიოს სომხებს – სომხების გაერთიანებისა და მათი ინტერესების დასაცავად, მათ შორის საქართველოშიც.[29]

გაზეთი «შრომა" როგორც, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხის მდგომარეობას, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებსა და ამ სფეროში არსებულ პრობლემებს, აგრარულ საკითხებს. გაზეთი თვლიდა, რომ დემაგოგიური აზროვნემა ამ საკითხში, რაც სოციალ-დემოკრატთა ბოლშევიკურ ფრთას ჰქონდა, ვერ გამოდგებოდა. «მიწის ნაციონალიზაცია ე. ი. მთელი მიწის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებად იმ აზრით, რომ შემდეგ ხალხმა სახელმწიფოსგან აიღოს ხოლმე მიწები იჯარით დასამუშავებლად – წერდა გაზეთი «შრომა", – ახალი აგრარული პროგრამა არ არის. ნაციონალიზაციის წინააღმდეგ მრავალი საბუთი აქვთ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური აზროვნების მიმდევრებს, მაგრამ ყველაზე მარტივი, ყველაზე უბრალო არგუმენტი ის არის, რომ მიწის ნაციონალიზაცია გააძლიერებს თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და მაშასადამე გააძნელებს შრომის ინტერესების დამცველთა ბრძოლას ბურჟუაზიასთანო".

«შრომა" ეხებოდა სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) გაზეთი «ელვის" მსჯელობას აგრარულ საკითხებზე და იწუნებდა მას. წერდა, რომ «ელვის" პუბლიცისტები ნაციონალიზაციასაც უარყოფდნენ, ხან მის მუნიციპალიზაციასაც ემხრობოდნენ, ხანაც ამ პოლიტიკასაც აკრიტიკებდნენ, რასაც «შრომა" ამ პოლიტიკური ჯგუფის არათანმიმდევრულ მსჯელობად მიიჩნევდა აგრარული საკითხის შესახებ. მიწის სოციალიზაციის, ნაციონალიზაციის და მუნიციპალიზაციის წინააღმდეგ გამოსული ქართველი ბოლშევიკები იზიარებდნენ გლეხების მიერ მიწის მისაკუთრებისა და დაყოფის პრინციპს, რაც «შრომას" არა თუ არ მოსწონდა, რაიმე განსაზღვრულ აგრარულ პროგრამადაც არ მიაჩნდა. ის თვლიდა, რომ პოლიტიკოსთა ეს ჯგუფი იყო ჩრდილოელ მეგობართა – ლენინის, მარტოვის, მასლოვის, პლეხანოვისა და სხვათა გავლენის შედეგი, თუმცა «შრომას" მიაჩნდა, რომ ეს პიროვნებები ერთმანეთისაგან არჩევდნენ პროგრამასა და დემაგოგიას, განსხვავებით მათი ქართველი კოლეგებისაგან. «შრომის" აგრარული პროგრამა სოციალისტურ საფუძვლებს ეყრდნობოდა და მიმართული იყო მემამულურ-თავადაზნაურული მიწისმფლობელობის წინააღმდეგ.

საქართველოში შექმნილ აგრარულ ვითარებას აღწერდა «შრომის" პუბლიცისტის – ილია ნაკაშიძის წერილები. ილია ნაკაშიძე გლეხთა დაბალი სოციალური მდგომარეობის, მათი სიღატაკის მიზეზად მცირემიწიანობას მიიჩნევდა. უკანონობას ხედავდა მემამულურ მიწათმფლობელობაში, რადგან მისი აზრით მესაკუთრეს უნდა შეძლებოდა საკუთარი მიწის დამუშავება, სხვაგვარად ეს საკუთრება უკანონო იყო. ერთ-ერთ ვრცელ წერილში – «მიწის საკუთრების შესახებ", ის ქართველ მემამულეთა საკუთრებას არაკანონიერად, მათი ცხოვრების წესს მიუღებლად და ბოროტებადაც კი თვლიდა, დარწმუნებული იყო, რომ ეს კლასი სახელმწიფოს ხელშეწყობითა და სურვილით მოქმედებდა. პუბლიცისტი რწმენას გამოქვამდა, რომ მშრომელი ხალხის ბრძოლა ბოლოს მოუღებდა ამგვარ უთანასწორობას.[30]

ილია ნაკაშიძეს მოჰქონდა მიწათსარგებლობისა და მიწისმფლობელობის მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იგი ასკვნიდა, რომ «მიწის საკუთრება არა თუ საჭირო არაა მიწის რიგიანად სარგებლობისათვის, არამედ პირიქით, წინააღმდეგიც არის, იგი აბრკოლებს მიწით რიგიანად სარგებლობას."[31] ილია ნაკაშიძე იგივე აზრს იმეორებდა პუბლიკაციაში – «ჩვენი გურია". გასხვავებით სხვა წერილებისაგან, აქ პუბლიცისტი მემამულეთა კლასის საშინელ მდგომარეობასაც ეხება. იმას, რომ ისინი ვალების გამო მიწას აგირავებდნენ ბანკში, ყიდდნენ საუკუთესო მამულებს და ა. შ. თუმცა ამ გაჭირვების მიზეზად ისევ თავადაზნაურობას თვლიდა, მათ დებდა ბრალს, მის მიერ ნაანდერძევი ქონების განიავებას, «მუქთად მოპოვებული მიწის საკუთრების" გამო შრომას გადაჩვევას საყვედურობდა, ცოდვის მოსანანიებლად შრომასა და გარჯას ურჩევდა მათ. «გვიჯობს სავსებით შევიგნოთ ჩვენი უდიდესი ცოდვა ხალხის წინაშე, – მოუწოდებდა იგი ქართველ თავადებს, – ხმა გავიკმინდოთ და ამ ცოდვის მოსანანიებლად საჩქაროდ მოვკიდოთ თოხს, ბარს, ნიჩაბს, კალამს, ყოველნაირ სასარგებლო საქმეს ხელი და დავუთმოთ გლეხკაცობას მიწა იმ ფასად, რამდენსაც გვაძლევენ, რადგან სინდისის ქვეშ რომ ვთქვათ, არავითარი სიმართლე არ მიგვიძღვის, რომ მეტი მოვითხოვოთ".[32]

ამგვარი შეხედულება ახლოს იდგა ბოლშევიკთა სოციალურ პროგრამასთან, მათ რევოლუციურ მოწოდებებთან, რასაც შემდეგში უარყოფითი შედეგები უნდა მოეტანა ქართველი ხალხისათვის. ეს კარგად იცოდნენ სოციალისტ-ფედერალისტების საუკეთესო წარმომადგენლებმა და სოციალური ფენებისა და კლასების ინტერესთა შერიგებას ქადგებდნენ და აგრძელებდნენ ქართველი ეროვნულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ შემუშავებულ იდეოლოგიას. ასეთი იყო არჩილ ჯორჯაძის შეხედულებები მიწისა და აგრარული საკითხის შესახებ.

აგრარული საკითხი გახდა ძირითადად I სახელმწიფო სათათბიროს სადავო თემა. «შრომა" თვლიდა, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მთავარი ძალა პროლეტარიატი ვერ იქნებოდა. გამარჯვებას დაჩაგრული კლასები მაშინ მიაღწევდნენ, თუ გლეხობა უფრო მეტად ჩაებმებოდა ბრძოლაში. აანალიზებდა რა სათათბიროში დასმულ მიწის საკითხს, გლეხთა კლასის რევოლუციურ ინტერესებს ასე აყალიბებდა გაზეთი: «პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ნაწილი რუსეთის მცხოვრებლებისა, რა თქმა უნდა, მსხვილ მემამულეებსა და მსუქან ბურჟუების გარდა, სრულიად შეგნებულად სწერს თავის დროშაზე ორ სიტყვას: «თავისუფლება და მიწა". პოლიტიკურად შეგნებული ნაწილი გლეხებისა იმავე სიტყვებს აღმერთებს, მხოლოდ ჯერ «მიწას" ითხოვს და შემდეგ «თავისუფლებას". თვითშეგნებას სრულიად მოკლებული გლეხები მარტო «მიწას" ითხოვენ, მათ თავისუფლება არც კი აინტერესებთ, სახელმწიფო სათათბირომ ისეთი მიმართულება უნდა მისცეს თავის მოქმედებას, რომ მთელმა გლეხობამ პოლიტიკურად შეგნებულ რუსეთთან ერთად მოითხოვოს: «თავისუფლება და მიწა".

გაზეთი პოლიტიკური თავისუფლების პირობებში თვლიდა შესაძლებლად მიწის საკითხის გადაჭრას. ამისთვის კადეტებზე უნდა გაემარჯვათ მემარცხენე ძალებს და ხელში ჩაეგდოთ ოპოზიციის მეთაურობა სათათბიროში.[33] «შრომა" დაწვრილებით განიხილავდა სათათბიროში აგრარულ საკითხებზე გამოთქმულ მოსაზრებებს და მას საკუთარ თვალსაზრისს უმატებდა. მისი აზრით, «ახალგაზრდა რუსები", მთავრობას რომ არ შეეშალა ხელი, ადვილად მოაგვარებდა აგრარულ პრობლემას. ამის დასტურად თვლიდა საპარლამენტო ჯგუფის აგრარულ

კანონპროექტს. «რამდენი სიცოცხლე და შემოქმედებითი ნიჭია ამ პროექტში, – წერდა «შრომა", – რამდენი გაბედულება და მტკიცე რწმენაა რუსეთის ბრწყინვალე მომავლისა. მას არ აშინებს ჩვეულებრივი ფრაზები, რომელსაც დღემდის დაჟინებით გაიძახიან: ევროპაშიც კი არ არის ესაო. ევროპაში არ არის, მაგრამ ჩვენში უნდა იყოს, ჩვენ ვაჩვენებთ მაგალითს ევროპასაო".

ყველაზე საინტერესოდ გაზეთს ის მიაჩნდა კანონპროექტში, რომ მთელი მიწა, მისი წიაღით და წყლებით გამოცხადებული იყო რუსეთის ყველა ხალხის საკუთრებად, უქმდებოდა კერძო საკუთრება მიწაზე, როგორც კერძო პირთა, ასევე კერძო ოჯახებისა, ის, რომ რუსეთში იმარჯვებდა მიწის ნაციონალიზაციის საკითხი. მართალია საპარლამენტო ჯგუფი, ვინც ეს კანონ-პროექტი შეადგინა, არ იყო მთელი პარლამენტი, მაგრამ ისინი ხომ უამრავი ადამიანის არჩეული იყვნენ, რუსეთის 3/4 – ის მიერ გაგზავნილნი სახელმწიფო სათათბიროში. «შრომა" მიესალმებოდა, რომ მიწის ნაციონალიზაციას მათთვის არასასურველი პარტია – კადეტებიც კი უჭერდნენ მხარს, ოღონდ მის განხორციელებაში ჰქონდა განსხვავებული შეხედულება.

გაზეთს განსაკუთრებით სათათბიროს შრომის ფრაქციის დამოკიდებულება მოსწონდა აგრარული საკითხისადმი. ის, რომ ეს ფრაქცია მთლიანად აღიარებდა საყოველთაო თანასწორობას მიწით სარგებლობაში. «ტრუდოვიკთა" კანონი მიწის იჯარით გაცემასაც კი კრძალავდა. «შრომას" სწამდა, რომ მთელი გლეხობა დაუჭერდა მხარს მიწის ნაციონალიზაციას და ეს გააუმჯობესებდა ქვეყნის საქმეს.[34]

«შრომა" ყურადღებას ამახვილებდა სკოლების რეორგანიზაციის საჭიროებაზე, ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების მუშაობაზე. თვლიდა, რომ ახალი რეფორმა საშუალებას მისცემდა სკოლას მიეღო ავტონომია, თვითვე შეედგინა სასწავლო გეგმები და პროგრამები, პედაგოგიური საბჭო ყოფილიყო დამოუკიდებელი. ამით ის გაცილებით მეტ ეროვნულ ძალას შეიძენდა, მეტ საგანმანათლებლო მისიას შეასრულებდა, ვიდრე მანამდე ასრულებდა.[35]

«შრომაში" დაბეჭდილ წერილებში პუბლიცისტი ლუარსაბ ბოცვაძე ეხებოდა ჟურნალ «ნაკადულს" და თანამედროვე საბავშვო მწერლობას. «ნაკადულის" ღირსებად პუბლიცისტი თვლიდა მის კარგ დასურათებას, ბეჭდვის ხარისხს,

ქაღალდს, სამეცნიერო და მხატვრული მასალის სიმრავლეს, საუკეთესო მწერლების თავმოყრას ჟურნალის ირგვლივ. ბოცვაძის აზრით, ჟურნალის წარმატებად ჩაითვლებოდა ისიც, რომ იგი ორ ნაწილად იყოფოდა: მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის განკუთვნილ ლიტერატურას წარმოადგენდა. ამასთანავე ღირდა ხუთი მანეთი, რაც იაფი იყო თუმცა ვერ ფარავდა გასავლის ხარჯს და დიდ შეღავათს წარმოადგენდა ჟურნალით დაინტერესებული ახალგაზრდა თაობისათვის. ლუარსაბ ბოცვაძე არც «ნაკადულის" ნაკლს ფარავდა: ჟურნალში დაბეჭდილ სამეცნიერო ხასიათის ბევრ წერილს ბავშვისათვის გაუგებარ და მიუწვდომელ მასალად თვლიდა. მიაჩნდა, რომ საბავშვო გამოცემა მხოლოდ ბავშვისათვის გასაგები საინტერესო ბელეტრისტული ნაწარმოებების მომწოდებელი უნდა ყოფილიყო.[36]

ლუარსაბ ბოცვაძის შეფასება ნინო ნაკაშიძის მიერ დაარსებული და გამორჩეულად საინტერესო ჟურნალის მიმართ იყო ობიექტური. მასში ქებაც და კრიტიკული შენიშვნაც თანაბრად გულწრფელი, საქმიანი და საბავშვო ლიტერატურის ბედისადმი ინტერესით იყო ნაკარნახევი. აღწერდა რა თბილისის ქართული გიმნაზიის, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიისა და საქართველოს სხვა სასწავლებლებში შექმნილ მდგომარეობას, გაზეთი «შრომა" ვრცელ პუბლიკაციებს აქვეყნებდა მათ შესახებ. ასახელებდა სასწავლო პროცესსა და ხალხის განათლებაში არსებულ ხარვეზებს. იმ მიზეზებს რომელთა აღმოფხვრა აუცილებელი იყო მდგომარეობის გამოსასწორებლად და სახალხო განათლების ასამაღლებლად.

«შრომამ" განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ქართული გიმნაზიის ინსპექ-ტორის, გამოჩენილი პედაგოგისა და სოციალისტ-ფედერალისტ შიო ჩიტაძის მკვლელობას 1906 წლის 4 ივლისს. გაზეთი ამ გამოჩენილი პიროვნების ნეკროლოგში გამოთქვამდა დიდ გულისტკივილს ამ ფაქტის გამო და ჩიტაძის მკვლელობას აუნაზღაურებელ დანაკლისად მიიჩნევდა.[37] გაზეთი დეტალურად აღწერდა ჩიტაძის მკვლელობას. დაჭრილი პედაგოგების – ხარლამპი ღლონტისა და იუსტინე აბულაძის მდგომარეობას, სხვა მასწავლებლების შეპყრობას. გაზეთი ამ ვანდალურ აქტს იმ რეაქციას აბრალებდა, რასაც მთავრობა არა თუ ალაგმავდა,

არამედ ხშირად ახალისებდა კიდეც. გაზეთი ამ თემას შემდეგ ნომრებშიც აგრძელებდა და ვანდალიზმად თვლიდა მკვდრის გაძარცვას, ასევე გიმნაზიის შენობის, ბიბლიოთეკის და კაბინეტების დარბევას, გაძარცვა-განადგურებას.[38]

«შრომის" ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა ქართული მეცნიერებისა და ზოგადად, სამეცნიერო მიღწევების გაცნობა თავისი მკითხველებისათვის. ამ დროს თბილისში დიდი იყო ინტერესი ნიკო მარის მეცნიერული გამოკვლევებისადმი. ამიტომ როდესაც 1906 წლის 31 მაისს გამოჩენილმა მეცნიერმა წაიკითხა ლექცია თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოში, მას დიდძალი ხალხი დაესწრო. ეს მოვლენა «შრომამაც" აღბეჭდა. გაზეთის ინფორმაციით ლექციაზე დასწრების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ დარბაზი ვერ დაიტევდა, ამიტომ ხალხის ნაწილი უკან გაბრუნდა. ლექცია ანისის ისტორიას და იქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს ეხებოდა. მარს ჯერ ქალაქ ანისის ისტორიაზე უსაუბრია, შემდეგ ევროპელ მოგზაურთა თვალსაზრისები გაუცვნია მსმენელთათვის, იქვე აუხსნია სომხეთის მდგომარეობა ამ მოგზაურთა ანისში ყოფნის პერიოდში, შემდეგ შეჩერებულა ანისის ირგვლივ არსებულ ისტორიულ მასალებზე და სამეცნიერო გამოკვლევებზე. გამოუყენებია სინემატოგრაფი და ლექციის მსმენელთათვის უჩვენებია იქ აღმოჩენილი ნივთები. უსაუბრია ანისის მდგომარეობაზე თამარ მეფის დროს და საერთოდ ხოტბა შეუსხამს თამარის ეპოქისათვის.[39]

საინტერესოა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის და «შრომის" პუბლიკაციებში ასახული თვალსაზრისი. «შრომა" მიიჩნევდა, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა უბედურება იყო ქართველი ერისათვის. სინოდს დამორჩილებული ქართული ეკლესია დაცილდა ეროვნულ მისწრაფებებს და რუსიფიკაციის პოლიტიკის ბრმა იარაღი გახდა. ავტოკეფალიის მხარდამჭერების მოთხოვნებს, რომ ქართულ ეკლესიას დაბრუნებოდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის და სხვა საეკლესიო მღვდელმსახურების შესრულების უფლება, «შრომა" ეთანხმებოდა. «შრომა" ავტოკეფალიის მომხრე იყო, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის ჩარევას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ამას ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ქართველი მოაზროვნეები თვლიდნენ საჭიროდ. «შრომის" ჯგუფის

აზრით, ხალხს ეკლესიის გარეშეც შეეძლო წესიერად ეცხოვრა. «ჩვენ საეკლესიო საკითხი იმდენად გვაინტერესებს, – წერდა – შრომა, რამდენადაც ეკლესია სოციალური მოვლენაა. ეკლესიის სოციალური მნიშვნელობა კი იმ გავლენით შემოიფარგლება, რომელსაც ადამიანის გონება და ზნეობა განიცდის არსებულის წესწყობილების დამყარებით ღვთაებრივს ავტორიტეტზე. თანამედროვე სოციალური მონობა თავისუფლების სამოსშია გამოხვეული. ეხლანდელი ბატონები მხოლოდ იმიტომ ახერხებენ მონების დამორჩილებას, რომ თვით მონობას თავისუფლების ელფერს აძლევენ . . . ღვთაებრივი ავტორიტეტი უძლიერესი იარაღია ბატონების ხელში კრიტიკის ასალაგმავად და აკი სარგებლობენ კიდეც ისინი ამ იარაღით. სარწმუნოებრივი გრძნობა, ბუნებრივი ადამიანური გრძნობაა და აი სწორედ ამ ბუნებრივ ადამიანურ გრძნობაზე და ამ გრძნობით ჩაკირული მონობა უნდა გახდეს მტკიცე და მიუვალ ბურჯად ბატონობის გასაძლიერებლად. ჩვენთვის სულ ერთია, ესმით თუ არ ესმით ეს გაბატონებულს კლასებს, ორსავე შემთხვევაში მათს მოქმედებას ერთი და იგივე ნაყოფი აქვს, ეკლესიად გარდაქმნილი სარწმუნოებრივი გრძნობა – თავისუფალი რწმენის უარყოფაა . . .”

«შრომის” მიხედვით ეკლესიის ბატონობა უტოლდებოდა სოციალური ჩაგვრის სხვა ფორმებს, თავდასხნა ასეთი მონობისაგან ხალხს ისევე ჭირდებოდა, როგორც სხვა სახის მონობისაგან. «ვიდრე ხალხს ეკლესია მიაჩნია უმაღლეს სიმართლედ, შეუძლებელია აყვავდეს იმისი თვითმოქმედება, შეუძლებელია გაიფურჩქნოს იმისი ენერგია და საზოგადოებრივი ცხოვრების ნიჭი. ეკლესია თავისთავად, თავის ბუნებით ხალხის თვითმოქმედების უარმყოფელია”. ს

«შრომას” მიაჩნდა, რომ რუსეთის მიერ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ჩამორთმევა სასარგებლოც კი იყო ერთთავად, რადგან ამით საფუძველი მომზადდა «ხალხის გასათავისუფლებლად ეკლესიური მონობისაგან”. იზრდებოდა ხალხის თავისუფალი აზროვნება, რევოლუციური სულისკვეთება, რომლის გამოხატულებად «შრომა” 1905-1906 წლების ამბებს მიიჩნევდა. ეკლესიამ ხალხის თვალში დაჰკარგა ავტორიტეტი, მღვდელმსახურნი მუქთამჭამელებად გადაიქცნენ, – ამტკიცებდა «შრომა” და ქართველ სამღვდელოთა მისწრაფებას ავტოკეფალიის აღდგენისათვის ამ ფაქტს მიაწერდნენ. გამოსავალს გაზეთი იმაში

ხედავდა, რომ აღდგენილი ქართული ეკლესია უნდა გამოცალკევებულიყო სახელმწიფოსაგან, რასაც ავტოკეფალისტების არც სამღვდელო და არც ეროვნულ-დემოკრეტიული ნაწილი არ უშვებდა. ამ ადამიანებს «შრომა" ურჩევდა დაეჭირათ მათი პოზიცია, გაეთვალისწინებინათ, რომ მთელი საუკუნე ეჩვეოდა ქართველი ხალხი ეკლესიის გარეშე ცხოვრებას და ამაში ტრაგედია არ იყო. ეკლესიას თავისი ფუნქცია ჰქონდა და ის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად უნდა შეესრულებინა.[40]

რა თქმა უნდა, სოციალისტ-ფედერალისტებისა და მათი ორგანოს ეს თვალსაზრისი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის, მისი როლისა და ადგილის შესახებ ქართველი ხალხის ცხოვრებაში არ იყო ეროვნული პოზიციიდან სწორად გააზრებული. ქართული ეკლესია ოდითგანვე ასრულებდა განუსაზღვრელ როლს ერის სულიერი სიმტკიცის ჩამოყალიბების, ზნეობრივი აღზრდის, სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების საქმეში. მართლმადიდებლური სულიერებისა და ცნობიერების მქონე ერი კვლავ ამ გზით უნდა წასულიყო.

ეკლესიის საკითხზე «შრომა" ხშირად უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატიულ «ლამპარს". ორივე პარტია კარლ კაუცკის შეხედულებებს ეყრდნობოდა, რაც კაუცკის ამ დროს გამოსულ ბროშურაში «Классовые интересы" იყო ჩამოყალიბებული. თვით კაუცკის დემაგოგად მიიჩნევდა «შრომა" და ეკლესიის მიმართ არათანმიმდევრულ დამოკიდებულებაში დებდა ბრალს, იცავდა საკუთარ შეხედულებას – ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების აუცილებლობას.[41]

საქართველოს ავტონომიის შესახებ «შრომასა" და სოციალ-დემოკრატიულ «ლამპარს" შორის გაჩაღებულ დისკუსიაში ჩარეული იყო დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილიც. გაზეთ «შრომაში" მან გამოაქვეყნა წერილი, სადაც სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს სახელმწიფო სათათბიროში ავტონომიისადმი გულგრილობაში ადანაშაულებდა, მოჰქონდა საკუთარი ყურით გაგონილი ერთ-ერთი დეპუტატისაგან: «თუ სათათბიროში ვინმემ ჩვენთვის ავტონომია მოითხოვა, მე წამოვდგები და გამოვაცხადებ: იმ 300 000-მა კაცმა, რომელმაც მე გამომგზავნა აქ, დამავალა ხმამაღლა განვაცხადო, რომ მათ ავტონომია არ სურთ". «ლამპარი" ამ განცხადებისათვის პასუხს თხოვდა «შრომას" და მის პუბლიცისტს მ. ადამაშვილს, რომ დაესახელებინათ ამ სიტყვების ავტორი, თუ არა და «ლამპრის" რედაქციას

სრული უფლება ექნებოდა მატყუარა ეწოდებინა მათთვის. მიხეილ ჯავახიშვილი (ადამაშვილი) ასახელებდა დეპუტატობის კანდიდატს ქუთაისის გუბერნიიდან, ექიმ პ. დონდაროვს, რომელიც ვეღარ მოხვდა სათათბიროში. ჯავახიშვილი დაწვრილებით აღწერდა ექიმთან შეხვედრას და ავტონომიის ირგვლივ კამათს. მიიჩნევდა, რომ მისი უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიისადმი სამწუხაროდ, მთელი პარტიის შეხედულება იყო.[42] როდესაც «ლამპარმა" დაიცვა დონდაროვი და მიხეილ ჯავახიშვილი ამ განმარტებისთვის გააკრიტიკა, მწერალმა პასუხი გასცა პავლე მესხს, დაადასტურა თავისი ნათქვამი, მიიჩნია, რომ მთავარი სოციალ-დემოკრატთა საერთო დამოკიდებულება იყო ავტონომიისადმი, რაც თვით ამ კამათშიც დაადასტურეს «ლამპრის" პუბლიცისტებმა.[43]

ამრიგად, გაზეთი «შრომა", რომელიც ჟანდარმერიის მიერ დახურული «ცნობის ფურცლის" ნაცვლად გამოიცა, თამამად აგრძელებდა წინამორბედის მიერ არჩეულ გზას: დაუფარავად ამხელდა მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, რუსეთის დამსჯელი რაზმების მიერ უდანაშაულო ქართული მოსახლეობის აწიოკებას, მათ პოლიტიკურ დასჯას, ცარიზმის შავრაზმულ იდეოლოგიას და ქართული კულტურისა და განათლების წინააღმდეგ მის ბრძოლას. გაზეთი ქართველ ერს ოპტიმიზმით ასულდგმულებდა, მომავლის იმედით განაწყობდა, მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, ეროვნული იდეების განხორციელებისაკენ. მისი პუბლიცისტები: კიტა აბაშიძე, იაკობ გოგებაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ალექსანდრე ფრონელი, ილია ნაკაშიძე, მალაქია ბოლქვაძე და სხვები – იხილავდნენ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებს. ერს ათვითცნობიერებდნენ, რევოლუციის დამარცხების მიზეზებს ხსნიდნენ, ქართველი ხალხის მოლოდინის გაცრუებას მიაწერდნენ ბიუროკრატიულ აპარატსა და იმ ადამიანებს, რომელთაც რუსეთის საკანონმდებლო ორგანო თუ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთი ბიუროკრატიული ზრახვების განსახორციელებლად გამოიყენეს. არ დაიკავეს ხალხის მხარე, არ დაიცვეს მისი ინტერესები. სწორედ ამან განაპირობა ჟანდარმერიის მიერ «შრომის" დახურვა იმავე წელსვე. სოციალისტ-ფედერალისტი პუბლიცისტები ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ,

არც ცენზურას ემორჩილებოდნენ. მათ 1906 წელსვე გამოსცეს დახურული «შრომის'' ნაცვლად გაზეთი «მეგობარი'', რომლის რედაქტორი და გამომცემელი გრიგოლ რცხილაძე იყო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ «შრომის'' სოციალისტური იდეოლოგია იმთავითვე არ მოსწონდათ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების იმ მოაზროვნეებს, რომლებიც თავიანთი პარტიისა და პრესის უქონლობის გამო, სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში იყვნენ გაერთიანებულნი და «შრომაში'' იბეჭდებოდნენ.

თავი II

გაზეთი «მეგობარი”

1906 წელს დახურული სოციალისტ-ფედერალისტური «შრომის” ნაცვლად გამოვიდა გაზეთი «მეგობარი”, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო გრიგოლ რცხილაძე. გაზეთში «შრომის” თანამშრომლები და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სხვა წევრებიც მოღვაწეობდნენ. ესენი იყვნენ: ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), ზაქარია ედილი (ზაქარია ედილაშვილი), მალაქია ბოლქვაძე, ქართველი ოსებში (მღვდელი ბაკურაძე), ილია ნაკაშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი და სხვები.

გაზეთი 1907 წლის დასაწყისშივე დაიხურა მთავრობის განკარგულებით. გაზეთის პირველივე ნომერში გაცხადებული იყო მისი იდეური მიმართულება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზანდასახულობა. ახალი გაზეთის ჩვეულებაა თავისი «სარწმუნოება” აღიაროს, თავისი ვინაობა გააცნოს მკითხველს. ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ჩვეულება კანონიერი და მაინცდამაინც საჭირო იყოს, სერიოზული გაზეთი უამისოდაც მალე გამოარკვევს და ნათელყოფს თავის მიმართულებასა და მისწრაფებას, პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე გამოააშკარავებს, ვის და რას ემსახურება. მით უმეტეს ჩვენთვის, ჩვენი გაზეთისათვის, არის მეტი საზოგადოების წინაშე აღსარება, რადგან ქართველმა მკითხველმა კარგად იცის რას ემსახურებოდნენ «ცნობის ფურცელი” და «შრომა”, რომელთა მიმართულების გამომხატველობას და რომელთა მაგივრობას კისრულობს «მეგობარიც”.

ასე ნათლად დახატა გაზეთის პირველივე მოწინავემ თავისი მიზანდასახულობა და მკითხველიც ადვილად მიიმხრო. «ცნობის ფურცელი” და მისი გამგრძელებელი «შრომა” ეროვნული იდეოლოგიის გამომხატველი, ანტირუსული განწყობილებისა და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დამცველი გაზეთები იყო, რისთვისაც დახურა ისინი ცენზურამ. მათი პოზიციის მიმდევარი «მეგობარიც” მკითხველთა დიდ არმიას უსიტყვოდ იძენდა. იგივე მოწინავე იხსენებდა ლეგალური, ეროვნული პრესის ბედს წარსულში, როდესაც პლევესა და სიპიაგინის «მუხრუჭი ჰქონდა მოჭირებული ახალ აზრს”, როდესაც დემოკრატიულ

პრესას თვითმპყრობელური რეჟიმი არ აძლევდა გასაქანს. რედაქცია არ მალავდა, რომ იგი ეროვნული იდეალების ერთგულებასთან ერთად მიმდევარი იყო «სარევოლუციო სოციალიზმის", რისთვისაც დაარსდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიაც. პარტიისა და მისი გაზეთის იდეურ პლატფორმას «მეგობარი" ამგვარად ავითარებდა: «ამ მიმართულების იდეალია მშრომელი ხალხის პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლება, რისთვისაც ძირიანად უნდა შეცვალოს თანამედროვე სოციალური წეს-წყობილება, დამყარებული კერძო საკუთრებასა და კლასთა ბრძოლაზე. მიმართულება მტკიცედ დგას წმინდა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე და სწამს, რომ მშრომელთა კლასი გაანთავისუფლებს კაცობრიობას და დაამყარებს ნამდვილ თავისუფლებასა და თანასწორობას. მოსპობს თანამედროვე სოციალურ უსამართლობას, რომლის მონობის ქვეშ ადამიანი გაირყვნა და გამხეცდა. სწამს, რომ განთავისუფლება ბრძოლით მოხდება და შორსაც არ არის, რადგან დიად სოციალურ ცვლილებათათვის ობიექტური პირობებიც მომზადდა კულტურულ კაცობრიობაში და სუბიექტური თვითცნობიერებაც გაძლიერდა მაშვრალთა და ჩაგრულთა შორის"[1].

გაზეთი ბრძოლის საჭიროებას აუცილებლობად თვლიდა, თუმცა იქვე აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატებივით არ აზვიადებდა ამ საჭიროებას, არ ივიწყებდა რუსეთისა და მსოფლიოს თანამედროვე პირობებს, ნელ-ნელა მოვლენების მომწიფებასა და რეალური სიტუაციის შეცვლას ელოდებოდა. ის იდგა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და ჰქონდა საკუთარი ტაქტიკა.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სახელით გაზეთი აცხადებდა, რომ რუსეთის რევოლუცია არ იყო წინამორბედი საერთაშორისო სოციალური ბრძოლისა და იგი დასრულდებოდა მხოლოდ მოწინავე ბურჟუაზიული იდეების გამარჯვებით. ამ ბრძოლაში სოციალისტურ პარტიათა ჩარევას მდგომარეობით ნაკარნახევად თვლიდა და ჩვეულებრივ, დემოკრატიულ უფლებებთან ერთად ითხოვდა: რაც შეეხება ფართო საკანონმდებლო დაცვას მშრომელი ხალხისას ქალაქად თუ სოფლად, მიწის სოციალიზაციას და ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას რუსეთის სხვადასხვა ერებისათვის. გაზეთი თავადაც აღიარებდა, რომ ასეთი პროგრამა უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე

სოციალისტური, ცოტა აშორებდა კიდეც კლასობრივი ბრძოლის ნიადაგს და სოციალ-დემოკრატებთან აახლოებდა, მაგრამ ეს ყველაფერი რუსეთის თანამედროვე ისტორიული მომენტით იყო განპირობებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთი «მეგობარი" უთმობდა ავტონომიის საკითხს. ის განიხილავდა კოლონიზაციის პრობლემებს მთელს მსოფლიოში. დიდი ქვეყნების მიერ კოლონიებისათვის მიცემულ უფლებებს, ამ უკანასკნელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის და რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას უპირისპირებდა ინგლისის, ამერიკის, პორტუგალიის, საფრანგეთის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების კოლონიური ქვეყნების მმართველობის ფორმებს. გაზეთი აუცილებლად თვლიდა ფედერაციულ მოწყობას, რადგან დაპყრობილი ქვეყნებისგან შემდგარი დიდი სახელმწიფოები უამისოდ ვერ შეძლებდნენ სხვადასხვაგვარი ტიპის ქვეყნების სრულყოფილ მართვას. ასახელებდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მაგალითს, რომელიც გადადიოდა ფედერაციული მართვის პრინციპზე. მისი აზრით, ცენტრალიზაცია თვით ცენტრისთვის იყო სახიფათო, რადგან ცენტრიდან დიდძალ ინტელექტს გზავნიდა განაპირა მხარეთა სამართავად და ამით «მეტად სასარგებლო ელემენტს ართმევდა თავის თავს". იგი იმოწმებდა ქართველ მოაზროვნეს ზურაბ ავალიშვილს, მის წიგნს «Конституционное государство" და ამბობდა, რომ «საქმის მოგვარება შეუძლიან მხოლოდ ფართო თვითმმართველობას, რომელიც უნდა მიენიჭოს ცენტრსაც და განაპირა ქვეყნებსაც". სტატიაში დასახელებული იყო ფინეთის, ბალტიისპირეთის, პოლონეთის, ყირიმის მაგალითები – სადაც დიდი სახალხო მოძრაობა იყო გამართული პოლიტიკური თვითმმართველობისათვის. ხოლო ყირიმიდან ყოველწლიურად უამრავი ადამიანი გარბოდა ოსმალეთში, თურქესტანში, კასპიის იქითა მხარეში, გარუსების პოლიტიკას რომ გაჰქცეოდნენ.

გაზეთი აკეთებდა დასკვნას: «ის სახელმწიფოები, რომელნიც თავის შემადგენელ ერებს თვითგამორკვევის უფლებას აძლევდნენ, სწრაფად მიდიოდნენ წინ და კულტურულად იფურჩქნებოდნენ და ყვაოდნენ. ის სახელმწიფოები კი, რომელნიც ამ უფლებას არ აღიარებდნენ, იხრწნებოდნენ, იშლებოდნენ და სულიერად თავდაღმა ეშვებოდნენ . . . ზემოხსენებულ მოსაზრებათა გამო ყველა გონიერი და მოაზროვნე ადამიანი მომხრე უნდა იყოს განაპირა ქვეყნების

ავტონომიისა, რომელიც განამტკიცებს სახელმწიფოს მთლიანობას და მძლავრად წასწევს წინ მოქალაქეობრივ თავისუფლებას, კულტურას, სულიერ განვითარებას და ეკონომიურ კეთილდღეობას.”[2]

«მეგობარი” დაურიდებლად აკრიტიკებდა რუსეთის სინამდვილეს I რევოლუციის დამარცხების შემდეგ. რეაქციის გაძლიერებას ის არა შექმნილი ვითარების, არამედ თვითმპყრობელობის ზოგადი ბუნებით ხსნიდა. «თვითმპყრობელობის ასეთი პოლიტიკა ახალი არ არის და სტოლიპინის შემოქმედებით ნიჭს არ მიეწერება”, – ვკითხულობთ მასში, მეოთხმოცე წლებიდან დაწყებული ბიუროკრატია ვითომ რევოლუციის მოსასპობად ყოველ ოპოზიციონურ მოძრაობას ებრძვის და საერთო რეაქციას აძლიერებს. ამის მშვენიერ მაგალითს მეოთხმოცე წლების ისტორია გვაძლევს”. ოთხმოციანი წლების რეაქციას ადარებდა იგი სტოლიპინის რეჟიმს. აღწერდა რუსეთს, რომელიც სამხედრო ბანაკად იყო ქცეული, «თამამად მოქმედებდნენ შავრაზმული ორგანიზაციები, მოისპო სამოქალაქო გარანტიები და ბურთი და მოედანი დამხედრო-საველე სასამართლოებს დარჩათ”. შეუდგნენ ბიუროკრატიულ ლაბორატორიებში დახავსებული კანონ-პროექტების თხზვას. გაზეთი ასახელებდა გლეხთა შესახებ ახალ კანონ-პროექტს, მიიჩნევდა მას რევოლუციური გლეხობის დაშოშმინების ცდად, მის მოტყუებად. ძველი თვითმპყრობელობის აღდგენას ლამობდა ხელისუფლება, მაგრამ «მეგობრის” აზრით ეს აღარ გამოვიდოდა, რადგან მთავრობას უკან ცალკეული მეამბოხეები კი არ ედგა, არამედ მთელი ხალხი. გაზეთი საუბრობდა მომავალ სათათბიროზე, რომლის დამორჩილებასაც შეეცდებოდა ხელისუფლება, არც ხალხი დათმობდა და ბევრი მსხვერპლი შეიწირებოდა რევოლუციის იდეალების საბოლოოდ გამარჯვებისათვის.[3]

გაზეთს განსაკუთრებით აღაშფოთებდა ახალი საარჩევნო კანონი, რომლის მიღებასაც თხოვდნენ სტოლიპინს რუსეთის რეაქციული საზოგადოებები. სტოლიპინის დუმილს ის იმ დიპლომატიურ პოზას უწოდებდა, როდესაც მინისტრი დროს ელოდა, რათა ეთქვა: რა გვექნა, ასეთი იყო ჩვენი ხალხის სურვილიო. გაზეთი თვლიდა, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტს მთლიანად უკან წაიღებდა რუსეთის ბიუროკრატია. განსაკუთრებულ ჯავრს იყრიდა განაპირა

მხარეებზე, რადგან მათ აქტიურად დაუჭირეს მხარი სათათბიროში ხელისუფლების ოპოზიციას. ამ მხრითაც სტოლიპინის კურსი ძველი თვითმპყრობელობის კურსს ჰგავსს. «განაპირა ქვეყნების მშრალზე დატოვებას''-ო, – ამტკიცებდა «მეგობარი'' და მკითხველს არწმუნებდა, რომ მთავრობა ამით ბევრს ვერაფერს მოიგებდა. გაზეთი აკრიტიკებდა მენშიკოვს, რომელიც ამბობდა: «ინოროდეცს რუსეთი სძულსო'', ააშკარევებდა ამ სიძულვილის არსს, წერდა რომ რუსეთი კი არა, რუსული ბიუროკრატია სძულდა დაპყრობილ ხალხს და ამაში დიდი განსხვავება იყო. «ჩვენ კარგად გვესმის, რომ ძველი რეჟიმისაგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ რიგიანს, რომ მისთვის გასაჭირი არ იქნება ყოველგვარი უფლება წაგვართვას, ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენი ხსნა განმათავისუფლებელ მოძრაობაშია''.[4]

«მეგობარი'' ყველა მოწინავე სტატიაში ეხებოდა მთავრობაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ქვეყანაში გაშლილ საარჩევნო კამპანიას, რომელიც მეორე სახელმწიფო სათათბიროს გახსნისათვის (1907 წლის 20 თებერვალი) ამზადებდა ნიადაგს. გაზეთი ეჭვს გამოთქვამდა არჩევნების გამართვაზე. მისი აზრით შესაძლო იყო მთავრობას არც გაემართა არჩევნები, ანდა მოულოდნელად დაენიშნა იგი. ამიტომ იგი ოპოზიციას არჩევნებისათვის მომზადებას ურჩევდა. «რაც ადრე შეუდგებიან საოპოზიციო პარტიები მზადებას – წერდა «მეგობარი'', – მით უფრო ადვილად მოახერხებენ ერთმანეთთან შეთანხმებას შეერთებულის ძალ-ღონით სარეაქციო პარტიების დასამარცხებლად. როცა მმართველობის წინაშე არჩევნებისათვის გამზადებული ოპოზიცია აიმართება, შესაძლოა დამარცხების შიშით თვით არჩევნები გააუქმონ ან გადასდონ, მაგრამ ის შრომა, რომელიც ოპოზიციას დასჭირდება მოსამზადებლად, მაინც უქმად არ ჩაივლის და თუ არა არჩევნები სხვა რამ სახით მაინც აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს''.[5]

გაზეთმა დაბეჭდა სოციალისტ-ფედერალისტების საარჩევნო პლატფორმა და ის ამ სახით ჩამოაყალიბა: «ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, ვიღებთ მონაწილეობას მომავალ სათათბიროს არჩევნებში არა იმიტომ, რომ მომავალი სათათბირო მიგვაჩნდეს დამთავრებულ საკანონმდებლო დაწესებულებად, რომელიც ე.წ. ორგანიულს მუშაობას შეუდგა, არამედ იმიტომ, რომ სათათბიროც გამოვიყენოთ ბრძოლის იარაღად რევოლუციის მიზანთა მიღწევის საქმეში''. . .

«მიწა, მუშათა ფართო კანონმდებლობა და თავისუფლება”, – ეს იყო ძირითადი, რისი მიღწევაც პარტიას სურდა სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს საშუალებით. «ჩვენ ვიწვევთ ამომრჩეველთ, ხმა მისცენ ჩვენი პარტიის და იმ პარტიების კანდიდატებს, რომელთაც ჩვენ შევუთანხმდებით, რადგან ვიცით, რომ სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-ფედერალისტების და ჩვენი მოკავშირე პარტიების დეპუტატები მედგრად იბრძოლებენ დღევანდელი აუტანელი ცხოვრების პირობების შესაცვლელად და დაუბრკოლებლივ თავისუფალი განვითარებისათვის ახალი პირობების დასამყარებლად, რადგან ვიცით, რომ ისინი მოითხოვენ:

1. დაუყოვნებლივ გაუქმებას სამხედრო, საგანგებო და ყველა განსაკუთრებული წესებისა;
2. დაუყოვნებლივ გააუქმებას სამხედრო-საველე სასამართლოებისა;
3. სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებას;
4. სრულ ამნისტიას პატიმართა და გადასახლებულთათვის;
5. დაუყოვნებლივ გამოცხადებას პრესის, სიტყვის, კრების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლებისას;
6. დაწესებას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლებისას.

პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამდა ღრმა რწმენას, რომ ამ კანონთა გატარებით სახელმწიფო სათათბირო შეასრულებდა თავის მისიას, გაუადვილებდა ცხოვრებას ხალხს”.[6]

სოციალ-დემოკრატიულმა ტალღამ გააკრიტიკა ეს პლატფორმა და სოციალისტ-ფედერალისტებს ბურჟუაზიის პარტია უწოდა, რის გამოც გაზეთმა «მეგობარმა” ვრცელი წერილით უპასუხა «ტალღას”, დაიცვა თავისი იდეოლოგიური მრწამსი და საარჩევნო პლატფორმა. იდეურ კამათში ჩაერია მწერალი და ჟურნალისტი იაკობ ფანცხავა, რომელმაც გააკრიტიკა ივანე გომართელის სოციალ-დემოკრატიული აზროვნება და მკითხველისათვის საგანგებო სათაურიც შეარჩია: «ვინ აირჩია სოციალ-დემოკრატიამ სახელმწიფო სათათბიროს წევრად?[7] გაზეთი მას მსხვილი ბურჟუების ექიმად, ხალხის ინტერესების მოწინააღმდეგედ თვლიდა. აქვე

უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთის ასეთი იდეოლოგიური თეორიები, რა თქმა უნდა, არც მაშინ და არც დღეის გადასახედიდან არაა მართალი. თუ გინდ იმ ერთ შემთხვევაში: ივანე გომართელი იყო ბრწყინვალე ექიმი, ნამდვილი სახალხო მკურნალი, კარგი ქართველი კაცი, პატრიოტი ადამიანი. მარქსისტული აზროვნება, მართალია მის ნაკლად უნდა ჩავთვალოდ, მაგრამ ეს იდეოლოგია ხომ მაშინ ასე იყო გავრცელებული და ხალხის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული. სხვაგვარად მთელი მისი ბიოგრაფია და აზროვნება მთლიანად ხალხს ეკუთვნოდა.

იდეოლოგიურ ბრძოლასა და პარტიებს, კლასებსა და პიროვნებებს შორის დაპირისპირებას ბევრი საუკეთესო მამულიშვილი ეწირებოდა. 1906 წლის შემოდგომაზე მოკლეს ნიკო ხიზანიშვილი. მოსამართლე, მოაზროვნე, ცნობილი მოღვაწე, ილიას იდეების გამზიარებელი. იმავე ნომერ «მეგობარში', სადაც ამ ამბავზე იყო ინფორმაცია, ქვეყნდებოდა ასევე ია კარგარეთელის დაჭრის ამბავიც.

გაზეთი მომდევნო ნომრებშიც არჩევდა სათათბიროს არჩევნებში თავის პარტიულ ტაქტიკას. შეცდომად მიიჩნევდა და I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალისტ-ფედერალისტების მარცხს აბრალებდა ტაქტიკის უქონლობას. პარტიამ ჯერ ბოიკოტი გამოუცხადა მთავრობის მიერ ორგანიზებულ სათათბიროს არჩევნებს, შემდეგ კი არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მიიღო მასში მონაწილეობა. ამჟამად პარტია ცდილობდა მეორე სათათბიროს არჩევნებში სრული დატვირთვით გაეწია კამპანია და გაეყვანა თავისი წარმომადგენლები. ამასთან, ყველა დეპუტატს წინდაწინვე უნდა შეემუშავებინა სათათბიროში მუშაობის გეგმა, გაეანალიზებინა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება და დაესახა ისეთი მიზანი, რომლის ასრულებაც შესაძლებელი იქნებოდა აღებულ პოლიტიკურ სიტუაციაში. «მეგობარი'' მოაგონებდა მკითხველს, რომ რუსეთში რეაქცია კვლავ მძვინვარებდა, რომ ძალა კვლავ მის ხელში იყო. ამგვარ ვითარებაში ნადავლზე ფიქრი ზედმეტი იყო. საჭირო იყო რეაქციული თვითმპყრობელური ციხე-სიმაგრის შერჩევა. გაზეთი საჭიროდ თვლიდა სოციალისტ-ფედერალისტთა კავშირს სხვა სოციალისტურ პარტიებთან, ასევე მემარცხენებთან, იქნებოდნენ ისინი დემოკრატები თუ სოციალისტები. თვითმპყრობელური დემოკრატიის მოსპობა, პოლიტიკური ავტონომიის მინიჭება ერებისათვის – ეს უნდა ყოფილიყო მომავალ

დეპუტატთა მთავარი საზრუნავი. «ჩვენ მხოლოდ იმ პარტიებთან შეგვიძლიან შეერთება, – წერდა «მეგობარი'' – რომელთათვისაც საქართველოს თვითმმართველობა, სრულ დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული, შეადგენს პოლიტიკურ პროგრამის ქვა-კუთხედს. ასეთ პარტიებად კი უნდა ჩაითვალონ «ტფილისელი ქართული დემოკრატიული პარტია და ქუთაისელი კადეტები''. დემოკრატიული პარტია I სათათბიროს არჩევნებში სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად გამოდიოდა და მასთან ერთადვე დამარცხდა. ამ მარცხის მიზეზი იყო მათი პოლიტიკური პროგრამა – კერძოდ, ავტონომიის მოთხოვნა. გაზეთს საჭიროდ მიაჩნდა ქუთაისელ კადეტებთან კავშირიც, რადგან წინა სათათბიროში ზდანოვიჩის ნაცვლად ქუთაისიდან დონდაროვის გასვლა დეპუტატად სამარცხვინო ფაქტი იყო. «მეგობარი'' უარყოფდა სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატებთან კავშირს, რადგან ეს ორი პარტია იდეურად არა მარტო დასცილდა ერთმანეთს, არამედ ისეთი კამათი ჰქონდათ გაჩაღებული, რომ პირად შეურაცხყოფასაც იყენებდნენ ერთმანეთის მიმართ.[8]

გაზეთის სარედაქციო პოზიცია გამჟღავნდა შემდეგ ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში – «არჩევნები და ჩვენი ტაქტიკა''. ამ სტატიაში იმერელ ამომრჩეველს «მეგობრის'' რედაქციამ დაუწუნა სოციალ-დემოკრატებთან ალიანსის მიუღებლობა და აღნიშნა: «ჩვენ პირიქით გვგონია, რომ ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა სწორედ სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმებას თხოულობს ჩვენგან და ამასთან ეს მოთხოვნა, ჩვენის აზრით ისეთი ძლიერია, რომ ყველა ჩვენმა ამხანაგმა აუცილებლად უნდა დასძლიოს ის გულისტკივილი, რომელიც დაჰბადა სოციალ-დემოკრატებისაგან ჩვენის გავლენის გასაქარწყლებლად ხშირად ხმარებულმა ცილისწამებამ, ძალმომრეობამ და სხვა შეუწყნარებელმა საშუალებამ''.

ახლანდელი პოლიტიკური მომენტი «მეგობრის'' აზრით, ავალებდა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას, დამდგარიყო პარტიულ თავმოყვარეობაზე მაღლა და მომავალ სათათბიროში სოციალ-დემოკრატებთან ერთად ეღვაწა. რეაქციის დამარცხება შეიძლებოდა უკიდურესად მემარცხენე პარტიათა გართიანებით. იმერელი ამომრჩევლისაგან განსხვავებით, რეაქციას ძალავე უნდა დაპირისპირებოდა და არა იდეოლოგია. სიტყვით მას ვერავინ დააკლებდა რამეს,

ასეთი იქნებოდა ტაქტიკური პრინციპების ერთიანობაზე აგებული გაერთიანებული პარტიების ალიანსი. «დათანხმდებიან თუ არა სოციალ-დემოკრატები ჩვენთან საარჩევნო ხელშეკრულების დადებაზე – ეს სხვა საკითხია, ეს სოციალ-დემოკრატებმა უნდა გადაწყვიტონ და არა ჩვენ, – წერდა «მეგობარი", – მაგრამ ვისი მიზეზითაც დარჩება განუხორციელებელი ეს ხელშეკრულება, იმან ყოველ შემთხვევაში ეხლავე უნდა იცოდეს, რომ თავის თავზე მოუხდება მიიღოს პასუხისმგებლობა საოპოზიციო ძალების და მშრომელი ხალხის დანაწილებისათვის".[9]

გაზეთი არჩევნებამდე დაბეჭდილ წერილებში იმ საერთოს გამოჰყოფდა, რაც ამ ორ პარტიას ჰქონდა: ეს იყო მიწის სოციალიზაცია, თუმცა ამ საკითხშიც მათი აზრი სრულად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. იყო ასევე მეორე საკითხი – ავტონომია, რაც მიუღებლად მიაჩნდათ სოციალ-დემოკრატებს. რაც შეეხება იმერელ ამომრჩეველს, მან მის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს ვრცელი პასუხი გასცა და გამოჰყო სოციალ-დემოკრატიასთან კავშირი, რაც ყოველმხრივ შეუძლებლად ჩათვალა.[10]

წინააღმდეგობანი ორ სოციალისტურ პარტიას – სოციალ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის კარგად გამომჟღავნდა «მეგობარსა" და სოციალ-დემოკრატიულ «ტალღას" შორის გამართულ პოლემიკაში.[11]

არჩევნების ტაქტიკის შესახებ კამათში «მეგობარი" სხვადასხვა პოზიციას გამოხატავდა. «შოთას ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი უარყოფდა Cr-ს ფსევდონიმით დაწერილ სარედაქციო სტატიას იმერელი ამომრჩევლისადმი" და მხარს უჭერდა ამ უკანასკნელს, უარყოფდა ყოველნაირად სოციალ-დემოკრატებთან საარჩევნო ბლოკის შეკვრას. ამის ძირითად მიზეზად პუბლიცისტი მიიჩნევდა იმას, რომ სოციალ-დემოკრატთა სოციალიზმი არ იყო ნამდვილი, პირიქით დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმს. «ისინი დღესდღეობით აარსებენ კერძო საკუთრებას და არენდებს, – წერდა იგი, – არ არიან დაქირავებული მუშაობის მოწინააღმდეგენი და ამით არღვევენ იმ ცნების შინაარსს, რომლისკენაც ისინი მიისწრაფვიან. თუკი რომელიმე პარტია თავის თავს სოციალისტურ პარტიად ნათლავს, იგი უნდა ცდილობდეს გამომხატველი იყოს ამ სიტყვისა" – ო,

ამტკიცებდა პუბლიცისტი. იგი მხოლოდ ესერებთან დაკავშირებას უშვებდა და სოციალისტ-ფედერალისტებს მოუწოდებდა დამარცხება აერჩიათ არჩევნებში, ვიდრე სოციალ-დემოკრატებთან ერთად გამარჯვება, რადგან ეს იქნებოდა სამარცხვინო იდეური მარცხი.[12]

«რაჭველი ამომრჩეველი" იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში არც ერთ აზრს არ ეთანხმებოდა. არც სოციალ-დემოკრატებთან კავშირს და არც დემოკრატიულ პარტიასა და ქუთაისელ კადეტებთან. ამას პუბლიცისტი ასაბუთებდა და იმასაც ვარაუდობდა, რომ შესაძლო იყო არც II სახელმწიფო სათათბიროს მოეპოვებინა წარმატება, კიდეც რომ დაეწყო მას ნორმალური მუშაობა, ბევრს ვერაფერს მოიტანდა იმ ძირითადი იდეისთვის, რაც სოციალისტ-ფედერალისტებს ჰქონდათ მიზნად დასახული. ეს იყო მიწის ნაციონალიზაცია (სოციალისტებს მისი სოციალიზაცია სურდათ) და ავტონომია, რომელიც სრულიად მიუღებლად მიაჩნდათ მათ.

«რუსეთის ხალხთა ბედ-იღბალი თუ გადაწყდა, – წერდა რაჭველი ამომრჩეველი, – გადაწყდება პარლამენტის მოღვაწეობის პირველ ხანებში, როცა ძირითადი კანონების გადასინჯვა მოხდება და როცა პარლამენტში პროგრესული ელემენტები ბლომად იქნებიან. ხოლო თუ პირველ ხანებში ვერ ვისარგებლეთ (და ვერ ვისარგებლებთ კი, თუ პარლამენტში ცენტრალისტები გავგზანეთ), მერე მეორე არჩევნების დროს უფრო მემარჯვენე დეპუტატები გავლენ და დეცენტრალიზაციის საკითხი დიდის ხნით დაიმარხება".[13]

ცენტრალისტები იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ისინი თავდადებით იცავდნენ ცენტრალიზმის, რუსეთის განუყოფლობის იდეას. სოციალისტ-ფედერალისტური «მეგობარი" უარყოფდა პარტიის გაზვიადებულ შეფასებებს, მისი მნიშვნელობის და საზოგადოებრივი როლის გადამეტებულ შეფასებას. მისი აზრით პარტიებზე არანაკლები როლის შესრულება შეეძლოთ საზოგადოებრივ, უპარტიო დაწესებულებებს, პროფესიონალურ კავშირებს. ამიტომ გაზეთი დიდ როლს აკისრებდა ასეთი ორგანიზაცია-დაწესებულებათა დაარსების ინიციატივას.

«მეგობარი" აანალიზებდა რუსეთის ყველაზე ახალი და პროგრესული პარტიის კონსტიტუციურ-დემოკრატების პროგრამას და საქმიანობას, მიიჩნევდა,

რომ პირველად რუსეთის ისტორიაში, გამოჩენილ რუს შემოქმედ და მოღვაწე ადამიანთა თაოსნობით ჩამოყალიბდა პარტია, რომელსაც სურდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამარცხება, მისი მშვიდობიანი გზით გარდაქმნა და ჭეშმარიტად დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოს შექმნა. აღნიშნავდა მის მარცხს, რაც I სახელმწიფო სათათბიროს გარეკვას უკავშირდებოდა, გამოთქვამდა ეჭვს, რომ პარტიას არ ჰქონდა ღრმად გააზრებული პროგრამა, არ ითვალისწინებდა იმას, რომ ბიუროკრატია ნებაყოფლობით არსად არ თმობს მართვის სადავეებს, რომ მის წინაშე მარცხით კადეტებს დასკვნები უნდა გამოეტანათ და გარდაექმნათ თავიანთი მუშაობა. გაზეთი დაწვრილებით განიხილავდა კადეტების პარტიულ პროგრამას, აანალიზებდა მათ შეცდომებს და კომპრომისს ხელისუფლების წინაშე.[14]

გაზეთ «მეგობრის" იდეურ პოლემიკას წარმოაჩენს ანარქისტ მიხაკო წერეთლის პაექრობა სოციალ-დემოკრატიული გაზეთის – «ტალღის" კრიტიკოსისადმი. მ. წერეთელი – Baton-ის ფსევდონიმით იცავდა ანარქიულ იდეებს და აკრიტიკებდა მის მოწინააღმდეგეებს ისტორიულ-სამეცნიერო დოკუმენტებით.[15]

საინტერესოა ცნობილი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის ფელეტონი – «ბოლოს მაინც გამოტყდნენ!" მარქსისტული მოძღვრებისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაცია, რომელიც «მეგობარში" ორ ვრცელ ნაწილად დაიბეჭდა. პუბლიცისტი აკრიტიკებდა «კომუნისტური პარტიის მანიფესტს", გერმანელ სოციალისტებს და მათ მეთაურს კარლ კაუცკის, რომელიც იზიარებდა მარქსიზმს, მაგრამ ჩერქეზიშვილის აზრით ბევრი არაფერი ესმოდა მისი. მარქსსა და ენგელსზე მაღლა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვაში ის ფრანგ უტოპისტებს აყენებდა. წერდა ენგელსის ე. წ. «მეცნიერულ აღმოჩენებზე", რაც განმეორება იყო უკვე ნათქვამისა და აღმოჩენილისა. მაგ, – ზედმეტი ღირებულების თეორია, რაც ენგელსმა ანტი-დიურინგში წარმოადგინა. ჩერქეზიშვილის აზრით, მის დაბადებამდე ერთი წლით ადრე, 1819 წელს აღმოაჩინა ისმონდიმ, ხოლო 1824 წელს ვილიამ ტომსონმა დაამუშავა თავის შესანიშნავ შრომაშიო. შრომის თეორია ადამ სმიტს ეკუთვნის, ისტორიის ეკონომიკური ახსნა-განმარტება ეკუთვნოდა ბლანკს, ტიერს, იუმს, გიზოს, კორრელის და სხვებსო.

ასევე სხვებს ეკუთვნოდა კლასთა ბრძოლის, კაპიტალის კონცენტრაციის, მუშათა საპარლამენტო წარმომადგენლობის შექმნის თეორია, ინტერნაციონალის დაარსება მარქსის მიერ, დიალექტიკური მეთოდი, ინდუქტიური მეთოდი და ა.შ. დიდი ხნის წინ იყო მარქსამდე და ენგელსამდე სხვათა მიერ შემუშავებული და შექმნილიო.

ვარლამ ჩერქეზიშვილი დაწვრილებით აღნუსხავდა მარქს-ენგელსის ე.წ. ახალ აღმოჩენებს, ასახელებდა მათი წინამორბედების წვლილს ამ საკითხებში. ასაბუთებდა თავის თეორიას, რომელიც ამ ლიტერატურის შესწავლით შექმნა და XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, კერძოდ 1893 წლიდან ნაწილ-ნაწილ აქვეყნებდა. ვარლამ ჩერქეზიშვილის აზრით, მარქსსა და ენგელსს ახალი არ აღმოუჩენიათ, – «ქადაგება გლეხთა გაღატაკების შესახებ მხოლოდ კაცთ-მოძულეთა გონების ნაყოფი იყო, რომ არც ბუნებაში, არც ისტორიაში, არც ეკონომიკასა და ასეთი სისულელე არ მომხდარა”. ვარლამ ჩერქეზიშვილის წიგნი ითარგმნა 1896 წელს გერმანულ ენაზე გერმანელი ანარქისტის – პიერ რამუსის მიერ, რაც გააკრიტიკა სოციალისტმა კარლ კაუცკიმ 1906 წელს გაზეთ «დი ნოიე ცაიტ” – ში.

«კაუცკის წერილი საუკეთესო ნიმუშია სოციალ-დემოკრატიული სიბრძნისა და კეთილსინდისიერებისა – წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი, – რომელიც შექმნა და უანდერძა შთამომავლობას ენგელსმა”. კაუცკი აკრიტიკებდა ჩერქეზიშვილის მთავარ მოსაზრებას, რომ კომუნისტური პარტიის მანიფესტი გადაწერილი იყო კონსიდერანის მანიფესტიდან და მარქსს არც ერთი სიტყვა არ ჰქონდა თავისი ნააზრევიდან მასში ჩამატებული. კაუცკი აკრიტიკებდა მის მთარგმნელს, გერმანელ ანარქისტ – პიერ რამუსს და იტალიელ ანარქისტ – ლაბრიოლას, რომელმაც თავის ნაშრომში გაიზიარა ჩერქეზიშვილის შეხედულებები.

ქართველი ანარქისტი აკრიტიკებდა რა კაუცკისა და მისი დასაცავი – მარქს-ენგელსის შეხედულებებს, წერდა: «ახლა არ იკითხავთ, რა სუსტია კაუცკი «სამეცნიერო” სოციალიზმის «დიდებულ” აღმოჩენათა დაცვაში! . . კაუცკიმ კომუნისტური მანიფესტი დაბადებას შეადარა, ხოლო მარქსი და ენგელსი – ნიუტონს და კეპლერს. ეს რომ არ ვიცოდეთ ვიფიქრებდით, რომ კაუცკი დასცინის თავის მასწავლებლებსაო. კაუცკი ცდილობს დაარღვიოს ჩემი და ლაბრიოლას საბუთები იმის შესახებ, რომ ძირითადი აზრები მარქსის და ენგელსის

მანიფესტისა აღებულია ვ. კონსიდერანის მანიფესტიდან და ამბობს: «ეჭვს გარეშეა, ყველა ეს იდეები კონსიდერანის მანიფესტშიაც მოიპოვება”. მაშასადამე, მარქსსა და ენგელსს ეს იდეები არ აღმოუჩენიათ! . . – ასკვნიდა ჩერქეზიშვილი და გაკვირვებული იყო, რად ადარებდნენ მათ ნიუტონს და სხვა გენიალურ აღმომჩენებს, ეჭვიც შეჰქონდა იმაში, რომ იქნებ კაუცკი, ბებელი, პლეხანოვი და სხვა სოციალისტები იქნებ განგებ არ ამბობდნენ სიმართლეს, ან უვიცნი იყვნენ სოციალიზმში, რომლის შესახებ ასე რიხით წერდნენ და ლაპარაკობდნენ. ჩერქეზიშვილს არ აკმაყოფილებდა კაუცკის განსაზღვრება: მარქსი და ენგელსი იმიტომ არ არიან პლაგიატები, რომ არ უთქვამთ – სოციალიზმი კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან იწყებაო. ამას სულელები რომ ყოფილიყვნენ მაშინ იტყოდნენ, პლაგიატები კი მართლა არიანო, – ამტკიცებდა იგი.

«ლიტერატურაში პლაგიატს ეძახიან იმას, – წერდა ჩერქეზიშვილი, – როდესაც ვინმე გადაიწერს ან გადააკეთებს სხვის აზრს, გვერდს ან წიგნს დაბეჭდავს, თავის სახელს მოაწერს და ავტორს კი არ მოიხსენიებს. აი, სწორედ მარქსმა და ენგელსმა ასე გადაწერეს, გადააკეთს, ავტორის სახელის მოუხსენიებლად, 1848 წლის ვიქტორ კონსიდერანის მანიფესტი, ხოლო კერძოდ ენგელსმა 1844 წელს – ბიურეს წიგნი – «მუშათა კლასის სიღარიბეზე ინგლისსა და საფრანგეთში”.

ჩერქეზიშვილს სასაცილოდ მიაჩნდა ენგელსის განცხადება აღმოჩენათა შესახებ, ყველა პატიოსან მეცნიერს ხმის ამაღლებისა და მარქს-ენგელსის პლაგიატობის დაგმობისკენ მოუწოდებდა, ამბობდა, რომ პირველად ასეთი რამ განათლებულმა ადამიანებმა – ადლერმა და არტურ კაბრიოლამ გააკეთეს, საჯაროდ აღიარეს ფაქტი პლაგიატის შესახებო. თვით კაუცკიმაც ძალაუნებურად აღიარა ეს ფაქტიო. ვარლამ ჩერქეზიშვილის ეს წერილი საინტერესო თეორიული მასალაა. სოციალიზმისა და მარქსიზმის შესახებ გამოთქმული ბევრი შეხედულება რაც ამ წერილში შევიდა, დღესაც არ ჰკარგავს აქტუალობას და მეცნიერული პოლემიკისთვის საჭირო მნიშვნელობას.[16]

«მეგობარი” აკრიტიკებდა კავკასიის ახალი ნამესტნიკის – გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის საქმიანობას. წერდა, რომ მეფისნაცვალი ადრე რეფორმებს ჰპირდებოდა

ხალხს, რევოლუციის შემდეგ კი მიივიწყა ეს დაპირებაო. არც ერობა, არც ეროვნული სკოლა, აგრარული საკითხის გადაწყვეტა თუ სხვა, ხალხისთვის საჭირო ღონისძიება მას არ გაუტარებია. შემოქმედებითი მუშაობის ნაცვლად იგი «გამანადგურებელ მუშაობას" ეწევა ქართველი ხალხის მიმართო, – გულისტკივილით აუწყებდა მკითხველს გაზეთი. თუმცა ამ მოვლენას ის მარტო კავკასიის მეფისნაცვლის უგულობას არ აბრალებდა, მთავარ დამნაშავედ რუსეთის სახელმწიფოს ბიუროკრატიულ რეჟიმს თვლიდა.[17]

გაზეთი ფართოდ აშუქებდა 1905 წელს გაკეთებულ ვორონცოვის განცხადებას საერო თვითმმართველობის შემოღებაზე. 1907 წლიდან ერობების შემოღებაზე გაკეთებული განცხადება, ტყუილი გამოდგა ისევე, როგორც მთავრობის სხვა უამრავი დაპირება. ამის მიზეზად ხალხი თვლიდა რევოლუციისადმი ცარიზმის შიშს, მისი დამარცხების შემდეგ კი ამ შიშის გაფანტვას.[18]

«მეგობარი" განსაკუთრებულად აკრიტიკებდა საგლეხო კანონს და თვლიდა, რომ ის არ ასრულებდა მიზანდასახულობას, არ აფართოებდა გლეხთა უფლებებს. გაზეთი ჩამოთვლიდა იმ მუხლებს, რომლებიც აკანონებდა გლეხთა ახალ უფლებებს. ეს იყო: 1. გლეხის უფლება სოფლის ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშე შესულიყო სასწავლებელში, სახელმწიფო სამსახურში თუ სამღვდელოე-ბაში, თუკი სურვილი ექნებოდა; 2. გლეხს შეეძლო ერთი სოფლის საზოგადოებიდან ამოწერილიყო და მეორეში ჩაწერილიყო, მაგრამ გაზეთის აზრით, ეს უფლება არასრული იყო, რადგან ამ შემთხვევაში გლეხს წინასწარ უნდა გაეყიდა ან უარი ეთქვა თავის კუთვნილ მიწასა და ქონებაზე; არასრული იყო კანონი იმისაც, რომ გლეხს არ შეეძლო საერთოდ ამოწერა სასოფლო საზოგადოებიდან, ერთიდან ამოწერა და მეორეში ჩაწერა კი ნამდვილი თავისუფლება გლეხისათვის ვერ იქნებოდა; 3. გლეხი იძენდა თავისუფალი მომისვლის და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებას; 4. უქმდებოდა გლეხთა საურთიერთო პასუხისმგებლობა ხარჯების გასტუმრებაში და გლეხს პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა; 5. იძენდნენ უფლებას, დაქვემდებარებოდნენ დანაშაულობათა შესახებ მხოლოდ საზოგადო კანონს, სოფლის სასამართლო მას დანაშაულად ვეღარ ჩაუთვლიდა იმას, რაც საზოგადო კანონით არ ითვლებოდა დანაშაულად. ეს

უფლებაც არ იყო სრული, რადგან გლეხის სასჯელი კანონში სხვა წოდების ხალხის სასჯელთან გათანაბრებული არ იყო; 6. გლეხი იძენდა თავისუფალ საოჯახო გაყრის უფლებას.

გაზეთი აკრიტიკებდა იმას, რომ რუსეთის ქვეშევრდომთა უფლებრივი მდგომარეობა დაფუძნებული იყო წოდებრიობაზე, ახალი საგლეხო კანონი კი არ აუქმებდა ამას, არამედ მაღალ წოდებათა უფლებებს ზრდიდა, გლეხს არ აძლევდა საშუალებას – გამოსულიყო თავისი წოდებიდან და თავადაზნაურთა უფლებებს აკანონებდა. წოდებრიობაზე დამყარებულ რეჟიმს გაზეთი საშიშად და არასაიმედოდ თვლიდა, რადგან კანონმდებლობა ვერ შეაჩერებდა ხალხის ბუნებრივ ევოლუციას, რასაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს ცხოვრებაში და თავისთავად ხდებოდა წოდებათა დაშლა, გლეხის გადასვლა სხვა წოდებრივ კატეგორიაში, თუ პირიქით. «მეგობარი" ამ კანონს «უფლებათა შემზღუდავს" უწოდებდა და სამოქალაქო თანასწორობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს.[19]

«მეგობრის" პუბლიკაციებით ჩანს, რომ მთავრობის აგრარული პოლიტიკა მიმართული იყო მოსახლეობაში 1900-იან წლებში ფეხმოკიდებულ სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, ებრძოდა კერძო მესაკუთრეობის გაძლიერებას გლეხთა შორის, წოდებრიობის შერიგებას კერძო მესაკუთრედ გადაქცეულ გლეხობასთან. მთავრობა ამ პოლიტიკით ცდილობდა ბურჟუაზიული წეს-წყობილების განმტკიცებას სოფლად. სოციალისტ-ფედერალისტული გაზეთი მთავრობის ამ პოლიტიკას, სოციალისტური იდეების წინააღმდეგ მიმართულ მის აგრარულ კანონ-პროექტებს აკრიტიკებდა და ხალხის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევდა. მისი აზრით, მთავრობასა და არასოციალისტურ პარტიებს სურდათ «გლეხობის მოჭკვიანება", მისთვის მიწაზე კერძო საკუთრების დამყარების გადათქმევინება, რათა მსხვილ მემამულეებს არაფერი წაეგოთ, ლიბერალებს კი – წვრილი სოფლის ბურჟუაზიის შექმნა სურდათ. ამ მიმართულების დამცველად «მეგობარი" სახალხო თავისუფლების პარტიას მიიჩნევდა, რომელიც მემამულეებსაც და მთავრობასაც იმიტომ უპირისპირდებოდა, რომ სოფლის წვრილი ბურჟუაზიის აყვავება სურდა. მისგან განსხვავებით – რეაქციონერები და კონსერვატორები რეპრესიებში ხედავნენ ხსნას.

გაზეთი შექმნილ მდგომარეობას ადარებდა 60-იანი წლების ვითარებას. ამტკიცებდა, რომ ხელისუფლება ძველი გზებით ცდილობდა ხალხის მოძრაობის შეჩერებას. «მიწების გამოსყიდვა გლეხებისათვის ხაზინის ფულით და გლეხების ხარჯზე ამ მიწების დარიგება გლეხებისათვის იმ ანგარიშით, რომ გლეხი მიწაზე მიეკეროს საკუთარი ინტერესების ჯაჭვით, მაგრამ თავისი ეკონომიური ინტერესები კი ვერ დაიკმაყოფილოს უიმისოდ, თუ მსხვილი მემამულის მიწა არ დაამუშავა ან როგორც იჯარადარმა და ან როგორც დღიურმა მუშამ – ამ ჩოჩნხზე იყო აგებული 60-იანი წლების რეფორმა და ამასვე ვხედავთ ახლა", – წერდა «მეგობრის" მოწინავე. ერთადერთ განსხვავებას იგი წინა საუკუნის მოვლენასთან იმას ხედავდა, რომ: თუ მაშინ მიწა მემამულეს ძალით დაათმობინეს, ამჟამად ის თავის სურვილით უნდა დაეთმო, ეს ისეთი განსხვავება იყო, რასაც შეიძლებოდა ემოქმედა ხელისუფლებაზე და მისი პოლიტიკა სამინისტროს შენობებს ვერც გასცდენოდა, ცხოვრებაზე ვერავითარი გავლენა ვერ მოეხდინა.[20]

«მეგობარი" ეხებოდა ქართველი გლეხების მდგომარეობას, რომელიც რუსეთში, კერძოდ ჩერნომორის გუბერნიის სოფელ პლასტუნკაში ცხოვრობდნენ. აქ, ამ დროისათვის 80-მდე ქართული ოჯახი სახლობდა, რომელთაც ძლიერ უჭირდათ, რადგან მთავრობამ მათ სპეციალურად ჩამოუსახლა რუსები, რათა კომპაქტური ქართული დასახლება არ ყოფილიყო. ვრცელ წერილში რომელსაც «ჩერქეზი" აწერდა ხელს, ბევრი გულსაკლავი ფაქტი იყო მოყვანილი იმისა, თუ როგორ იჭერდნენ და სჯიდნენ უდანაშაულო რაჭა-ლეჩხუმელებს აქ რომ ცხოვრობდნენ. პლასტუნკაში სკოლაც იყო, სადაც რუსი პედაგოგი ქართველით ძლივს შეუცვლიათ, თუმცა სკოლა სამინისტრო იყო და სწავლაც აქ რუსულ ენაზე წარმოებდა. წერილის ავტორი აკრიტიკებდა რუსეთის მთავრობის ეროვნულ პოლიტიკას, მათ მიერ ჩერქეზი მოსახლეობის გენოციდს, წერდა რომ ქართველები ფაქტიურად გენოციდს განიცდიდნენ, ეროვნულად გადაგვარებულნი, ხელისუფლებისაგან პოლიციურ დევნას ვეღარ უძლებდნენ და ალბათ მალე დაკარგავდნენ კიდეც ნაციონალურ სახეს.[21]

გაზეთის ყველა ნომერი დიდ ადგილს უთმობდა აგრარულ საგლეხო საკითხებს, გლეხთა რევოლუციურ ბრძოლასა და მთავრობის დამოკიდებულებას

მათი პრობლემებისადმი. გაზეთი ბეჭდავდა მასალებს საგლეხო ბანკზე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში დაარსდა, მაგრამ თავდაპირველად საშუამავლო საკრედიტო დაწესებულებას წარმოადგენდა. ბანკი ვერ აძლევდა სესხს გლეხებს მიწის შესაძენად. იგი მიწის გამყიდველ მემამულეებს აძლევდა ფულის ნაწილს და ამ ფულს ვალად აწერდა მიწის შემძენელს, რომელსაც ეს ვალი ნაწილ-ნაწილ უნდა გადაეხადა 34 წლის განმავლობაში. თვითონ ბანკი ფულის საშოვნელად ე.წ. ფასიან ქაღალდებს უშვებდა და ამ ქაღალდების ბირჟაზე განაღდებით ახდენდა თავის ოპერაციებს. რადგან ბანკს დიდი ხარჯის გაწევა უხდებოდა ადმინისტრაციული აპარატის შენახვაზე, იმისი გავლენა მეტად სუსტი და მკრთალი იყო. ზოგჯერ ბანკი თვითონ ყიდულობდა მემამულისაგან მიწას იმ იმედით, რომ ნაწილ-ნაწილ თვითონ მიეყიდა გლეხებზე, ასეთი ოპერაციები მემამულეებისათვის იყო სასარგებლო, თვით ბანკებისათვის და გლეხებისათვის – საზიანო. ზოგიერთ გლეხს შესაძლო იყო განსაკუთრებულ შემთხვევაში ენახა სარგებელი, მაგრამ ბანკი დაზარალდებოდა, ზოგადად – ამგვარი ბანკი და რეფორმის ეს სახე გლეხთა საკითხს ვერ გადაჭრიდა.[22]

სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემას პრესა უკავშირებდა პროფესიონალურ განათლებას, ამ მხრივ ის სასოფლო-სამეურნეო სკოლებს გამოჰყოფდა. გაზეთს მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეობას აფერხებდა ბევრი რამ, უპირველესად ის, რომ ცალკეულ დარგებში ტრადიციული გამოცდილებაც კი იყო უარყოფილი, ახლის დანერგვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ასი-ორასი წლის წინათ შემუშავებულ წესებს იცავდნენ მეურნე ადამიანები და წინ ნაბიჯსაც არ დგამდნენ. სასოფლო-სამეურნეო სკოლებს უნდა ესწავლებინათ ყმაწვილებისათვის როგორც ძველი მამა-პაპური სამეურნეო გამოცდილება, ასევე ახალი წესები, მსოფლიოში მიღებული და კარგად აპრობირებული მეთოდები, რაც ხელს შეუწყობდა მეღვინეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის და სხვადასხვა დარგების ახლებურად განვითარებას.

პუბლიცისტი ვასილ ბიბილაშვილი ითხოვდა მამულების გამოყოფას ასეთი სკოლებისათვის, ასახელებდა სკრის სკოლას, რომელსაც ყოველწლიურად ორასი თუმნის სარგებელიც შემოჰქონდა და ახალგაზრდებსაც კარგად წვრთნიდა. მით

უმეტეს სოფელში მცხოვრებ ფრიდონოვებს ისეთი ხილი მოუყვანიათ, რომელსაც ხარკოვის გამოფენაზე დიდი წარმატება მოუპოვებია. საქვეყნოდ განთქმული ნასწავლი მაბაღე უსიკოვი განუცვიფრებია საქართველოდან ჩატანილ ხილს – ამგვარი ხილის მნახველი არა ვარ ჩემს დღეშიო – უთქმევინებია. გაზეთის აზრით ეს გამოცდილება შეეძლოთ მოსწავლეებისათვის გადაეცათ, საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობა ქვეყნის სიმდიდრის წყარო გახდებოდა, ამ აღმავლობას კი ნასწავლი ახალგაზრდობა შეუწყობდა ხელს.[23]

გაზეთი მრავალგზის უბრუნდებოდა გადმოსახლებულთა შესახებ კანონს, იმ უკანონო საკოლონიზაციო პოლიტიკას, რასაც რუსეთის მთავრობა აწარმოებდა საქართველოში. აგრარული საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა ხელისუფლებას რუსი გლეხების გადმოსახლება კავკასიაში, რასაც აკრიტიკებდა ქართული პრესა. აქ ქართველებსაც არ ჰყოფნით მიწაო, არც რუსის გლეხებზე შესტკივად გული ხელისუფლებს, მათი განზრახვა სულ სხვააო. «მათ კარგად იციან, რომ რუს გლეხთა გადმოსახლება ჩვენს ქვეყანაში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს ჩვენში, რადგან საკმაო ადგილი აქ ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც აღარ არის. უკმაყოფილება დაჰბადებს შურსა და მტრობას მოსულთა და მკვიდრთა შორის და მდგომარეობით და ინტერესით ძმები ერთი-მეორის წინააღმდეგ ამხედრდებიან, სხვაც არა უნდათ რა” . . . რუსი გლეხების ეკონომიკური ინტერესების გარდა, მთავრობის განცხადებით მათი ჩამოსახლებით სახელმწიფო ინტერესებიც იყო გათვალისწინებული. ამოდენა ფული დაგვიხარჯავს, ამოდენა სისხლი დაგვიღვრია კავკასიისათვის და ხმის გაღების უფლებაც არა აქვთ ამის წინააღმდეგო – გადმოსცემდა ქართული გაზეთი რუსული ოფიციოზის პრესის შეხედულებას.

«მეგობარი” ამ განცხადებას ასე აფასებდა: «სახელმწიფო ინტერესები აქ, რასაკვირველია სულ ტყუილად არის მოტანილი, რადგან ყველამ იცის, რომ სახელმწიფო ინტერესების შემლახველი სწორედ ის შური და მტრობაა, რომელსაც ყველგან და ყოველთვის სთესს ასეთი პოლიტიკა, რაც შეეხება სისხლისა და ქონების დახარჯვას, ეს ხომ სულ შუბლჩამორეცხილობაა: განა ამიერკავკასიის მკვიდრთ კი წყალი უდგათ ძარღვებში და სისხლის მაგიერ წყალსა ღვრიდნენ,

როცა თავიანთ ქვეყანას იცავდნენ? მაგრამ ამაზე არც კი ღირს ლაპარაკი. სხვისი პიროვნების და ღვაწლის დაფასება რომ იცოდნენ, ხომ ასეთებიც არ იქნებოდნენ".[24]

«მეგობარს" გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში საჭიროდ მიაჩნდა დროებითვალდებული ურთიერთობის გაუქმება, გლეხებისათვის საკუთრებაში მიცემა იმ მიწისა, რომლისთვისაც ათწლეულები იხდიდა ღალა-კულუხს, რადგან ეს მიწა მცირე იყო და ვერ გამოკვებავდა მის ოჯახს, მთავრობას უნდა დაემატებინა მისთვის ნადელი, რაც მალე უნდა მომხდარიყო, თუკი ხელისუფლებას არ სურდა გლეხთა გამოსვლის ახალი ტალღის აგორება.[25]

გაზეთი გულისტკივილს გამოთქვამდა ეროვნული გადაგვარების, წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული წეს-ჩვეულებების, ენის, მუსიკის და კულტურული ცხოვრების სხვა ფორმების დაკარგვის გამო. ცვლილებები კულტურასა და წეს-ჩვეულებებში საუკუნეთა მანძილზე მას დასაშვებად მიაჩნდა, მაგრამ ნაძალადევი ჩარევით მისი ამოძირკვა – ტრაგედიად. ეროვნული გადაგვარების პიონერად «მეგობარი" თვლიდა ანგარებიან, მოღალატე ადამიანებს, ზნეობრივად დაცემულებს; ერის გადამრჩენად კი იმ ერთეულებს, რომლებსაც თავისი დროის საუკეთესო თვისებები გააჩნდათ, ერის წინამძღვრებად იქცეოდნენ და ერის სულისკვეთებას გამოხატავდნენ. ამგვარ წინამძღოლებს უნდა ეხსნათ ერი, რადგან ძალა უხეშად ერეოდა ერის ცხოვრებაში, ერეოდა ახალი ფორმით: კანონებით, ბრძანებებით, რაც მთლიანად ცვლიდა მის ისტორიულ სახეს, შლიდა პიროვნებებს და ჰკლავდა ჭეშმარიტად ეროვნულ სულს.[26]

ქართული ენის შევიწროებასა და დედაენის დევნას ეხებოდა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის წერილები, რომელიც 1906 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა გაზეთ «მეგობარში". გოგებაშვილის აზრით, ქართველობა განმათავისუფლებელი მოძრაობიდან ქართული ენის უფლების გაფართოებას და სკოლებში მის სწავლებას ელოდა, რაც არ გაუმართლა. გოგებაშვილი მკითხველის წინაშე ვერ მალავდა აღშფოთებას «მეგობრის" წინა ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციის გამო, რომ საეპარქიო სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ქართული ენის პროგრამა ახალ ეგზარქოსს მხოლოდ იმიტომ არ დაუმტკიცებია, რომ შიგ შეტანილი იყო «ბუნების კარი". ქართულის გაკვეთილზე

მხოლოდ ენა უნდა ისწავლონ, სხვა ყველაფერი კი მხოლოდ სახელმწიფო ენაზეო, – უთქვამს ეგზარქოსს. «ბუნების კარი" სალიტერატუროს გარდა, არის ბოტანიკური, გეოგრაფიული, ისტორიული და სხვა ხასიათის წერილებიო. «როგორც მკითხველი ხედავს, – წერდა ი. გოგებაშვილი, – საქმე ეხება არა მარტო «ბუნების კარს", არამედ თვით პრინციპს, დედა-აზრს, საზღვრებს დედა-ენისა სკოლებში. ჩვენს ენას უქადიან იმ უფლების წართმევასაც, რომლითაც იგი სარგებლობდა თვით უკიდურესი რეაქციების დროსაც კი, როცა თვითმპყრობელობდნენ პლევე და პობედონოსცევი.

ამ წერილში დიდი ქართველი მწერალი და პედაგოგი გამოთქვამს საუკუთესო მოსაზრებებს ენის შესახებ, მისი ცხოველმყოფელობის, გამდიდრების, განვითარების პრინციპებზე. ენის შესწავლა მარტო ლიტერატურითა და მწერლობით მას შეუძლებლად მიაჩნდა, საჭირო არის ადამიანმა თავის ენაზე მიიღოს მრავალმხრივი ცოდნა, რომ ჩაწვდეს ენის სიღრმეს და განვითარდეს როგორც თვითონ, ასევე ენაც განავითაროს. «ენა, რომელზედაც მეცნიერება არ არსებობს, – წერდა იგი, – დიდხანს ვერც იცოცხლებს, თუნდაც ბლომად ჰქონდეს ჩინებული ლექსები და მოთხრობები, ხოლო მეცნიერება მაშინ იბადება და იზრდება რომელსამე ენაზე, როცა ამ ენაზე მიმდინარეობს საგნების სწავლება ყოველგვარს სასწავლებელში. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომელიც ყოველს ადამიანს და ყოველს ერს კარგად აქვს შეგნებული." იგი საჭიროდ თვლიდა დაბალ კლასებშიც კი საკითხავ წიგნებს ენციკლოპედიური ხასიათი ჰქონოდა, სალიტერატურო ქრესტომათიის გარდა მასში მოქცეული ყოფილიყო ელემენტარული სამეცნიერო ქრესტომათია. «ბუნების კარი", მისი თქმით ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებდა, რომლის წინააღმდეგ არც ერთ რუს ეგზარქოსს არ აუმაღლებია ხმა, გარდა ვოსტორგოვისა, ახალ ეგზარქოსს ის ვოსტორგოვის რეაქციული აზრის გამგრძელებლად მიიჩნევდა და გმობდა მის მოქმედებას. ვოსტორგოვი ახლა სინოდში მრჩეველია, რა თქმა უნდა მიიღებს და დაამტკიცებს საქართველოდან ეგზარქოსის მიერ გადაგზავნილ აზრს, მაგრამო, – წერდა გოგებაშვილი, ჯერ ქართული სამღვდელოება ცოცხალია, არ დაუშვებს «ბუნების კარის" გამოდევნას სკოლებიდან და პირიქით მოხდება, ეს წიგნი სასულიერო სასწავლებლებშიც შევაო.

«თუნდაც რომ ქართველმა სამღვდელოებამ ჯეროვანი სიმკაცრე არ გამოიჩინოს ამ შემთხვევაში, თვითონ ხალხი იკისრებს საქმის გაძღოლას. ვოსტორგოვებს დიდი ხანია სურთ ქართული სკოლა გადააქციონ დენაციონალიზაციის, გადაგვარების და დაცემის იარაღად. ჩვენი ხალხი კი მტკიცედ არის მოწადინებული, რომ სკოლა იყოს ნამდვილ პედაგოგიურ კერად და ემსახურებოდეს მის გამოღვიძებას, განვითარებას და კეთილდღეობას და დარწმუნებულნი უნდა ბრძანდებოდნენ პოლიტიკოსები, რომ ჩვენი ხალხი თავისას უსათუოდ გაიტანს". – ასეთი რწმენით ამთავრებდა თავის ვრცელ წერილს იაკობ გოგებაშვილი.[27]

განათლების სფეროში რეფორმას სხვაგვარად უყურებდნენ ქართველი მოღვაწეები და სხვაგვარად მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატი – მათაც სურდათ რეფორმა, ოღონდ «პოლიციური", «ინოროდცების" უფლებების სრულად შემზღუდავი, პიროვნების თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული და მორჩილი ადამიანების აღზრდის გარანტი. «მეგობარი" წერდა: «ხალხის განათლება და თვითმპყრობელობა ცეცხლი და წყალია და ერთად მათი არსებობა შეუძლებელია. დღევანდელი მთავრობა თავის დღეში ვერ შეიგუებს თავისუფალ უნივერსიტეტს, დამოუკიდებელ მასწავლებელს, სკოლის საღსა და პედაგოგიურ პროგრამას, მაშინ ხომ თავისუფალი, გონიერი თაობა აღიზარდა სკოლებში და მისთვის კი აუცილებელია თეთრსარჩულიან სერთუკში გამოწკეპილი სტუდენტი აფიცრის ფორმისა, მოხელე პროფესორი, მოხელე მასწავლებელი, რომელიც ბრმად ასრულებს მისი მომავლინებელის ნებასა და სურვილს, ასწავლის, რასაც და როგორ უბრძანებენ, რომ შემდეგისთვისაც ყურმოჭრილი აღმასრულებლები დაუმზადოს თვითმპყორბელობას".[28]

გაზეთს მიაჩნდა, რომ მანამ რუსეთში არსებული წყობილება არ დაემხობოდა, ეს ვითარება შენარჩუნდებოდა. სანამ უნივერსიტეტი არ ჰქონდათ ქართველებს და განათლებაც არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, საჭირო იყო თვით ჩვენი ქვეყნის საშუალებების გამოძებნა ხალხის დონის ასამაღლებლად წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ. ამ მიზანს ემსახურებოდნენ სახალხო უნივერსიტეტები, რომლის დაარსების ინიციატივა, მართალია რუსეთიდან მოდიოდა, მაგრამ საქართველოში ისინი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ: ხალხს

აცნობდნენ მეცნიერულ მიღწევებს სხვადასხვა დარგში, აარსებდნენ წერა-კითხვის შემსწავლელ უფასო სკოლებს და ა.შ. ამ საკითხს ეხებოდა იაკობ გოგებაშვილის წერილი. მისი წინადადებით თბილისელ პედაგოგებს რუსეთიდან უნდა მოეწვიათ ცნობილი პროფესორები, რომლებიც საჯარო ლექციებს გამართავდნენ. ეს იქნებოდა ზაფხულში – მაის-ივნისში, მიიღებდა საზაფხულო ქართული უნივერსიტეტის სახეს და დიდ სიკეთეს მოუტანდა ქართველ პედაგოგებს. გოგებაშვილი იმედოვნებდა, რომ რუსეთის უნივერსიტეტებიდან საქართველოში ჩამოვიდოდნენ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები: პეტრიაშვილი, ცაგარელი, მარი, მელიქიშვილი, ხახანაშვილი, თარხნიშვილი და სხვა პრივატდოცენტები, რომლების სამშობლოსაც ინახულებდნენ და ეროვნულ საქმესაც გააკეთებდნენ.[29]

საინტერესო იყო ალექსანდრე ხახანაშვილის წერილი – «ქართველ მასწავლებელთა მომზადების შესახებ". ავტორი სიხარულით წერდა იმ ახალ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლა დედა-ენაზედ უნდა მომხდარიყო, ასევე სახელმძღვანელოები უნდა შემდგარიყო ქართულად, რაც სასკოლო ცხოვრებაში რეფორმის გატარების მაუწყებელი იყო. ახალი სკოლის სიძლიერე მასწავლებელში უნდა ყოფილიყო, მასწავლებელთა ძლიერი კადრების მომზადებას კი თავისი გზის მოძებნა და დიდი ძალისხმევა ჭირდებოდა. ალ. ხახანაშვილის აზრით, გიმნაზიის მასწავლებლებს უნდა მიეღოთ უმაღლესი განათლება, ის ძირეულად უნდა დაუფლებოდა იმ საგანს, რომელსაც შეასწავლიდა ახალგაზრდობას, ამგვარი მასწავლებლების მომზადება ადვილი არ იყო. საამისოდ პოლონელები საკუთარი უნივერსიტეტის დაარსებას ესწრაფვოდნენ. ფინელებმა ჰელსინგორსში დააარსეს უნივერსიტეტი, ლატიშებს და ესტონელებს კათედრები დაეთმოთ დერპტის უნივერსიტეტში, მალოროსები დედა-ენაზე ღებულობდნენ განათლებას ლვოვის უნივერსიტეტში, სომხები – ეჩმიაძინში, მაჰმადიანები – ქაიროში და სხვა. «მხოლოდ ქართველი მასწავლებელია მოწყვეტილი ამ კანონიერ გზას, – წერდა ალ. ხახანაშვილი, – მას შეუძლიან მხოლოდ პეტერბურგში მოისმინოს ქართული ენის ისტორიის და ლიტერატურის ლექციები, ან მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში. მომეტებული ნაწილი ჩვენის ახალგაზრდებისა გიმნაზიის გათავების შემდეგ მიდიოდა ოდესასა,

კიევსა და ხარკოვში სწავლის გასაგრძელებლად. ისეთნი კი, ვინც პეტერბურგსა და მოსკოვში სწავლობდნენ აღმოსავლეთის ენათა ან ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მცირე რიცხვს შეადგენდნენ. აი ამიტომ ჩემის აზრით, საჭიროა აღძრულ იქმნას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურას დაეთმოს შესაფერისი ადგილი ორ-სამ უნივერსიტეტში (გარდა პეტერბურგისა, შეიძლება ამგვარი კათედრები დაარსებული იქმნას მოსკოვს, კიევსა და ოდესაში).”

ხახანაშვილის წინადადებით, ქართული გიმნაზიის მასწავლებლებს უნდა ჰქონოდათ ცნობა, რომ ქართულ ენაზე ისმენდნენ უნივერსიტეტში ლექციებს, უნდა ჰქონოდათ გამოჩენილი შესაფერისი ცოდნა გამოცდის ჩაბარების დროს ამ ენაში. საკუთარი უნივერსიტეტი სანამ არ გვექნება, ეს გზა დაგვრჩაო, – წერდა მეცნიერი და იმედს გამოთქვამდა, რომ ქართული უნივერსიტეტიც ექნებოდა ქართველ ხალხს.[30]

ლუარსაბ ბოცვაძის წერილში, რომელიც ივანე გომელაურის ახალ წიგნს – «სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები” – ეხებოდა, საუბარი იყო მწერლობის დიდ როლზე ერის გათვითცნობიერების საქმეში. იგი ესთეტიკურად ზრდიდა მოზარდ თაობას, ჩააგონებდა მას კეთილ გრძნობებს, სამშობლო ქვეყნის სიყვარულს, ავტორი იხსენებდა ძველ დროს, როდესაც მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება აკრძალული ჰქონდა ქართველობას და ვეღარც ქართველი მწერლების ნაწარმოებებს ითავისებდა, იგი მიესალმებოდა ვითარების შეცვლას და ივ. გომელაურის წიგნს ძალზე საჭირო წიგნად თვლიდა. ბოცვაძე არც წიგნის ნაკლს ივიწყებდა, მაგრამ ძირითად აქცენტს მაინც მის დადებით მხარეზე აკეთებდა.[31]

სახელმძღვანელო წიგნებზე ცხადდებოდა კონკურსი, თუმცა სკოლებს უფლება ჰქონდათ სასურველი წიგნი თავად ამოერჩიათ. ეს ერთი მხრივ იყო დადებითი, მაგრამ მეორე მხრივ უარყოფით შედეგს იღებდა, თუკი სკოლა ტენდენციური იქნებოდა სახელმძღვანელოთა შერჩევისას. ლუარსაბ ბოცვაძის სხვა წერილი – «მცირე შენიშვნა” სწორედ ამ მოვლენას ეხებოდა და მასწავლებლებს მოუწოდებდა ეხელმძღვანელათ ზნეობრივი პრინციპით, ობიექტურად შეერჩიათ საჭირო სახელმძღვანელოები, რომლებიც საღ პედაგოგიურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ. პუბლიცისტს არ მოსწონდა სკოლებისა და პედაგოგების

მიმართვა ხელისუფლებისადმი – ამა თუ იმ წიგნის არჩევაში უფლების მიცემაზე, რასაც მათი მონური ფსიქოლოგიის გამოხატულებად მიიჩნევდა.[32]

ქართველი ერის სულიერი ცხოვრების შესანარჩუნებლად და ასაღორძინებლად «მეგობარი" დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თეატრს, რომელიც მისი აზრით რევოლუციური აფეთქებების გამო თითქმის სულს ღაფავდა. გაზეთი საჭიროდ თვლიდა ქართული დრამატული საზოგადოების გამოცოცხლებას თეატრის სასარგებლოდ. მას ამ საზოგადოების რეორგანიზაცია აუცილებლად მიაჩნდა. საჭირო იყო საწევრო გადასახადის შემცირება, რაც გაამრავლებდა საზოგადოების წევრთა რიცხვს და დემოკრატიულს გახდიდა. ხალხის მოსაზიდავად საჭირო იყო თეატრი სახალხო თეატრად გადაკეთებულიყო. მაღალმა საზოგადოებამ მაინც ზურგი შეაქცია მას და ხალხი ასულდგმულებს, ამიტომ ქალაქად თუ სოფლად სახალხოს სახელი უნდა მიეკუთვნოს თეატრალურ დასებს თუ წრეებსო, «მეგობარი" საჭიროდ თვლიდა შეერთებულიყო თეატრალური და მუსიკალური საზოგადოებების ძალები და შეერთებული ძალით გარდაექმნათ ეროვნული ხელოვნება. «თეატრის გადემოკრატება, მუსიკის პოპულარიზაცია და საზოგადოდ, ეროვნული ხელოვნების განვითარებისათვის უფრო ენერგიული მუშაობა გაორკეცებულ თანაგრძნობას გამოიწვევენ ორთავე საზოგადოებისადმი და მაშინ ისეთს გამუდმებულს კრიზისში არ იქნებიან როგორც ახლა, – წერდა «მეგობარი" და ასკვნიდა: ქართველი საზოგადოება მოვალეა შეიკრიბოს და გაითვალისწინოს დრამატული საზოგადოების მდგომარეობა და დაღუპვისკენ იხსნას დაწესებულება, რომელსაც თვალსაჩინო სარგებლობის მოტანა შეუძლიაო.[33] მუხედავად იმისა, რომ ქართული ოპერა არ არსებობდა, საოპერო ხელოვნებას საქართველოში მაინც უდიდესი ყურადღება ექცეოდა. თბილისში არსებულ რუსულ ოპერაში ხშირად უცხოელ არტისტებთან ერთად ქართველი მომღერლებიც მონაწილეობდნენ.

1906 წლის 12 (24) ოქტომბერს რუსულ ოპერაში დადგმულ «ტრავიატაში" იმღერეს ვანო სარაჯიშვილმა და გედევნიშვილმა. გაზეთი კარგ შეფასებას აძლევდა სარაჯიშვილის გამოსვლას, რომელმაც იტალიურად შეასრულა ალფრედის პარტია, იგი წერდა: «ბატონმა სარაჯიშვილმა მეტად ასიამოვნა მთელი საზოგადოება, ფრიად ნაზი და ტკბილი ტენორი აქვს, სასიამოვნო და საკმაოდ მძლავრის

ტემბრისა შუა და დაბალ რეგისტრებში. თუმცა დიდი ხანი არ არის თურმე რაც სარაჯიშვილი სწავლობს, მაგრამ ხმა საკმაოდ კარგად აქვს დაყენებული, სცენაზედაც კარგად უჭირავს თავი, საზოგადოდ უნდა ვთქვათ, მდიდარი ხმისა და მუსიკალური ნიჭის პატრონია ბატონი სარაჯიშვილი და დიდად სამწუხარო იქნება, თუ თავის სიმდიდრეს არ მოუარა, როგორც რიგია, ხმის მოვლა და სისტემატური მუშაობა ბ-ნ სარაჯიშვილს კარგ მომავალს არგუნებენ", – ირწმუნებოდა გაზეთი.[34]

მუსიკალური საღამოები იმართებოდა თბილისის საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზშიც, სადაც უცხოელებთან ერთად, ასევე ქართველებიც გამოდიოდნენ.[35] სარაჯიშვილის გარდა, მილანის საოპერო თეატრში სწავლობდნენ და მღეროდნენ სხვა ქართველი მომღერლებიც. კერძოდ, მომღერალი დავით აკოფაშვილი, რომელიც მილანში მღეროდა და საუკეთესო ბარიტონი იყო, ბოლონიაშიც მიუწვევიათ, სადაც ტონიოს როლი შეუსრულებია «პაიაცებში". გაზეთი «მეგობარი" დავით აკოფაშვილის ნიჭიერებას ხოტბას ასხამდა.[36]

ეხებოდა რა თეატრის და ხელოვნების დიდ მნიშვნელობას ერის სულიერი გადარჩენის საქმეში, ქართული პრესა ცდილობდა ყველა თვალსაჩინო მოვლენა რაც კი თეატრალურ ან სამუსიკო ხელოვნებაში მოხდებოდა, დაწვრილებით ყოფილიყო განხილული და შეფასებული. ასეთ დიდ მოვლენად გაზეთი «მეგობარი" თვლიდა ვანო სარაჯიშვილის გამოჩენას ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში.

ქართული თეატრალური წარმოდგენები, სახაზინო თეატრს გარდა, იდგმებოდა სხვა კლუბებსა და დაწესებულებებში. ვალერიან გუნიას თხოვნით, 1906 წლის შემოდგომაზე თეატრალური დადგმები ხორციელდებოდა თბილისის საკრებულოს შენობაშიც, კვირაში ერთხელ, შაბათობით აქ იდგმებოდა ქართული პიესები.[37] გაზეთი «მეგობარი" დრამატულ საზოგადოებას ურჩევდა უფრო მეტ ორგანიზაციას ქართული თეატრის საქმის მოსაწყობად, წარმოდგენების გასამართავად სხვადასხვა შენობის დაქირავებას ან დაპატრონებას.[38]

ქართველ მსახიობთა გაჭირვება და თეატრის უმწეო მდგომარეობა დამოკიდებული იყო ქველმოქმედებაზე, მაყურებლის ერთგულებაზე. ამიტომ ქართველი ქველმოქმედები ხშირად ეხმარებოდნენ თეატრალურ დასს, საარტისტო საზოგადოებაში გამართულ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ისეთი

სახელგანთქმული მუსიკოსები, რომელთა მოსასმენად ბევრი მაყურებელი მოდიოდა, რაც ზრდიდა თეატრის შემოსავალს და აუმჯობესებდა მსახიობთა ეკონომიკურ მდგომარეობას. 1906 წლის 11 ნოემბერს ერთ-ერთ ასეთ თეატრალურ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ვ. სარაჯიშვილმა, დ. გედევანისვილმა, ს. ტომაშევიჩმა, რასაც ეხმაურებოდა «მეგობარი".[39]

წერილის ავტორი გულდაწყვეტილი იყო ქართული სამუსიკო ხელოვნების ჩამორჩენის გამო, მიიჩნევდა, რომ ამ ნიჭიერი მომღერლის გამოჩენა სრულიად ახალ სიოს დაჰბერავდა ამ სფეროში. წერილის ავტორი აქებდა მის ხმას, ბუნებრივ ნიჭიერებას, მაგრამ მის ოთხჯერ გამოსვლას «ტრავიატა"-სა და «რიგოლეტო"-ში აკრიტიკებდა კიდეც, მიაჩნდა, რომ მიმბაძველობას შეეძლო ცუდი გავლენა ჰქონოდა მის მუსიკალურ კარიერაზე შემდეგში, ამიტომ შენიშვნების გათვალისწინებას ურჩევდა ახლებურად შემსრულებელს, მოუწოდებდა მას ესწავლა იტალიაში, რათა საკუთარი სამშობლოსთვის სარგებლობა მოეტანა.[40]

ნაკლებკრიტიკული იყო იმავე ავტორის მეორე წერილი, სადაც განხილული იყო «ევგენი ონეგინში" ნამღერი ლენსსკის პარტია. სარაჯიშვილს გაუბედაობა ეტყობოდა I და IV სურათშიო, წერს ავტორი, «სამაგიეროდ მეხუთე მოქმედების ჰანგი – «საით, საით წარვედით დღენო ნეტარნო!" დიდი გრძნობით იმღერა, შესანიშნავად ეხერხება ახალგაზრდა მომღერალს, განსაკუთრებით, უკანასკნელი ამოძახილი ამ ჰანგისა, რადგან მისი ხმა მიბნედილ კვნესად გაისმის. აქვე გვაჩვენა მან კარგად შემუშავებული სუნთქვა, რომლის საშუალებითაც ერთსა და იმავე ხმის დენას ხანგრძლივ ახერხებს და თანაც ამოძახილს ხან განაგრძობს, აძლიერებს, ხანაც მიანელებს, მიჰბნიდავს ხოლმე. ეს ჰანგი მან, საზოგადოების თხოვნით, სამჯერ იმღერა. რაღა თქმა უნდა, საზოგადოება აღტაცებით უკრავდა ტაშს ახალბედა მომღერალს" – წერს პუბლიკაციის ავტორი და ამ წერილსაც მოწოდებით ამთავრებს: «მე მაინც ჩემსას არ დავიშლი: რაც შეიძლება ჩქარა იტალიისაკენ! . . "

იტალიაში მართლაც წავიდა სარაჯიშვილი და ლა სკალაშიც იმღერა, სხვა იტალიურ ოპერებშიც და დიდი ოსტატიც გახდა ქართული სიმღერის შესრულებისა. მაგრამ მისი ბენეფისი თბილისში კიდევ გაიმართა. ეს იყო ფაუსტის

როლი, სადაც მას საზოგადოების უდიდესი მასა დაესწრო, სახაზინო თეატრში ადგილი არ დარჩა, ხალხი ფეხზე იდგა და ოვაციებს უმართავდაო, თუმცა იგივე პუბლიცისტი ვრცელ კრიტიკულ წერილს უძღვნიდა ამ გამოსვლას და მას წარუმატებლად თვლიდა.[41]

ამრიგად, გაზეთი «მეგობარი'' გამოდიოდა 1906 წლის შემოდგომაზე, დაიხურა 1907 წლის დასაწყისში იმ მიზეზით, რომ თამამად იდგა დემოკრატიულ და რევოლუციურ პოზიციაზე, დაჟინებით ითხოვდა რადიკალური რეფორმების გატარებას. სოციალისტური მიმართულების ერთგული გაზეთი სოციალური რეფორმების მომხრე იყო, მაგრამ ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო დაპირისპირებას, მომხრე იყო «საერთო ნიადაგის'' თეორიის, საგლეხო საკითხში მიწის ნაციონალიზაციას აყენებდა, იბრძოდა საქართველოს ავტონომიისათვის რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში და კონსტიტუციურ-დემოკრატიული გზით ქართველი ხალხის ინტერესთა დაცვისათვის.

გაზეთი 1907 წლის დასაწყისში დაიხურა და იგი ახალმა, იმავე მიმართულების გაზეთმა – «ისარმა'' შეცვალა.

თავი III

გაზეთი «ისარი”

გაზეთი «ისარი” 1907 წლის დასაწყისში დახურულ სოციალისტ-ფედერალისტური «მეგობრის” ნაცვლად გამოვიდა. ის იყო ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, რომლის რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: ივანე მჭედლიშვილი, ესტატე ავალიშვილი, ვალერიან გუნია, გამომცემელი იყო ესტატე ავალიშვილი, გაზეთი გამოდიოდა 1907-1908 წლებში. გაზეთში თანამშრომლობდნენ: არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, ზ. ედილი (ზაქარია ედილაშვილი), დავით ელიოზიშვილი, ივანე ზურაბიშვილი, ვასილ წერეთელი, სამსონ ჯაფარიძე და სხვ. წინამორბედი სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთების მსგავსად, ისიც დაიხურა თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით. დახურვის მიზეზი მისი პირდაპირობა, ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულება იყო. გაზეთს სხვადასხვა დროს სხვადასხვა რედაქტორი აწერდა ხელს.

გაზეთს ჰქონდა თავისი გამოკვეთილი ეროვნული პროგრამა, რომელიც ილია ჭავჭავაძის «ივერიიდან” მოდიოდა და თუმცა ეროვნული პრობლემა კვლავ აკრძალულ თემად რჩებოდა, გაზეთი მაინც არ ელეოდა მას, პირდაპირ და მწვავედ აყენებდა ჩვენი ერის გადარჩენისათვის საჭირო საკითხებს.

გაზეთის ეროვნული პოზიცია, უპირველესად, მის ბრძოლაში გამოიხატებოდა საქართველოს ავტონომიისათვის, რომლის ფარგლებში სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდებოდა. კანონმდებლობა უზრუნველყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა ენების, კულტურის, ეროვნულ თავისებურებათა დაცვას და თავისუფალ განვითარებას. ავტონომიური საქართველოს პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება შეასრულებდა ქვეყნის შინაგანი მართვა-გამგეობის ყველა ფუნქციას, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება კი მას არ ექნებოდა. საქართველო თავის წილს შეიტანდა ფედერალურ ბიუჯეტში და რუსეთის სამხედრო ხარჯებში. რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში საქართველო მონაწილეობას მიიღებდა ცენტრალურ პარლამენტში

წარგზავნილი დეპუტატების საშუალებით. ეს პოზიცია ამ დროისათვის პროგრესული იყო და ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდა. თუმცა «ისარი'' ამ პოზიციით ახალს არაფერს აკეთებდა, ის უბრალოდ აგრძელებდა წინამორბედი სოციალისტ-ფედერალისტური პრესის იდეურ მიმართულებას.

§. I საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები გაზეთ «ისარში''

გაზეთი «ისარი'' აგრძელებდა სოციალისტ-ფედერალისტური პრესის –»ცნობის ფურცლის'', «შრომის'', საქართველოს იდეურ-პოლიტიკურ ხაზს. მის ფურცლებზე მუდმივად იბეჭდებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ირგვლივ არსებული ინფორმაციები, იმპერიის ცენტრსა და სხვა საგუბერნიო ქალაქებში მიმდინარე მოვლენები. ამასთანავე გაზეთი აგრძელებდა იდეურ კამათს სხვა პარტიებთან, კერძოდ სოციალ-დემოკრატებთან, კადეტების რუსულ პარტიასთან საქართველოში და ესერებთან. გაზეთის პუბლიცისტებს ხშირად უწევდათ დავა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი, ნაციონალიზმი და ეროვნული იდეა.

სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნული საკითხის გადაწყვეტას თავიანთ პარტიულ პროგრამაში პრიორიტეტად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ სოციალ-დემოკრატებს ამ მიმართულებით, თავიანთი ანტიეროვნული პროგრამის გამო არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, ამდენად სათათბიროში მათ გამარჯვებას ისინი ყოველთვის კრიტიკულად უყურებდნენ და ამის დამადასტურებელი ბევრი წერილი კიდეც ქვეყნდებოდა 1906 წელს გაზეთ «შრომაში''. «ისარმაც'' გააგრძელა ეს კრიტიკა. ფელეტონში, რომელიც «ზაკავკაზიეში'' დაბეჭდილ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქებასა და ფედერალისტთა ლანძღვა-გინებას ეთმობოდა, «ისარი'' აანალიზებდა სათათბიროს არჩევნებში გამარჯვებების მიზეზებსა და სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნული შეხედულებების მთავარ არსს. გაზეთი უარყოფდა აზრს, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებში ხედავდა «მთავრობისა და ფეოდალების თვითნებობის წინააღმდეგ მებრძოლებს'', რამაც განაპირობა მათი გამარჯვება.

პუბლიცისტის აზრით სოციალ-დემოკრატებმა ვერ შეძლეს გლეხობის მიმხრობა არა იმიტომ, რომ ამ პარტიას არ სურდა გლეხთა განთავისუფლება და მიწის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა, არამედ იმიტომ, რომ გლეხობა ვერ დარწმუნდა მათ გულწრფელობაში, ვერ გაჰფანტა ეჭვი, რომ ფედერალისტები ბატონყმობის მომხრენი არ იყვნენ.[1]

გაზეთი «ისარი" მკითხველს აცნობდა კავკასიის ნამესტნიკის – გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის პეტერბურგში გამგზავრებას. ახასიათებდა მას, როგორც რეაქციონერს და წერდა, რომ «ჭეშმარიტ რუსთა" საზოგადოება და რუსული პრესა ტყუილად დებდა ბრალს ამ პიროვნებას ლიბერალობაში. რაღა ლიბერალიო, უკვირდა გაზეთს, სისხლით ხომ არ უნდა მოირწყოს მთლიანად კავკასია, მეტი რაღა უნდა ექნა ნამესტნიკსო. «ჩვენთვის, კავკასიელებისათვის, რასაკვირველია რეაქციონერების საზომი გაუგებარია, – წერდა «ისარი". ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენმა უბედურმა ქვეყანამ იმდენი ტანჯვა განიცადა და დღესაც განიცდის, რომ აღარ გვესმის, რა უნდა ჩაედინა კიდევ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს რეპრესიული პოლიტიკის გასაძლიერებლად. აღარ გვესმის, რას ნიშნავდა ბარონ ტაუბეს უმაღლესი მთავრობისადმი მოხსენება, რომ კავკასიის დამშვიდებისათვის ადგილობრივ მმართველობას საკმაო ზომები არ მიუღიაო! ჩვენი ქვეყნის ხალხი და მოწინავე საზოგადოება პირიქით, იმ აზრისანი იყვნენ, რომ სწორედ ტაუბესებურმა ზომებმა დაღუპეს არა მარტო კავკასია, არამედ მთელი რუსეთიც. რომ ამიერიდან სხვა, ფართო შემოქმედებითი მუშაობაა საჭირო, რომ მხოლოდ ძირითად პოლიტიკურ და სოციალური რეფორმებით შეიძლება ქვეყნის დამშვიდება და არა პოლიციითა და ფიზიკური ძალით ხალხის შებორკვით".

«ისარი" წერდა, რომ ნამესტნიკმა ხალხის გული თავდაპირველად დაპირებებით მოიგო: ხალხს ერობას, ეროვნულ სკოლას, გლეხური მიწათმფლობელობის გაზრდას დაჰპირდა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ორთავიანი ბიუროკრატია «ერთის ხელით დაპირებას იძლეოდა, მეორე ხელით კი უფრო მაგარ ჯაჭვს ამზადებდა ქვეყნის შესაბორკველად".

17 ოქტომბრის მანიფესტს «ისარი" გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის «დეკლარაციას" ადარებდა, რადგან ორივე ყალბი იყო და მალევე გაჰქრნენ. გაზეთი ბიუროკრატიას

აბრალებდა რუსეთის კრიზისს და ასკვნიდა: «სანამ სრული მბრძანებელი ბიუროკრატია იქნება, არც რუსეთს, არც მით უმეტეს «ინოროდცების" ქვეყნებს ხეირი არ დაეყრებათო.[2]

გაზეთი იცავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამას, ქვეყნის ფედერალური მოწყობის აუცილებლობას და საამისოდ რუსეთის სათათბიროს მაშინდელი მუშაობის წარუმატებლობასაც ასახელებდა. რადგან რუსეთი დიდია, მის ყველა კუთხეს და ხალხს ერთმანეთის ნაკლებად ესმის და სტკივა, ამიტომ სახელმწიფო სათათბირო ზოგიერთი დეპუტატის შეკითხვისადმი გულგრილია, თუ ყველას თავისი პარლამენტი ექნება, სატკივარსაც ადვილად გაუგებს ეს პარლამენტი თავის ხალხსო – ამტკიცებდა «ისარი".[3]

II სახელმწიფო სათათბიროს კრიტიკას გაზეთი «ისარი" ასრულებდა ცნობით, რომ ეს ორგანოც ისევე დაიხურა, როგორც პირველი.[4] სათათბიროს დახურვის მიზეზად იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი შემდეგს ასახელებდა: «უნაყოფობა ორჯერ მოწვეული სათათბიროსი აიხსნება იმით, რომ საქმის სიახლისა და საარჩევნო წესის უვარგისობის წყალობით, სათათბიროში მოხვდნენ ისეთი კაცები, რომელნიც არ იყვნენ ნამდვილი გამომხატველნი ხალხის სურვილისა და საჭიროებისა" . . .იმპერატორის მანიფესტი კონკრეტულ შემთხვევასაც ასახელებდა სათათბიროს დათხოვნას რომ შეუწყო ხელი: «მოხდა ისეთი ამბავი, რომლის მსგავსიც ისტორიაში არ მომხდარა. სასამართლო უწყებამ აღმოაჩინა შეთქმულება სათათბიროს ერთი ნაწილისა მთავრობისა და მეფის წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ჩვენმა მთავრობამ მოითხოვა დროებით, სასამართლოში საქმის გარჩევამდე, 55 ბრალდებული დეპუტატის დათხოვნა და ზოგიერთების დაპატიმრება, სახელმწიფო სათათბირომ დაუყოვნებლივ არ აასრულა მთავრობის ბრძანება. ყველა ამან გვაიძულა დაგვეთხოვა მეორე სათათბირო და 1907 წლის პირველი ნოემბრისათვის დაგვენიშნა ახალი სათათბიროს მოწვევა.[5]

მეფის მანიფესტი ახალი სათათბიროს მოწვევისა, პირველ რიგში, რუსეთის ინტერესთა დამცველების არჩევას ითხოვდა. განაპირა რაიონებიდან, სადაც არარუსები ცხოვრობდნენ მცირენი უნდა არჩეულიყვნენ, რადგან მათ ხელი არ შეეშალათ რუსული ინტერესების განხორციელებისათვის. «განვიზრახეთ

შევცვალოთ თვით საარჩევნო წესი, – ბრძანებდა იმპერატორი, – რათა ხალხის ყოველმა ნაწილმა იყოლიოს თავისი წარმომადგენელნი სათათბიროში. რუსეთის სახელმწიფოს გასამაგრებლად შექმნილი სახელმწიფო სათათბირო რუსული უნდა იყოს სულით და გულით. სხვა ერებმა (არა რუსებმა, რომელნიც ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობენ), უნდა იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში თავიანთი წარმომადგენელნი, მაგრამ იმდენი, რომ მათზე არ იყოს დამოკიდებული რუსების შესახებ საქმეების გადაწყვეტა. სახელმწიფოს იმ განაპირა ადგილებში, სადაც მცხოვრებთ საკმაოდ მოქალაქეობრივი განვითარება არა აქვთ, არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში დროებით უნდა შეჩერდეს . . .” მანიფესტში მეფე ხალხს ჰპირდებოდა ახალ საარჩევნო კანონს, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს განამტკიცებდა და საუკეთესო მომავალს ჩაუყრიდა საფუძველს. სენატი ამ კანონს მალე შეიმუშავებდა.

სათათბიროს მუშაობის არაეფექტურობას გაზეთი «ისარი” ბევრ რამეს უკავშირებდა. ეს მარტო სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მოღვაწეობა არ იყო. უპირველესი მიზეზი ამისა თვით საარჩევნო წესში მდგომარეობდა. სოციალისტ-ფედერალისტების საოცნებო პოლიტიკური თვითმმართველობის მიღება საქართველოს, კავკასიის არცერთ ხალხს არ შეეძლო, თუ ამის პოლიტიკურ ნებას რუსეთის საიმპერიო წრეები არ გამოიჩენდნენ. ამის საფუძველს «ისარი” ასე ხსნიდა: «კავკასია ყუბანის და თერგის ოლქებითურთ სულ 29 დეპუტატს ირჩევს, სათათბიროს დებულებით კი 30 დეპუტატზე მცირე ჯგუფი ვერც კანონ-პროექტს წარადგენს, ვერც შეკითხვას და ვერც სხვა რაიმე ნაბიჯს გადადგამს. მართალია, ამ 29 დეპუტატს თვალსაჩინო მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ სათათბიროს წევრთა საერთო მუშაობაში, მაგრამ ამ საერთო მუშაობას მხოლოდ მაშინ ექნება კავკასიისთვის რეალური მნიშვნელობა, როცა საერთო მუშაობის საერთო ნაყოფი მარტო რუსეთზე კი არა, ჩვენს ქვეყანაზედაც გავრცელდება. ეხლა ეს ასე არაა”. ამის დამადასტურებლად «ისარი” თვლიდა სასამართლო რეფორმას, რომელსაც საქართველოში არ ატარებდნენ. ყველაზე ზომიერ ოპოზიციურ პარტიად გაზეთი სახალხო თავისუფლების პარტიას თვლიდა, რომელიც ყველაზე სუსტი იყო საქართველოში.[6] კავკასიაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას

სრულად ასახავდა ირაკლი წერეთლის სიტყვა, რომელიც მან II სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქვა 1907 წლის 3 აპრილს და პეტერბურგის გაზეთებში – «რუსსკოე სლოვო”, «რეჩ”, «ნოვოე ვრემია” და სხვები – დაიბეჭდა 1907 წლის 5-6 აპრილს.

მართალია, სოციალისტ-ფედერალისტები აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატთა ეროვნულ პროგრამას და ძირითადად, ეს კრიტიკა მართალიც იყო, მაგრამ სათათბიროში გამოსული ქართველი დეპუტატები, მაინც გამოირჩეოდნენ ქართველი ხალხის ინტერესთა ერთგულებით, რუსული კოლონიური პოლიტიკის მხილებით. ამის დასტურად ირაკლი წერეთლის სიტყვაც გამოდგება: «არ მეგონა, თუ ჩემს მიერ შეტანილ საჩქარო წაკითხვის დაწვრილებითი დასაბუთება ამ კრების წინაშე დამჭირდებოდა, – თქვა ირაკლი წერეთლმა, – მაგრამ შეკითხვის ბედმა დამარწმუნა, რომ ასეთი დასაბუთება საჭირო ყოფილა. ქუთაისის გუბერნიის სოფელ ლანჩხუთში შეიყვანეს ჯარი, დამსჯელი ექსპედიცია. მცხოვრებლებს სასტიკი სასჯელით ემუქრებიან და 45 ათას მანეთს ჯარიმას თხოვენ. მე არ ვიცი ეს სასჯელი რად დაადეს მცხოვრებთ, უეჭველია არ ეცოდინება ეს არც იმ სამი ათას მცხოვრებთ, რომელთაგანაც მე დეპეშა მივიღე. თუ სათათბირომ საჩქარო შეკითხვა მიიღო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, უეჭველია მიზეზებს გამოარკვევს. მაგრამ ის კი ვიცი, ამისთანა სასჯელებს ჩვეულებრივ რად ადებენ ხოლმე კავკასიაში, რისთვის შეიყვანენ ხოლმე სოფლებში დამსჯელ ექსპედიციებს და რაც უფრო საყურადღებოა, ვიცი, რა მოელით იმ მცხოვრებთ, რომელნიც შეწერილ ჯარიმას ვერ გადაიხდიან. კავკასიის ადმინისტრაციამ კერძო პირების დანაშაულებისათვის, საშუალო საუკუნეების მსგავსად, მცხოვრებთა საყოველთაო პასუხისმგებლობა შემოიღო. ვაი იმ ქალაქს, რომლის საზღვრებშიაც საერობო დარაჯს დაეცემიან; ვაი იმ სოფელს, სადაც რაიმე ძარცვა-გლეჯას აღმოაჩენენ, თუ რასაკვირველია, მძარცველებად კერძო პირები გამოდიან და არა პოლიციელები. ამისთანა სოფლებს მაშინ უდიდეს ჯარიმას ადებენ და შემდეგ გზავნიან ჯარსა და დამსჯელ რაზმებს, რომელთაც ნება ეძლევათ სძარცვონ და ხოცონ მცხოვრებნი, სწვან სახლები, აუპატიურონ ქალები და გაუსამართლებლად დასაჯონ ყველა, ვინც მოესურვებათ. რომ დაახლოებით მაინც დაგისურათოთ ის საშინელება, რომელიც

ლანჩხუთს მოელის, მოვიყვან ცნობებს, რომელიც ოფიციალური დოკუმენტებიდან არის ამოღებული და ოფიციალური პირების მიერ არის შემოწმებული. მარტო ალიხანოვის გენერალ-გუბერნატორობის დროს, ქუთაისის პოლიცმეისტერის 1906 წლის 1 თებერვლის რაპორტის თანახმად, ქუთაისში 244,146 მანეთის ქონება გაანადგურეს, 42 მაღაზია და სახლი გადასწვეს. ქუთაისის ადმინისტრაციის დამატებითი ცნობების თანახმად, კიდევ 9 მაღაზია გაანადგურეს. ასე რომ სულ 51 მაღაზია იქნა განადგურებულ-აკლებული – პოლიცმეისტერის დაწვრილებითი რაპორტი ასე მთავრდება: «ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახლები და მაღაზიები ჯერ დაანგრიეს, მერე კი ცეცხლი წაუკიდეს. გამოძიებამ გამოარკვია, რომ სახლებსა და მაღაზიებს განსაკუთრებით კაზაკები და სალდათები ანადგურებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, რაც პირველი ნაწილის გამომძიებელს უკვე შევატყობინე და რაც მაქვს პატივი, მოვახსენო თქვენს აღმატებულებას”.

ყვირილაში 17 სახლი და მაღაზია გადასწვეს. ზარალი 67,179 მანეთს აღემატება. გადაიწვა საზოგადოდ: ყვირილა, მიხაილოვი, ფოთი, სოფელი ბელოგორი, ოზურგეთი, ჭიათურა, ახალსენაკი, 63 მაღაზია სხვადასხვა ქალაქებში და 307 სახლი. თანახმად პოლიციელების რაპორტებისა, 3 კაცი უსამართლოდ მოჰკლეს”. მთელი ეს განადგურება აჯანყებულ მცხოვრებთა ბრძოლის დროს კი არ მოხდაო, – თქვა წერეთელმა, – არამედ, როდესაც ალიხანოვს მშვიდობიანად ეგებებოდნენო. წერეთელმა მოიტანა რამდენიმე ფაქტი უსამართლო დარბევებისა საქართველოში, მოითხოვა სათათბიროს პასუხი ამ ღონისძიების ირგვლივ.[7]

გაზეთი «ისარი” დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებს. 1907 წლის 5 აპრილს გაზეთი მკითხველს აცნობდა, რომ სათათბიროს სამმა დეპუტატმა შეკითხვა დასვა სათათბიროში მთავრობის მისამართით: რა მდგომარეობაში იყო კავკასიაში სხვადასხვა რეფორმის გატარების საქმე. «შეკითხვა მრავალი მხრით შეეხო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, – წერდა გაზეთი, – პირველი ადგილი უჭირავს კავკასიის პოლიტიკურ უფლებრივ წყობილებას. ოცდაათი დეპუტატი ეკითხება მთავრობას: აქვს თუ არა მას განზრახვა გადააკეთოს კავკასიის ნამესტნიკის არსებული საბჭო ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლობით დაწესებულებად. აქ, ამ მუხლის

გარჩევის დროს დეპუტატებს საშუალება ეძლევათ წამოაყენონ ძირითადი საკითხი პოლიტიკური დეცენტრალიზაციის შესახებ და განმარტონ, რა ყოფაში ჩაგვაყენა ბიუროკრატიულ-ცენტრალისტურმა რეჟიმმა, როგორ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო კავკასია მოხელეთა თვითმპყრობელმა ბატონობამ. საშუალება ეძლევათ და უმდიდრესი მასალაც იმის დასამტკიცებლად, რომ ადგილობრივ საქმეთა მოწყობა და მართვა-გამგეობა მხოლოდ ადგილობრივ ხალხს შეუძლიან".

გაზეთი ასახელებდა იმ ძირითად საკითხებს, რაც კავკასიაში უნდა გატარებულიყო: ეს იყო ერობის შემოღება, დროებით ვალდებულების ინსტიტუტის გაუქმება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების დაწესება, პირველდაწყებითი ეროვნული სკოლების დაარსება, ადგილობრივი ადმინისტრაციულ-მმართველობითი ორგანოების გადაკეთება-გაუმჯობესება და სხვა. გაზეთი ახსენებდა საზოგადოებას, რომ ამ საკითხების გადაწყვეტას უკვე ნახევარი საუკუნე იყო ითხოვდა ქართული საზოგადოება.[8]

გაზეთი გულისტკივილს არ მალავდა და წერდა, რომ ამ პროგრამის განხორციელება საქართველოსთვის კარგი იქნებოდა, მაგრამ მეფის რუსული ბიუროკრატიული აპარატი, სამწუხაროდ მას არ გაატარებდა სრულყოფილად საქართველოში. გაზეთს სჯეროდა, რომ მიღებული იქნებოდა «ნახევარი ზომები და არა ნამდვილი რეფორმები". «ჩვენ პირადად დიდ იმედებს არ ვამყარებთ სათათბიროს მუშაობაზე, – გულახდილად ეუბნებოდა მკითხველს გაზეთი «ისარი", – ახლანდელი უუფლებო, აბუჩად აგდებული ვითომდა სახალხო წარმომადგენლობა კი არა, თვით ნამდვილი პარლამენტი, სრულუფლებიანი და ძლიერიც ვერაფერს გვიშველის, თუ ცენტრალისტურ სისტემაზე დარჩა რუსეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმე. ჩვენ ვიცით და ღრმად გვწამს, რომ მხოლოდ დეცენტრალიზაციის ფართო პრინციპზე აგებული სახელმწიფოებრივი წესწყობილება იხსნის რუსეთს კრიზისისგან და დაამყარებს ნამდვილ მოქალაქეობრიობას ჩვენშიაც".[9]

გაზეთის აზრით, ასეთი შედეგებისათვის სათათბირო ვერ გამოდგებოდა, ამისთვის სულ სხვა პოლიტიკური კონიუნქტურა იყო საჭირო. ჯერჯერობით

სათათბიროს მსჯელობას საქართველოსა და მთლიანად კავკასიის შესახებ, უფრო მორალური მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე პოლიტიკური.

სათათბიროდან ისევე როგორც «შრომაში", «ისარშიც" გადმოსცემდა ცოცხალ მასალას მალაქია ბოლქვაძე. ის აღწერდა კულუარებში მიმდინარე მოვლენებს, ყველაფერს რაც საქართველოს ეხებოდა, ანდა რაც განსაზღვრავდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. ერთ-ერთ ინფორმაციაში მ. ბოლქვაძე გადმოსცა ირაკლი წერეთლის გამოსვლის შესახებ. მისი აზრით, ამ «ძლიერმა სიტყვამ" შეძრა სათათბირო, რადგან «ამ კრებაზე წერეთელი მშვენიერი იყო, როგორც ორატორი და როგორც დამცველი დაქცეული ქვეყნისა".[10]

გაზეთი «ისარი" მალაქია ბოლქვაძის პუბლიკაციებით ხატავდა სათათბიროში მოღვაწეთა პოლიტიკურ პორტრეტებს, რომელთაგან აღსანიშნავია რუსი შოვინისტისა და შავრაზმელის – პურიშკევიჩის პორტრეტი: «გვარი პურიშკევიჩისა მთელმა რუსეთმა იცის, – წერდა გაზეთი, – პურიშკევიჩი გახლავთ «რუსის ხალხის კავშირის" სულის ჩამდგმელი და პეტერბურგის გაზეთ «რუსსკოე ზნამიას" უმთავრესი თანამშრომელი. პურიშკევიჩი შუა ტანის კაცია, მთლად ბელატი (მელოტი), გვერდზე შეპარსული ქერა წვერი აქვს, მეტად ნერვებაშლილია. ლაპარაკის დროს პურიშკევიჩის თავი, ფეხები, ხელები, ტანი, პირის სახე – ცალკ-ცალკე ხტის. პურიშკევიჩს დეპუტატის სავარძელში დამშვიდებულად ჯადომა არ ეხერხება. ხან თავში წაიტანს ხელს, ხან შეხტება, წამოდგება, იღიმება. მინისტრებს შესცქერის თვალებში, იღრიჯება და თუ ვინმე მემარცხენე ლაპარაკობს ტრიბუნაზე გაიძახის: «Вонъ, Долой" . . .ასეთი გახლავთ პურიშკევიჩი.[11]

ბოლქვაძე სხვადასხვა ინციდენტს იგონებდა და პურიშკევიჩის არაორდინალურ გამოსვლებს სათათბიროში კარიკატურულ სახეს აძლევდა, ბოლოს კი საკუთარი რემარკით – რა საძაგელნი და საბრალონი არიან! – მალაქია ბოლქვაძე გამოხატავდა სათათბიროს რუსი მემარჯვენე დეპუტატების შოვინისტურ გამოსვლებს, მათ ანტისახელმწიფოებრივ შეხედულებებს. პურიშკევიჩთან ერთად, რომელსაც სათათბიროში მომუშავე ცირკის მასხარას უწოდებდა ქართველი პუბლიცისტი, ასევე აკრიტიკებდა გაზეთ «ისარში" გამოგზავნილ მასალებში – სტოლიპინს, კრუშევანს, ბობრინსკის და სხვებს.[12]

III სახელმწიფო სათათბიროს «ისარი” იმთავითვე აკრიტიკებდა. ჯერ სათათბიროში არჩეული დეპუტატები დაიწუნა გაზეთმა, რადგან მათ არავითარი ეროვნული ინტერესები არ ჰქონდათ, რადგან ამ სათათბიროშიც საქართველოდან სოციალ-დემოკრატები გავიდნენ, შემდეგ კი მთლიანად მისი მუშაობა გააკრიტიკა ეროვნულ საკითხში.

გაზეთი სათათბიროს თავმჯდომარის ხომიაკოვის გამოსვლას აქვეყნებდა ებრაელთა და პოლონელთა შესახებ. ხომიაკოვის სიტყვა მთლიანად ებრაელების წინააღმდეგ იყო მიმართული. ის არ ურჩევდა ებრაელებს თავიანთი გათანასწორებისათვის ებრძოლათ რუს ხალხთან, რადგან ახლა ამის დრო არ იყო, არც თავის უარყოფით დამოკიდებულებას მალავდა ებრაელებისადმი და დაუფარავად ამბობდა სათათბიროში, «არ დავმალავ და პირდაპირ ვიტყვი: უცებ რომ რუსეთში არც ერთი ებრაელი არ დარჩეს, პირადად მე ძალიან გამიხარდებოდა, ებრაელებს საკუთარი მიწა-წყალი არა აქვთ და არც ოდესმე ექნებათ, ამიტომ ისინი ძალაუნებურად სხვისი ხარჯით ცხოვრობენ. ვურჩევ ებრაელებს რაც შეიძლება მეტი თავმდაბლობა გამოიჩინონ და თავი დაანებონ ყვირილსა და ყოყლოჩინობას” . . .

ასევე აკრიტიკებდა სათათბიროს თავმჯდომარე პოლონელებს. თავი დაანებონ ავტონომიაზე ყვირილს, სანამ უფრო მეტად შეაზიზღებდნენ თავს რუს ხალხს და მეტსაც მოიგებენო.[13] ასეთი სათათბიროს ხელში ეს ორგანო, რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა დემოკრატიული და ვერ გამოხატავდა მრავალეროვნული რუსეთის იმპერიის ხალხთა ინტერესებს. გაზეთი ამხელდა «რუსკი დუხს”, ცრუ პატრიოტიზმს, განცხადებას, რომ რუსეთის დუმა მარტო რუსეთისა უნდა იყოს”, ამჟამად ახალ პარტიასაც აარსებენ ინოროდცებთან საბრძოლველად – «ველიკორუსთა ნაციონალურ პარტიასო” – წერდა და ასკვნიდა: «მთელი ეს აღვირაშვებული პატრიოტობა და ფანატიკური კაცთმოძულეობა, ესოდენ დაბრმავებული მძულვარება არარუსთა უტყუარი ნიშანია რუსეთის აწინდელი რეჟიმის სრულის გახრწნილებისა და დაცემისა. ამ რეჟიმთან კომპრომისი შეუძლებელია, ის ან ძირფესვიანად უნდა დაემხოს, ან არა და რუსეთის გამოყვანა კრიზისიდან შეუძლებელი გახდება” – ო.[14]

III სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კანონის უვარგისობას არც რუსული გაზეთები ფარავდნენ. განსაკუთრებით მთავრობის ოპოზიციური პრესა აკრიტიკებდა ამ კანონის არასამართლიან დამოკიდებულებას რუსეთის განაპირა ოლქებისა და ე.წ. «ინოროდცებისადმი" და მათ სეპარატისტულ მისწრაფებათა გაძლიერებას წინასწარმეტყველებდა. მთავრობა რუსული გაზეთების აზრით, თითქოს განზრახ ცდილობდა არარუსთა ოპოზიციაში ჩადგომას, უპირისპირებდა მათ ადგილობრივ რუსებს იმით, რომ მათ მეტ უფლებებს აძლევდა არჩევნებში. «ისარი" მკითხველს დაწვრილებით აცნობდა რუსული ოპოზიციური პრესის მოსაზრებებს ამ საკითხებზე. ის აკრიტიკებდა მთავრობის მომხრე რუსული გაზეთების შეხედულებას, მიაჩნდა, რომ ისინი შოვინიზმს სთესდნენ რუსეთის იმპერიაში.[15]

გაზეთი სამართლიანად მიიჩნევდა უკანონო და არადემოკრატიულ გადაწყვეტილებად არარუსთა წარმომადგენლობის შემცირებას იმ მიზეზით, თითქოს მათ გამო «რუსთა საკითხი" ვერ ღებულობდა სათანადო ვოტუმს – «სახელმწიფო სათათბირო, – წერდა «ისარი", – როგორც მთელის რუსეთის წარმომადგენლობა რუსთა საქმეს კი არ წყვეტდა და არკვევდა, არამედ რუსეთის სახელმწიფოსას. ეს სახელმწიფო კი შეიცავს არა მარტო რუსებს, არამედ მრავალ სხვა ხალხთაც, რომელთა რაოდენობა თითქმის უდრის რუსთა რაოდენობას. როგორ შეიძლება, რომ ასეთ მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, სახალხო წარმომადგენლობა მარტო ერთის ერისაგან იყოს შემდგარი, თუ ძალმომრეობისა და მტკნარ უსამართლობის გზას არ დაადგა «გაბატონებული ერი? . ."[16] აი, ასე პირდაპირ, მოურიდებლად აკრიტიკებდა ხელისუფლებასა და მის უკანონო გადაწყვერილებას გაზეთი «ისარი" რეაქციის სასტიკ ხანაში.

გაზეთი დაუნდობლადვე აკრიტიკებდა რუს შოვინისტს – მენშიკოვს, რომელიც გაზეთ «ნოვოე ვრემია"-ში წერდა: «ყოველი მოწაფეც კი მიხვდება, რომ რუსულს პარლამენტში მხოლოდ რუსები უნდა იყვნენ . . . როგორ მოხდა, რომ სათათბიროში მოჰყვნენ რუსეთის დაუძინებელი მტერნი, რომელთათვის რუსეთის ძლევამოსილება ტანჯვაა; ყველას გაუკვირდებოდა, ალბათ ჩვენს პარლამენტში ესპანელები ან ბრაზილიელები მოსულიყვნენ. მაგრამ რათ არ უკვირთ, როცა

რუსეთის პარლამენტში სხედან და კანონმდებლობენ ებრაელები, პოლონელები, ლატიშები, სომხები, რომლებიც არა მარტო უცხონი არიან ჩვენთვის როგორც ესპანელები, არამედ დაუძინებელი მტერნიც . . . მოწაფესაც კი ესმის, რომ ქვეყნის მთავარ ციხეში და სიმაგრეში, როგორიც სათათბიროა, მტრის შემოყვანა არ შეიძლება, რომ მაშინ ციხე შიგნიდან გატყდება, ჩვენს მთავრობას კი ეს არ ესმის და ღუპავს სახელმწიფოს შენობას . . .”

მენშიკოვი მთავრობის ამ «დაბრმავების” მიზეზსაც ასახელებდა: «ალბათ ღმერთი გაუწყრა რუსეთს მრავალცოდვებისათვის და მის მმართველთ ჭკუა წაართვა: როცა განგებას ვისიმე დასჯა უნდა, პირველყოვლისა გონებას წაართმევს” . . «ისარი” ეთანხმებოდა რუს შოვინისტს: გონებაწართმეულს ჰგავხარ მართლაც, რადგანაც რუსეთის მცხოვრებთა ნახევარს მტრად ჭკვიანი ადამიანი არ გამოაცხადებდაო.[17]

გაზეთის აზრით, რუსული პრესის გამოსვლა არარუსების წინააღმდეგ შემთხვევითი არ იყო. ეს რუსეთის ოფიციალური წრეების შეხედულებების გამოხატულებას წარმოადგენდა. ამიტომ ითხოვდა მის წინააღმდეგ ისეთივე იდეოლოგიურ ბრძოლას, როგორსაც ეს პრესა ეწეოდა უდანაშაულო მცირე ერთა მიმართ, რომელნიც ბედის უსამართლო განაჩენმა მოახვედრა რუსეთის იმპერიის ქვაბში.[18]

გაზეთ «ისარში” აქტიურად ბეჭდავდა თავის პოლიტიკურ პუბლიკაციებს მიხაკო წერეთელი. Baton-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მისი თეორიული ხასიათის მასალები ეხებოდა სოციალიზმის, ანარქიზმის, საქართველოს ისტორიული წარსულის პრობლემებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1907 წელს «ისარში” გამოქვეყნებული სტატია «აღსრულდა?!” პუბლიცისტი აღშფოთებული იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობით რუსეთის სათათბიროში, მათი ანტიეროვნული ცხოვრებით. ასევე «ისარში” დაბეჭდილ გ. მადლის წერილით, სადაც მოთხრობილი იყო ჟენეველ ქართველთა ყოფა-ცხოვრება. «მე ვწუხვარ, რომ რუსად არ დავიბადეო”, – წუხდა ერთი ქართველი სოციალისტი, რაც გახდა მ. წერეთლის აღშფოთების საგანი. ყველაფერ ამის, სოციალისტ-ინტერნაციონალისტობის მიზეზად, პუბლიცისტი გადაშლილ ეროვნულ გრძნობებს

ასახელებს. იმას, რომ ტერმინი «საქართველო” და «ქართველობა” წაშალა რუსულმა და მის ნაცვლად «ზაკავკაზი”, «კავკასია”, ტფილისის გუბერნია დამკვიდრდა.[19]

მ. წერეთელი ხსნის რა არის საზოგადოება. «როგორც ყოველი ორგანიზმი, კაცთა საზოგადოებაც მიწაზედა სცხოვრობს. უმიწოდ შეუძლებელია საზოგადოება, მიწა, ტერიტორია. აი, რა არის აუცილებელი მასაზრდოებელი საზოგადოებისა, აგრეთვე ასპარეზი იმის მოქმედებისა, იგი ჯამია ყველა იმ გარეგან მოვლენათა, რომელიც მოქმედებს ადამიანზედ და რომელზედაც ადამიანი მოქმედებს . . . მ. წერეთელი იმოწმებს სოციოლოგ დე-გრეფის მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ რეგრესი თუ იქამდე გაიზარდა, რომ ამ ორ საფუძველს შეეხო, ეს გამოიწვევს ძნელ შედეგებს კერძოდ, ეს მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ საზოგადოება გადაშენებისა და გაქრობის გზაზეა დამდგარი.

მ. წერეთელი ყველაზე საშიშად ზნეობრივ გადაგვარებას მიიჩნევდა. ქართველი ერის გადაჯიშება ზემოდან მოხდაო, – ამტკიცებდა დიდი მამულიშვილი. ყველაზე მაღალი, სპეციალური, რთული, ცვალებადი და მგრძნობიარე სოციალური ორგანო, პოლიტიკური ორგანოა, საქართველოს საზოგადოების ეს უმაღლესი ორგანო საუკუნეზე მეტია გაქრაო, – წერდა იგი და ამ მოვლენას რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას უკავშირებდა. მაშინ, როდესაც მთელი XIX და XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზრი მსჯელობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის თუ «შეერთების” სიავკარგეზე და პასუხი დღემდე არა გვაქვს, საინტერესოა მიხაკო წერეთელის შეფასება: «მართალია, წინათაც წაგვრთმევია პოლიტიკური თავისუფლება, – წერდა მიხაკო წერეთელი, – წინათაც ვყოფილვართ ხოლმე მსხვერპლნი მრავალ ურდოთა შემოსევისა და განადგურებისა, მაგრამ არა ყოფილა მაგალითი ჩვენს ისტორიაში, რომ რომელსამე უცხო ტომის ხალხს ძირიანად აღმოეფხვრას ქართველი ხალხის გულიდან საქართველოს ტერიტორიაზედ სურვილი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისა”. ამის მიზეზად იგი თვლიდა, რომ მტერი სწრაფად მიდი-მოდიოდა, «წარმავალი ურდოები” ვერ ახერხებდნენ თავიანთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ადმინისტრაციის შექმნას და ვერ მკვიდრდებოდნენ. თუმცა რაღა «წარმავალი

ურდო” იყვნენ არაბები, მონღოლები, თურქები და სპარსელები, რომლებიც რუსეთზე არანაკლები დროით ბატონობდნენ საქართველოში. თუმცა ამასაც ითვალისწინებდა მ. წერეთელი და მიზეზად ქართველი ხალხის ბრძოლას, ეროვნული იდეებისათვის თავდადებას, დამოუკიდებლობისათვის თავშეწირულ გამოსვლებს მიიჩნევდა. რუსეთის შემოსვლის დროს კი, მის ასე მტკიცე გაბატონებას ქართველთა ზნეობრივ გადაგვარებას აბრალებდა. ის იხსენებდა ოსმალეთს, რომელმაც იგივე დღე აყარა საქართველოს, რაც რუსეთმა XIX საუკუნეში, წაგვართვა ტაო-კლარჯეთი, სამცხე-საათაბაგო გაამაჰმადიანა.

XVIII-XIX საუკუნის მოვლენებს მიხაკო წერეთელი დრამატულად აღწერდა: «მე-18 საუკუნის მიწურულში მეფე ერეკლე II-ეს გადაუდგა მთელი თავადაზნაურობა, ე.ი. პოლიტიკურად რომა ვსთქვათ, მთელი არმია! სომხისა და ქართველ ჯაშუშების წყალობით, რომელნიც რუსის მთავრობის ვერცხლით იყვნენ მოსყიდულნი, აღა მაჰმად-ხანმა გაანადგურა საქართველო და წავიდა. მაგრამ იმის განადგურებას კი არ მოჰყოლია ჩვენი პოლიტიკური თავისუფლების დაცემა, იგი შედეგი იყო იმ მრავალფეროვან პირობით, რომელთაც გამოიწვიეს ჩვენი პოლიტიკური გადაშენება, – უცხო ტომთან ვითომ თავის შეფარება და შემდეგ მეთოდური მოსპობა ჩვენ პოლიტიკურ ორგანოთა, რაიცა მშვენივრად აღასრულეს თათრულ-პრუსსიულ ყაიდაზედ აღზრდილმა ჯარმა და მოხელეებმა”.

მტრის ვერაგობა ხშირად მის სიძლიერეს ვერ ამტკიცებსო, – წერს პუბლიცისტი, – გადაშენების ნიშნები უმთავრესად ჩვენში უნდა ვეძებოთო. ამის მაგალითად მოჰქონდა რევაზ ანდრონიკაშვილისა და ვახტანგ ორბელიანის ღალატი ერეკლესადმი. «რუსის მთავრობის ხანა დადგა ქართველთა ჯაშუშობის დახმარებით”-ო, მთელი ჯაშუშთა ხროვა ებრძოდა საქართველოსო და ჩამოთვლის პუბლიცისტი – ანდრონიკაშვილებს, ამილახვრებს, ორბელიანებს, ერისთავებს, მთავარმმართებელ ციციშვილს, როგორც ნაქართველარ რუსს, ყველაზე სასტიკს, ნამდვილ აღმოსავლეთის სატრაპს, საქართველოს მტერს.

ქართველი ხალხის აჯანყებების დროს ის «თავის გამოჩენასა” და ხალხის ჟლეტას ისევ ქართველებს მიაწერდა. ისინი იყვნენო ორგანიზატორები ყველა საზიზღარი საქმისა. ირანელებსაც კი უკვირდათ რა გააკეთეს რუსებმა, რა

თილისმა მოიგონეს ისეთი, რომ მთელი გურჯისტანი გადარიეს. «ციციშვილს ერთ ექსპედიციაში სპარსელების წინააღმდეგ თან ახლდა თავადი იოანე ორბელიანი, – წერს Baton-ი (მ.წერეთელი), რასაკვირველია, მოღალატე და გამყიდველი ერისა სისხლის ჯვარში. ციციშვილი პანღურ-ამოკრული იფრინეს წინ სპარსელებმა და უგვანო ქართველი კი ტყვედ წაიყვანეს". მ. წერეთელი იმოწმებდა პლატონ იასელიანსა და ალექსანდრე ფრონელს და წერდა: «ოდეს ბოძებული იმპერატორისაგან, ჰყვედრა მრავალი, მისწვდა თვით ვარსკვლავსა, მოგლიჯა იგი, გადააგდო და უბრძანა: ამისთვის უღალატე შენს მეფეს და ქვეყანასა? დიახ, სპარსელი დესპოტი უფრო მაღლა იდგა ზნეობით, ვიდრე ქართველი იოანე ორბელიანი, რომელსაც ალბათ სისხლის ჯვარი მთელს ქვეყანაზედ უფრო ძვირფასად მიაჩნდა ამ გახრწნილობით უბედურ დროს" . . –ასკვნიდა პუბლიცისტი. «უსჯულო სინდისის" მქონეს უწოდებდა ასეთ ქართველებს დავით ბატონიშვილიც, ჯვარ-მედლებისათვის რომ ღალატობდნენ ქვეყანას.

მ. წერეთელი ერის უბედურებად მის გარუსებას, ქართველ თავადთა მიერ გვარების რუსულად გადაკეთებასა და დავიწყებული მშობლიური ენის ნაცვლად დამახინჯებული რუსული ენით ლაპარაკს მიიჩნევდა. ამის დამადასტურებლად იგი მკითხველს აცნობდა ვიღაც ერისთავის რაპორტებს ციციანოვისადმი, სადაც საშინლად დამახინჯებული რუსული ენის ფორმასთან ერთად, მკითხველი დაინახავდა სახელმწიფოს ღალატს, ჯაშუშობას, ლაქიაობას, სიმხეცეს, გადაგვარებას და ველურობას. ეს რაპორტი მას ამერიკელ ინდიელთა ინგლისურ რაპორტებს აგონებდა. ის აკრიტიკებდა დიმიტრი ორბელიანს, 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩაქრობის დროს გამოჩენილი სისასტიკისადმი, მარკიზ პაულიჩს – გატირებულ თავადაზნაურობას. ყველა ამ სისასტიკეს ხსნიდა ქართული პოლიტიკური ორგანიზმის დაშლით, ჯარის, მილიციის, სახელმწიფოს სხვა ინსტიტუტების არარსებობით.[20]

მიხაკო წერეთელი წერდა ერის გადაგვარებასა და დაკნინებაზე და ამ ვრცელი პუბლიცისტური სერიის ბოლო წერილში სათანადო დასკვნებსაც აკეთებდა. საჭირო იყო ერის ორგანიზმის აღდგენის სულ თავიდან დაწყება, ეს საქმე ძალზე საჩქარო იყო, თუ არა და «მხოლოდ საუკუნოდ იქნება ხსენება ჩვენი ისტორიკოსთა მიერო"

– წერდა იგი და იმასაც დასძენდა, თუ ის ისტორიკოსი ობიექტური და მიუდგომელი იქნება, თორემ იქნებ სულაც არ გვახსენოსო.

«ისარი'' ებრძოდა საზოგადოებრივ ინდიფერენტიზმს, ინფანტილურობას, რაც ქართულ სინამდვილეში ასე ძლიერად იყო ფეხმოკიდებული. «სრული შეგნებით და ქედშეუხრელი გადაწყვეტილებით ვუცხადებთ ომს, სასტიკს, ულმობელს ომს ჩვენებურ საზოგადოებრივ გულგრილობას და ან დავამარცხებთ, ან შევალევთ ჩვენს ძალ-ღონეს'', – ირწმუნებოდა «ისარი''. მას მოჰქონდა ამ გულგრილობის მავნე საზოგადოებრივი შედეგების მაგალითები, აუცილებლად თვლიდა მის დამარცხებას, რათა უფრო დინამიური ყოფილიყო ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი ბრძოლა გამარჯვებისათვის კი – ნაყოფიერი.[21]

გაზეთი «ისარი'' ბევრ ადგილს უთმობდა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მკვლელობას. აღნიშნავდა, რომ ის იმავე ეტლში იჯდა, რომელშიც იჯდა გენერალი გრიაზნოვი, როდესაც მოჰკლეს გაირკვა, რომ ეს ეტლი ყაბარდინის პოლკს ეკუთვნოდა.[22]

ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას აბრალებდა ხელისუფლებას, III სათათბიროს საარჩევნო კანონს, რომელიც განაპირა რაიონებში მცხოვრებ 100 ათას რუსს ერთ დეპუტატს აძლევდა მაშინ, როდესაც 5 მილიონ არარუსს 5 დეპუტატი ხვდებოდა. განსაკუთრებული პრივილეგია მოიპოვა ამიერკავკასიის «რუსთა კურიამ'', სადაც «ჭეშმარიტი რუსების'' და «პატრიოტების'' კავშირები შევიდნენ და რომელთაც სათათბიროში თავიანთი პროგრამა ჩამოაყალიბეს. ამ პროგრამაში საუბარი იყო რუსთა უფლებებზე, მათი მიწით დაკმაყოფილებაზე, რაც გადაწყვეტდა განაპირა რაიონის კავშირს რუსეთთან და «სახელმწიფოს განუყოფლობას''. «ისარი'' განსაკუთრებით აღშფოთებული იყო ამ პროგრამაში ავტონომიისადმი პროტესტით, ის «სეპარატიზმად''იყო შეფასებული. მკრეხელობად იყო მიჩნეული ქართული სკოლის, ეკლესიის დამოუკიდებლობის, ქართული მწერლობისა და კულტურისათვის ზრუნვა. გაზეთი პროგრამას მუხლობრივად განიხილავდა და ის საშიშრად მიაჩნდა ქართული ეროვნული ინტერესებისათვის.[23]

რუსული გაზეთები არც კი კმაყოფილდებოდნენ სათათბიროს ახალი საარჩევნო კანონით და წერდნენ, რომ კავკასიის გარუსება არ ხდებოდა, ამისათვის

აქ რუსების დიდი ნაკადი უნდა ჩამოესახლებინათ და მათთვის მიეცათ ყველა თავისუფალი მიწის ნაკვეთი. ამ აზრს «მოსკოვსკიე ვედომოსტი" ავითარებდა, ხოლო «ნოვოე ვრემია" კავკასიის ნამესტნიკს ბრალს სდებდა სახელმწიფო ინტერესების არქონაში – წერდა: წმინდა რუსი არ არის, არ იქცევა კავკასიაში ისე, როგორც რუსეთის ინტერესებს შეეფერებაო; «ნოვოე ვრემია" ნამესტნიკის ბრალეულობას იმაში ხედავდა, რომ მან «რუსთა კურიაში" კავკასიაში მცხოვრები სხვა ერებიც შეიყვანა: გერმანელები, ლატიშები, ესტები და სხვები და ამით რუსეთის კურია მოსპოო. ქართული გაზეთი მეფისნაცვლის საქციელს 3 ივნისის კანონის შესაბამისს უწოდებს, თუმცა ეს კანონი უვარგისად მიაჩნია და არჩევნების არასასურველ შედეგსაც ვარაუდობს.[24]

საინტერესოა თანამედროვე პოლიტიკური საკითხების არჩილ ჯაჯანაშვილისეული შეფასება. ეს პუბლიცისტი გამოირჩეოდა ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებით, ასეთი ტიპის მოაზროვნეს, მასაც ახასიათებდა სოციალიზმის იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა და მიაჩნდა, რომ იმ დროს ამ იდეოლოგიის პოპულარობა მთელს მსოფლიოში გამოიწვია დაჩაგრული და ღარიბი ადამიანების დიდმა რაოდენობამ. ის არკვევდა სოციალიზმის თეორიას, აანალიზებდა მისი ძველი იდეოლოგების მარქსის, ენგელსის, უტოპისტების და სხვათა შეხედულებებს. ზოგადი კრიტიკის გარდა, ჯაჯანაშვილი ქართული სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობას ეხებოდა და აფასებდა. მისი აზრით, სოციალ-დემოკრატთა ამომრჩევლების დიდი ნაწილი კონტრრევოლუციონერი იყო. ეს ძალიან კარგად იცოდნენ სოციალ-დემოკრატებმა, მაგრამ მათ პარლამენტის ხელში ჩაგდებით სახელმწიფოს ხელში ჩაგდება და სოციალიზმის განხორციელება სურდათ. ქართული სინამდვილე კი მისი აზრით ასეთი იყო: «ამ მხრით მეტად საყურადღებო საქმე მოხდა ჩვენში, მიუხედავად თავიანთ დოგმატურ მსოფლხედველობისა, სოციალ-დემოკრატებმა ჩვენში აქტიური მუშაობა დაიწყეს სოფელში, განსაკუთრებით გურიაში. პარტიის განდიდებისა და გაზრდის სურვილით ისე ძალიან იყვნენ გატაცებულნი ჩვენებური სოციალ-დემოკრატები, რომ მარქსის დოგმაც კი დაავიწყდათ. გლეხი-კაცის «ანტიკოლექტივისტური თავის ქალაც", მისი რეაქციონერობაც და კონსერვატორობაც. გურიაში შექმნეს სოციალ-

დემოკრატიული ორგანიზაციები და მერე ასეთის ორგანიზაციებით თითქმის მთელი საქართველო მოჰფინეს. მაგრამ რევოლუციური ხანა მიყუჩდა და დადგა რეაქცია, სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი ქადაგება იმით დააგვირგვინეს, რომ ხალხს უნიჭო დეპუტატები ამოარჩევინეს (სოციალ-დემოკრატების ქართველ დეპუტატებში მხოლოდ ორი კაცი შეიძლება ჩაითვალოს ღირსად დეპუტატობისა) და მერე გამოუცხადეს, პარტიული სიწმინდე მოითხოვს, რომ სოფლის არაპროლეტარული ელემენტი, ე.ი. მთელი გლეხკაცობა ცალკე დემოკრატიულ ორაგანიზაციებად იქნას გამოყოფილიო, მაგრამ ეს დემოკრატიული ორგანიზაციები კი აუცილებლად სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. ამისთანა მდგომარეობაში სოციალ-დემოკრატები იმიტომ ჩაცვივდნენ, რომ მათ პარტიის სიწმინდის შენახვაც მოუნდათ და ძალის წევრთა ხელში შენარჩუნებაც. მტკიცება კი მეტია, რომ ამისთანა პოზიცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გაუვალ წინააღმდეგობაში ჩააგდებს",[25] – ასეთ დასკვნას აკეთებდა ა. ჯაჯანაშვილი ქართველ სოციალ-დემოკრატთა შესახებ.

ვრცელი წერილის დასასრულ არჩილ ჯაჯანაშვილი სოციალიზმის შესახებ ასეთ დასკვნას აკეთებდა: «მარქსიზმის ისტორიულ კონცეფციას ცხოვრება არ ამართლებს. თვალი გადავავლეთ სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკას და აქაც ვერაფერი სანუგეშო ვერ აღმოვაჩინეთ: სოციალისტური პარტიები ყველგან სოციალისტურს ხასიათს კარგავენ და ბურჟუაზიულ პარტიებში ითქვიფებიან. რაც უფრო მეტი დრო გადის, სოციალისტური იდეალი მით უფრო შორს მიდის, სადღაც ბურუსში იკარგება. კლასიკური თვითშეგნების გაძლიერებისა და გაღრმავების ნაცვლად, ამ შეგნების დაბნელებასა და დაჩრდილვას ვხედავთ". ჯაჯანაშვილი სვამდა კითხვას: ვისთვის უნდა დაეგდო ხალხს ყური, როგორი ტაქტიკით უნდა დაახლოებოდა სოციალიზმის იდეას.[26]

პუბლიცისტი აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულებას აგრარული საკითხისადმი. კერძოდ, მათ დუმილს ქართული მიწების კოლონიზაციაზე. ის სწორად არ თვლიდა სოციალ-დემოკრატების მიერ მიწის სოციალიზაციის მოთხოვნის კრიტიკას მათი ოპონენტი სოციალ-დემოკრატებისაგან და წერდა: «ფედერალისტები მიწის სოციალიზაციას მოითხოვენ, მაგრამ ისიც არ

ავიწყდებათ, რომ ამ სოციალიზაციის მოსახდენად მიწები უნდა იყოს. ისინი მიწის განსაზოგადოებას ურჩევენ ხალხს, მაგრამ ეს გარემოება თვალებს არ უბრმავებთ: თუ ქართველ ხალხს სურს პროგრესის გზაზე სიარული, თუ მას სურს კაცობრიობის საერთო ფერხულში იყოს ჩაბმული, თავისი ინტერესები არ უნდა დაივიწყოს, ისეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩაიყენოს თავისი თავი, რომ სოციალიზაციისთვისაც გამოუსადეგარი გახდეს და სოციალიზმისთვისაც".[27]

პუბლიცისტი გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ ქართველი ხალხი შიმშილით კვდებოდა. მიწა არ ჰყოფნიდა და რაც ჰქონდა, მასაც სხვა ართმევდა. იგი მიმართავდა ხალხს: ეცადე შენი თავის ბატონ-პატრონი გახდე, შენი ტერიტორია შეინარჩუნო და მერე გინდა მიწის სოციალიზაცია მოახდინე და გინდა სოციალიზმი განახორციელეო.

არჩილ ჯაჯანაშვილი ვრცელ წერილებს უძღვნიდა სხვა პარტიების კრიტიკასაც, კერძოდ, იგი აკრიტიკებდა ანარქისტებს.[28] მისი შეხედულებები გააკრიტიკეს სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთებმა. «ისარი" პასუხს სცემდა ერთ-ერთ ასეთ კრიტიკას «დილაში". სარედაქტორო წერილში «ისარი" იცავდა თავისი პუბლიცისტის შეხედულებებს, რუსეთის მიერ ქართული მიწების კოლონიზაციას და ქართველი ერისთვის სამომავლოდ მშობლიური მიწის ფონდის შენარჩუნების აუცილებლობას. ჯაჯანაშვილს ამაოდ საყვედურობდა «დილა" მიწის სოციალიზაციის ქადაგებას, «ისარის" აზრით, მომენტის სრულიად განსაკუთრებულობა აიძულებდათ სოციალისტ-ფედერალისტებს ცხოვრებისთვის ედევნებინათ თვალყური, რათა მშრომელი ქართველი ხალხის «ინტერესი არ დაჩაგრულიყო".[29]

არჩილ ჯაჯანაშვილი ამავე პერიოდში მძაფრად აკრიტიკებდა ახლად შექმნილ ანარქისტულ პარტიას და მის იდეოლოგიას. კერძოდ, ანარქისტები აცხადებდნენ, რომ კერძო საკუთრება უნდა შეცვლილიყო სახალხო საკუთრებით, რაც ნაწილობრივ სოციალისტურ იდეოლოგიას უახლოვდებოდა. მაგრამ ანარქისტები უარყოფდნენ სახელმწიფოს, ქადაგებდნენ მის მოსპობას, რაც სოციალისტური მიმართულების მოაზროვნეებში დიდ პროტესტს იწვევდა.

არჩილ ჯაჯანაშვილის სპეციალური წერილი «ანარქისტები”, რომელიც გაზეთმა «ისარმა” დაბეჭდა 1907 წელს, მთლიანად ანარქისტული იდეოლოგიის უარყოფას წარმოადგენდა მეცნიერული არგუმენტებით. ინტელექტუალურ და მორალურ ძალთა ისეთს უმაღლეს განვითარებას, რასაც ანარქისტული წეს-წყობილება მოითხოვს, – წერდა ა. ჯაჯანაშვილი, დღევანდელ კაპიტალისტურ ხანაში ადამიანი ვერასგზით ვერ მიაღწევს. ამისთვის აუცილებლად საჭიროა ადამიანთა შორის ურთიერთობა ცოტა სხვანაირ ნიადაგზე დადგეს. საჭიროა, რომ ინდივიდუალისტური ფორმები ცხოვრებისა რამდენადმე მაინც საზოგადოებრივ ფორმებად შეიცვალოს. ამასთანავე ერთად საჭიროა, რომ თანდათან რაც შეიძლება მეტი ფუნქცია ჩამოშორდეს სახელმწიფოს და გადაეცეს საზოგადოებას. რაც შეიძლება შემცირდეს მძლეთამძლეობა სახელმწიფოსი და საზოგადოების ინიციატივასაც ფართო ასპარეზი მიეცეს. ამისთვის კი ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობაა საჭირო. აი, სწორედ ამ შემოქმედებით მუშაობას გაურბიან ანარქისტები” – ასკვნიდა პუბლიცისტი.

ჯაჯანაშვილი აკრიტიკებდა ანარქისტების იდეოლოგს კროპოტკინს. შეცდომად მიაჩნდა საარჩევნო ორგანოებში მუშაობაზე უარის თქმა და რევოლუციური მეთოდებით ბრძოლა არსებული წყობილების შესაცვლელად. ჯაჯანაშვილის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ ანარქისტები სახელმწიფოს უარყოფდნენ და მის ორგანოებში მუშაობასაც მიუღებლად თვლიდნენ.[30]

არჩილ ჯაჯანაშვილს არც ანარქისტების კრიტიკა აპატიეს ოპოზიციონერებმა. ახლად დაარსებულ გაზეთ «ქარიშხალში” გამოქვეყნდა მისი საპასუხო კარიკატურულ-სალანძღავი სტატია სათაურით: «სოციალისტ-ფედერალისტური აქლემი, მარქსისტული და ანარქისტული ჭიანჭველა, მწერალი უდაბნოში და უქმროდ დაბერებულ ქალწულთა გალობა ვაი-ვაის ხმაზე”. ჯაჯანაშვილმა გააკრიტიკა წერილის შინაარსი, ანარქისტული იდეოლოგია ერთხელ კიდევ ჩათვალა არათანმიმდევრულ, თითქმის უტოპიურ და შეუსრულებელ მოძღვრებად.[31] ანარქისტებიდან ეროვნულ პოზიციასთან ახლოს იდგა და «ისარში” ამაზე ვრცელ პუბლიცისტურ წერილთა სერიებს ბეჭდავდა მიხაკო წერეთელი.[32]

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას ეროვნული საკითხის იგნორირების გამო აკრიტიკებდნენ, მოჰქონდათ მაგალითები ევროპის ქვეყნებიდან, სადაც ეროვნულ საკითხს სოციალ-დემოკრატია უპირველესად თვლიდა. ასეთი იყო ამდროინდელი ავსტრია. «ისარი" ბეჭდავდა ავსტრიელ სოციალ-დემოკრატთა ეროვნულ შეხედულებებს, ასევე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესის მასალებს და ასკვნიდა: «ამნაირად, მარტო რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი ერთგული ყმა – ქართველი სოციალ-დემოკრატები არ იცვლიან ფეხს ერთხელვე მიღებული პოზიციიდან და დღესაც თუთიყუშებივით იმეორებენ ნახევარი საუკუნის წინ დაწერილ ფრაზას, – მუშებს სამშობლო არა აქვთო. რას იზამთ, ასეთია რუსეთის ბედი და სწორედ ამაში გამოიხატება მისი ჩამორჩენა. უფროს ძმისგან მიღებული ძველი ქურქი უნდა იმ დრომდე ატაროს, სანამ ძონძებად არ იქცევა".[33]

სოციალისტ-ფედერალისტური პრესა ყურადღებას ამახვილებდა ეროვნულ ხასიათზე, გამოჰყოფდა მანკიერ, უარყოფით თვისებებს, ამხელდა და მისი გამოსწორებისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას. ერთ ასეთ თვისებად ის ქართველი კაცის სიზარმაცეს, მის ინერტულობას თვლიდა. იხსენებდა ლერმონტოვის შეფასებას და წუხდა, რომ ეს ცილისწამება არაა, ქართველი კაცი რომ ზარმაცია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ რევოლუციაში დიდი პათოსით ჩაება, რეაქციის სუსხი როგორც იგრძნო, მაშინ კი წამსვე უკან დაიხიაო. რა თქმა უნდა, ეროვნულ ხასიათზე ასეთი მსჯელობა უფრო ზერელე იყო, ვიდრე ღრმა და ობიექტური. რეაქციის ხანაში რევოლუციონერთა უკანდახევა ერის ნიშან-თვისებას ნაკლებად განასახიერებდა, ეს უფრო ისტორიულ მოვლენათა განვითარების შედეგი იყო. მაგრამ პუბლიცისტი მაინც სწორად აღიარებდა ეროვნული იდეალების მსხვრევას, მარქსიზმის უარყოფით გავლენას ხალხის ფსიქიკაზე. ის ალბათ უკიდურეს მემარცხენეებს გულისხმობდა, თორემ თავად სოციალისტ-ფედერალისტებიც ხომ სოციალისტები, მარქსიზმის იდეოლოგიის მქონე პოლიტიკოსები იყვნენ! ამ შემთხვევაში ისინი ქართულ მარქსიზმს აკრიტიკებდნენ და წერდნენ: «ქართული მარქსიზმი პრინციპად აღიარებს ქართველი ერის მიერ ეროვნული იდეალების უარყოფას. ეს უკუდურესი გამოხატულებაა ჩვენი ეროვნული თვისებისა,

ისტორიულად წარმოშობილის და პოლიტიკურ მონობაში აღზრდილის თვისებისა. . ეს უკიდურესი მწვერვალია, სადამდინაც კი შეუძლიან მიუწიოს სიცოცხლის სიზანტემ, სასიცოცხლო ენერგიის დაზოგვამ, საკუთარი თავის სინანულმა და სიბრალულმა. ამაზე შორს ეს სიზანტე ვეღარ წავა. და აი, სწორედ ამიტომ აქ და ეხლა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევმუსროთ იგი, მედგრად და გაბედულად წამოვაყენოთ წინ ახალგაზრდული იმედიანობა ეროვნულ-პოლიტიკურის და ეროვნულ-კულტურულის შინაარსისა.[34]

ქართულ მარქსიზმის კრიტიკასთან ერთად ის წერდა რელიგიური სექტისა და პარტიის მსგავსება-განსხვავებაზე, არწმუნებდა მკითხველს, რომ რელიგიურ სექტად იქცევა პარტია, თუ იგი პიროვნების ბორკილი ჰხდება, ჰბოჭავს მის წევრებს და საზოგადოებას რაღაც დოგმებს კარნახობს. მთელი ეს იდეური მსჯელობა გაზეთს მიმართული ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაკენ, რადგან ამავდროულად დავა იყო მათ პრესას შორის, ხოლო «ისრის" რედაქტორის ვალერიან გუნიას დავა ფილიპე მახარაძესთან სამედიატორო სასამართლოში ირჩეოდა.[35]

იმპერატორის მიერ გამოცემულ 3 ივნისის მანიფესტს გაზეთი «ისარი" დაწვრილებით განიხილავდა და მას ხალხის უფლებების შეზღუდვად, დემოკრატიის უკან დახევად თვლიდა. გაზეთი დეტალურად არჩევდა 1905 წლის 6 აგვისტოს I საარჩევნო კანონს, II კანონს 1905 წლის 11 დეკემბერს გამოცემულს და 1906 წლის 3 ივნისის III საარჩევნო კანონს, რომლითაც რუსეთის ბევრ განაპირა რაიონს შეეზღუდა საარჩევნო უფლებები, რაც შეეხება საარჩევნო უფლებაწართმეულ რაიონებს, «ისარი" წერდა: «წინანდელის კანონით, საარჩევნო უფლება გავრცელებული იყო მთელ რუსეთის იმპერიაზე. ახალი კანონი საარჩევნო უფლებას ართმევს: თურქესტანს, სემიპალატინის, აკმოლინის და იაკუტსკის ოლქებს. ხოლო პოლონეთსა და კავკასიაში ამცირებს დეპუტატთა რიცხვს, კავკასიას 29 დეპუტატის მაგიერ ეყოლება 10 წარმომადგენელი. გაზეთის ცნობით, შეღავათი მისცეს განაპირა ქვეყნებში მცხოვრებ რუსებს, მათ ცალკე საკუთარი დეპუტატების არჩევის ნება მისცეს. ასეთი იყო მეფის თვითმპყრობელურ რუსეთში დემოკრატია და ნაციონალური საკითხის გადაჭრის გზები. «ისარი" უარყოფით შეფასებას აძლევდა 3 ივნისის კანონს და მისი სრული ანალიზის შემდეგ ასკვნიდა: «ასეთია

საზოგადოთ და დაახლოვებით 3 ივნისის საარჩევნო კანონი. იგი მიმართულია ერთის მხრით დემოკრატიის წინააღმდეგ და მეორეს მხრით არა რუსთა (ინოროდცების) წინააღმდეგ. მისი საგანია შექმნას «ზომიერი" და მორჩილი, აგრეთვე «წმინდა რუსული სათათბირო".[36]

II სახელმწიფო სათათბიროს დახურვისა და 3 ივნისის საარჩევნო კანონის გამოქვეყნება ნიშანი გახდა ახალი რეაქციისა ქვეყანაში. დაიწყო მკაცრი ზომების გატარება რევოლუციურად მოაზროვნე ადამიანების წინააღმდეგ, რასაც ადასტურებდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტ ტიმოფეევის ბრძანება. ბრძანებით უბრალო მხატვრული ნაწარმოები თუ ჭორის განმეორება, თუ მასში მთავრობის საწინააღმდეგო აზრი იყო გატარებული, ბოროტმოქმედებად ითვლებოდა, ან ფულადი ჯარიმით – 3000 მანეთამდე ისჯებოდა, ან სამთვიანი პატიმრობით. გაზეთი დანანებით წერდა, რომ I სახელმწიფო სათათბირომ მხოლოდ 72 დღე იარსება, მეორემ კი – 101, ორივემ მხოლოდ 4 კანონის გამოცემა მოასწრო და მეტი ვერა, მაშინ, როდესაც ამოდენა ქვეყანაში უამრავი პრობლემა იყო.[37]

გაზეთმა «ისარმა" განსაკუთრებული პირდაპირობა გამოიჩინა ილიას მკვლელთა მხილებისას, დაჰგმო მათი ნამოქმედარი, შეუტია სოციალ-დემოკრატიულ პრასას და მის იდეოლოგიას. გაზეთმა ილიას მოკვლისთანავე გამოაქვეყნა ნეკროლოგი, წერილები და მკითხველთა ნაამბობი მკვლელობაზე. ვრცელ სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო: მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე! საოცარია და დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია უკვე, საშინელი ფაქტი, არა გვგონია, რომ იყოს ისეთი შეგნებული ქართველი, რომელსაც ცოტა რამ უღვივის გულში, და სინდისი შერჩენია, რომ არ აღშფოთდეს და არ შეძრწუნდეს ამ საშინელების გაგონებაზე. ეს რა დღეს მოვესწარით, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს.?"

გაზეთის პუბლიკაციები მთელი გაბმული ზარი იყო ამ დიდი ადამიანის მკვლელობასა და ქართველი ერის ტრაგედიაზე, იყო შეჩვენება მკვლელებისა და მამულიშვილური ვალით ანთებულ ქართველ პატრიოტთა ფიცი დიდი ქართველის ნეშტის წინაშე: არ დახრიდნენ ძირს საქართველოს განთავისუფლების დროშას, არ

უღალატებდნენ იმ იდეებს, რომელსაც მთელი ცხოვრება ერთგულებდა, მსახურებდა და ამკვიდრებდა ილია ჭავჭავაძე.

შთამბეჭდავი იყო მიხეილ ჯავახიშვილის წერილი, «მოჰკლეს პოეტი!", სანდრო შანშიაშვილის ლექსი «იგლოვეთ!", მიხაკო წერეთლის წერილი «კაცია-ადამიანი?!", განდეგილის «კაინ, სად არის შენი ძმა?", იროდიონ ევდოშვილის «ნაძირალებს", ეპისკოპოს ლეონიდის სამძიმარი ქუთაისიდან, ია ეკალაძის «ამონაკვესი", გიორგი გვაზავას ლექსი, კალისტრატე ცინცაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა 1 სექტემბერს ქაშუეთში გამართულ პანაშვიდზე და საქართველოს ყოველი კუთხიდან «ისარში" გამოგზავნილი დეპეშები. მაგრამ სიმძაფრე, კრიტიკა და ქართველი ერისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ საზარელი მკვლელობის გამო ჩანდა დიდი ქართველი პოეტის, ილია ჭავჭავაძის ნაამაგარი და მისი უსაყვარლესი მოწაფის ვაჟა-ფშაველას წერილში «ვერ მოჰკლეს!" აკაკის სიტყვაში «ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!". «ნუთუ ამგვარი ხალხი, ამდენ ტანჯვას გამოვლილი და ამდენის ამტანი, იმდენად დასცა ასმა წელიწადმა, რომ თავის მოღვაწეს, ახალმოძრაობის წინამორბედს, მესვეურს, რომელიც ყოველ საქმეს წინ უდგა, თავის ხელით გაიმეტებდა? არა! ამას ვერ დავიჯერებ და ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!".[38]

აკაკის აზრით, «მოღალატეები ძველ დროშიაც ჰყოლია საქართველოს. მამელუკები და იანიჩრები უმეტესად გადარჯულებული ქართველები ყოფილან. ძირეულ თათრებზე ისინი უფრო ემტერებოდნენ საქართველოს, სდევნიდნენ რჯულსა და ეროვნებას, მაგრამ ამით საქართველო არ შებღალულა და ქართველობას სახელი არ გასტეხია" . . . პოეტი თანამედროვე სკოლებში არ გამორიცხავდა ასეთ იანიჩარ-მამელუკთა აღზრდას, იმ გადაგვარებულ, არაეროვნულ სკოლაში, რომელსაც ასე ებრძოდა დიდი ილია და ყველა შეგნებული ქართველი. ალბათ, ერთ-ერთი მათგანის წილიც დევს ამ საზიზღარ მკვლელობაშიო, – ასკვნიდა აკაკი. ვაჟას წერილი, სიტყვა ილიას დასაფლავებაზე წარმოთქმული და პოეტის მკვლელზე დაწერილი ლექსი სავსეა ცრემლით, ვაჟკაცური დატირებით დაშურისძიებით ანთებული სულისკვეთებით.

«ისარში" ვაჟას ორი წერილი დაიბეჭდა: «ვერ მოჰკლეს!"[39] და «სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე".[40] ორივე წერილში დიდი მწერლის ტრაგიკული

აღსასრულით გამოწვეული გრძნობის გარდა, საუბარი იყო დიდ ეროვნულ ტკივილზე, ქვეყნის მტრების დაუნდობლობასა და რევოლუციის სახელით დატრიალებულ უბედურებაზე, ანტიქართულ საქმეებზე. «ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ საქართველოსაც მოჰკლავდნენ!'' – ვაჟას ეს ცნობილი სიტყვები პირველად სწორედ «ისარში'' გახმიანდა. ვაჟამ აჩვენა მკითხველს, რა შეიძლებოდა მოეტანა იმ სოციალისტურ ბოდვას, რომელიც ვინ იცის, ვის წისქვილზე ასხამდა წყალს, ქართველი კაცის გარდა. ქვეყანა ერთი კაცი შეიძლება იყოს და ეს კაცი ჩვენი ერისთვის დიდი ილია იყო, ამიტომ მისი სიკვდილი მთელი ქვეყნის სიკვდილიაო – წერდა ვაჟა. «საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა . .რევოლუციის სახელით. საბრალო, საწყალო რევოლუციავ ჩვენს ხელში! . . – ამ ირონიული წამოძახილით ვაჟა ქართველი ერის ერთი ნაწილის, სოციალისტური რევოლუციის იდეით შეპყრობილი დოგმატიკოსების ქმედებებს ამათრახებდა, მათ XX საუკუნის ჰეროსტრატებს უწოდებდა და ქართველ ერს მოუწოდებდა – არ ეძიათ შური მკვლელებზე, არ დადგომოდნენ მათ გზას, მხოლოდ დიდი ილიას ნაანდერძევის შესრულებისა და მისი ნაჩვენები გზის გაყოლით უკვდავეყოთ დიდი მგოსანი.

«მოჰკლეს ილია! . . მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება. დიახ! ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასიათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო დაკლების მაგივრად, გრძნობა სიყვარულისა და სიბრალულისა მოიმატებს ერის გულში. . . საწყალი ილია, საწყალი ილია! მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, – უმტკიცებდა მკითხველს დიდი ვაჟა, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავისი ქვეყნისა. იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიეგარა ცივ სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავისი ქვეყნისა. . . გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გავუმასპინძლდით,

წყლულები ჩვენს მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენს მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დამალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არ აფიქრებინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი. . . "

ილიას ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაშიც ვაჟა ამათრახებდა საქართველოში არსებულ ბნელ ძალებს, პირადი ინტერესებით მოქმედ, წყვდიადით სინათლის, ბოროტებით სიკეთის დამთრგუნავ ადამიანებს, ჩამოთვლიდა ილიას ღვაწლს ერის წინაშე, იმედს გამოთქვამდა, რომ ერი არ უღალატებდა დიდი მწერლის ანდერძს, ფიცს სდებდა მისი დიდებული ნეშტის წინაშე, რომ ილიას დროშას არ დახრიდა დაბლა, მის ნაანდერძებ იდეალებს არ გადაუხვევდა.[41]

ისტორიის შურისძიებას უწოდებდა დიდი იაკობ გოგებაშვილი ამ შემზარავ მკვლელობას. მწერალი ილიას მკვლელობას შემდეგნაირად წარმოსახავდა და ასეთ ბიბლიურ პარალელებს ავლებდა: «შეუდარებელი, უებრო შურისძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო, ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოვფხვრით და გავაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ გააღმერთა იესო, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი-კიდედ და ქრისტიანობა გადააქცია მსოფლიო სარწმუნოებად. ჯვარცმულნის ჯალათნი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე.

იაკობ გოგებაშვილი გამოთქვამდა რწმენას, რომ ილიას სახელი ამიერიდან შარავანდედით იბრწყინებდა, მისი სურათი ყველა ქართულ ოჯახში იქნებოდა ძვირფას ადგილზე დაკიდებული, მისი დიდება დღითი-დღე იმატებდა. ის აყენებდა წინადადებას, გამოეცათ პოეტის ნაწარმოებთა სრული კრებული. ამ საქმეს სათავადაზნაურო ბანკსა და საქართველოს თავადაზნაურობას აკისრებდა. «მათ ის

პენსია, რომელსაც ილია იღებდა, უნდა წლითიწლობით გადასდონ საგამომცემლო თანხად, იმის თხზულებების დასაბეჭდად, შეუკვეთონ ევროპის საუკეთესო მხატვრებს მათი დასურათება, ყოველი ქმნილება მისი, ჩინებულად დასურათებული, გამოსცენ ცალკე წიგნად, სულ მცირე ფასი დაადონ და მთელ საქართველოში მოჰფინონ". ქართველი ერი, როდესაც მის თხზულებებს გაითავისებს და კიდევ მეტად შეიყვარებს მას, ეს იქნება ყველაზე დიდი შურისძიება მკვლელებზეო. ამასთან მკვლელები აუცილებლად უნდა მოიძებნონ და დაისაჯონო, – ასეთი იყო იაკობ გოგებაშვილის აზრი.[42]

გაზეთი «ისარი" დეტალურად გადმოსცემდა ილიას გადმოსვენებას საგურამოდან თბილისში, მის პანაშვიდებს, ყველა გამომსვლელს, ქუჩებში შეკრებილ ხალხს და ა.შ. იმდენად შთამბეჭდავია ეს აღწერა, თითქოს ფილმი იყოს, ცრემლიანი თვალით რომ უნდა უყურო. გაზეთი მკითხველს იმასაც ეუბნებოდა, აკაკის სიტყვაზე როგორ აქვითინდა მანამდე მდუმარე პროცესია. ავადმყოფმა მგოსანმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აივნიდან თქვა თავისი ცნობილი სიტყვა, რომელიც ასე დაასრულა: «შენ შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს ჰსურთ და გგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით, წინაუსწარ მის სიკვდილს! . . ."[43]

«ისარი" დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატიულ «ჩვენ გზას", მათ შორის პოლემიკაც გაიმართა, რადგან «ისარმა" სამართლიანად დაჰგმო აღვირახსნილი იდეური ბრძოლის კამპანია, პირად შუღლსა და მტრობაში რომ გადადიოდა და ილიას დასახვა მემამულედ, რომელიც გლეხებს ტანჯავდა. მისი შეურაცხყოფა და დამცირება, რაც სოციალ-დემოკრატიულ (ორივენაირ) პრესაში დაიწყო ნოე ჟორდანიას მიერ და გასრულდა ფილიპე მახარაძის პასკვილებით, «ისარმა" ილიას მკვლელობის ინსპირაციად, მისთვის ბიძგის მიმცემად ჩათვალა, «ჩვენმა გზამ" ასეთი ბრალდება ვერ აიტანა და თავის მართლება დაიწყო, სადაც კიდევ უფრო

მეტად აჩვენა თავისი მტრული დამოკიდებულება ეროვნული იდეოლოგიისადმი, ილია ჭავჭავაძის პიროვნებისადმი. გაზეთი «ისარი" ასახელებდა «კვალის" 1903 წლის პუბლიკაციებს, «ცნობის ფურცლის" პოლემიკას მასთან და ბუნებრივად თვლიდა პოეტის ამგვარ აღსასრულს. თანაც თითქმის ასახელებდა მკვლელებს, თუ ისინი არ იყვნენ ნამდვილი მკვლელები, მკვლელობის წამქეზებლები მაინც არიანო.[44]

ილიას მოკვლის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პრესასა და «ისრის" სარედაქციო შემადგენლობას შორის კამათი გაიმართა. «ისარმა" დაბეჭდა პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების კრების შესახებ, სადაც ილიას მკვლელობის დაგმობას ხმა მისცა 72-დან 45-მა; დანარჩენებმა თქვეს: ილიას მოკვლა რევოლუციური საქმე იყო და ჩვენ მაგაზე ვერაფერს ვიტყვითო, რასაც გაზეთი «ისარი" აღშფოთებით შეხვდა. მან ასეთი განწყობილების დანერგვა სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას დააბრალა. «ჩვენს გაზეთში" სხვებთან ერთად «ისრის" წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანია, გაამართლა თავისი პარტია და თქვა: ჩვენ ხუთი წლის წინათ რაღაც ვთქვით, ხალხმა ახლა მოისმინა და იძია შური თუ ეგ თქვენი ხერხია, გინდათ ამით გვებრძოლოთო? «ისარმა" ჟორდანიას სარედაქციო მოწინავე წერილებითაც გასცა პასუხი და სახელობითი სტატიებითაც. ერთ-ერთი იყო მიხეილ ჯავახიშვილის ვრცელი წერილი ნოე ჟორდანიას პასუხად. მწერალი ჟორდანიას სოციალ-დემოკრატების ვექილს უწოდებდა, ხოლო იმ პრესის თავისუფლებას, რომელმაც ილიას მკვლელობა შეამზადა, უზნეო და უაპელაციო უწოდა.

მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, თავისუფალ პრესას მაინც სჭირდებოდა მორალური მუხრუჭები, ზნეობრივი კრედო, რაც არ ჰქონდათ მათ მოწინააღმდეგეებს. «სოციალ-დემოკრატებთან კამათისა და ბრძოლის დროს ჩვენ ხელ-ფეხს ვიბოჭავთ ზნეობრივ ცენზურით, – წერდა მ. ჯავახიშვილი, – ისინი კი არ აღიარებენ აბსოლუტურ თავისუფლებას და წერენ ყველაფერს, რაც კი ენაზე მოადგებათ და რაც ფრჩხილის ოდენა სარგებლობას მაინც მოუტანს მათ პარტიას: ჭორიკანობენ, ცრუობენ, ცილს სწამებენ, ორგულობენ და ორპირობენ, ოღონდ პარტია გაიზარდოს, ოღონდ მოპირდაპირე დამცირდეს, ოღონდ მათმა სახელმა

ხალხის თვალში ერთი გოჯით მაინც აიწიოს მაღლა და ბებელისა არ იყოს, ეშმაკსაც კი დაუმეგობრდებიან. ასეთი დიდი მანძილია ჩვენსა და სოციალ-დემოკრატიის მორალს შორის”[45] – ასკვნიდა მ. ჯავახიშვილი, რომელიც ამ დროს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო, საბოლოოდ, კი მისგან გამოყოფილ და ცალკე პარტიად ჩამოყალიბებულ ეროვნულ-დემოკრატებს შეუერთდა.

გაზეთი «ისარი” ილიას სიკვდილის მომდევნო თვეებში დახურვამდე განუწყვეტლივ ბეჭდავდა მასალებს მის შემოქმედებაზე, პოეტის მოსაგონად გამართულ ლიტერატურულ საღამოებზე და სხვა. 1907 წლის 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის მოსაგონად გამართულ ლიტერატურულ საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ქართველოლოგმა, ილიას მეგობარმა არტურ ლაისტმა. გაზეთმა «ისარმა” მეორე დღესვე ეს წერილი სრულად დაბეჭდა. ეს ცნობილი წერილი ასახავდა იმ დიდი ადამიანების მეგობრობას, თანამშრომლობას და მათ შეხვედრებს თბილისსა და საგურამოში. ლაისტი აღნიშნავდა, რომ გაცნობამდე მიწერ-მოწერა აკავშირებდა ილიასთან, გაიცნო კი 1884 წელს და მაშინვე დაუმეგობრდა. მის პორტრეტს ასე ხატავდა ლაისტი: «აღფრთოვანებული პოეტი, ნამდვილი ქართველი, უარმყოფელი წოდებისა, ქართველთა აზროვნების შემაერთებელი და ქართველთა ცხოვრების წინ წამწევი. ის, რაც ათასს ქართველს არ შეეძლო მიეცა თავისი ერისთვის, მისცა მხოლოდ მან ერთმა. ის იყო ღერძი, რომელიც თავის გარშემო იკრებდა დანარჩენ ძალებს, აუმჯობესებდა ამ ძალებს და ჰფანტავდა გარშემო სამშობლოს ცხოვრების განახლებისათვის. სამშობლო გულმხურვალედ უყვარდა, მაგრამ ამასთან იმის ნაკლულევანებასაც გონივრულად უყურებდა”, – ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე ა. ლაიტის თვალით.

ეს წერილი ხსნიდა ილია ჭავჭავაძის ბუნებას, იმას, რომ ის ერის წინამძღოლი იყო კარგახანს, მაგრამ როდესაც საქართველოში პოლიტიკური პარტიები შეიქმნენ, მათ დაიწყეს ილიას კრიტიკა, საზოგადოდ, ქართული მწერლობა ზედმეტად მიიჩნიეს. ჩვენ მოვიტანთ ადგილს ლაისტის წერილიდან: «ახალს პარტიებში ილია ჭავჭავაძეს ბევრი ჰყავდა მოწინააღმდეგე. ისინი უარყოფდნენ არა თუ იმის ლიტერატურულ შრომას, არამედ მთლად ლიტერატურასაც კი ვერ მიმხვდარიყვნენ,

რომ ყოველთვის და ყველგან საზოგადოებრივი განვითარება დამოკიდებული ყოფილა გონებრივ განვითარებაზე. ისინი არკვევენ პროგრესის საკითხებს და აშენებენ ახალ იდეალებს. ქართველთა ცხოვრებაში ბოლო დროს წინააღმდეგს ვხედავთ. ბევრმა, ძალიან ბევრმა შეაქცია ზურგი ძველს გამოცდილ მეთაურს და იმის მომხრეებს, რომელნიც მომავალს აშენებდნენ წარსულის ნიადაგზე. შეაქციეს ზურგი, ვინაიდან მათ ახალთ, არ უნდოდათ წარსული, ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ თავის მშობლიურ ცხოვრებას და ხელთ ჰქონდათ რა ევროპული საზოგადოების მკურნალების მრავალი რეცეპტი, უარყოფდნენ წარსულის მნიშვნელობას, თუმცა ამ წარსულშია ცხოვრების ყოველი ფესვი. ჯერ ისევ ამ ორი-სამი წლის წინათ ი. ჭავჭავაძემ თქვა, რომ ზღვის იქიდან მოტანილი რეცეპტებით მკურნალობა, საშინელ ავადმყოფობასა და ქაოსამდე მიგვიყვანსო და მგონია ასეც მოხდა! იგი კარგა ხანს უყურებდა ამ მოვლენას შეწყნარებით და როდესაც ერთხელ უთხრეს, რომ ერთს მიტინგზე, რომელიღაც ახალგაზრდა ყმაწვილები ხალხს არწმუნებდნენ, ვითომ დიდებულს მწერლებსა და პოეტებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ ცხოვრებაშიო, ძალიან გაეცინა”.

არტურ ლაისტი იგონებდა ილიას საუკეთესო დამოკიდებულებას საგურამოელ გლეხებთან, ამათრახებდა იმათ ჭორს, ვინც ილიას გლეხთა მჩაგვრელად და დიქტატორად ასახელებდა. გერმანელი მკვლევარი იხსენებდა თანამედროვე ისტორიკოსის, კარლ ლემანის სტუმრობას ილიასთან და მის აღფრთოვანებას ილიას ურთიერთობით ხალხთან.[46]

ილიასადმი მიძღვნილი სტატიებით და პუბლიკაციებით «ისარმა” ერთხელ კიდევ აჩვენა თავისი ერთგულება ეროვნული იდეალებისადმი, შეურიგებლობა იმ სოციალისტურ პარტიებსა და იდეოლოგებთან, რომელთაც კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის სახელით სურდა საქართველოს ღირსეული შვილებისათვის ანგარიშის გასწორება, კოსმოპოლიტიზმის და ინტერნაციონალიზმის დროშით ქართული ეროვნული სულიერების ჩახშობა.

§. II აგრარული საკითხი გაზეთ «ისარში”

«ისარი” ისევე, როგორც მისი წინამორბედი შრომა” აგრარულ საკითხს განსაკუთრებულად აშუქებდა. რუსეთის I რევოლუციის ეს ძირითადი საკითხი არ შეიძლებოდა რომელიმე პარტიის, რომელიმე პრესის ორგანოს განსაკუთრებული თემა არ ყოფილიყო. გაზეთი აანალიზებდა I სახელმწიფო სათათბიროს დამოკიდებულებას აგრარული საკითხისადმი და მიიჩნევდა, რომ ეს საკითხი მან ვერ გადაჭრა. საჭირო იყო ადგილობრივი საგლეხო კომიტეტების საქმიანობის გააქტიურება, მათი საქმიანობა დაეყრდნობოდა იმპერიის ცალკეულ ადგილებში არსებულ თავისებურებათა გათვალისწინებას და საჭირო ორიენტირების დასახვას. II სახელმწიფო სათათბიროშიც მწვავედ დაისვა ეს საკითხი. გაზეთი გადმოსცემდა სათათბიროს სხდომებზე გამოსულ დეპუტატთა სიტყვებს და შემდეგში გარკვეულ ანალიზს აკეთებდა აგრარულ სფეროში შექმნილ პრობლემებზე.

გაზეთი «ისარი” გულისტკივილით აქვეყნებდა ინფორმაციებს ქართული მიწების გაყიდვაზე, მათ უცხოელთა ხელში მოხვედრაზე. ხშირად დიდი სათავადო მამულები ბანკში იყო დაგირავებული და მემამულე ბანკს ვერ უხდიდა გირაოს, რის გამოც მამული საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. «ისარში” მოტანილ ამგვარ ინფორმაციათა შორის შეიძლება დავასახელოთ ბორჩალოში თავად ბარათაშვილის 8000 დესეტინა მიწის გაყიდვა საჯარო ვაჭრობის წესით, რომელიც წილად ხვდა თბილისელ სომეხს არამიანცს, რომლის 20 ათასი მანეთი ვალად ჰქონია თავადს. მამული კი 600 ათასი მანეთი ღირდა.[47] გაზეთ «ისრის” აზრით, სათათბიროს შვიდთვიანმა მოღვაწეობამ მიწის საკითხი გააქტიურა, II სათათბირო კი – «მიწისა და თავისუფლების ლოზუნგით იქნა არჩეული”.[48] გაზეთი თვლიდა, რომ ეს ორი საკითხი ორგანულად უკავშირდებოდა ერთმანეთს. სანამ ხალხი არ მიიღებდა პოლიტიკურ თავისუფლებას, მიწის საკითხიც ვერ გადაწყდებოდა.

«ისარს” მოჰყავდა პოლონელების, ფინელების, ბალტიისპირელთა, უკრაინელთა და შუააზიელთა გამოსვლები სათათბიროში, თვლიდა, რომ ყველა მათგანი ოდესმე წარმატებას მოიპოვებდა მიწისა და თავისუფლების პარალელურად გადაჭრაში, მაგრამ მათ ვერ შეუერთდებოდა საქართველო, რადგან

მისი წარგზავნილი სოციალ-დემოკრატებისათვის «თავისუფლება" არ იყო პარტიული პროგრამით გათვალისწინებული საკითხი.

«ისარი" დიდ ყურადღებას უთმობდა კოლონიზაციის საკითხს. აღწერდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში რუსთა და სხვა ერის წარმომადგენელთა დასახლებას ქართველთა ხარჯზე და მოუწოდებდა ქართველ მემამულეებს არ შეეწყოთ ხელი აღნიშნული პროცესისათვის. წერილში – «ნუთუ ხმას არავინ ამოიღებს?" გაზეთის პუბლიცისტი აღწერდა გიორგი შარვაშიძის მამულში, სოხუმში, 24 მოიჯარადრე მეგრელი გლეხის მდგომარეობას, რომ ამ გლეხებს გასახლებით ემუქრებოდა შარვაშიძის ბერძენი მოურავი. გაზეთი შიშობდა, რომ ამ მიწებზე რუსები არ დაესახლებინათ, თხოვდა გ. შარვაშიძეს ეზრუნა თანამემამულეთა ბედზე.[49] «ისარი" შემდეგშიც არ ივიწყებდა ამ კერძო შემთხვევას, ვრცელ წერილს უძღვნიდა შარვაშიძის მოიჯარე გლეხებს, აღნიშნავდა, რომ იჯარა მათ ისე დაუმძიმეს და ისე მკაცრად წაუყენეს ულტიმატუმი – ან ამაზე დათანხმდით, ან აქაურობა დატოვეთო, რომ გლეხობას ალბათ უეჭველი აყრა არ ასცდებოდა. გაზეთი ისევ რევოლუციაზე ამყარებდა იმედს, რწმენას გამოთქვამდა, რომ აჯანყებული ხალხი სამართალს თვითონ მონახავდა.[50]

მთავრობის აგრარულ პოლიტიკაში გადასახლება დიდ როლს თამაშობდა. 1904 წლის სპეციალური კანონით, რომელსაც იმპერატორმა მოაწერა ხელი, დასახლებული უნდა ყოფილიყო ციმბირი და რუსეთის სამხრეთ გუბერნიები. ამისთვის ცენტრალური რუსეთიდან უნდა გაესახლებინათ ხალხი და სათანადო თანხებიც გამოეყოთ მათ დასამკვიდრებლად. მთავარი რუსეთისათვის განაპირა რაიონების გარუსება, «ინოროდცების" მიწების დაკავება იყო. ამას უხსნიდა მკითხველს გაზეთი «ისარი" და წერდა: «მთავრობას «ინოროდცების" ზურგზე განუზრახავს აგრარული საკითხის გადაწყვეტა. როცა საზოგადოება, პარლამენტი, პრესა, ყველანი ეუბნებიან, რომ მიწის საკითხი ადგილობრივ უნდა გადაწყდეს, რისთვისაც კერძო მემამულეთ უნდა ჩამოერთვას თვალუწვდენელი მამულებიო, მთავრობა დიდის რიხით გაიძახის: «კერძო საკუთრება წმინდა უფლებაა და ხელუხლებელი უნდა იყოსო". ბურჟუაზიული ევროპის წინაშეც თავი მოაქვს, როგორც კერძო საკუთრების წმინდა უფლების დამცველს. მაგრამ მისი უბედურება

ისაა, რომ არავინ ტყუვდება და ყველა ხედავს რას ნიშნავს ეს თავგამოდებული დაცვა კერძო საკუთრებისა, ყველა ჰხედავს, რომ მთავრობა მხოლოდ შიდა რუსეთის მემამულეთ იცავს, ე.ი. თავისსავე საკუთრებას, რადგან უმთავრესი მიწათმფლობელი რუსეთში იგივე ბიუროკრატია არის". გაზეთის აზრით, მთავრობა არ ერიდებოდა «ინოროდცებს" და მის საკუთრებას იკავებდა, მიწათმოქმედების მინისტრის ვასილჩიკოვის ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებაზე მიუთითებდა «ისარი" და ითხოვდა ამ უსამართლობათა აღკვეთას.

რუსული პრესაც კი ზოგჯერ, გამოთქვამდა წუხილს კავკასიის ასეთი ფართო კოლონიზაციის გამო და აღნიშნავდა ამ მხარის მცირემიწიანობას, ადგილობრივ მკვიდრთა სიღარიბეს, რის გამოც მათ შეიძლებოდა დაეკავებინათ ეს მიწები. «რეჩ"-ი აფრთხილებდა სათათბიროს და ურჩევდა, ნუ შეუწყობდა ხელს მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკას. გაზეთს მოჰყავდა სტატისტიკური ცნობები, რომელიც ამტკიცებდა ადგილობრივთა სავალალო მდგომარეობას. «ისარი" ბეჭდავდა «რეჩ"-ის ამ მონაცემებს: «ტფილისის გუბერნიაში სულზე მოდის 4,7 დესეტინა კარგი და უვარგისი მიწა. ქუთაისში – 1,9 დესეტინა. და აი ამისთანა პირობებში, მთავრობას განზრახვა აქვს გადაასახლოს იქ რუსი გლეხები და თითო სულს მიუზომოს 4-12 დესეტინა სახაზინო მიწა. სრულებით გასაკვირი არ არის, თუ კავკასიელნი შეშფოთებულნი არიან მთავრობის საკოლონიზაციო გეგმებით". კადეტების გაზეთ «რეჩ"-ის ამგვარ დამოკიდებულებას აგრარული პრობლემებისადმი იწონებდა «ისარი" და ასკვნიდა, რომ ამ პრობლემას იმჟამინდელი ვერც მთავრობა გადაწყვეტდა და ვერც სათათბირო.[51]

გაზეთი «ისარი" განიხილავდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში შექმნილ მდგომარეობას, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მეაბრეშუმეობისადმი, რაც ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და გარკვეულ სარგებლობას აძლევდა ამ რეგიონის მცირემიწიან მოსახლეობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა მან შეიძინა 1906-07 წლებში, როცა დასავლეთ საქართველოში დიდ მოუსავლიანობას დაემატა დამსჯელი რაზმების დაუნდობელი მოქმედება, ძარცვა, ეგზეკუციები, ფულის შეწერა გლეხობისათვის და ა. შ. მეაბრეშუმეობაში ჩარეული იყვნენ ვაჭარ-მევახშეები, ისინი ნისიად აძლევდნენ გლეხებს აბრეშუმის

თესლს, შემდეგ კი გამზადებულ პარკს თხოვდნენ, რითაც დიდ მოგებას იღებდნენ. «ისრის" რედაქცია ამ მავნე ჩვევის წინააღმდეგ მოუწოდებდა საზოგადოებას და გლეხებს სწორ გზას ასწავლიდა. მწარმოებელ გლეხებს უნდა მოეგროვებინათ ურთიერთშორის ფული და გამოეწერათ თესლი კავკასიის სააბრეშუმო სადგურიდან, ან სხვა საიმედო ფირმიდან, რომელიც მცირე ფასი დაუჯდებოდათ და რიგიანი თვისებაც ექნებოდა.[52]

მეაბრეშუმეობის განვითარებას და ზოგადად, სოფლის მეურნეობის დაწინაურებას ისახავდა მიზნად ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა «კოლხიდა". საზოგადოება შეიქმნა 1900 წელს. მან შეიძინა მიწის ნაკვეთები, საბაღე ადგილები, მეაბრეშუმეობის მოსაწყობად საჭირო მამულები, კერძოდ: ბალახვანში მას ჰქონდა 3000 საჟენი მიწა, 10 ათასი მანეთის ღირებულების საბაღე, სადაც გამართული იყო 2500 ფუთამდე დამტევი პარკის სახმობი ფარდული და ასევე კანტორა.

აქვე იყო ვენახის, ხეხილის, საყანე, საბაღე და საბოსტნე ადგილი. ამხანაგობამ შეიძინა ბამბის სარჩევი და სხვა მანქანები, მოჰყავდათ დიდძალი ბამბა და ამუშავებდნენ. ქირაობდნენ სეზონურ მუშებს. ბამბისა და აბრეშუმის საწარმოებლად საჭირო ფულს ამხანაგობა სესხად იღებდა ქუთაისის საურთიერთობო ბანკიდან, ან ბათუმის სახელმწიფო და ჩინეთის ბანკებიდან, სადაც აგირავებდა გაყიდვამდე არსებულ საქონელს, ბამბას ამხანაგობა «კოლხიდა" ჰყიდდა მოსკოვსა და ლოძში, პარკს – მარსელსა და ლიონში. «კოლხიდას" რჩებოდა მცირე მოგება, რომელსაც ურიგებდა წევრებს, ან იძენდა ქონებას და საჭირო ინვენტარს.

«კოლხიდას" გამგეობის თავმჯდომარე იყო მეურნე იოსებ ქუთათელაძე, გამგეობის წევრები: რ. დათეშიძე (დირექტორი), კ. ოცხელი, ფ. საბაშვილი და ი. კვიცარიძე. თბილისში ამხანაგობას ჰქონდა ღვინის სარდაფი, სადაც ინახებოდა კახელ მევენახეთა საზოგადოების – «კახეთის" ღვინო, ამ საზოგადოების წარმომადგენლობა მთელი ქუთაისის გუბერნიისათვის «კოლხიდას" ჰქონდა მინდობილი. «კოლხიდა" იყო ასევე წარმომადგენელი ქართლში «სკრის" მემამულეების, ძმები ფრიდონოვების სანერგე მეურნეობისა, ასევე იღებდა დამყნობილ ვაზს იმერეთში ცნობილი მევენახეებისაგან, საქარის საცდელი მეურნეობიდან. ამხანაგობას დიდი მიზნები ჰქონდა, უპირველესად ეს ხალხში

სამეურნეო ცოდნის გავრცელება იყო, მეურნე გლეხებს ის ეხმარებოდა ბამბისა და აბრეშუმის მოყვანა-გასაღებაში, ასევე კრედიტების და სესხების აღებაში. იგი შეისყიდდა ხილს, თესლს და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. გაზეთი «ისარი" ვრცლად გადმოსცემდა «კოლხიდას" საქმიანობის სხვადასხვა მხარეს და მიიჩნევდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის მსგავს ამხანაგობებს დიდი როლის თამაში შეეძლო.[53]

«ისარში" დაბეჭდილი წერილები ეხებოდა მეღვინეობის და მევენახეობის პრობლემებს. გაზეთი რეკლამას უწევდა სუფთა ქართულ ღვინოებს, მათ შორის «ხვანჭკარას", რომელიც მზადდებოდა ქუთაისში. სოფელ ხვანჭკარაში მცხოვრებნი ლუარსაბ ლუარსაბის ძე ყიფიანი, დიმიტრი, დათა და მანუჩარ ყიფიანები, რომლებსაც გაზეთი ხვანჭკარელ მემამულეებად მოიხსენიებს, მთელ თავიანთ ყურძენს აძლევდნენ ქუთაისის მარანს და იქ მზადდებოდა ხვანჭკარა. თუ სხვაგან ნახოთ ღვინო, ფალსიფიცირებული იქნებაო, – მიმართავდა გაზეთი მკითხველს. ღვინის საწყობი, რომელიც ამ ღვინოს ინახავდა და ყიდდა ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე იყო მოთავსებული და ჯარიმასაც კისრულობდა 2000 მანეთის ოდენობით, თუ ვინმე დაამტკიცებდა მისი ღვინის არაბუნებრიობას.[54]

გლეხების მდგომარეობას საქართველოში აღწერდა ვასილ წერეთლის ვრცელი პუბლიკაცია «სოფლის ავი და კარგი". წერილში წერეთელი აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიას, მათ პროლეტარიზაციის და ინტერნაციონალიზმის თეორიას. თვლიდა, რომ დეცენტრალიზაცია იქნებოდა ქართველი გლეხისთვის პირობების შემქმნელი, მისი მშველელი და გამომყვანი ამ გაუსაძლისი მდგომარეობიდან. პროლეტარიზაციას ის ყალბ ფატალისტურ მოძღვრებას უწოდებდა, რომელიც აშენებული იყო მეტაფიზიკურ საფუძველზე, ანტიმეცნიერულ დიალექტიკაზე. ქადაგებდა კომუნების შექმნას სოფლებში, ერთობასა და თავისუფლებას, რაც პოლიტიკური დეცენტრალიზაციით მიიღწეოდა.[55]

«ისარში" პერიოდულად ქვეყნდებოდა აგრარული კომისიის მუშაობის ანგარიშები. ეს კომისია შეადგინა თბილისის თავადაზნაურთა კრებამ და კომისიის თავმჯდომარედ მიხეილ მაჩაბელი დანიშნა. მან ვრცელი მოხსენება წარადგინა თავადაზნაურთა კრების წინაშე, რომლის სათაურიც მიანიშნებდა მის

მნიშვნელობაზე. საქმე ეხებოდა მკვიდრი მოსახლეობისათვის მიწის ფონდის შენარჩუნებას და დაცვას. მკვიდრ მოსახლეობად მომხსენებელი თვლიდა ყველა მცხოვრებს, განურჩევლად ერისა, წოდებისა და სარწმუნოებისა, რომელიც თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა რუსეთის შემოსვლამდე. გადმოსულ და უცხო ელემენტებად კი მათ მიიჩნევდა, ვინც რუსეთის დამკვიდრების შემდეგ იყვნენ აქ გადმოსახლებულნი. «ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, – განმარტავდა მ. მაჩაბელი, – ვითომ უფლებები უნდა შეეზღუდოს გადმოსახლებულთ, პირიქით. ტფილისის თავადაზნაურობამ მათზედაც ისე უნდა იზრუნოს, როგორც სხვებზე, მაგრამ საკითხის განხილვის დროს ზემოხსენებული სამართლიანი თვალსაზრისით ძალაუნებურად იბადება ასეთი კითხვა, ეყოფა თუ არა საგუბერნიო მიწის ფონდი ტფილისის გუბერნიაში მოსახლე მიწის მომუშავეთ”.

მომხსენებელი სტატისტიკურ ცნობებს იშველიებდა და ამტკიცებდა, რომ თბილისის გუბერნიაში თავისუფალი მიწა სულ აღარ იყო და უმიწობა ხალხს ძალზედ აწუხებდა. «ცხადია, რომ ამის შემდეგ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და სხვა ადგილებიდან ხალხის გადმოსახლება უდიდესი უსამართლობაა, – ამბობდა მომხსენებელი, – და ამ საქმეზე ფულის დახარჯვა ნიშნავს ამ ფულის წყალში გადაყრას”.[56]

გაზეთი «ისარიც” ეთანხმებოდა მ. მაჩაბლის ამ მოსაზრებას და უმატებდა, რომ თავადაზნაურობის შუამდგომლობით რუსთა გადმოსახლება უნდა შეჩერებულიყო. გაზეთის აზრით ვერც ეს უშველიდა საქმეს, თუ არ გაუმჯობესდებოდა მიწის დასამუშავებელი ტექნიკა, სოფლის მეურნეობის კულტურა არ ამაღლდებოდა, არ გავრცელდებოდა აგრარული განათლება. ამის განხორციელება არც თავადაზნაურობას, არც ადგილობრივ საზოგადოებასა და ადმინისტრაციას არ შეეძლო. ამას მხოლოდ ერობა განახორციელებდა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო შემოღებული საქართველოში. ერობის შემოღებას წინ უნდა წაძღოლოდა მეორე, ფართო საგლეხო რეფორმა, რომელიც გლეხებს გაათანასწორებდა, მოსპობდა მათ დაყოფას სხვადასხვა კატეგორიებად: სახაზინო, მონადელე, ხიზან და სხვა ტიპის გლეხებად. ამ რეფორმის წინ კი უნდა მომხდარიყო დროებითვალდებულობის სრული გაუქმება და ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრა.

თავადაზნაურთა შუამდგომლობით ნამესტნიკს უნდა შეეტანა მთავრობაში საამისო კანონ-პროექტები. გადმოსახლების აკრძალვის შემდეგ სახაზინო გლეხების მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდებოდა, ვიდრე სხვა კატეგორიის გლეხების. გლეხობის გარდა, თავადაზნაურთა კრებას ყურადღება უნდა მიექცია იმ წვრილი აზნაურობისათვის, რომლებიც გაღატაკდნენ და ლუკმა-პურს ძლივს შოულობდნენ. ასევე საჭირო იყო ბრძოლა მიწების დაქუცმაცების წინააღდეგ.

მოხსენებას დართული ჰქონდა აგრარული კომისიის მოკლე ინსტრუქცია, საიდანაც ჩანდა, რომ თბილისის დეპუტატთა საკრებულოსთან არსდებოდა 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მოქმედებდა თავადაზნაურთა წინამძღოლისა და დეპუტატთა ინსტრუქციის თანახმად. აგრარული კომისიის 9 კაციან შემადგენლობას ბევრი რამ ევალებოდა. კერძოდ, თავისუფალი მიწის გამოყოფა შიდა უმიწო გლეხებისა და ცალკეულ პირთათვის. შუამავლობა მემამულეთა და მამულის მყიდველ გლეხთა შორის, სამეურნეო დახმარება, კრედიტის შოვნა და სხვა. სათავადაზნაურო კომიტეტი წელიწადში 6000 მანეთს იღებდა აგრარული კომისიის შტატების შესანახად, 10000 მანეთს სამეურნეო თანხიდან გადასცემდა აგრარულ კომისიას სხვადასხვა საჭიროებისათვის. აგრარული კომისიის თავმჯდომარე იყო მიხეილ მაჩაბელი, აგრარული კომისიის საქმეების გამგე იყო ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი).

აგრარული კომისიის მუშაობა საინტერესოდ ვერ წარიმართა. ამაზე გაზეთი «ისარი'' დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა მკითხველს. გაზეთი კომისიის წარუმატებელ მუშაობას აბრალებდა იმას, რომ წინასწარი სამუშაოები არ ჩატარებულა, არ შეგროვილა სტატისტიკური ინფორმაცია, რასაც კომისია სახელმძღვანელოდ გამოიყენებდა. ეს კი ერობის არარსებობისა და ასეთი მასალების არქონით იყო გამოწვეული. გაზეთი ამ საქმის მოგვარებას უკავშირებდა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნას მომავალში, არსებულ ვითარებაში კი ვერც კერძო პირი და ვერც კომისია ვერაფერს თვალსაჩინოს ვერ გააკეთებდნენ.

გარდა უცხოტომელთა მიგრაციისა, საქართველოში ხდებოდა შიდამიგრაციებიც. უმიწაწყლო ადამიანები ეძებდნენ თავისუფალ მიწებს,

ყიდულობდნენ, ანდა თვითნებურად ესახლებოდნენ. «ისარი” აღწერდა ლაგოდეხსა და მის ახლო-მახლო სოფლების ქაბალასა და ბებურიანში ხალხის ჩასახლებას და აღნიშნავდა, რომ ეს ადგილები ჰავით, მიწით, წყლით და მდებარეობით ყველას მოსწონდა. ადამიანები ძველ სამოსახლოებს, გამოფიტულ ადგილებს ტოვებდნენ და აქ მოდიოდნენ. გაზეთის ერთ-ერთი პუბლიცისტი ს. მაჭარაშვილი, ითხოვდა ცნობებს აქ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ, რაც გააადვილებდა ადამიანთა ადვილად ჩამოსვლას და დამკვიდრებას. მისი კითხვები ასეთი იყო: რა სოფლებში იყო თავისუფალი ადგილები, რამდენი კომლის დასახლება შეიძლებოდა დაახლოებით, რა ღირსების იყო ნიადაგი, ჰავა და სხვა. სახელმწიფო იყო მიწა თუ საბატონო, რა პირობებით შეიძლებოდა დასახლება სახელმწიფო ან საბატონო მიწაზე.[57]

თბილისის გუბერნატორის ბრძანებით შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ 1907 წლის აპრილში შეისწავლა შირაქში ჩასახლების საქმე. კომისიის თავმჯდომარე იყო თავადი აფხაზი, ხოლო წევრები ქიზიყის მომრიგებელი შუამავალი ჯორჯაძე და შირაქის ბოქაული ბასილოვი. კომისიამ განიხილა დუშეთისა და თიანეთის მცხოვრები გლეხების ჩასახლების ფაქტი შირაქში. ეს იყო 237 კომლი დუშეთიდან, 266 კომლი – თიანეთის მხრიდან. შირაქში ცხვრის ძოვების უფლება ჰქონდათ თუშებს და რამდენიმე კომლს ამ მაზრებიდან. თუშები პროტესტს აცხადებდნენ ჩასახლების ამ შემთხვევაზე, რადგან ახალდასახლებულთა სოფლები ხელს უშლიდნენ საძოვრებზე თუშთა ცხვრების გატარებას. მეფისნაცვალიც წინააღმდეგი იყო შირაქში მცხოვრებთა ჩასახლების, რადგან ეს ქაოსსა და უწესრიგობას გამოიწვევდა. კომისია დაეთანხმა მხოლოდ იმ გლეხთა ჩასახლებას შირაქში, რომელთაც 1884 წლის კანონით ჰქონდათ აქ ცხვრის ძოვების უფლება, საკუთარი მიწა-წყალი არ ჰქონდათ და შორ გზაზე მოგზაურობა ძვირი უჯდებოდათ. 4000-5000 დესეტინა შირაქში უნდა მიცემოდათ მათ. მანამდე კი კომისიას უნდა გაერკვია დუშეთსა და თონეთში არსებული მდგომარეობა და თავისუფალი მიწის რეზერვები. მცოდნე კაცებს უნდა მოეწყოთ შირაქში ჩასახლებულთა მოწესრიგება: გზის დატოვება ცხვრისათვის, საძოვრებით, სახნავებით სარგებლობა და სხვა. ამიერიდან შირაქში ჩასახლება შეწყვეტილად ცხადდებოდა.[58]

მიწის საკითხის გადასაწყვეტად და გლეხებისათვის სესხის მისაცემად შექმნილი საგლეხო ბანკის საქმიანობას კავკასიაში ხშირად იხილავდნენ სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთები. 1907 წლის 10 ნოემბერს «ისარი" ვრცლად წარმოადგენდა ამ ბანკის საქმიანობის ანგარიშს, აკრიტიკებდა მის ზოგიერთ მიდგომას. კერძოდ, ბანკს ყველაზე დიდი ზომის მამულებისათვის მიუცია უპირატესობა, რამდენიმე ქართველი მემამულისაგან შეუსყიდნია მიწა და მსხვილ მემამულეებს მიწა უფრო ნაკლებ ფასში მიუციათ ბანკისათვის. საგლეხო ბანკს, 1907 წლის 1 ნოებრისათვის 50 ათასი დესეტინა მამული ჰქონდა ნაყიდი, მაგრამ გაზეთი ამით არ კმაყოფილებოდა, «საგლეხო ბანკი, მარტო სყიდვაზე ხომ არ უნდა ზრუნავდეს," – წერდა იგი, – სყიდვა მხოლოდ საშუალება უნდა იყოს მიწის გასასყიდად შეღავათიანი პირობებით გლეხებზე. რამდენი უმიწაწყლო ან მცირემიწიანი გლეხი გამხდარა საკმაო მიწის პატრონად? რამდენი მიწა შეუძენიათ საერთოდ გლეხებს ამ საგლეხო მიწის ფონდიდან? – კითხულობდა გაზეთი და დასძენდა, რომ ამის შესახებ საგლეხო ბანკის ანგარიშში არავითარი ცნობა არ იყო. ამიტომ საგლეხო ბანკის მოღვაწეობას იგი უარყოფითად აფასებდა გლეხობისათვის. აღნიშნავდა, რომ მას მხოლოდ მემამულეებისათვის ჰქონდა მნიშვნელობა.

გაზეთი «ისარი" არც იმ ჭორს უმალავდა მკითხველს, რომ თითქოს ეს ბანკი შექმნილი იყო ქართველი მემამულეებისაგან მიწის ხელში ჩასაგდებად, შემდეგ კი ამ მიწებზე რუსი ჩამოსახლებულების განთავსებას მოახდენდა. ბანკის საქმიანობა თითქოს ამ ჭორს პასუხობდა, გაზეთი კი დასძენდა: «თუ მართლა ესაა ნამდვილი დანიშნულება და ფარული პოლიტიკა საგლეხო ბანკისა კავკასიაში, იგი დიდ განსაცდელს უმზადებს კავკასიის მშრომელ გლეხობას და საშინელ ეროვნული შუღლის მთესველობას კისრულობს"-ო.[59]

გაზეთი მრავალგზის დაუბრუნდა ამ ბანკის თემას, ერთხელ გამოჩენილი და გამოთქმული ეჭვიც ბევრჯერ გაახმოვანა, მაგრამ აპოთეოზს ამან გაზეთის მოწინავე წერილში მიაღწია, 1907 წლის 8 დეკემბერს რომ გამოქვეყნდა «ისარში". «ნუ გგონიათ, რომ ეს ფონდი უბრალო კერძო საკუთრება იყოს! იგი გრძნეული ძალაა, იგი ღონეს იკრებს და მალე ნაციონალისტურ პოლიტიკის ულეველ შადრევნად იქცევა, იგი თავის ღვარძლიან საძირკვლიდან წარმოშობს ქართველი ხალხის

გაბოგანოებას, იგი ნავთს დაასხამს ეროვნული შუღლის ცეცხლს, იგი მთელ საქართველოს გაავსებს ავაზაკთა ბრბოებით, იგი დაასადგურებს ჩვენს ქვეყანაში შიმშილს და სიკვდილს, იგი ჩვენი ხალხის დასაწველ კოცონებს შექმნის...” – აღშფოთებით წერდა გაზეთი.

გაზეთი «ისარი” გამოფხზილებისაკენ მოუწოდებდა ქართველ ერს. «კმარა, იფხიზლეთ, იფხიზლეთ! თორემ მალე დაგვიანდებადა მალე ამოვიჭამთ თავს ისე, რომ ქართველი ერის ნეკროლოგის დამწერიც აღარ მოიძებნება”, – ასეთი იყო მისი შემზარავი დასკვნა.[60]

აგრარული საკითხების ირგვლივ «ისარში” გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებით საინტერესოა შიდა ქართლში მცხოვრებ ქართველ დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობის აღწერა, რომელსაც ხელს პუბლიცისტი «ლეგატუს” აწერს. წერილში დაწვრილებით იყო აღწერილი ფრონეს სამი ხეობის – ალის, ფცის და დვანის სოფლები. აქაურ სოფლებში დაბურული ტყეები გაუკაფავთ ქართველ მემამულეთა მიერ ჩამოყვანილ ოსებს და დასახლებულან. «ოსების დასახლება ამ ხეობებში იწყება XIX საუკუნიდან”, – ვკითხულობთ წერილში, ამ დროიდან მემამულეებმა პირველად დაასახლეს ოსები შემდეგ სოფლებში: ბალთასა, გალინასა, ოჟორასა, ნორბისსა, ბეყმარსა, შავდასა და ყორნისში. 1850 წლიდან მემამულეებმა დაასახლეს ოსები და გაშენდა შემდეგი სოფლები: ღარისთავი, მეტეხი, სხლითი, ხტანა, თორმანეული, ხოდა, ფრონევი, მუღრისი და ქვემო ქვათეთრი.” მემამულეები ალბათ ერთმანეთის ჯიბრით ასახლებდნენ ოსებს და ამ შეუხებელ ტყეებს, ქართლის სიმდიდრეს, უწყალოდ, სისტემატურად აკაფინებდნენ.

წერილის ავტორის აზრით, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, ოსების ჩასახლებამ აქ ერთიორად იმატა. მას დეტალურად აქვს დასახელებული შიდა ქართლის ის სოფლები, სადაც ადრე ქართველები ცხოვრობდნენ. XX საუკუნის დასაწყისისათვის კი უკვე მთლიანად ოსებით იყო დასახლებული. საქმე ის იყო, რომ ოსების დასახლებით, ხიზნების დაჩემებით, სხვაზე მეტ მამულს იჭერდნენ, ხიზანს მამულის სარგებლობაში გლეხზე მეტი უპირატესობა ჰქონდა. მას უფლება ჰქონდა უსასყიდლოთ ესარგებლა ტყიდან შეშით, დასაწვავად თუ სახლის ასაშენებლად, დროებითვალდებულ გლეხს კი არაფრის უფლება არ ჰქონდა. იგი

ხიზანზე მეტ ღალას იხდიდა, საძოვარს საქონლისათვის უფასოდ ვერ შოულობდა და ა.შ. პუბლიცისტის თქმით, ამ დროისათვის (1907წ.) ოსების დასახლება ისევ გრძელდებოდა. ხერხეულიძეების, ტატიშვილების და სხვა მემამულეების მიწები მათ ეკავათ. «წარმოუდგენელია ისეთი უსამართლობა, როგორც ოქონის და ავლევის მემამულეებმა ჩაიდინეს, – წერდა გაზეთი, – ცხვირწინ ოსი ხიზნები დაასახლეს, გვერდში მცხოვრებ, მამულით გაჭირვებულ გლეხებს კი მიწა წაართვეს”. . . გაზეთი ამ ორი სოფლის გარდა ასახელებდა ოსებით დაკავებულ სოფლებს, ამბობდა, რომ ეს ყველაფერი გამიზნულად იყო მიმართული ქართველი ხალხის წინააღმდეგ.[61]

საინგილოდან, აქაური მკვიდრი, შემდეგში ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი ზაქარია ედილაშვილი წერდა გლეხების უსასოო მდგომარეობაზე, საინგილოს გადაგვარებაზე, რასაც ხელს უწყობდა მოძალადე ლეკებისაგან დაწესებული გადასახადები, ე.წ. ქიშქელი და ბრიატი. ყველა კომლი ყოველწლიურად იხდიდა 33 ფუთ ჭირნახულს პურსა და ბრინჯს. ეს გადასახადი მიდიოდა ჭარის, ტალის, მუახახის და სხვა ლეკებით დასახლებული სოფლების სასარგებლოდ. კანონი ამ გადასახადს არ ითვალისწინებდა, იგი ოდესღაც ინგილო ქართველების დაპყრობის ჟამს დაუწესებიათ ლეკებს და აქამდე აგრძელებდნენ. ამ გადასახადს ქეშქელი ერქვა, რისთვისაც ბევრჯერ იჩივლეს ინგილოებმა, დაიბარეს თბილისიდან კომისიაც, მაგრამ ვერას გახდნენ.

ზაქარია ედილაშვილი ყურადღებას ამახვილებდა ასევე ბრიატის გადასახადზე. ეს უფლება შემონახული იყო კაკის ნაწილში, სადაც მებატონე სულთანოვები ცხოვრობდნენ, ესენი ძველი თავადები გურამიშვილები იყვნენ, მაგრამ მუსლიმანობის მიღებასთან ერთად გამოიცვალეს გვარები და სულთანოვები დაირქვეს. გარდა ქეშქელისა, ისინი ყმებს ადებდნენ ბეგარას, ამუშავებდნენ, აგარაკზე წასვლისას ავეჯს გადააზიდინებდნენ, ქალის გათხოვებისას საჩუქრების მირთმევას ითხოვდნენ და ა.შ. ამას «ბრიატი” ერქვა. ქართველები ქრისტიანობდნენ, თავის წეს-ჩვეულებებს იცავდნენ, მაგრამ ისე დააფრთხეს, რომ ახლა ყველა გიპასუხებთ – თათარი ვარო. ახლა გურჯისტანში სულ მუსულმანური წესები მკვიდრდება, ცოლებად ლეკები მოჰყავთ, რომლებიც შვილებს როგორ ასწავლიან ქართულს, როცა თავად არ იციანო. მევენახეობაც მოშალა ხალხმა, ქვევრები

ამოყარეს, მოლებადაც დაღესტნელი ლეკები მოჰყავთ, რომლებიც ხელს უწყობენ ინგილოების გადაგვარებასო, – წერდა ინგილო და წერილს ასე ასრულებდა: «ამგვარ მდგომარეობაშია დღეს საინგილო, სარწმუნოებას ენაცვალა ეროვნება და თუ დროზედ არ მოევლო ამ სამწუხარო მოვლენას, ბოლოს გვიანღა იქნება თითზე კბენანი".[62]

სოციალისტ-ფედერალისტური პრესა დიდ ყურადღებას აქცევდა სოციალისტური იდეოლოგიის ახსნას მკითხველისათვის, კლასების ურთიერთდამოკიდებულებას, მათ როლს მომავალი საზოგადოების აშენებასა და მათ პარტიულ პროგრამებში.

რუსეთის პირველი რევოლუციის დროს საქართველოშიც დაიწყო მუშათა გამოსვლები. გაზეთი «ისარი" აღწერდა მუშათა აჯანყებებს ფოთში, ბათუმში, ქუთაისში, თბილისში და სხვაგან. «უსაქმოდ დარჩენილ მუშათა რაოდენობა, – წერდა გაზეთი, – დღითი დღე იზრდება. გალაღებული მექარხნეები, მრეწველები და სხვა ფულის პატრონები ყოველდღე მუშათა ახალ-ახალ რაზმებს აყენებენ შრომის გარეშე და დაუზოგავად აძლევენ მათ ხელში მშიერ სიკვდილს. სარეზერვო ჯარი კაპიტალიზმისა მატულობს. მარტო კავკასიაში ამ ჯარს ყოველდღე ასობით და ათასობით კაცი ემატება. უსაქმოდ დარჩენილი მუშები უმწეოდ აწყდებიან ერთმანეთს საქმის საშოვნელად და თუ სადმე სამუშაო რამ დაინახეს, სასტიკ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. სოლიდარობის ნაცვლად უსაქმოდ დარჩენილ მუშათა წრეებში შუღლი, უნდობლობა და მტრობა შეაქვთ". აქედან გაზეთს დასკვნა გამოაქვს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა მუშათა ბრძოლასა და შეკავშირებას, რომ ამ კლასის სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა დაარსებულიყო პროფკავშირები. ისინი იყვნენ, მაგრამ უფრო ქაღალდზე ვიდრე რეალურად, რადგან არც ბრძოლის გამოცდილება ჰქონდათ და არც ამ ბრძოლის საწარმოებლად საჭირო თანხა. ძლიერი პროფკავშირები აღადგენდა მუშათა სოლიდარობას, დაეხმარებოდა მათ გაჭირვების დაძლევაში.[63]

გაზეთი «ისარი" ხშირად წერდა მუშათა მოძრაობაზე, მუშათა ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. არჩილ ჯაჯანაშვილის ვრცელი პუბლიკაცია შეეხებოდა

კოოპერაციების როლს მუშათა ყოფაში. ჯაჯანაშვილის აზრით, მუშათა მოძრაობა რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, მიმართული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ. პოლიტიკური პირობების გაუკეთესება არ შეადგენდა სოციალისტური პარტიების ინტერესს, მათ სოციალური მიზნები ჰქონდათ. ყველა პარტია თავისი პროგრამების სხვაობის გამო, სხვაგვარად უყურებდა კოოპერატივების საკითხს, რასაც ჯაჯანაშვილი ასე აღწერდა: «სოციალ-დემოკრატი ისე ვერ შეხედავს კოოპერაციებს, როგორც სოციალისტ-ფედერალისტი, რომელიც თავის აგრარულ პროგრამას საფუძვლად მიწის სოციალიზაციას უდებს. კოოპერაციებს ქალაქებში და განსაკუთრებით კი სოფლებში სოციალ-დემოკრატისათვის ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, რანაირიც სოციალისტ-ფედერალისტისათვის, რომელსაც აზრადა აქვს ამ კოოპერაციების საშუალებით გააადვილოს ჯერ მიწის განსაზოგადოება და მერე კი სოციალიზმის განხორციელებაც. სოციალისტ-ფედერალისტისათვის კოოპერაციები პრაქტიკული მოქმედების ქვა-კუთხედია, სოციალ-დემოკრატიისათვის მას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს".

არკვევდა რა განსხვავებას ამ ორი სოციალისტური პარტიის მიდგომაში კოოპერატივების საკითხისადმი, პუბლიცისტი გამოდიოდა თვით ამ ორგანოს შეფასებით. «ორნაირი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციებს, – წერდა იგი, – ჯერ ერთი კოოპერაციების შემწეობით მუშა ხალხს საშუალება ეძლევა ჩარჩულ ვაჭრობასა და უსაშველო ყვლეფა-გლეჯას შეებრძოლოს, იაფი და კარგი სანოვაგე შეიძინოს, გააუბჯობესოს სამუშაო იარაღი, შეიძინოს სასოფლო მეურნეობისათვის საუკეთესო თესლეულობა და სხვა ამგვარი ათასი და ათასი. კოოპერაციები საშუალებას აძლევს მშრომელ ხალხს თავისი ყოველდღიური მდგომარეობა გაიუმჯობესოს და რასაც კაპიტალისტებთან ბრძოლით ვერ მოიგებს იგი ურთიერთდახმარებითა და შეწევნით შეივსოს".

მეორე მხრივ, მას კოოპერატივები აინტერესებს, როგორც სოციალიზმის საფუძველი და სოციალისტური წეს-წყობილების დამყარების შესაძლებლობა. მისი აზრით, მარტო პოლიტიკური ბრძოლა ვერ მოიტანს ამ წყობილების დამყარებას, «საჭიროა თანდათან, სისტემატიური შეცვლა არსებული წეს-წყობილებისა

სოციალისტურის ელემენტებით", კოოპერაციები კი ისეთი ორგანიზაციები იყვნენ, რომლითაც მუშებს შეეძლოთ სოციალისტური მიზნების განხორციელება. მართალია, საქართველოში მცირე ფული ჰქონდათ კოოპერატივებს განსხვავებით ევროპის ქვეყნებისაგან, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. «ქართველი მუშა ამ შემთხვევაში უკეთეს პირობებში იმყოფება ვიდრე ევროპელი, – ასკვნიდა წერილის ავტორი, იმათ საშინელი შრომა გასწიეს მათ შესაქმნელად, ქართველ მუშას კი შეუძლიან პირდაპირ ევროპის მაგალითს მიმართოს, შეცდომები შეასწოროს და ცხოვრებაში კარგი რამ განახორციელოს. ისტორია ევროპიელ კოოპერაციებისა. . . საუკეთესო თავდებია იმისა, რომ ჭეშმარიტ ნიადაგზე აღმოცენებული საქმე ყოველთვის სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს.[64]

§. III განათლებისა და კულტურის საკითხები გაზეთ «ისარში"

1905-1907 წლების რევოლუციის დროს ქართულმა კულტურამ დიდი ზიანი მიიღო. აჯანყებების თუ მათი ჩაქრობისას რუსეთის ჯარის მოქმედება ხშირად ეხებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. იხურებოდა გაზეთები, ინგრეოდა შენობები, სიახლეები კულტურულ ცხოვრებაში თითქმის აღარ იყო. გაზეთი «ისარი" ობიექტურად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებული გულისტკივილით აღწერდა იმ პოლიტიკურ ტერორს, რაც რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში ასე მასშტაბური გახდა ქვეყანაში. გამოჩენილი ქართველი პედაგოგის და პატრიოტის შიო ჩიტაძის მკვლელობის დეტალებს მიეძღვნა გაზეთის რამდენიმე ნომერი, სადაც ვერც ერთი ავტორი თავის აღშფოთებას ვერ მალავდა ამ ბარბაროსული აქტის გამო. 1907 წელს შიო ჩიტაძის მკვლელობის შემდეგ, ბათუმში მოკლეს ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე). ის იყო კარგი ექიმი და ასევე მშვენიერი ფილოლოგი, რაც იმით გამოიხატა, რომ ბათუმის ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობისას მიიწვიეს თბილისის ქართულ გიმნაზიაში უფროს კლასებში ქართული ენის მასწავლებლად.

იმ ზარალზე რაც ქართულმა კულტურამ რუსეთის I რევოლუციის წლებში განიცადა, წერდა გაზეთი «ისარი”. «ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ ერთი საოცარი თვისება ქართველი ერისა, – იუწყებოდა გაზეთის მოწინავე სტატია, – რომელიც მან გამოიჩინა განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს. იმ დროს, როცა ყველა ეროვნებამ, ვისაც კი სიცოცხლის ნიშან-წყალი ჰქონდა შერჩენილი, ფართოდ ისარგებლა რუსეთის მდგომარეობით და ერთსა და იმავე დროს რევოლუციაშიც შეიტანა თავისი წვლილი და საკუთარი ეროვნულ-კულტურული საქმეებიც წინ წასწია, ჩვენ მთელი ჩვენი ენერგია რევოლუციას შევწირეთ და სულ დავივიწყეთ ჩვენი კულტურული საქმე”.

გაზეთი ასახელებდა ფაქტებს: ფინეთში, პოლონეთში, ბალტიისპირეთში შექმნილ მდგომარეობას და აღნიშნავდა, რომ საქართველოში სკოლების ნახევარი დაიკეტა, როდესაც ამ ქვეყნებში იგი გაორმაგდა, წიგნის ბაზარზე ორი წლის მანძილზე არაფერი გამოსულა ახალი, არც ერთი ეროვნული კავშირი არ დაარსებულა – მასწავლებლების იქნებოდა ეს, ექიმების თუ მწერლების. ხალხში იმდენად დაეცა ინტერესი საზოგადო საქმეებისა და კულტურული დაწესებულებებისადმი, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებებსაც აღარ ესწრებოდნენ. უყრიდა რა ყველა ასეთ მაგალითს თავს გაზეთი «ისარი” ხატავდა ერის გულგრილობას, ენერგიის გამოლევისა და უიმედობის საშინელ სურათს”.

«დრო მიდის, გამძვინვარებულ რეაქციას თანდათან უკანვე მიაქვს ესოდენ მწარე ბრძოლით მოპოვებული უფლებანი და დაპყრობილ პოზიციებს ერთიმეორეზე იბრუნებს უკანვე. ნუთუ იმოდენა ძალაც კი აღარ შეგვრჩენია, რომ შევაჩეროთ ეს ძლევამოსილი იერიში შავი ძალებისა და წინ დავუყენოთ უბრალო სურვილი მაინც შინაურ მუშაობისა და ერის კულტურული განვითარებისა?” – კითხულობდა გაზეთის სარედაქციო ჯგუფი და ასახელებდა იმ მიზეზებსაც, რასაც ეს შედეგი მოჰყვა. «ჩვენი დაძაბუნება და გულხელდაკრეფა შედეგია იმ საზოგადოებრივი პესიმიზმისა და უიმედობისა, რომელიც ქართველ ხალხს გულში შეეპარა და ღრღნის იმის ისედაც გამოლეულ ენერგიას. ეს პესიმიზმი და უიმედობა, გულგრილობა და გულცივობა უსაშინლესი სენია, რომელსაც

ყოველნაირი საშუალებით უნდა ვებრძოლოთ და უეჭველად დავამარცხოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასი წლით კიდევ უნდა გადავდოთ ჩვენი განახლებისა და აღორძინების საქმე", – ასეთი იყო გაზეთის საბრძოლო დასკვნა.[65]

უმაღლესი და დაბალი სწავლა-განათლების მოსაწყობად ჩვენში, რეკომენდაციებს იძლეოდა «ისრის" პუბლიცისტი – ალ. ცაგარელი. მისი აზრით, ქართველები წელზე ფეხს იდგამდნენ, რათა უმაღლესი განათლება მიეცათ ახალგაზრდებისათვის და ისინი თავიანთ სამსახურში ეხილათ. მართლაც, 200-მდე ქართველი ახალგაზრდა ღებულობდა ყოველწლიურად რუსეთისა და ევროპის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში დიპლომს, თუმცა უმცირესი მათგანი ბრუნდებოდა სამშობლოში, დანარჩენები რუსეთის დიდ ქალაქებში რჩებოდნენ. გაზეთი აყენებდა წინადადებას, რომ ფული რაც ამ ახალგაზრდების აღზრდაზე დაიხარჯა, ტყუილად არ უნდა დაკარგულიყო. სამსახურში ჩადგომის შემდეგ ამ ახალგაზრდებს ეს თანხა უნდა დაებრუნებინათ ნაწილ-ნაწილ მაინც მშობელი ქვეყნისთვის. ხელწერილი ამის თაობაზე წინასწარ უნდა ჩამორთმეოდათ სტუდენტებს, სტიპენდიების მიმცემი საზოგადოებისა თუ პირებისაგან. ამ ფულით უნდა აღორძინებულიყო დაწყებითი სკოლები, «დაბალი სწავლა-განათლების საქმე ჩვენში".[66]

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებული იყო იაკობ გოგებაშვილის წერილი რედაქციის მიმართ, სადაც ავტორი უსაყვედურებდა ქართველ მეცენატებს, რომ სტიპენდიები ენიშნებოდათ უღირს ადამიანებს, იძლეოდა წინადადებას შემდგარიყო კომიტეტი 6 ან 7 კაცისაგან, ვინც სამართლიანად გაანაწილებდა სასტიპენდიო თანხებს. გოგებაშვილი ძირითადად ქართულ ეროვნულ მუსიკას, ფოლკლორს და სასიმღერო გუნდების პროფესიონალურ შედგენას ეხებოდა.[67]

რამდენიმე ნომრის შემდეგ ამ სტატიას გამოეხმაურა კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი. ფალიაშვილის აზრით, ქართული ფილარმონიული საზოგადოება წარმოადგენდა ავტორიტეტულ დაწესებულებას, რომლის ფუძემდებელ წევრად გოგებაშვილიც ითვლებოდა. ეს საზოგადოება უსახსრობის გამო ვერ ეხმარებოდა ნიჭიერ მუსიკოსებს, მაგრამ თუ ექნებოდა საშუალება, დაეხამარებოდა მათ, უნიჭოს და ნიჭიერს განარჩევდა და სიმართლით მიაგებდა ყველას საჭირო დახმარებას. ის

საყვედურობდა გოგებაშვილს, რომ პირდაპირ არ მიუთითა ფილარმონიულ საზოგადოებაზე, რადგან ვერც ერთი კერძო პირი მასზე უკეთეს რჩევას ვერ მისცემდა ნიჭიერ მუსიკოსს.

თუ ზუბალაშვილები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ურიცხავენ ფულს სტიპენდიებისათვის, რათა მასზე უკეთ ვერავინ გაანაწილებს, ამ თანხას, რატომ არ უნდა მისცემოდა იგივე უფლებები მუსიკის დარგში ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას.[68]

გოგებაშვილსა და ფალიაშვილს შორის კამათი ამით არ დასრულებულა. გოგებაშვილი აკრიტიკებდა ფილარმონიულ საზოგადოებას, რომელიც ამჯობინებდა ნათარგმნი ოპერების დადგმას და არა ორიგინალური მუსიკის კონცერტებს. მიაჩნდა, რომ «ეროვნული ხორო", რომლის შედგენა დაევალა ზაქარია ფალიაშვილს, ვერ მოხდა. გოგებაშვილი ასახელებდა ნიჭიერ ახალბედა კომპოზიტორად კოტე ფოცხვერაშვილს, რომელიც მოსკოვში სწავლობდა, იქ შეადგინა ქართული გუნდი და სახელიც გაითქვა. ქართული ხოროს უვარგისობის მაგალითად ილიას საღამოზე ამ გუნდის წარუმატებელ გამოსვლას ასახელებდა.

საპასუხო წერილში ზაქარია ფალიაშვილი თავს იმართლებდა, მუსიკოსთა წინასწარ ქებასაც მათ «გაფუჭებად", არასწორ მიდგომად თვლიდა.[69] ფალიაშვილის აზრმა, რომ ფოცხვერაშვილის კომპოზიტორად შეფასებაში გოგებაშვილი ავტორიტეტი ვერ იქნებოდა და სხვა კრიტიკულმა აზრმა, ამ უკანასკნელის აღშფოთება და საპასუხო წერილი გამოიწვია. გოგებაშვილი განსაკუთრებით აღაშფოთა ფალიაშვილის მინიშნებამ: მე სამუსიკო საქმეების მონოპოლიას ზოგიერთებივით არ ვცდილობო. ამ ზოგიერთებში გოგებაშვილმა ჩათვალა, მისი სახელმძღვანელოებით სკოლებში სწავლა იგულისხმებოდა და უპასუხა: მანამდე მონოპოლია სახელმძღვანელოებში რუსული განათლების სისტემის მესვეურებსა ჰქონდა, შემდეგ, ჩემი მცდელობით თავისუფალი კონკურენცია მივიღეთ და თუ მე ვარ გამარჯვებული, ხვალ სხვა ქართველ პედაგოგს შეუძლია დაწეროს სახელმძღვანელო და ჩემი წიგნები მისით შეიცვალოსო.[70] ეს დავა მწარე იყო, მაგრამ ხელს უწყობდა ქართული კულტურის განვითარებას, მასში ჩანდა ამ ორი უდიდესი პროფესიონალის, – ქართული მუსიკისა და პედაგოგიკის ორი

ბუმბერაზი ადამიანის გულისტკივილი და სურვილი – ერის კულტურული აღორძინებისათვის.

მსგავსი გულისტკივილი და სურვილი, დახმარებოდა უცხოეთში წასულ ქართველ სტუდენტობას, ჩანდა ეროვნულ-დემოკრატ სპირიდონ კედიას მომართვიდან, რომელსაც იგი პარიზიდან უგზავნიდა «ისარს". მომართვა აცნობდა გაზეთს, თუ რა გადაუდებელ საქმეს წარმოადგენდა პარიზელი ქართველი სტუდენტების დახმარება, მათი სულიერი კავშირი სამშობლოსთან, ბიბლიოთეკის დაარსება, ქართული გაზეთების გამოწერა და სხვა. ქართველ სტუდენტთა საზოგადოება საფრანგეთში, თუკი ამას ქართველები ფინანსურად დაეხმარებოდნენ, დაარსდებოდა და სამშობლოსთან კავშირსაც აღადგენდა. სპირიდონ კედია ფულის გადაგზავნას ან მის გადაცემას ითხოვდა ვახტანგ ღამბაშიძისათვის.[71]

სკოლებში უამრავი პრობლემა იყო. პირველ რიგში ეს იყო პოლიტიზება სკოლისა, მოსწავლეებში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის გავლენა, რაც იწვევდა სკოლის მუშაობის შეფერხებას, მოსწავლეთა გაფიცვას, დებოშის ატეხას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რისთვისაც სპეციალური ბრძანება გამოსცა ქუთაისის გუბერნატორმა 1907 წლის ნოემბერში.[72]

სკოლაში დაგროვილი პრობლემები ითხოვდა გულდასმით განხილვა-შესწავლას. ალექსანდრე ჯავახიშვილმა, შემდეგში ცნობილმა მეცნიერმა გაზეთ «ისარში" დასვა საკითხი ქართველ მასწავლებელთა კრების მოწვევისა. მას სურდა ამ შეკრებაზე განხილულიყო საკითხები: რაზე იყო დამყარებული სწავლა-განათლება ამდროინდელ საქართველოში, როგორ იმართებოდა სკოლა და რა იყო საჭირო მომავლისთვის ამ სფეროში, რა იყო სწავლა-განათლების მიზანი და რა უნდა ყოფილიყო ხარჯების, სასწვლებლების რაოდენობის საკითხი, რა უნდა გაკეთებულიყო მათ გასამრავლებლად, როგორ უნდა მოემზადებინათ პედაგოგთა კადრები, როგორ უნდა ესწავლებინათ, როგორი იყო სწავლა-განათლება განვითარებულ ქვეყნებში და სხვა. ჯავახიშვილი ამ წერილს მოსკოვიდან გზავნიდა და მიიჩნევდა, რომ ეს საკითხი გადაუდებელი იყო, რადგან განათლება ყოველთვის იყო საქართველოს მხსნელი, მომავალშიც მისი გადარჩენა განათლებული ადამიანის მხრებით უნდა მომხდარიყო.[73]

ხონის მცხოვრებნი არ კმაყოფილდებოდნენ მიღწეულით და ითხოვდნენ გიმნაზიის გახსნას, მთავრობამ ამის ნება მხოლოდ საკუთარი ხარჯით გახსნის შემთხვევაში მისცა ხონელებს და სულ მალე გაიხსნება გიმნაზიაო, – სიხარულით ატყობინებდა «ისარი" მკითხველებს.

გაზეთი გულისტკივილით წერდა, რომ მცხეთაში სკოლა არ არსებობდა. მცხოვრებლებს სურდათ ქართული სკოლის დაარსება. სოფლის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება და გაეგზავნა გუბერნატორს დასამტკიცებლად, თუკი ის დაამტკიცებდა, მაშინ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" აქ გახსნიდა და უპატრონებდა სკოლას. მაგრამ გუბერნატორმა განაჩენი არ გამოიტანა, ამაშობაში კი სხვა ტიპის სკოლის აშენებისათვის დაიწყო მცხეთაში ბრძოლა, რაც ხალხს არ გვაწყობსო, – ირწმუნებოდა მცხეთიდან გამოგზავნილ წერილში პუბლიცისტი.[74]

გაზეთი «ისარი" ხშირად აქვეყნებდა მასალებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაზე. ამ ორგანიზაციაში წარმოქმნილ სირთულეებზე იაკობ გოგებაშვილის წერილის გარდა, საზოგადოების მთლიანობას და ძველ სტრუქტურას ბევრი ქართველი მოღვაწე იცავდა. თვით «ისარი", მისი სარედაქციო შემადგენლობა, როგორც გაზეთის მეთაურის წერილებიდან ირკვევა, მომხრე იყო ორგანიზაციაში ფართო ცვლილებების გატარებისა. თუმცა, იმასაც არ მალავდა, რომ «საზოგადოების უნუგეშო მდგომარეობა" შექმნილი იყო უფრო ღრმა მიზეზებით, ვიდრე წესდების უვარგისობა, ან თავად სტრუქტურული სივიწროვე. გაზეთი შიშს გამოთქვამდა: «ეს მიზეზი ვერ დააბრკოლებდა კულტურულ მოღვაწეობა, რომ საერთოდ არ ვიყოთ ერთობ დაქვეითებულნი და მოუმზადებელნი ინტენსიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისთვის"-ო.[75]

გაზეთი «ისარი" ყურადღებას უთმობდა საქართველოში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას. გაზეთს მიაჩნდა, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ცხოვრების ეს ასპარეზი გამოცოცხლდა, განვითარდა და სამი მიმართულებით წავიდა: ქართული ლიტერატურა, ქართული სკოლა და ქართული თეატრი, მაგრამ 80-იანი წლების პოლიტიკურმა რეაქციამ ლახვარი ჩასცა მის

განვითარებას, ისე შეაფერხა იგი, რომ წელში გატეხა. გაზეთი მოუწოდებდა საქართველოს ინტელიგენციას, დაეძლია ინდიფერენტიზმი, გამოსულიყო «თავისუფალი თვითმოქმედების გზაზე", საკუთარი ხელით არ მოეკლა თავი და არ ეღალატნა თავისი უწმინდესი დანიშნულებისათვის.[76]

გაზეთი დაუფარავად ამხელდა პობედონოსცევის საგანმანათლებლო პოლიტიკას, მას მიიჩნევდა განათლების დევნად და წერდა, რომ პობედონოსცევი ითხოვდა სკოლის დემოკრატიზაციის შეჩერებას, სკოლაში მხოლოდ წარჩინებული კლასების წარმომადგენელთა შვილების შესვლას, რუსეთში კოლეჯების დაარსებას, უმაღლესი სასწავლებლების დიდი ნაწილის დახურვას და დაბალი სასწავლებლების დაარსების შეზღუდვას. «იმ შენიშვნას, რომ ამ გზით გზა შეეკვრება ხალხიდან გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს, პროექტის ავტორი ასე უარყოფს: ნიჭიერი კაცი ყოველთვის გაიკვლევს გზას, მაგალითი – ლომონოსოვიო". . . – წერდა გაზეთი «ისარი".

გაზეთს მოჰქონდა გურულების კალამბური – სახალხო განათლების სამინისტრო სახალხო დაბნელების სამინისტროაო და აღწერდა იმ შეუსაბამო პოლიტიკას, რასაც მთავრობა სახალხო სკოლების მისამართით ანხორციელებდა. გაზეთი აღვნიშნავდა, თუ რამდენ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ სკოლის გახსნის მსურველები, მაგრამ ხალხის მისწრაფებას განათლებისადმი, მის «დაბნელებას" მაინც ვერ აღწევდნენ. პუბლიცისტს მოჰქონდა ხონის მაგალითი, სადაც სულ ათასი კომლი ცხოვრობდა, მაგრამ 12 სასწავლებელი იყო, ყველას თავისი შენობა ჰქონდა და სკოლებსაც საკუთარი ხარჯით ინახავდნენ.[77]

ოდესიდან ქართულ მუსიკალურ ფოლკლორსა და მის მომავალზე, გაზეთ «ისარს" წერილებს აწოდებდა ცნობილი მუსიკათმცოდნე ია კარგარეთელი. მისი წერილების დედააზრი ქართული მუსიკის შეკრებას და მომავალი თაობებისათვის გადაცემას ეხებოდა, რაც მრავალ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მუსიკალური ხელოვნების განვითარებისათვის შექმნილ «ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას" ავტორი დიდ იმედებს უკავშირებდა. მას სურდა ფონოგრაფის გარეშეც ჩაეწერათ ქართული ხალხური სიმღერები, ასახელებდა მაგალითებს, რუსეთსა და ევროპაში, როდესაც ფონოგრაფი არ იყო, მაგრამ ხალხურ მუსიკას

იწერდნენ და უფრთხილდებოდნენ. მთავარი მუსიკის ცოდნაა, მცოდნე უნდა ახდენდეს სიმღერების შეკრებას – წერდა ი. კარგარეთელი, – ვისაც ულაზათო და ტლანქი ცოდნით დაუწერია უშნოდ ერთი-ორი სიმღერა და უმღერებია სამი კაცისათვის, მემუსიკედ მიაჩნია თავისი თავი. სწორედ ამისთანა პირთ შეუძლიან დააჯერონ საზოგადოება უცნაურ რამეებზე მუსიკაში. ვისაც ჩვენი წინსვლა და კულტურა უღირს რამედ და ვისაც ხელოვნება ხალხის ცხოვრებაში ჭიან ტყემლად არ მიაჩნია, იმან უნდა იცოდეს, რომ ვერაფერ სამსახურს გაუწევს შეგნებას, წინსვლას თავისი ყალბი მოძღვრებით. ამისთანა რამეს ბოლო უნდა მოეღოს. თუ ეს ასე არ იქნება, შეიძლება ხელოვნება ყალბ კალაპოტში ჩავარდეს და შემდეგში მუსიკის ხელოვნების ასპარეზზედ მომუშავეთ ერთი-ორად გაუძნელდეთ მოღვაწეობა".[78]

გაზეთი მკითხველებს აცნობდა ვანო სარაჯიშვილის იტალიურ ტურნეზე. «ისარი" იმოწმებდა გაზეთ «ზაკავკაზიეს", რომელსაც მილანიდან წერდნენ შალიაპინზე. მას დებიუტი დაუნიშნეს ლა-სკალას ცნობილ თეატრში შალიაპინის რეკომენდაციით. როდესაც დირიჟორებმა და შალიაპინმა მოუსმინეს სარაჯიშვილს, აღფრთოვანდნენო, – აღნიშნავდა გაზეთი. მას უნდა ევარჯიშა და ლა-სკალაში გამოსულიყო სამი თვის შემდეგ.[79]

გაზეთი «ისარი" 1907 წლის 22, 23 და 24 ივნისს თბილის სათავადაზნაურო საკრებულოს დარბაზში გამართულ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ივანე ჯავახიშვილის ლექციების სრულ ანგარიშს აქვეყნებდა. ლექცია ბევრი რამით არის საინტერესო. ზოგიერთი აქ დასმული საკითხი, მართალია შემდეგში განსხვავებული თვალსაზრისით წარმოადგინა გამოჩენილმა ისტორიკოსმა, მაგრამ მას მეცნიერული ანალიზის გამო, როგორც ერთ-ერთ ვერსიას ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე, რომელსაც ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი აყენებდა, ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს[80].

გაზეთი «ისარი" დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიული ბედუკუღმართობით საქართველოდან მოწყვეტილ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, მათ კულტურასა და სამომავლო მისწრაფებებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს «ისარში" გამოქვეყნებული ფერეიდნელი ქართველების მოგზაურობის ამსახველი

დღიურები საქართველოში, მათი გამოსვლები თბილისსა საქართველოს სხვა ქალაქებში, მათ მიერ ამდროინდელი ფერეიდანის ქართველთა ცხოვრების აღწერა. ამ მასალებს ქართულ საზოგადოებას აწვდიდა ფერეიდნელი ქართველი ყოლა მოსეინ ონიკაშვილი.[81] გაზეთი «ისარის" დიდ ინტერესს ფერეიდნელი ქართველებისადმი მოწმობს გაზეთში გამოქვეყნებული მრავალი სხვა მასალაც, რომელშიც აღწერილი იყო როგორც ფერეიდანში, ასევე საქართველოში ჩამოსულ «ქართველ სპარსელთა" ცხოვრება, კულტურა და საზოგადოებრივი ინტერესები.

1908 წლის დასაწყისის «ისარში" მეცნიერი ალ. ჯავახიშვილი აყენებდა განათლების რეფორმირების აუცილებლობისა და ქართული პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნის საკითხს. მისი აზრით ხალხში უნდა აღორძინებულიყო კულტურული ძალა, განათლებისა და კულტურის სისტემაში რაც შეიძლება მეტად ჩაბმულიყვნენ მასები, თუ ეს მოხდებოდა, მაშინ გამოჩნდებოდა ჩვენში «ძლიერი და სავსე კულტურული ეროვნული ცხოვრება". ეროვნული, საყოველთაო სავალდებულო სასწავლებლებით უნდა მოფენილიყო ქვეყანა, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი სკოლა შეცვლიდა განათლების დონეს და აამაღლებდა მას. ავტორი თანამედროვე განათლებას აკრიტიკებდა და წერდა: «დღევანდელ სწავლა-განათლებას საქართველოში საერთო არა აქვს ერის კეთილდღეობასა და მომავალთან. დღევანდელი სწავლა-განათლება ჩვენში გარედან შემოტანილია და ძალით გამეფებული". . . ავტორი პედაგოგიური სასწავლებლის შექმნას ეროვნულ საქმედ, სწავლა-განათლებისა და ქართული კულტურის ეროვნულ ნიადაგზე დაყენების საფუძვლად მიიჩნევდა.[82]

პუბლიცისტი «კაი"-ს ფსევდონიმით წერდა ქართული ენის სწავლების პრობლემებზე სამეგრელოს სკოლებში მიაჩნდა, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია არც თუ სახარბიელო იყო, მოითხოვდა მასწავლებელთა დახელოვნების კურსების მოწყობას. თუ მთავრობა ვერ უზრუნველყოფდა, ეს საკითხი კერძო ინიციატივით უნდა მოგვარებულიყო.[83]

«ისარი" მგრძნობიარედ აღწერდა ქართველი მსახიობის ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის 25 წლისთავს მოსკოვის საიმპერატორო თეატრში. უამრავი დეპუტაციისა და მილოცვის შემდეგ, გაზეთს დაწვრილებით მოჰყავდა კოტე მესხის

მისასალმებელი სიტყვა, რომელსაც ცრემლი მოუგვრია სუმბათაშვილ-იუჟინისათვის. გაზეთი იმასაც დასძენდა, თითქოს ბრალმდებელი იყო მესხი, ბრალდებული კი იდგა და უსმენდა მის ბრალდებასო. «რა ჩემი საქმეა შენ ამაგზე ლაპარაკი? – უთქვამს კოტე მესხს, – ამას ჩემზე უკეთ იმ სცენის და იმ ხელოვნების წარმომადგენელნი იტყვიან, რომელსაც შენ შესწირე შენი ცხოვრება. . . მე მოვედი მხოლოდ იმიტომ, რომ სალამი გიძღვნა პატარა საქართველოს პატარა არტისტებისგან შენ, რუსეთის მცირე თეატრის დიდ არტისტს, შენ, რომელიც დაიბადე საქართველოს მშვენიერ მიდამოებში, მოღვაწეობის ასპარეზად კი შორეული მოსკოვი აირჩიე. მაგრამ შენ სრულებით არ დაგვიწყებია შენი სამშობლო, შენ მისთვის არ გიღალატნია, შენი საუკეთესო ნაწარმოები შენ საქართველოს უძღვენ, შენი «ღალატი" ყოველ ღალატს აქარწყლებს", – მის სიტყვებში, – წერდა გაზეთი, ეჭვიანი სიყვარული ჩანდა, თითქოს ამის თქმა სურდა: სად არის სამართალი, რომ ამისთანა დიდებული ნიჭი თავის სამშობლოს არ ამშვენებსო.[84]

გაზეთი ხშირად აქვეყნებდა ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და წერილებს ფშავ-ხევსურეთიდან რუბრიკით – პროვინციის ცხოვრება, შალვა დადიანის, ი. ევდოშვილის, მარიამ გარიყულის, კიტა აბაშიძის, ვასილ ბარნოვის და სხვათა მხატვრულ ნაწარმოებებს.

1908 წლის საახალწლო «ისარმა" შეაფასა 1907 წელი, მისი ავ-კარგი, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა. ეს შეფასება ძალზე კრიტიკული იყო, იგი თავიდან ბოლომდე «სამგლოვიარო იყო", – როგორც შესავალშივე წერდა რედაქცია. წერილში საუბარი იყო ხალხის იდეალების მსხვრევაზე, რეაქციის თარეშზე, უზომო სიღარიბესა და პოლიტიკურ აპათიაზე. მიუხედავად ამგვარი შედარებისა გაზეთი მაინც თვლიდა, რომ ეს წელიწადიც ბუნებრივად ჩაეწერა საქართველოს ისტორიის უწყვეტ ჯაჭვში. წერილის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ: 1907 წელი უზომოდ მძიმე წელიწადი იყო, მაგრამ იგი საქართველოს ისტორიის მეტეორი არ ყოფილა, უცხო რამ ქვეყნის ცას მოწყვეტილი და ჩვენი ხალხის თავზე უცაბედად მოვლინებული. პირიქით, იგი ისტორიული ჯაჭვის ბუნებრივი რგოლი იყო. იგი მთელის თავის ვაებით, ყრუ და უსიტყვო

ვაების ჩვენის ისტორიის პირმშო შვილია. იგი ბუნებრივი ნაყოფია ქართველი ხალხის სოციალური მდგომარეობის, იმის მისწრაფების, იმის სულისკვეთების, იმ უიმედო სურვილების, იმ უენერგიო იმედიანობისა, რომელთაც თითქმის ნახევარი საუკუნეა მოიცვეს ქართველი ადამიანის გული და ჰღრღნიან მას შემდეგ დაუსვენებლივ". . .[85] «უენერგიო იმედიანობას" ხშირად აკრიტიკებდა სოციალისტ-ფედერალისტების პრესა და მოითხოვდა მეტი ეროვნული ენერგიის გამოვლენას, მომავლისათვის მეტ თავდადებას, ხალხის დარაზმვას და რევოლუციური იდეალების ერთგულებას.

გაზეთი ქართული პრესის, საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლის მთავარ საკითხებად გამოყოფდა: 1. სახალხო განათლებას; 2. ტერიტორიულ მთლიანობას. სახალხო განათლების დაწინაურების პრინციპად გაზეთი «ისარი" თვლიდა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრას, ხოლო ტერიტორიულ მთლიანობაში იმას, რომ «ეხლანდელი ტერიტორია არ გადაიქცეს ერთმანეთში არეულ ეროვნებათა ჭრელ კალეიდოსკოპად". გაზეთს მიაჩნდა, რომ ორივე ამ საკითხში ქართული პარტიები თანხმდებოდნენ, უმეცრება ყველას მიაჩნდა ქვეყნისთვის საზიანოდ, ხოლო მეორე საკითხს გაზეთი ასე აფასებდა: «სხვადასხვა მოდგმის ხალხის არევ-დარევა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით როცა იგი ხელოვნურად არის გამოწვეული პოლიტიკურის მიზნებით, აუცილებლად ამზადებს ეროვნულს მტრობას და ამ მტრობის ნიადაგზე აგრესიულ ნაციონალისტურ პოლიტიკის განვითარებას, ტერიტორიის ეროვნული მთლიანობაც ყველას დიდ ღირებულებად მიაჩნია".[86]

«ისარს" მიაჩნდა, რომ ქართველ ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შეთანხმებულად შეეძლოთ ამ მიმართულებით მუშაობა, მაგრამ ისინი ამას მაინც ვერ ახერხებდნენ, რასაც «ისარი" მათ განკერძოებულობას და თვითიზოლაციაში მოქცევას აბრალებდა.

«ისარი" აკრიტიკებდა ეროვნულ-დემოკრატების განათლების პროგრამას და წერდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც ამ პარტიის ხელშია, სკოლებს მხოლოდ იქ ხსნის, სადაც ქართველები ცოტაა და სხვა ხალხის გავლენაა დიდი. საქართველოს ცენტრალურ რაიონებში – გორში, ქუთაისში,

თბილისში კი არაო. კავკავში, ბორჩალოს მაზრაში, ბათუმში გახსნილი სკოლები ნაკლები ეფექტით მუშაობენო. გაზეთი ერთიანი, გონივრული გეგმის უქონლობას აბრალებდა სახალხო უნივერსიტეტის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, «ნაკადულის" რედაქციის მუშაობის ნაკლებ წარმატებას და მიაჩნდა, რომ «საზოგადოებრივ ძალთა ეკონომია" იყო საჭირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. «ეს ეკონომია კი მხოლოდ მაშინ განხორციელდება, – ირწმუნებოდა «ისარი", როცა ჩვენი მოღვაწეები, უჩინარი, უსახელო, უპრეტენზიო, მაგრამ გულწრფელი, ფართო იდეალებით გამსჭვალული, ენერგიითა და ძალ-ღონით სავსე მოღვაწეები შეითვისებენ იმას, რასაც ჩვენ მოქმედების ტეხნიკას ვუწოდებთ. ეს ტეხნიკა არც ნიჭია, არც მეცნიერება, იგი უბრალო გამოცდილებაა, მაგრამ ამასთანავე ერის საზოგადოებრივობის უკვდავი ძარღვია".[87]

ამრიგად, გაზეთი «ისარი" სოციალისტ-ფედერალისტური პრესის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანო იყო. ის აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის «ივერიის", სოციალისტ-ფედერალისტური «ცნობის ფურცლის", «საქართველოს", «შრომის", «მეგობრის" იდეურ-პუბლიცისტურ მიმართულებებს. იგი უდიდეს როლს თამაშობდა ერის გამოფხიზლების, რუსეთის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნების საქმეში.

გაზეთი ებრძოდა ბოლშევიკურ და სოციალ-დემოკრატთა უფრო ზომიერი ფრთის წარმომადგენლებს, მათი პრესის იდეოლოგიას, რაც კოსმოპოლიტიზმის, მიწისა და წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაციის, კლასთა დაპირისპირების თეორიის ერთგულებით გამოიხატებოდა. განსაკუთრებული იყო «ისრის" პოზიცია ილიას მკვლელობისადმი. ამ თემისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები ნათლად ავლენდნენ გაზეთის ეროვნულობას, მისი პუბლიცისტების ერთგულებას ილიას გზისადმი. უპირველესად ეს ეხება ვაჟა-ფშაველას შესანიშნავ წერილებს, რომლითაც დიდი პოეტი ილიას მკვლელებს მიმართავდა, ამხელდა მათ ბოროტებას და საქართველოსადმი სიძულვილს. გაზეთმა შემოგვინახა ბევრი ისტორიული მასალა, რომელთა შესწავლის გარეშე ეპოქის მოვლენების სრულყოფილი გაანალიზება და გააზრება შეუძლებელია.

თავი IV

გაზეთი «ამირანი”

გაზეთი გამოდიოდა 1908 წელს, ქაიხოსრო ქავთარაძის რედაქტორობით. იგი იყო ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო. მასში თანამშრომლობდა გაზეთ «ისრის” მთელი შემადგენლობა. გაზეთ «ამირანში” მთლიანად იყო გაგრძელებული ის იდეურ-პოლიტიკური კრედო, რაც გააჩნდა «ცნობის ფურცელს”, «შრომას”, «მეგობარს” და «ისარს”.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობას. აქვეყნებდა წერილებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებზე. ბეჭდავდა უცხოეთიდან, რუსეთიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებულ ინფორმაციებს.

გაზეთი უპირველეს ყოვლისა იცავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პოლიტიკურ პროგრამას და მოწინააღმდეგე პარტიებთან იდეოლოგიურ ბრძოლაში იყო პრინციპული და თანმიმდევრული. სოციალურ საკითხებს ისინი მჭიდროდ უკავშირებდნენ პოლიტიკურს და ქართველ მარქსისტებს უსაყვედურებდნენ კლასთა ბრძოლის ფანატიკოს დამცველებს, რასაც ისინი არაერთ შეცდომამდე მიჰყავდათ. ერთ-ერთ ასეთ შეცდომად «ამირანი” თვლიდა მათ წინადადებას გლეხთა მიერ მიწების შესყიდვაზე არა საგლეხო ბანკიდან, არამედ პირდაპირ მემამულეებიდან. «ამირანის” რედაქცია თვლიდა, რომ ბანკისაგან მიწის შესყიდვა გაცილებით უფრო უმტკივნეულო იქნებოდა, ვიდრე მემამულისაგან, რადგან აქ მარქსისიტული ყბადაღებული «კლასიური ბრძოლა” შეიძლებოდა მართლაც გამოჩენილიყო.

სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთას, უკიდურესად მემარცხენე ბოლშევიკურს და ზომიერად მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს, ე.წ. მენშევიკებს აკრიტიკებდნენ «ამირანის” პუბლიცისტები: არჩილ ჯორჯაძე, სამსონ ფირცხალავა, კიტა აბაშიძე, გრიგოლ რობაქიძე, ვასილ წერეთელი, მიხაკო წერეთელი და სხვა.

გრიგოლ რობაქიძემ საჯაროდ წაიკითხა ლექცია «მარქსიზმი და პიროვნება”, რამაც ბოლშევიკური «ნაპერწკალის” კრიტიკა და პოლემიკა გამოიწვია. უნდა

შემდგარიყო დებატები გრ. რობაქიძესა და ერთ-ერთ მარქსისტს შორის, რაც ვერ განხორციელდა და რასაც თავისებური ახსნა მოუძებნეს მოწინააღმდეგეებმა. გრ. რობაქიძემ «ამირანს" მცირე განმარტება მისცა და თავისი პოზიცია ახსნა: «პირველი: მე არ მივიღე თავმჯდომარეთ წამოყენება ბ-ნ საღარაძისა, რადგან პლაგიატორად მიმაჩნია (რაც უკვე დაამტკიცა ბ-ნ კიტა აბაშიძემ) და ამიტომ მის ინტელექტუალურ სინდისში ეჭვი შემაქვს, – წერდა იგი, – მეორე, მე მოვითხოვე, უკანასკნელი სიტყვა ჩემი ყოფილიყო, რადგან რეფერატი ჩემს წინააღმდეგ იყო მომართული, ჩემის ლექციის გარჩევას წარმოადგენდა და ვის უნდა რგებოდა საპასუხო უკანასკნელი სიტყვა, თუ არა მე! ეს ასეა ყოველ კულტურულ ცენტრში, რომელსაც კი მე ვიცნობ. მესამე, გაზეთში სწერია: მოლაპარაკების სხვადასხვა ვერსიები ქალაქს მოედვა და იმ დღეს გუბერნატორმა დებატები აკრძალა. რა ურთიერთობაა ამ ამბებს შორის, ეს თვით მკითხველის დაკვირვებისთვის მიგვინდია, მკითხველის მინდობას თავი დაანებეთ და აშკარად გამოთქვით თქვენი განზრახული ცილისწამება. ჩემი ლექცია «მარქსიზმი და პიროვნება" თავის დროს დაიბეჭდა და იმედი მაქვს ჩვენი მარქსისტები მის გარჩევას წერილობით შეუდგებიან".[1]

გაზეთი აკრიტიკებდა სახელმწიფო სათათბიროს არა მარტო რუს დეპუტატებს, არამედ ქართველებსაც, მხარს უჭერდა მათ ვინც უარყოფითად აფასებდა ქართველი დეპუტატების მოღვაწეობას ამ უმაღლეს ორგანოში.

გაზეთმა ვრცლად აღწერა ქუთაისის სათავადაზნაურო კრების მიმდინარეობა, რომელმაც საყვედური გამოუტანა დეპუტატ კარლო ჩხეიძეს სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული იმ სიტყვისათვის, სადაც ის რელიგიურ გრძნობებს დასცინოდა. კრების აზრით, მან შეურაცხყო ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობები. ამ კრებამ ასევე იმსჯელა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასა და ქართველი ერისადმი «გოლოს კავკაზის" ბრალდებაზე. ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლმა დავით ნიჟარაძემ პროტესტი გამოაცხადა ამგვარ ბრალდებაზე. დავით მიქელაძემ კარლო ჩხეიძისათვის საყვედურის გამოცხადება, მით უმეტეს კრებიდან მისი გარიცხვა მცირე რამედ ჩათვალა. მისი ანტირელიგიური გამოსვლა სათათბიროში ჩათვალა მის გაუნათლებლობად და უგუნურებად. იგი საყვედურზე

მეტის ღირსიცაა, რადგან სათათბიროში კრინტიც არ დაუძრავს ჩვენი ერის გასაჭირზე, პოლონეთის ავტონომიასაც არ მისცა ხმა, დეპუტატის საქციელი მართლაც გასაკვირი და სასაყვედუროაო. კრებამ დადგენილებით გამოუცხადა დეპუტატს საყვედური და არა მარტო მას, I, II და III სახელმწიფო სათათბიროს ყველა ქართველ დეპუტატს, ქართველი ხალხის ინტერესების უგულვებელყოფის, თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.[2]

«ამირანში'' სოციალისტ-ფედერალისტი მალაქია ბოლქვაძე აფასებდა რუსეთისა და საქართველოს მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს, მათ პოლიტიკურ კრედოს, III სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობას. მიაჩნდა, რომ ეს უკანასკნელი სათათბიროც მხოლოდ მთავრობის ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან ხალხის ხმა მასში სათანადო დადგენილებებს ვერ აღწევდა, მთავრობა წყვეტდა საბოლოოდ საკუთრების გადაწყვეტის ფორმებს.[3]

«ამირანი'' ისევე როგორც «ისარი'', აკრიტიკებდა რუსული კოლონიალიზმის პოლიტიკასა და სახელმწიფოს აგრარულ პროგრამას. ამის გამო იგი ეხმაურებოდა სოციალ-დემოკრატიულ და სხვა პარტიების პრესას. უპირველესი მისი იდეური მოწინააღმდეგე გაზეთი «ნაპრეწკალი'' იყო. მიწის შესახებ მასთან დაწყებულ კამათს გაზეთი რამდენიმე პუნქტად აანალიზებდა და ბრალსაც დებდა ოპოზიციურ გაზეთს. მისი აზრით «ნაპერწკალმა'' ვერ მოახერხა იმის დამტკიცება, რომ ნაციონალური და სოციალური, შეიძლებოდა ერთმანეთს დაპირისპირებოდა. მას არ მიაჩნდა სწორად, რომ გლეხების მიერ მიწის შეძენას გაზეთი სოციალურ საკითხად მიიჩნევდა და არა პოლიტიკურ – ნაციონალურ საკითხად. «ნაპერწკლის'' განმარტება – წერდა გაზეთი, ვითომ სოციალური პოლიტიკა ერთნაირად იცავდეს ყველა ტომის გლეხთა ინტერესებს, ნაციონალური კი არა, შესაწყნარებელი არ არის, რადგან სოციალურია ყოველი პოლიტიკა, რომელიც კი ადამიანთა ურთიერთობას შეეხება. თეორიულად «ნაპერწკალმა'' თავისი აზრი ვერ დაიცვა, პრაქტიკულად კი იგი ჩვენი თანახმაა, რომ საქართველოში მიწა ქართველმა გლეხებმა უნდა შეიძინონ. «მისი აზრით, ეს არ ნიშნავდა, რომ საქართველოდან აყრილიყვნენ სხვა ერის ადგილობრივები და მათი ადგილები ქართველებს დაეკავებინათ. «ამირანი'' საჭიროდ თვლიდა გლეხს მიწა პირდაპირ მემამულისაგან კი არა, უმჯობესი

იქნებოდა საგლეხო ბანკისაგან ეყიდა. ის კლასთა ბრძოლის თეორიასა და კაცთმოძულელეობაში განურჩევლობას უსაყვედურებდა «ნაპერწკალს" და ა.შ.[4] მიწის საკითხი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამაში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი იყო და მასზე კამათში ლოიალობას არ იჩენდა არც ერთ პარტიასა და პოლიტიკურ ჯგუფთან. ის ამ საკითხში არ ინდობდა მთავრობის აგრარულ პოლიტიკასაც და მწვავედ აკრიტიკებდა. გაზეთს მიაჩნდა, რომ დემოკრატიული ოპოზიციისათვის ქვეყნის პოლიტიკური განახლების საკითხი მჭიდროდ უკავშირდებოდა აგრარულ საკითხს. ამიტომ აყენებდა ოპოზიცია მას წინ I და II სახელმწიფო სათათბიროში, ხოლო III სათათბირომ გვერდი აუარა მას და ამით «ამირანი" რწუნდებოდა, რომ ეს სათათბიროც ვერ შეძლებდა პოლიტიკური განახლების განხორციელებას.[5]

საგლეხო ბანკის თემა გაზეთ «ამირანისათვის" აქტიური იყო, იგი ამ დაწესებულებას აგრესიულ ნაციონალისტურ პოლიტიკას საყვედურობდა. მიაჩნდა, რომ ეკონომიკურ პოლიტიკას ის ნაკლებად აწარმოებდა, რაც ბანკისათვის უპირველესი უნდა ყოფილიყო. ის ერთმანეთისაგან განასხვავებდა რუსეთში არსებულ საგლეხო ბანკს და განაპირა რეგიონებში არსებული მსგავსი დაწესებულებები მიაჩნდა კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკის გამოხატულებად. «ამირანი" ფიქრობდა, რომ რუსები იმის იმედად იყვნენ, ქართველებს გაუჭირდებათ, მიწებს გაჰყიდიან, მათ კი რუსები შეიძენენო. გაზეთს სწამდა, რომ ეს ასე არ მოხდებოდა. «ჩვენებური გლეხები თითქოს ინსტიქტურად გრძნობენ, რომ ტერიტორიის საკითხი მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური საკითხი არ არის, ჰგრძნობენ და ამიტომაც ცდილობენ მიწის შეძენას. ამიერკავკასიის საგლეხო ბანკი ხელოვნურად რომ არ აჩერებდეს ადგილობრივი გლეხების მისწრაფებას და კანონის ფარგლებში დახმარებას უწევდეს მათ, უეჭველია საგლეხო ბანკის მიერ საკუთრებად შეძენილი 45 ათასი დესეტინა მალე გლეხების საკუთრებად იქცეოდა, მაგრამ საგლეხო ბანკი სწორედ აქ აჭერდა ფეხს. იგი იმაზე კი არ მეცადინეობს, რომ შეძენილი მიწა გლეხებზე გაჰყიდოს, პირიქით იმას ცდილობს, რომ ეს მიწა გაიმაგროს ხელში, ვიდრე მისთვის სასიამოვნო მყიდველი არ გამოჩნდება". გაზეთი საჭიროდ მიიჩნევდა, რომ ქართველებს თავად ბრძოლით შეექმნათ საგლეხო ბანკი

და მთავრობისაგან დაარსებული ბანკისგან განსხვავებით, იგი ეროვნული ინტერესებისათვის გამოეყენებინათ.[6]

ქართველი თავადაზნაურობა ხშირად იყო სოციალისტ-ფედერალისტური პრესის კრიტიკის საგანი. მოსახლეობის ამ ერთ-ერთ მოწინავე ნაწილს იგი საკუთარი პოზიციის უქონლობას, ხან პროგრესის, ხანაც რეგრესის მხარეზე გადასვლას საყვედურობდა. გაზეთი «ამირანი" ქუთაისის სათავადაზნაურო კრების მიერ ქართველი დეპუტატებისადმი გამოთქმულ საყვედურს მიიჩნევდა არასწორად, დაგვიანებულად. თუ არ მოსწონდათ მათი მოღვაწეობა, აქამდე რად დუმდნენ, თუ არა და ახლა რაღად არ მოსწონთო, – კითხულობდა იგი. გაზეთი ქართველ დეპუტატთა საქმიანობის საკუთარ შეფასებასაც სთავაზობდა მკითხველს: «ქართველი დეპუტატები სამივე სათათბიროში უკიდურესი მემარცხენენი იყვნენ. ქართველმა თავადაზნაურობამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ისეთი დეპუტატი გაეგზავნა სათათბიროში, რომელიც თავადაზნაურულ პოლიტიკას და ტაქტიკას აჩვენებდა მთავრობას".

«ქართველი დეპუტატები ქართველი ხალხის წარმომადგენელნი არ ყოფილანო, – ბრძანებენ ქუთათური თავადაზნაურნი. რამდენადაც ეს აზრი ინდივიდუალური დაფასების შედეგია, იმდენად იგი გამოურკვეველია, რადგან არ ვიცით ვინ იქნებოდა დამფასებლის აზრით ნამდვილი წარმომადგენელი ქართველი ხალხისა, ხოლო რამდენადაც ეს აზრი თავადაზნაურული დაფასების ნაყოფია, იმდენად იგი შინაგანი წინააღმდეგობაა, რადგან თავადაზნაურობის შეფასებით მხოლოდ იმის გამორკვევა შეიძლება, გამოხატავდა თუ არა თავადაზნაურულ მისწრაფებას ესა თუ ის დეპუტატი და არა იმას, რასაც უნდა გამოხატავდეს ნამდვილი ქართველი დეპუტატი". . . თუ ქუთათურ თავადაზნაურობას ბრალის დადება იმიტომ კი არ სურდათ დეპუტატებისათვის, რომ მათ ვერ გამოხატეს ამ თავადაზნაურთა ინტერესები, მას ქართველი ხალხის ინტერესების გამოუხატაობისათვის უსაყვედურეს. მათ ეს საყვედური კი ფართო ასპარეზზე უნდა ეთქვათ და არა ვიწრო წრეში – თავადაზნაურთა კრებაზე. ასეთი იყო «ამირანის" მსჯავრი ამ საკითხზე, რომელიც სხვა დროს აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს,

მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი დაიცვა. თავადაზნაურთა ამ აქციას გაზეთმა რეაქციის თვალისახვევად ჩატარებული «პოლიტიკური დემონსტრაცია" უწოდა.[7]

«ამირანი" აკრიტიკებდა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობას, მის როლს ქვეყნის ცხოვრებაში და წერდა: «სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობა ამ შვიდი თვის განმავლობაში არსებითად ტავრიდის სასახლეს არ გასცილებია. . . იგი სისტემატურად უქცევდა გვერდს რუსეთის ცხოვრების ყველა ძირითადს და საჭირბოროტო საკითხს. არც ერთი ასეთი საკითხი არ განუხილავს, არც ერთ ასეთ საგანს არ მიჰკარებია. ამბობენ, «ეს ბრძნული სიფრთხილის ნიშანიაო", – ირონიულად დაამატებდა გაზეთი და ამ «სიბრძნეს" ხალხის ინტერესებისადმი გულგრილობას უწოდებდა.

გაზეთი პოლემიკას უმართავდა რუსულ შავრაზმულ პრესას, რომლის ერთი ნაწილი თბილისში გამოდიოდა. გაზეთი მათ გარდა ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ აზროვნებასაც აკრიტიკებდა, რადგან ამ უკანასკნელს არ შეეძლო შერიგებოდა სოციალისტურ იდეოლოგიას. «ამირანი" საყვედურობდა ამ «ზომიერ ინტელიგენტთა" ჯგუფს, დღემდე პარტია რომ ვერ შეექმნათ. ეს თქვენი გარიყულობის გამო ხდება ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური ინტერესებიდანო. ეროვნულ-დემოკრატებს ამ დროს არ ჰქონდათ ორგანიზაციული გაერთიანება, თუმცა ისინი სულ მალე გაერთიანდნენ საკუთარი პრესის გარშემო. მათი ნაწილი «ამირანში" და სხვა სოციალისტ-ფედერალისტურ პრესაში მოღვაწეობდა. ისინი ანტისოციალისტურ პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ რუსულ თბილისურ გაზეთში «ზაკავკაზიე", რაზედაც სოციალ-ფედერალისტური «ამირანი" მკაცრად პასუხობდა: «გაზეთ «ზაკავკაზიეს" პუბლიცისტები ნიშნს უგებენ სოციალისტურ პარტიებს, ცხოვრების რეალურ საჭიროებაზე კი არ აფუძნებთ თქვენს პროგრამას, ევროპასა და რუსეთში შემუშავებულ თეორიებს ებჯინებითო. სანიმუშო საყვედურია!" – აცხადებდა გაზეთი და კრიტიკას კრიტიკაზე პასუხობდა: «თითონ იმდენად დაშორებულნი არიან ქართულ ცხოვრებას, რომ ქართულ საჭიროებაზე ქართულის კალმით და ენით წერაც კი ვერ განუხორციელებიათ და სხვებს უსაყვედურებენ, ცხოვრებისაგან მოწყვეტილნი ხართ, კაბინეტის სუნი გიდითო, რეალური პოლიტიკის მიმდევრობაც ისეთი უნდა, რომ ხალხს თქვენის

ფიქრის და გრძნობის გასაზიარებლად უცხო ენაზე ელაპარაკოთ. . . “ «გამოიჩინეთ პრაქტიკულად ქართულ ცხოვრების ნიადაგზე თქვენი რეალისტობა და მაშინ ნახავთ, რაოდენი სიმართლეა თქვენს კრიტიკაში, თორემ ხელდაბანილნი რომ დამდგარხართ გარეთ და იქიდან ისვრით საყვედურებს მაგას, თქვენც უნდა იცოდეთ, არაფერი ფასი არა აქვს”-ო, არწმუნებდნენ ისინი მოწინააღმდეგეებს.[8]

რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობის რეორგანიზაციაზე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისშივე მოიწადინეს იმპერიის უმაღლესმა ორგანოებმა, საუბარი იყო გაზეთ «ამირანშიც”. განსაკუთრებით ეს საკითხი აქტიური გახდა I რევოლუციის შემდეგ. დღის წესრიგში დადგა ხალხის გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ადმინისტრაციული თვითმმართველობის შექმნა. «განახლებულს ანუ, უკეთ ვსთქვათ, გასაახლებელ რუსეთში, – წერდა გაზეთი, – არ შეიძლება დარჩეს ისეთი ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც სავსებით გუბერნატორის განკარგულებაშია, რომლის კომპეტენცია შეზღუდულია გზების გაყვანითა და ქსენონების დაარსებით, რომლის სვე-ბედის გამგე მხოლოდ მსხვილი მემამულეა”.

გაზეთის აზრით, თვითმმართველობის ყველაზე თანამედროვე ფორმა უნდა მოეძებნა საქართველოს და არა ერობა, ისეთი, როგორიც ის რუსეთის შიდა გუბერნიებს ჰქონდა. მსგავსი ერობის შემოღება საქართველოს ვეღარ უშველიდა, უკეთეს ერობას კი ქართველებს არავინ მისცემდა. ამიტომაც ამ დროს რუსეთის ადმინისტრაციულ ორგანოებში ასე მკვეთრად დაყენებულ საკითხს – კავკასიაში ერობის შემოღებას, გაზეთი «ამირანი” არ უჭერდა მხარს, პირიქით, მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა.[9]

პოლიტიკურ დეცენტრალიზაციასა და მის პოლიტიკურ ნაყოფიერებაზე წერდა ვასილ წერეთელი გაზეთ «ამირანში”. ამ ვრცელ პუბლიკაციურ სერიებში ავტორი აანალიზებდა პოლიტიკური დეცენტრალიზაციის სახეებს, ასახელებდა იმ ქვეყნებს, სადაც იყო ავტონომიური ხელისუფლება, ფედერაციული მოწყობა ქვეყნისა, მკითხველს უხსნიდა როგორი იყო მმართველობა ამ ქვეყნებში, რა ნაყოფი მოჰქონდა დიდი სახელმწიფოების ამგვარ დეცენტრალიზაციას. ევროპისა და ამერიკის მაგალითზე წერილის ავტორი აკეთებდა დასკვნას, რომ ავტონომია აუცილებელი

იყო საქართველოს შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის, უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებას, რომელსაც სახელმწიფოს თვითმმართველობის ეს ფორმა მიუღებლად მიაჩნდა. აქედან ცხადია, – წერდა ვასილ წერეთელი, – რამდენად სცდებიან ჩვენი და რუსეთის სოციალ-დემოკრატები, როდესაც ამბობენ, რომ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია სპობს ერთობასაო და მხოლოდ პეტერბურგის დემოკრატიულ პარლამენტს შეუძლიან განამტკიცოს კავშირი ერთა შორისაო! ვასილ წერეთელი ყველა ბრალდებას უარყოფდა და ავტონომიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატთა მრავალ, წინააღმდეგობრივ გამონათქვამს მის შესახებ: სულ ბოლო დროს წავიკითხეთ ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ლიდერის სიბრძნე, პოლონეთში უნდა იყოს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რუსეთში – რუსული, ლიტვაში – ლიტვური და სხვა, მაგრამ საქართველოში კი უარვყოფ ქართულ სოციალ-დემოკრატიული პარტიას, რადგან თითოეულ ზემოხსენებულ ქვეყანაში ეროვნული ბურჟუაზია არსებობს, ჩვენი ბურჟუაზია კი ეროვნული არ არისო!“ ამგვარ აზრს ვასილ წერეთელი პოლიტიკურ უმწიფრობად და უმეცრებად თვლიდა.[10]

«ამირანი” აფხაზეთის საკითხის გამწვავებას რუსეთის ბიუროკრატიულ ხელისუფლებას აბრალებდა და მის შავრაზმულ, შოვინისტურ პოლიტიკას. რომლითაც საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირება და მათი გარუსება იყო განსაზღვრული. გაზეთი აკრიტიკებდა რუსული კოლონიალიზმის პოლიტიკას აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე, აქ რუსი და სხვა ეროვნების კოლონისტების ჩამოსახლებას, ადგილობრივი, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისათვის ამ მხარეში ჩასახლების უფლების წართმევას.

აფხაზეთში განხორციელებულ რუსეთის შოვინისტურ პოლიტიკას გაზეთი უკავშირებდა სოხუმის თვითმმართველობის დაწესებისა და ქართველი ეროვნების მმართველების დანიშვნის საკითხს. «სოხუმის თვითმმართველობა 1898 წელს დაარსდა, მაგრამ რაღაც ფარული მიზეზის გამო 1905 წლამდე ქალაქს არჩეული ქალაქის თავი არ ჰყოლია”, – წერდა გაზეთი და ამ ფარულ მიზეზს ვერ

ასახელებდა. 1905 წელს ქალაქის თავად აირჩიეს პატრიოტი და განათლებული ქართველი მოღვაწე ნიკო თავდგირიძე, რომლის კანდიდატურა არ აწყობდათ რუს შოვინისტებსა და ანტიქართველ მოღვაწეებს. ერთ ასეთ პიროვნებად «ამირანი" ვინმე მარკოვს – ქალაქის საბჭოს ხმოსანს ასახელებდა, რომელმაც რამდენჯერმე საჩივარი აღძრა ნ. თავდგირიძის მიმართ სასამართლოში. თუმცა თავდგირიძე გამართლდა, ვერც მარკოვი და ვერც მისი თანამოაზრენი ვერ ისვენებდნენ. დაიწყეს ქალაქის საქმეების რევიზია. რევიზორებად დაინიშნენ ისევ მარკოვი და ვინმე ფინე. რევიზორებმა მოხსენება წარუდგინეს გუბერნატორს. საგუბერნიო სასამართლომ ვერაფერი მონახა, მაგრამ გუბერნატორმა მაინც თავისი ნებით დაატოვებინა თანამდებობა თავდგირიძეს.

რევიზორების დასკვნით, თავდგირიძემდე სოხუმი მდიდარი ქალაქი ყოფილა, მას «გაუკოტრებია" იგი, გაუფლანგავს 75 ათასი მანეთი. ეს თუ ასე იყო, რატომ სასამართლომ ვერ მონახა ამის ფაქტებიო, – უკვირდა გაზეთს და იქვე უმატებდა, რომ ეს არ იყო «გაფლანგვა". 1905 წელს თავდგირიძემ შეაკეთა საავადმყოფო, პროგიმნაზია გადააკეთა გიმნაზიად, შეიძინა შენობა რეალური სასწავლებლისთვის, შემოიღო დახმარება ღარიბ მოსწავლეთათვის წელიწადში 3000 მანეთი, გახსნა საქალაქო აფთიაქი და სხვა. გაზეთი ჩამოთვლიდა უამრავ საქმეს, რომელიც მოკლე დროში გაუკეთებია ნ. თავდგირიძეს. ეს პიროვნება შემდეგში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატიც იყო და 1910-ანი წლების ქართული პრესის აქტიური პუბლიცისტიც. ნამდვილი ეროვნული მოღვაწე და პატრიოტი. თქმა უნდა, აფხაზეთში მოკალათებულ რუს შოვინისტებს არ მოსწონდათ და მისი ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნაც ხელ-ფეხს უბორკავდა ამ მხარეში თავისუფალი მოქმედებისათვის. გაზეთი «ამირანი" დაუნდობლად ანადგურებდა მარკოვსა და მის თანამოაზრეებს და ნ. თავდგირიძის მოღვაწეობას ახასიათებდა, როგორც თავდადებული მოღვაწისა და ჭეშმარიტად ჰუმანური ადამიანის ნიმუშად.[11]

რუსეთის შავრაზმული პოლიტიკა ხშირად ვლინდებოდა რელიგიურ საკითხებთან დამოკიდებულებაში. გაზეთმა «ამირანმა" გამოაქვეყნა 1908 წლის ზაფხულში კიევში ჩატარებული რუს მისიონერთა სრულიად რუსეთის კრების

ანგარიში, რომელიც ორი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა. კრებამ პირდაპირ შუა საუკუნეებში გადაგვიყვანაო, გაოცებას ვერ მალავდა «ამირანის" პუბლიცისტი, რომელიც ამ კრებას დასწრებია. კრებისადმი მოლოდინი ითვალისწინებდა გაცილებით მეტი ადამიანური ურთიერთობებისა და ჰუმანიზმის ჩვენებას, ვიდრე ეს მოხდა. კრებამ გამოხატა თავისუფლებისადმი სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი. «ეს რაღაც ინკვიზიტარული კრება იყო, – წერდა «ამირანი", სადაც წმინდა მამებმა ჯოჯოხეთურის სიბრაზით დაჰგმეს და დასწყევლს ყველა, ვინც მათთან არ არის, ვინც მათსავით არ ჰფიქრობს, ვისაც ის ღმერთი არა სწამს, რომელსაც ისინი სცემენ თაყვანს"-ო.

კრების მიმართულება გაზეთის აზრით, არა მარტო ეკლესიური იყო, არამედ რუსეთის პოლიტიკური რესტავრაციაც. კრებამ დაჰგმო რევოლუცია, მისი მესვეურნი და სტაბილიზაციას დაუჭირა მხარი. მან დაჰგმო 17 ოქტომბრის მანიფესტი, სინდისის თავისუფლება. მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად ბრძოლა გამოუცხადა სხვა რელიგიებსა და სექტებს. «ბრძოლა არა სულიერი, – წერდა გაზეთი, – არამედ «ხორციელი", პოლიციური, აკრძალვებით, დევნით, სახელმწიფოს მფარველობით". ამის შესახებ მიღებული რეზოლუციები «ამირანს" მიაჩნდა სრულ გაუგებრობად, მაგ: ქორწინების აკრძალვა მართლმადიდებელსა და არამართლმადიდებელს შორის, სექტანტებისთვის სამლოცველოების აგებისა და საჯარო ღვთისმსახურების აკრძალვა, უკანონო შვილად გამოცხადება იმისა, ვინც იმ კათოლიკის ოჯახში დაიბადება, რომლებიც მართლმადიდებლები იყვნენ და შემდეგ გადავიდნენ ამ რწმენაზე, «მწვალებლებისთვის" რუსეთში გადმოსახლების აკრძალვა, განსაკუთრებული კანონები სკოპცებისადმი და სხვა, აღაშფოთებდა გაზეთის რედაქციას და მიაჩნდა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მიუღებლად. ეს იყო აღვირაშვებული რეაქციის გამოვლენა რუსულ ეკლესიაში, რომელსაც კავშირი ჰქონდა «ჭეშმარიტ რუსთა საზოგადოებასთან" და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა მთელს განმათავისუფლებელ მოძრაობას.[12]

«ამირანი" აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიულ «ჩვენ კვალს", მათი პუბლიცისტების პოლემიკას «უცნაურს" უწოდებდა. მოწინააღმდეგის ბრალდებას, – სოციალისტ-ფედერალისტებს საკუთარი პროგრამა არა აქვთო, «ამირანი" პასუხის

გაცემის ღირსადაც არ თვლიდა, მაგრამ აოცებდა მისი თავისმართლება: საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის შესახებ ხმას იმიტომ არ ვიღებდით, რომ საქმე არ გაგვეფუჭებინაო. «ჩვენი კვალის" განცხადებას «ამირანი" სიყალბეს უწოდებდა და ასკვნიდა, რომ საქართველოს ავტონომიას სოციალ-დემოკრატიის ყველა მიმდევარი უარყოფითად უყურებდა.[13]

«ამირანი" უპირისპირდებოდა არა მარტო სოციალ-დემოკრატთა იდეოლოგიას, არამედ ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებსაც მართალია ჯერ არ ჰქონიათ თავიანთი პრესის ორგანოები ქართულ ენაზე, მაგრამ რუსულად – კი. ეს იყო გაზეთი «ზაკავკაზიე", რისთვისაც «ამირანი" აკრიტიკებდა ნაციონალ-დემოკრატიას. «ტუზემცების" ენა არ აწყობთ თუ რაა, ქართულად ელაპარაკონ მის ხალხს, აჯობებსო. როდესაც გადაწყდა, რომ ქართულ ენაზეც გამოეცათ ამ იდეური მიმართულების ორგანო, მაშინ «ამირანმა" გააკრიტიკა ქართული გაზეთის გამოცემის წინ გაკეთებული პროგრამული განცხადება და ნაციონალ-დემოკრატიული იდეოლოგია. ეს კრიტიკა, ძირითადად სოციალისტური პრინციპების ირგვლივ ხდებოდა. ნაციონალისტები ჰკიცხავდნენ მათ ალტრუიზმის, კაცობრიობის, ინტერნაციონალიზმის, მუშის ირგვლივ დაუმთავრებელი საუბრისათვის, ითხოვდა პრაქტიკულ საქმიანობას, რისთვისაც «ამირანი" აკრიტიკებდა ამ ჯგუფს, აბრალებდა მას ხალხის ინტერესთა უარყოფას, პესიმიზმს და განდგომას.[14]

პუბლიცისტ ილია ნაკაშიძის წერილები გლეხობაზე განსაკუთრებით აღიზიანებდა თავადაზნაურობას, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული მათი ავტორის იდეოლოგია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სოფელ რუისში მყოფი მწერალი სასტიკად უცემია ბოქაულს, რომელიც იმავე სოფლის მემამულე – ციციშვილი იყო. გაზეთი მრავალ ფაქტს ასახელებდა მემამულეთა მიერ გლეხთა შევიწროებისა, ცემისა და ბიუროკრატიას ადანაშაულებდა ამ თავადთა დაუსჯელობის გამო.[15] თვით ილია ნაკაშიძე აღწერდა, თუ როგორ იხილა რუისში ბოქაული ციციშვილისა და მისი სტრაჟნიკების ჩადენილი უმსგავსო საქციელი, – უდანაშაულო ჩოხიანი გლეხის ცემა, გამოესარჩლა, მას და თავად სცემეს. ისე დაუნდობელი იყვნენ სტრაჟნიკები და ციციშვილი, რომ მოკლავდნენ, ცოლი და

ცოლისდები რომ არ მომშველებოდნენო, – წერდა ნაკაშიძე. შემდეგ ის აღწერდა სოფლის სატუსაღოს, მისდამი დამოკიდებულებას და წერილს იმით ამთავრებდა, წუხილით მევსება გული, როდესაც ვხედავ ჩვენი ხალხის ბედს, ვინ არიან მისი მოსამართლენი და ცხოვრების გამრიგე-გამწესრიგებელნიო.

სოციალ-დემოკრატიული აზროვნების კრიტიკისას გაზეთი «ამირანი" ეხებოდა II სათათბიროს წევრთა საქმიანობასაც, რომლის წევრები ამ პარტიის ლიდერები იყვნენ. ის აკრიტიკებდა ჩხეიძეს, რადგან ჯერ საქართველოს ინტერესების გადაწყვეტას ითხოვდა მისგან, შემდეგ კი რუსეთის ინტერესთა დაყენებას.

გაზეთი მაინც დადებითად აფასებდა ქართველი დეპუტატის მიერ საქართველოს დაყენებას პოლონეთისა და ფინეთის გვერდით და მათი ინტერესების გამოცალკევებას. «წინათ ბ-ნ ჩხეიძის თანამოაზრეების თვალში საქართველოს არავითარი საკუთარი საკითხები არ მოეპოვებოდა. მათთვის თვით საქართველოც კი არ არსებობდა, იყო მხოლოდ ქართულ ენაზე მოსაუბრე მუშა და გლეხი. ეხლა საქართველოს თავისი საკუთარი ინტერესები გაუჩინა ბ-ნ ჩხეიძემ, თუმცა ძველებურად ფიქრობს, რომ ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად თვით ქართველ ხალხს კი არა, რუსეთის ტარიელ-ავთანდილს, ე.ი. მთელი რუსეთის მშრომელ ხალხს უნდა მოვიხმობდეთო. ესეც თვალსაჩინო ნაბიჯია".[16]

იდეური განხეთქილება რომ იმავე 1900-იანი წლების შუახანებიდანვე დაიწყო 1904 წელს ჩამოყალიბებულ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შიგნით და სოციალისტურ მიმართულებას ეროვნული დემოკრატია გამოეყო, ამას კარგად აცნაურებს 1906-1909 წლების სოციალისტ-ფედერალისტური პრესა. გაზეთები – «ცნობის ფურცელი", «შრომა", «მეგობარი", «ისარი", «ამირანი", «დროება" და სხვა გაზეთები მძაფრ პოლემიკაში იყვნენ ჩაბმულნი ეროვნულ-დემოკრატ მოაზროვნეებთან. მაგალითისთვის უამრავი წერილის მოყვანა შეიძლება. ეს ადამიანები იმაზეც კი დავობდნენ, საჭირო იყო თუ არა სოფლად მშვიდობის ჩამოგდება, უდანაშაულო ადამიანთა ასაწიოკებლად გაგზავნილი სტრაჟნიკების ნაცვლად სხვა, მშვიდობიანი გზის გამოძებნა. მაგალითად: «ამირანი" ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად უთვლიდა ეროვნულ-დემოკრატებს, რომ ისინი თავად შედიოდნენ ამ «დამაწყნარებელ" ორგანიზაციებში და სოფლად

მიდიოდნენ, ამ დროს კი იმავე სოფლებში ჩუმად მოქმედებდნენ ყაჩაღთა ბრბოები, აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ სოფლებს რევოლუციის სახელით. მათი ეს ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ეროვნული მოძრაობის დემოკრატიული ფრთა პრინციპულად ებრძოდა ტერორს, სადამსჯელო ღონისძიებებს და ცდილობდა მის შენელებას, თუკი სოფლებში ისინი მამასახლისებს ან «სტრაჟნიკებს'' დაუდგებოდნენ გვერდით, ეს მხოლოდ იმ ადამიანების სასიკეთოდ, რომლებიც ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად იჩაგრებოდნენ არეულობით, განუკითხაობით და არასამართლიანი ტერორით.[17]

გაზეთი «ამირანი'' მკითხველებს სამი იდეურ-პოლიტიკური მიმართების ჩამოყალიბებაზე მოახსენებდა, ნაციონალ-დემოკრატების შიგა განხეთქილებასაც იმთავითვე წინასწარმეტყველებდა: ერთნი მთავრობის მონა-მორჩილნი იქნებიან, მეორენი კი კომპრომისებს გაჰყვებიანო. ასევე სოციალ-დემოკრატებსაც ორად გახლეჩას უქადდა: ერთნი ტერიტორიალურ ავტონომიას მიემხრობიან, მეორენი – ცენტრისტებად დარჩებიანო. გაზეთს ეს გახლეჩვა ქართველი ერის საზიანოდ მიაჩნდა, ერთიანი ეროვნული, სოციალური და პოლიტიკური მიზნებისთვის გამთლიანებას ითხოვდა, თუმცა თვლიდა, რომ ასეთი შეკავშირება ქართულ საზოგადოებას ძნელად შეეძლო.

გაზეთი «ამირანი'' ითხოვდა დაეარსებინათ ისეთი მეცნიერული საზოგადოება, რომელიც შეისწავლიდა საქართველოსა და მის პრობლემებს, ამ დაწესებულების მუშაობაში ყველა მიმართულებას უნდა შეეტანა წვლილი. ქვეყანას ის გზა უნდა აერჩია, რაც შესწავლის შეჯერებით გადაწყდებოდა.[18]

გაზეთმა «ამირანმა'' მკითხველებს აუწყა ნამესტნიკის კანცელარიაში შემუშავებული პროექტის შესახებ, რომლის მიხედვით ამიერკავკასიის მოსახლეობას 1909-1911 წლებში უნდა გაზრდოდა გადასახადი და მას 3 მილიონ 300 ათასით უნდა გადაეჭარბებინა არსებული რაოდენობისათვის. გაზეთი ამ ცნობებს მოიპოვებდა გაზეთ «ბაკუ''-ზე დაყრდნობით, რომელსაც ხელში ჩავარდნია შემაშფოთებელი სტატისტიკა. გაზეთი ასახელებდა რა გაზრდილ რიცხვებს, ამ მოვლენას მიაწერდა კავკასიის გულგრილ ბიუროკრატიას და ხალხის ინერტულობას. «წინანდელთან შედარებით კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა

ჩამოქვეითებულია, – წერდა გაზეთი, – გასულ წელს საქართველო თითქმის მთლად დამშეული იყო, შავი ქვის წარმოება და მრეწველობა დაეცა, რამდენიმე ქალაქი შავი ზღვის ნაპირას ეკონომიკურად სრულიად გაღარიბდა და მრეწველობა შეჩერდა. სარევოლუციო მოძრაობამ და დამსჯელმა რაზმებმა დიდძალი სახალხო ქონება გაატანეს წყალს, მთავრობის მამასახლისების შენახვამ სრულიად დააუძლურა სოფელი, მევენახეობა-მეღვინეობის კრიზისმა დასცა კახეთი და იმერეთი. . .” ასეთ ვითარებაში გადასახადები პირიქით, უნდა შეემცირებინა ხელისუფლებას, ის კი ზრდის და ხალხს ახალი კატასტროფის წინაშე აყენებსო. გაზეთი ითხოვდა საზოგადოებრივი დაწესებულებების სიფხიზლეს და მთავრობისთვის ხელისშეშლას ამ საკითხის განხორციელებაში. «თუ ჩვენ გავჩუმდებით, უეჭველია საკანონმდებლო წრეებში ამ სიჩუმეს სწორედ ისე განმარტავენ, ვითომც კავკასიისთვის სამმილიონნახევარ მანეთის გადასახადის წარმატებას ბევრი არაფერი მნიშვნელობა ჰქონდეს”.[19]

გაზეთი «ამირანი” მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური მოვლენების გადმოცემისას განსაკუთრებულ ადგილს იქ მცხოვრებ ქართველებს უთმობდა. გაზეთში მრავალი წერილი გამოქვეყნდა ფერეიდნელ და თურქეთში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველობაზე. როდესაც XX საუკუნის დასაწყისში ახალი პოლიტიკური მოძრაობა დაიწყო ოსმალეთში და გაიმარჯვა კიდეც ამ მოძრაობამ, გაზეთი მიესალმა მას. თუმცა ამ მოვლენას მეტი ყურადღება რუსულმა პრესამ დაუთმო და საქართველოს მომავალიც გათვალა ახალ ოსმალეთთან კავშირში.

გაზეთ «ამირანს” მოჰქონდა პეტერბურგული პრესის წერილები, სადაც ეწერა, რომ ოსმალეთის განახლება გავლენას იქონიებდა ამიერკავკასიაზე, განსაკუთრებით საქართველოზე, რომელიც მეზობელიც არის მისი და ქართველებიც მრავლად ცხოვრობენ ამ ქვეყანაშიო. «რეაქციონურმა რუსულმა პრესამ მშრალი გონებით მოიაზრა, – წერდა «ამირანი”, – შეუძლებელია ტერიტორიალურმა მეზობლობამ, საერთო ისტორიულმა წარსულმა და ეროვნულმა იგივეობამ ნაყოფი არ გამოიღოს და მაშასადამე, ოსმალეთის განახლებამ გავლენა არ იქონიოს ამიერკავკასის ცხოვრებაზეო”. გაზეთი სინანულს გამოთქვამდა, რომ ეს აზრი ქართველებს არც

მოსვლია თავში, არ გახსენებია თავის დროზე თანამედროვე ქართველები, რომლებიც მეზობელ ქვეყანაში ცხოვრობდნენ.

გაზეთის აზრით, ეს დროებითი მოვლენა იყო, ორი თვეც არ იქნებოდა გასული, რომ ქართველობა თანამოძმეებს ისევ მიივიწყებდა, როგორც შარშანდელ თოვლს. «ეროვნული მთლიანობა კულტურული ინტერესების ერთიანობა და მთლიანობაა, ჩვენ კი სწორედ ამ კულტურულ ინტერესებითა ვართ სუსტი", – ამტკიცებდა გაზეთის მოწინავე სტატია. მას მიაჩნდა, რომ ერის შემაკავშირებელი ძალები დასუსტებული იყო, ამ ვითარებაში შიგნითაც კი კავშირი მას არ შეეძლო და გარეთ მით უმეტეს ვერ მოახერხებდა. ამის მაგალითად მოჰქონდა სპარსეთიდან ჩამოსულ ქართველებთან გამართული მხურვალე შეხვედრები. რა გამოვიდა ამით? – კითხულობდა სტატიის ავტორი, – ისინი წავიდნენ, ჩვენ დავრჩით, საქმე არ გაკეთდაო და წუხდა, რომ ასე მოხდებოდა ოსმალეთის ქართველობასთან კავშირშიც. ამის მიზეზად იგი შემდეგს ასახელებდა: «მთელი ჩვენი ეხლანდელი კულტურა ნათლად გამოხატულ რუსულ ხასიათს ატარებს. იდეებს რუსეთიდან ვსესხულობთ, ესთეტიკურ გემოვნებას რუსულ ნიადაგზე ვავითარებთ, იდეალებს რუსეთის მოწინავე წრეებსა და მწერლობაში ვეძებთ, მეცნიერებას რუსულ უნივერსიტეტებში ვეწაფებით, სახალხო ცხოვრების ორგანიზაციისათვის რუსეთში დავეძებთ მაგალითებს; მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი ჩვენი სულიერი კულტურა იგივე რუსული კულტურაა". ასეთ ვითარებაში ადვილი გასაგებია, რატომ გვაქვს მჭიდრო კავშირები მოსკოვთან და პეტერბურგთან და უფრო ახლოს მცხოვრებ ჩვენ თანამოძმეებთან არაო. საჭიროა ჯერ ნაციონალური, თავისთავადი კულტურა ავაღორძინოთ და მერე შეგვეძლება კავშირის შეკვრა რუსეთის, სპარსეთის და ოსმალეთის ქართველებს შორისო.[20] «ამირანი" ამ საკითხზე სხვა ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებსაც უთმობდა ადგილს. მისი აზრით, გაზეთმა «ჩვენმა კვალმა" ამ საკითხის დასმით ერთგვარად – «პანქართველიზმის" დროშა ააფრიალა. ამის გამო გაზეთი «ამირანი" აკრიტიკებდა «ჩვენი კვალის" პოზიციას და მას მიუღებლად თვლიდა.[21]

რევოლუციის შემდეგ საერობო რეფორმის გატარება სულ უფრო და უფრო მწვავედ დგებოდა დღის წესრიგში. საერობო ხარჯებს სახელმწიფო

ყოველწლიურად გამოჰყოფდა და მის ხარჯვაზე გაკონტროლებას ადგილობრივი მოხელეები ვერ ახდენდნენ. საჭირო იყო ეს საქმე საერობო თვითმმართველობებს გადასცემოდა. ვიდრე სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაცია მოხდებოდა, ამიერკავკასიის საერობო ხარჯთაღრიცხვას იმავე წესით განიხილავდნენ, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს. სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაციის შემდეგ ასე აღარ ხდებოდა და სახალხო წარმომადგენლობის საკრებულო თუ სათათბირო ამ ხარჯებს თვალს ვეღარ ადევნებდა.

გაზეთი «ამირანი'' განიხილავდა 1908 წლისათვის გამოყოფილ საერობო თანხას და აღნიშნავდა, რომ იგი 4 801 650 მანეთს შეადგენდა და აქედან თითქმის ნახევარი საერობო დარაჯების შენახვაზე იხარჯებოდა. ასევე დიდი თანხები მიდიოდა პოლიციისა და დამსჯელი რაზმების შესანახად. თუ რა შედეგი ჰქონდა ამგვარ სისტემას, ამას გაზეთიდან ვიგებთ: «ამიერკავკასიაში ავაზაკობამ და ბოროტმოქმედებამ კი არ იკლო, იმატა. ეს ინსტიტუტი რომ წესიერების დამცველად არ გამოდგა, ამას თვით კავკასიის უმაღლესი ადმინისტრატორებიც ხედავენ. ეხლა საერობო დარაჯებთან ერთად იმავე წესიერების აღსადგენად და დასაცველად შემოიღეს ინსტიტუტი მთავრობის მამასახლისების და ეგზეკუციებისა. დარაჯები, მამასახლისები და ეგზეკუციები ამიერკავკასიის მკვიდრთა ოფლით ნაგვემ სარჩო-საბადებელს აქრობენ, სპობენ, ვითომ წესიერების და კანონიერების აღსადგენად, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ანარქიას კი მაინც ბოლო არ უჩანს. ცხადია, რომ რეპრესიები უვარგისი საშუალება ყოფილა კანონიერების აღსადგენად, ცხადია, ჩვენი ქვეყნის გამგენი მაინც თავისას არ იშლიან''.[22]

გაზეთი გულისტკივილით წერდა იმაზეც, რომ განათლებისთვის საერთო ხარჯის მეოთხედი იყო გამოყოფილი და ეს ფულიც ამ დარგის განვითარების ინტერესებისათვის კი არა, «ამიერკავკასიის რუსიფიკაციისათვის იყო გამოყენებული''. არც ერთი გროში არ იყო გადადებული მეურნეობის გასავითარებლად, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასავრცელებლად, სარწყავი არხების მოსაწყობად და სხვა, რაც აფერხებდა ქართველი ხალხის წინსვლას.

საინგილოს მდგომარეობას ასახავდა პუბლიცისტი ზაქარია ედილი (ედილაშვილი) გაზეთ «ამირანში''. პუბლიცისტი გულისტკივილით წერდა

საინგილოს ბედზე, რომელიც ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს ლეკებმა და რომელთაც ბევრი გასაჭირი გადაიტანეს, თუმცა, ნაწილობრივ ქართველობა მაინც შეინარჩუნეს. XX საუკუნის დასწყისში ახლა იმ დარჩენილ ნაპერწკალსაც აცლიდნენ, რაც აქაურობას შემორჩა. ართმევდნენ რჯულს, ცხოვრების ადათ-წესს. ასახელებდა მთის სოფლებს: კუმს, ლექეთს, გუნუთს, თაკას და სხვებს, სადაც ლეკები ჩამოსახლებულან უძველესი დროიდან და ქართველები მათში აღრეულანო. აქა-იქ თუ იპოვება მათი ნამოსახლარი, ქართველობის უტყუარი მოწმე საბუთებიო.

პუბლიცისტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ სოფლებს და საინგილოს კუთხეებს, რომელიც ისტორიის ქარტეხილს ჯერ კიდევ არ წაერეცხა, ეს იყო ალიაბათის ნაწილი, ძველი ელისენი, რომელსაც თათრები გურჯისტანს უწოდებდნენ. მის მდგომარეობას «ამირანში" გამოგზავნილი პუბლიკაციით ასე ახასიათებდა ზაქარია ედილაშვილი: «გურჯისტანი საინგილოს დიდს ნაწილს წარმოადგენს. ინგილოები დღევანდელ ზაქათალის ოლქის ორ ნაწილში ცხოვრობენ: კაკისა და ალიაბათისა, რომელიც ძველს კაკ-ენისელს უნდა შეადგენდეს. პირველში, ე.ი. კაკის ნაწილში, გარდა ორი სოფლისა – შოთავრისა და ბაბალოსი, – ქრისტიანები არიან, ალიაბათისში კი – ყველანი მუსულმანები არიან. ინგილო მუსულმანი 10 000 კაცს აღემატება, ქრისტიანები კი მათს ნახევარსაც არ შეადგენენ". ამ გურჯისტანში, ანუ ძველ ელისენში ავტორი აღწერდა მოსახლეობის გადაგვარებას, ამ რამდენიმე ათი წლის წინათ ქართულ ეროვნებას აქ არავითარი საფრთხე არ ელოდებოდა, საუკეთესოდ იყო შენახული ენაც, ადათ-წესებიც, დღესასწაულებიც, თუმცა მუსულმანები იყვნენ, მაგრამ ისე იყო შერწყმული მუსულმანურ-ქრისტიანული წესები, რომ სად იწყებოდა ერთი და სად მეორე – ძნელი გასაგები იყოო.

პუბლიცისტი იხსენებდა სახალხო დღესასწაულად ქცეულ კვირაცხოვლობას სოფელ თასმალოში. იქ მშვენიერ ჭალაში იყო ეკლესიის ნანგრევები, სადაც მთელი გურჯისტანი იკრიბებოდა, ტევა აღარ იყო, სანთლებს ანთებდნენ და ბატკანს და წითელ კვერცხებს მიართმევდნენ ხოლმე საყდარს. არანაკლები დღესასწაული იყო ქურმუხობა. ქურმუხის წმინდა გიორგის დღესასწაული აქ 10 ნოემბერს იმართებოდა, სადაც უამრავი ხალხი იკრიბებოდა; პუბლიცისტის აზრით,

ინგილოები ინახავდნენ ქრისტიანთა მარხვებს. მაგ: მარიამობისთვის მარხვას და დიდმარხვის პირველსა და უკანასკნელ კვირას. «ამ მარხვებს ისე წმინდათ ინახავდნენ, – ვკითხულობთ წერილში, – რომ თავიანთს მუსულმანურ მარხვებს – ორუჯებს მარხვად არც კი სთვლიდნენ და არც მაგრერიგად ასრულებდნენ. საზოგადოდ, მრავალი ქართული ჩვეულება და ადათი იყო დაცული".[23]

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან აქ დაიწყო ეროვნული სულის გაღვივება. ხალხი შეუდგა მამა-პაპური სარწმუნოების აღდგენას, ამ საქმის მესვეურები იყვნენ ივანე ბულუგაშვილი და გიორგი ჯანაშვილი. სოფელი კაკი სულ მცირე ხანში მოინათლა. მისი მაგალითით წაქეზებულნი სოფელი სოფელზე იღებდა ქრისტიანობას. სულ მალე საინგილოს მოედვნენ მუსულმანი პროპაგანდისტები. ისინი ოსმალეთიდან და დაღესტნიდან მოვიდნენ. აგიტატორები ქადაგებდნენ, რომ ისინი ქართველები კი არა, ოსმალები იყვნენ, ოსმალეთის მთავრობა მათთვის საუკეთესო მიწებს გაიღებდა, გაათავისუფლებდა გადასახადებისაგან, ოღონდ უნდა დაბრუნებოდნენ იმ მამა-პაპურ სარწმუნოებას, რაც ოდესღაც ქართველებმა წაართვეს. ბევრმა დაიჯერა და გასახლდა ოსმალეთში. ისინი ახლა ატანას ვილაიეთში, სოფ. გამიდიაარალისში არიანო, წერდა ედილი და იმოწმებდა დიმიტრი ჯანაშვილის წერილებს – «ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა". იქაურებს ახლაც ახსოვთ მშობლიური ენაო. პროპანგანდისტებს მიაწერდა პუბლიცისტი იმას, რომ საინგილოში გაჩნდნენ ფანატიკოსი მუსულმანები, ეთნიკურად ქართველები, ჰაჯიები – მექაში ნამყოფნი. ყოველწლიურად 40-50 კაცი მიდის მექაში სალოცავად, ენა დაივიწყეს, შეიცვალეს გვარ-სახელიც, ქორწინდებიან თათრებზე, რაც საბოლოოდ მოსპობს აქ ქართველობას. თუ არ მივხედეთ 10-15 წლის შემდეგ საინგილოში ქართველობის ნასახიც აღარ იქნებაო, – გულისტკივილით აღნიშნავდა თავად ინგილოური წარმოშობის პუბლიცისტი.[24]

§. I აგრარული საკითხი გაზეთ «ამირანში”

გაზეთი «ამირანი” აგრძელებდა რა წინამორბედი გაზეთების იდეურ მიმართულებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გლეხთა საკითხის მოგვარებას, აგრარული პრობლემების გადაჭრას. გაზეთი ეხებოდა საქართველოში არსებულ ტრადიციულ სამეურნეო გამოცდილებას და ითხოვდა მათ აღორძინებას, ასევე თანამედროვე მიღწევების გამოყენებით მოსავლიანობის ზრდას. სოფელი გაზეთის აზრით უნდა ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკური საყრდენი, ქართველი ხალხის გამოკვება უნდა შეძლებოდა მიწას, რომლის მფლობელი გლეხობის მიერ ეფექტურად იქნებოდა გამოყენებული მისი ყოველი გოჯი.

XX საუკუნის დასწყისის საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი ეჭირა მეხილეობას. «ამირანი” წერდა: «ქართლში მაღალი ხარისხის ხილი მოდის, ბაზარიც საკმაოდ დიდი აქვს, მაგრამ ძალიან საეჭვოა ქართლელ მეხილეს რომ გამორჩენა ჰქონდეს აქედან”. ამის მიზეზად გაზეთი ასახელებდა გლეხის მოწყვეტას ბაზრიდან, მასთან შუამავლად მისულ ვაჭარს; ვაჭრები, გაზეთის თქმით, – წინასწარ ყიდულობდნენ ხილის მოსავალს, შემდეგ კი მას ერთი ხუთად ინაზღაურებდნენ. ამიტომ იყო თბილისის ბაზარზე ქართლის ხილი ასე ძვირი, რადგან ჩარჩ-შუამავლის დამსახურება იყო ეს და არა გლეხის. ნაკლები სარგებლის გამო ქართლელი გლეხები აღარ ზრუნავდნენ ბაღების მოვლაზე, მის დამუშავება-შეწამვლაზე, რაც დაბლა სცემდა მეხილეობის კულტურას.

«ხილის კულტურისათვის და იმის წარმატებისთვის, – ირწმუნებოდა «ამირანი”, – აუცილებლად საჭიროა მეხილე ჩარჩების განდევნა და მებაღეების მიერ მოსავლის პირდაპირი გამოტანა ბაზარზე”, რისთვისაც გამოდგებოდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ბანკის გახსნა. თუმცა ამგვარი ბანკი იყო საქართველოში, მაგრამ ის მხოლოდ სახელად ატარებდა სასოფლო-სამეურნეო კრედიტისთვის მოწყობას, თორემ სინამდვილეში არ ემსახურებოდა სოფელს. ასეთი ბანკი ქართველ გლეხს მაშინ გამოადგებოდა, თუ სესხის გაცემის საფუძვლად მიღებული იქნებოდა არა ბანკის კლიენტის ქონებრივი მდგომარეობა, არამედ მისი შრომის უნარი. ასე აძლევენ ჩარჩები სოფლად გლეხობას სესხს და მოგებასაც

დიდს იღებენო. «წვრილი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, მოწყობილი არაა კომერციული ბანკების პრონციპზე, არამედ შრომისადმი ნდობის საფუძველზე, აი რა არის ჩვენი შეხედულებით ერთადერთი საშუალება სოფლის წვრილი მწარმოებლების დასახსნელად მევახშეობის და ჩარჩობის ბრჭყალებიდან" – ასკვნიდა გაზეთი და მკითხველს ახსენებდა მსგავსი ევროპული ბანკების საქმიანობის შედეგებს. ასეთი კრედიტი გამოადგებოდა არა მარტო ხილის წარმოებას, არამედ სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგსაც.[25]

ქართველ მემამულეთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად ახალი მეთოდები, სათესლე მასალა, იარაღები თუ სხვადასხვა საშუალებები გამოეყენებინა. ასეთი იყო დაბა სტეფანწმინდაში გენერალ გიორგი ყაზბეგის მიერ 1908 წლის 1 იანვარს გახსნილი «ყოველნაირ ფარჩეულობის და შალების, აგრათვე სპარსულ ხალიჩების, ფარდაგების და ჯეჯიმების საქსოვი სახელოსნოები". მან ტვერის გუბერნიიდან ამ საქმის ორგანიზებისათვის მოიყვანა ყმაწვილი კაცი – ალექსეი სოკოლოვი, რომელსაც ყაზბეგი 40 მანეთს უხდიდა და საკუთარ ოჯახში აცხოვრებდა. ხალიჩების განყოფილებას განაგებდა სტეფანწმინდელი ნინო გრიგოლის ასული უთურაშვილი, რომელსაც ეძლეოდა თვეში 20 მანეთი და სახლი შეშით. მოსწავლეებმა დიდი წარმატება მოიპოვეს და შესანიშნავი ხელოვნების ნიმუშები მოქსოვეს აქაური მატყლითა და ბამბით.

გენერალს ჩინეთიდან შემოუტანია ქერის ახალი ჯიში, ასევე ადგილობრივი ჯიშის ნათესებიც ბლომად ჰქონია, რასაც «ამირანი" დიდ მოვლენად თვლიდა მთის ცხოვრებაში და გენერალ ყაზბეგს ერის მოამაგეს უწოდებდა.[26]

ასევე დიდი ადგილი ეჭირა გაზეთში დასავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას – «კოლხიდას" საქმიანობას, აქ მოღვაწე ადამიანების დამსახურებას. რედაქციას მოსწონდა, რომ ამხანაგობის მესვეურნი პარტიულობის ნიშნით არ მოღვაწეობდნენ, მათი ერთადერთი დირექტივა და მიზანი იყო სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება.[27]

გაზეთი არკვევდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ჩამორჩენის მიზეზებს. მათ შორის იყო მეღვინეობის კრიზისის მიზეზთა ძიებაც, რასაც «ამირანი" აბრალებდა ჯერ ჩვენში გავრცელებულ ფილოქსერას და ვაზის სხვა

დაავადებებს, შემდეგ კი – ბაზრის შევიწროებას, სანერგეების გაფართოებას და სხვა. გაზეთი დიდ შეფასებას აძლევდა სტაროსელსკის საქმიანობას ვაზის სანერგეს დაარსებაში, მის ბრძოლას ვაზის სენთან, საქარის საცდელი მეურნეობის როლს დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის წარმოებაში და სხვა. გაზეთი «ამირანი" განიხილავდა დასავლეთ საქართველოს ვაზის საუკეთესო ჯიშებს: ციცქას, ცოლიკაურს, იზაბელას, ხანჭკარას და სხვას, ასევე არაყს, რომლის გატანა რუსეთის ბაზარზე მომგებიანი იქნებოდა. იმავე თემაზე იყო საუბარი ზესტაფონის მევენახეთა შეკრებაზე, რომლის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდა «ამირანში".[28]

სოფლის მეურნეობის პრობლემებს საინტერესოდ წარმოსახავდა გამოჩენილი ქართველი მეურნის ილია წინამძღვრიშვილის წერილი «ამირანში". წინამძღვრიშვილი იხილავდა რუსი გენერლის ლევიცკის გამოქვეყნებულ ნაშრომს მიწის სიმდიდრის საიდუმლოებაზე და ეთანხმებოდა მას, რომ ერთი პურის მარცვალი, თუ რიგიანად მოუვლიდნენ, 2-3 ფუთ მოსავალს იძლეოდა. ამ წესით შემუშავებული დესეტინის მეოთხედი მიწა მშრომელს 6000 ფუთ ჭირნახულს მისცემდა. მეურნე ასეთ რჩევას აძლევდა მიწის მესაკუთრეებს: ორი დღიური მიწა ოთხკუთხა ნაჭრებად უნდა დაეყოთ საჟენებად და თითოეული საჟენი ოთხ თანასწორ ნაწილად. თითო წელიწადს იმუშავებდა მხოლოდ თითო კვადრატული საჟენის ერთი მეოთხედი, დანარჩენი სამი ნაწილი რიგ-რიგად დაისვენებდა. აი, რა ტექნოლოგიას სთავაზობდა მოსავლის მაღალი ნაყოფიერებით მიღებისათვის ილია წინამძღვრიშვილი ხალხს. პურის მოსავალი, წინამძღვრიშვილის სწავლებით, დამოკიდებული იყო მცენარის ძირის გამრავლებაზე, ღმერთს ადამიანისთვის გაუჩენია მიწის სიმდიდრე, – წერდა იგი, – მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მაგრამ ადამიანმა უნდა შეისწავლოს მათი ბუნებრივი კანონები, ისარგებლოს მათით".[29]

სოფლის მეურნეობაში ხორბლის მოყვანის ამ მეთოდის განხილვა მოეწყო მოსკოვში გამართულ «სრულიად რუსეთის მესამე სააკლიმატიზაციო კრებაზე", რომელსაც ქართველებიც ესწრებოდნენ და ამ კრების ამსახველი ვრცელი წერილებიც დაიბეჭდა გაზეთ «ამირანში" ეკალის ფსევდონიმით.[30]

გლეხთა საკითხს «ამირანი" ბუნებრივად უთმობდა დიდ ყურადღებას, რადგან 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგაც, სტოლიპინის რეფორმით ქართველ გლეხთა ის მწვავე სოციალური პრობლემები, რისთვისაც ის რევოლუციაში ჩაება, კიდევ არ იყო მოგვარებული. იყო უამრავი პრობლემა, რომელიც საზოგადოებაში, განსაკუთრებით ამდროინდელ პარტიებში კამათს იწვევდა. ასეთი საკითხი იყო სახელმწიფო გლეხების ამდროინდელი უფლებრივი მდგომარეობა. 1908 წლისათვის, როგორც იმპერიის ცენტრი, ასევე ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მმართველობა ამზადებდა ახალ საადგილმამულო კანონპროექტს. თბილისში გაიმართა წინასწარი თათბირი ამ კანონ-პროექტზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ნამესტნიკის კანცელარიის უფროსი მოხელეები, საფინანსო უწყების წარმომადგენლები, გადმოსახლების სამმართველოს მოხელენი, სახელმწიფო ქონებათა მმართველობის წარმომადგენლები და სხვა. მასში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

«ამირანის" რედაქცია გულისტკივილით წერდა, რომ ეს შეკრებაც და ახალი კანონ-პროექტიც ხალხის ზურგს უკან, მისგან მალულად კეთდებოდა, რომ რუსეთის იმპერიული წრეები კონსტიტუციურ უფლებებს ართმევდა ხალხს, – ემსჯელა თავის ბედზე და მონაწილეობა მიეღო მისთვის სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტაში. ერთ-ერთი ასეთი საკითხი, ქართველი ხალხისთვის მიწისა და ადგილ-მამულის საკითხი იყო. გაზეთი ეხებოდა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიებს: დროებით ვალდებულებს, ხიზნებს, მესაკუთრეებს, რუსეთიდან გადმოსახლებულებს, საეკლესიო, სახაზინო ანუ სახელმწიფო გლეხებს. გლეხთა ყველა კატეგორიას განსხვავებული უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდა. გაზეთის აზრით, ხშირად ეს კატეგორიები ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, თითქოს სხვადასხვა წოდებას ეკუთვნოდნენ. გაზეთი ამას თვლიდა ფეოდალიზმის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობად და წერდა: საქართველოს ფეოდალიზმი მეტად რთული და ჭრელი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს გლეხთა ეხლანდელი მდგომარეობის უფლებრივი და ეკონომიკური სხვადასხვაობა ამ ფეოდალიზმის ნაშთია".

გაზეთის აზრით, ყველაზე მეტი იყო სახაზინო ანუ სახელმწიფო გლეხები, ამიერკავკასიაში ამ სახის ორ მილიონნახევარი, ხოლო თბილისის გუბერნიაში 400 ათასი გლეხი იყო. შემუშავებული ახალი საადგილმამულო კანონ-პროექტით, ის მიწები, რომლებზეც სახაზინო გლეხები ცხოვრობდნენ, იყო მთავრობის საკუთრება. რუსეთის შიდა გუბერნიებში ასეთი მიწები მთავრობამ უკვე გლეხებს შეასყიდა. მიწის გამოსასყიდს ისინი ნაწილ-ნაწილ იხდიდნენ და 1905 წელს სრულებით ეპატიათ გადაუხდელი ნაწილი, ჩვენში კი არათუ ამგვარი რამ არ მომხდარა, არამედ, არავითარი კანონი არ გატარებულა გლეხთა მდგომარეობის გამოსარკვევად. სახაზინო გლეხებს შეწერილიც კი ჰქონდათ განსაკუთრებული, საფოსტო გადასახადი, რომელსაც მთავრობა სულ ცვლიდა, მხოლოდ 1900 წელს მიაქცია ყურადღება ამიერკავკასიაში მცხოვრებ სახაზინო გლეხებს და 1 მაისს გამოსცა კანონი მათ შესახებ. ამ კანონით უნდა მომხდარიყო მათი საადგილმამულო მოწყობა. კანონის განხორციელება შეფერხდა და რევოლუციის შემდეგ მის ბაზაზე შეიქმნა ახალი კანონპროექტი, რომლის განხილვის შედეგებს ეხებოდა «ამირანის" ვრცელი სარედაქციო წერილი.

1900 წლის 1 მაისის კანონს აკრიტიკებდა «ამირანი" და წერდა: «ჩვენს ქვეყანაში დღესაც ბევრ გულკეთილს, მაგრამ გულუბრყვილო ადამიანს ჰგონია, ვითომ პირველი მაისის კანონი სახელმწიფო გლეხებს უფლებათა სუბიექტად ანუ პატრონად ჰხდიდეს, ვითომც ამ კანონს იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ვთქვათ რაიმე ძირითად კანონს, მოქალაქეთა სამოქალაქო უფლების დამყარებას. ასეთი შეხედულება დიდი შეცდომაა. . . "[31] გაზეთის აზრით, ამ კანონით გლეხს არავითარი უფლება არ ენიჭებოდა, მხოლოდ საადგილმამულო მოწყობაზე იყო საუბარი. გაზეთი იხილავდა კანონის ოთხივე განყოფილებას, პირველ განყოფილებაში იყო ნათქვამი ის, რომ კანონს სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობაში უფლებრივი პრინციპები არ შეჰქონდა. ის ვერც იჯარას და ვერც გადასახადს, მიწის მესაკუთრისა და მიწის მფლობელთა ურთიერთობას ვერ განსაზღვრავდა და ეს გაზეთის რედაქციის აზრით, ბუნებრივიც იყო.

«ამირანი" და სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთები 1900-იან წლებში ხშირად აკრიტიკებდნენ ქართველი ინტელიგენციის ინერტულობას, მათ თეორიულ

მომზადებას და პრაქტიკულ საქმეებში გაურკვევლობას. «ამირანი'' მსგავსი აზრისათვის იხილავდა გაზეთ «ზაკავკაზსკი ობოზრენიეს'' პუბლიცისტის ნ. მკურნალის წერილს სოფლის მეურნეობის პრობლემებზე. მკურნალი აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ქსელის შექმნა შეუწყობდა ხელს. ამაში გლეხებს კი არა, ინტელიგენციას ადანაშაულებდა, რასაც «ამირანი'' კვერს უკრავდა, მეტიც: ბ-ნ მკურნალის სიტყვებში სრული სიმართლეა, – წერდა გაზეთი, – მაგრამ სრული სიმართლე კი მაინც არ არის. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა გასამრავლებლად, ისე როგორც სასოფლო კოოპერატივების შესაქმნელად ჩვენს დროში იმდენი გზის განათება და საზოგადოებრივი შეგნების გაღვიძება აღარ არის საჭირო, რამდენადაც პირდაპირ პრაქტიკული მოღვაწეობა''. გაზეთი სწორედ ამგვარ მოღვაწეობას უწუნებდა ქართველ ინტელიგენციას და წერდა, რომ საქმეზე ყველა ბევრს ლაპარაკობდა. წერდა, მაგრამ არავინ აკეთებდა. «ეს ჩვენი ინტელიგენციის საერთო სენია. ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი რამდენიც გინდათ მოიკითხეთ, მხოლოდ საქმეს კი ნურას მოთხოვთ'' – არწმუნებდა იგი თავის მკითხველს.[32]

§. II განათლებისა და კულტურის საკითხები გაზეთ «ამირანში''

გაზეთი «ამირანი'' სისტემატურად ეხმაურებოდა რუსეთის შავრაზმული პოლიტიკის გატარებას განათლების სფეროში, აკრიტიკებდა რუსულ ენაზე სწავლებას, მშობლიური ენის განდევნას საქართველოს სკოლებიდან და არსებულ პედაგოგიურ მეთოდებსა და სახელმძღვანელოებს. გაზეთი ასეთივე ინტენსივობით აღნუსხავდა ქართული კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენებს – თეატრალურ და მუსიკალურ ცხოვრებას, ქართული მწერლობის მდგომარეობას. განათლებისა და კულტურის საკითხები გაზეთში შუქდებოდა ეროვნული პოზიციიდან, ისახებოდა დარგში არსებული ვითარების გამოსწორების გზები.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ისევე როგორც მთლიანად ქართული პრესა, «ამირანიც" ეხმაურებოდა ქართული თეატრის პრობლემებს, წარმოდგენების განხილვას, თეატრალური დადგმების ხარისხს ასახავდა თავის პუბლიკაციებში და ამასთანავე იკვლევდა მისი წარუმატებლობის მიზეზებს, სახავდა თეატრალური ცხოვრების აღორძინების გზებს. განსაკუთრებით ქართულ თეატრს შენობის საკითხი აღელვებდა. ის ხან ერთ შენობაში იმყოფებოდა, ხან მეორეში, რაც აძნელებდა დასის შეკვრას, მუდმივი ბინის უქონლობა აძნელებდა რეპეტიციებს და მთლიანად მოქმედებდა რეპერტუარზეც და სპექტაკლთა ხარისხზეც.

გაზეთი «ამირანი" პირდებოდა მკითხველს, რომ 1908 წლის თეატრალური სეზონიდან მოისპობოდა ეს დაბრკოლება. «ტფილისის ქართულ დრამატულ დასს, – წერდა გაზეთი, – თვეში რვა სპექტაკლისათვის სისტემატიურად დაეთმობა თავადაზნაურობის განახლებული თეატრი. ეს სრულიად საკმაოა ჯერჯერობით ქართული სცენისათვის, ხოლო თუ საჭიროებამ მოითხოვა, რამდენსამე წლის შემდეგ შესაძლო იქნება მთელი თეატრი ქართულმა დასმა აიღოს თავისი საჭიროებისათვის."[33] ეს მატერიალური ნიადაგი, გაზეთის აზრით არ იყო საკმარისი, მისთვის ძირითადი ზნეობრივ-ინტელექტუალური სიმტკიცე იყო. ამ აზრს გაზეთი ასე ხატოვნად აყალიბებდა: «ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ ხელოვნების და იმის ქურუმებს ყოველთვის შეუძლიათ თავისი ნიჭი და უნარი გამოიჩინონ, თუკი გულში ღვთაებრივი ცეცხლი უნთიათ, თუნდაც ათასი მატერიალურად შემაფერხებელი პირობა ეღობებოდეთ გზაზე და პირიქით, ყოველთვის ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ წმინდა ოქროსგან აგებული შენობა და თვალმარგალიტით ნაქარგი სასცენო მოწყობილობაც ვერაფერს შეჰმატებს მათ, თუ გული არ ერჩით და გონებას არ ამოძრავებენ".

გაზეთის აზრით ქართული დასი ერთ ადგილზე იყო გაყინული. დიდი ხანია მას არავითარი წინსვლა არ ეტყობოდა და სულიერად არ განახლდებოდა, ახალი შენობა მათ ვერაფერს შემატებდა. თანამედროვე მოთხოვნებისთვის რომ ეპასუხა, ქართულ თეატრს უნდა განეახლებინა დასიც, რეჟისორთა შემადგენლობაც და დრამატურგებიც. საზოგადოებაში ხელოვნების კრიზისზე გაჩაღებულ პოლემიკას არ

ეთანხმებოდა «ამირანი” და ამბობდა, რომ კრიზისი ყოველთვის არ ნიშნავს დაღუპვას, იგი ხშირად ახალი ფორმებისა და გამომსახველობითი ფერების ძიებას ნიშნავს. «ქართული ხელოვნება საერთოდ, ხოლო ქართული სასცენო ხელოვნება კერძოდ, – წერდა «ამირანი”, – იმ დრომდე იქნება უსულო და უგულო, ვიდრე იგი მთლად არ ჩაებმის თანამედროვე ესთეთიკურ ძებნათა ფერხულში, ვიდრე ისიც ამაყად არ შეხედავს წარსულის მემკვიდრეობას, სასტიკად არ შეაფასებს მას და ახალი გზების ძებნას არ დაიწყებს”. იგი თეატრს ორ გზას უსახავდა: სიკვდილს ან განახლებას. მართალია თეატრი თავის არჩევანში თავისუფალი იყო, მაგრამ არჩევანი იყო თავად შეზღუდული.

«ამირანი” აკრიტიკებდა «ქართულ დრამატულ საზოგადოებასაც, რომელიც ნაკლებად ზრუნავდა თეატრის განახლებისათვის, მისი აზრით, ეს უფრო ქართული დრამის მფარველი დაწესებულება იყო, ვიდრე დრამატული ხელოვნებით დაინტერესებული პირების ორგანიზაცია”. ეს მფარველობა უფრო ქველმოქმედებითი იყო, ვიდრე ინტელექტუალური და ესთეტიკური. «დროა ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ შეიგნოს, – აფრთხილებდა ამ ორგანიზაციას გაზეთი, – რომ იმის აპეკუნობას ქართული სასცენო ხელოვნებისათვის ზიანი მოაქვს და არა სარგებლობა, დროა შეიგნოს და სცენის ხელმძღვანელობა დაუთმოს იმათ, ვინც სცენისთვის და სცენით ცოცხლობს”.

გაზეთი «ამირანი” აგრძელებდა მისი წინამორბედი «ისარის” ხაზს ქართული განათლების აღორძინებისათვის, სკოლების დაარსებისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. სამეგრელოს სკოლებში, სოფლის მასწავლებლებისათვის გაზეთი ერთხელ კიდევ წამოჭრიდა კურსების დაარსების აუცილებლობას. განსაკუთრებულ ყურადღებას «ავი”-ს ფსევდონიმით ხელმოწერილი პუბლიკაცია ამახვილებდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე. ამ საგანს უსისტემოდ, უპროგრამოდ და შეუმოწმებლად ასწავლიდნენ. სწავლების ხარისხს მარტოოდენ მასწავლებლის პირადი ღირსება და განათლება განაპირობებდა. წერილი ასკვნიდა, რომ ქართული ენის სწავლების საქმე სამეგრელოს სკოლებში ცუდად მიდიოდა და ამის უმთავრესი მიზეზი იყო მასწავლებელთა მოუმზადებლობა. ამას ზედ ერთვოდა სახელმწიფო პოლიტიკაც.

პუბლიცისტი ასახელებდა ბ-ნ იზმაილოვს, რომელსაც არ უყვარდა ქართული და მას «ახალ ენებს" – მეგრულსა და აფხაზურს ამჯობინებდა და ამ რეგიონებში ამ ენებზე სწავლებას ითხოვდა.

წერილის ავტორი ითხოვდა მასწავლებელთა კურსების გახსნას ქუთაისში, სადაც ერთი თვე მაინც შეეძლებოდათ პედაგოგებს მიეღოთ მეთოდური რჩევები და გამოცდილება, აემაღლებინათ თეორიული ცოდნა.[34] ამგვარი კურსების დაარსებას მხარს უჭერდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სახალხო უნივერსიტეტი. თუმცა საამისოდ სახსრები არ ჰყოფნიდათ. გაზეთი აყენებდა წინადადებას შექმნილიყო «მასწავლებელთა კავშირი", დაარსებულიყო სახალხო ბიბლიოთეკა, სადაც შევიდოდა წიგნები პედაგოგიკაზე და საბავშვო ლიტერატურაზე, «განათლება ძალაა, – წერდა გაზეთის მოწინავე, – რეალური ძალა. ეს არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. სადაც განათლება კერას გაიჩენს, იქ ხალხი ყოველ გაჭირვებას დაძლევს. ხალხი უკვე გრძნობდა ამ ძალას და აწყობდა სკოლებს, ხოლო საზოგადოების შეგნებულ ელემენტებს უნდა გაეადვილებინათ ხალხისთვის ამ ძალის ხელში ჩაგდება.[35]

მუსიკის თემაზე საინტერესო იყო «ამირანში" დაბეჭდილი ია კარგარეთელის წერილი გოგებაშვილის დედა-ენაში ჩართული ნოტების შესახებ, სადაც ათი საუკეთესო ქართული ხალხური სიმღერა იყო შეტანილი. კარგარეთელი მიესალმებოდა, მაგრამ შენიშნავდა, რომ უკეთესი იქნებოდა ამ ნოტების ახსნაც ყოფილიყო წიგნში.[36] მის ამ წერილს უპასუხა გოგებაშვილმა და თქვა, რომ გაითვალისწინებდა სახელმძღვანელოს შემდგომი გამოცემისას, თუმცა ეს ნოტები არა ბავშვების, არამედ მოზრდილების, ძირითადად კი მუსიკის მასწავლებელი პედაგოგების წასაკითხად იყო წიგნში შესული.[37]

ქართული მუსიკის განვითარებისა და ხალხური საუნჯის მოვლა-პატრონობის საკითხს ეხებოდა ზაქარია ფალიაშვილის წერილები – «მოგზაურობა კახეთში და ქართული სახალხო სიმღერების დღევანდელი მდგომარეობა". კომპოზიტორი წერილს იმ ფრაზით იწყებს, რომ ხელოვნებაში ყველაზე უპირველესი ადგილი მუსიკას უჭირავს. ის ამბობს, რომ ბევრი ხალხია ამ ნიჭით გამორჩეულად დაჯილდოებული, რომ ყველაზე დიდი მოვლენაა, როცა ხალხს პოლიფონიური,

მრავალხმოვანი სიმღერები აქვს. ასეთი ნიჭის მქონედ და პოლიფონიური სიმღერების ავტორად ის თვლიდა ქართველ ხალხს. წერდა, რომ საჭირო იყო ამ სიმღერების ჰარმონიზაცია. «ამ შვიდი წლის განმავლობაში, – წერდა ზაქარია ფალიაშვილი, – სხვადასხვა ქართული საზოგადოების დავალებით დავიარე თითქმის მთელი საქართველოს კუთხეები: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა და სვანეთი. ბევრი სიმღერა გავიგონე და ჩავწერე კიდეც და დავრწმუნდი, რომ ქართველები ერთ ნიჭიერ ხალხთაგან უნდა ჩაითვალოს სამუსიკო ხელოვნებაში".[38]

ფალიაშვილი ქართულ სიმღერებში გამოჰყოფდა როგორც ჰანგს, ისე ჰარმონიას, მელოდიურობას, ხმების მოძრაობასა და სიმკვირცხლეს. ერთმანეთისგან განარჩევდა კახურ, გურულ, სვანურ და სიმღერებს, ყველას დამახასიათებელ ნიშნებს აღწერდა და დიდ შეფასებას აძლევდა მათ მუსიკალურ ღირებულებას. «ჩემის აზრით, ამ მრავალ სხვა და სხვა ხასიათის მქონე ქართველ ხალხზედ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მას საკუთარი მუსიკაც აქვს, ნიჭის პატრონიც არის და კარგი ხმებიც მოეპოვება". ის საქართველოს სამხრეთ იტალიას ადარებდა ბუნებრივი პირობებით და სიმღერითაც ისეთივე გამორჩეულ ხალხად თვლიდა, როგორიც იტალიელები იყვნენ. მიიჩნევდა, რომ ეს მუსიკა აუცილებლად უნდა ჩაწერილიყო და შემონახვოდა მომავალ თაობებს, ამ მუსიკაზე დაყრდნობით ჩვენში აღზრდილიყვნენ კომპოზიტორთა თაობები, რომლებიც ნამდვილად ამაღლებულ მუსიკას დაუდებდნენ საფუძვლად თავიანთ ნაწარმოებებს. თვით ზაქარია ფალიაშვილმა ეს მისია ბრწყინვალედ განახორციელა თავისი ოპერებით – «აბესალომ და ეთერი" და «დაისი".

სასკოლო განათლებისადმი მიძღვნილი უამრავი პუბლიკაციიდან, «ამირანი" გამოჰყოფდა არა მარტო სკოლის მდგომარეობის ამსახველ და რუსეთის სასკოლო პოლიტიკის შემფასებელ მასალას, არამედ ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის პრობლემას. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ეროვნული პოზიციისა განათლების საკითხში, სოციალისტ-ფედერალისტური პრესა ზოგადად და «ამირანი" აკრიტიკებდა დიდი ქართველი პედაგოგის – გოგებაშვილის ღვაწლს და აღნიშნავდა, რომ მისი «ერთმმართველობა" სახელმძღვანელოების საკითხში სკოლას ვერ წაადგებოდა. ამიტომ მიესალმებოდა

ყველა სხვა ავტორის წიგნს, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან ეს სახელმძღვანელოები ვერაფრით მიდიოდა «დედა-ენისა” და «ბუნების კარის” პროფესიონალურ დონემდე.

სოციალისტ-ფედერალისტური «ამირანის” ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ქუთაისში გამოცემულ სახელმძღვანელოებზე «გუთანი”, რომლის შემდგენლები იყვნენ იოსებ ოცხელი, თომა მთავრიშვილი და სამსონ ყიფიანი, სწორედ ამგვარი მიდგომით იყო დაწერილი. ქუთაისში გამოცემულ ამ წიგნს წერილის ავტორი ალექსანდრე მირიანაშვილი აქებდა და წერდა: «აქამდის რომ დაქსაქსულნი იყვნენ ქართველი პედაგოგები, აკი თვალსაჩინოც დღემდის არაფერი შეუქმნიათ, აქამდის ქართულ სახელმძღვანელოებს ერთი კაცის სახელი ეწერა. წარმოიდგინეთ მთელი ერი და სახელმძღვანელო წიგნთა ერთი შემდგენელი! გონებრივი სიღატაკე, ვგონებ, ამაზე მეტს ვეღარას იზამს! . . .”

ავტორი აქებს წიგნს, მას ბავშვებისათვის დიდად საჭირო და სასარგებლო სახელმძღვანელოდ თვლის. შენიშვნებს აძლევს ავტორებს, სურვილებსაც გამოთქვამს კრებულის ხელახალი გამოცემისათვის. ამ წერილის ავტორის – მირიანაშვილის აზრით, ყველა ლექსსა და მოთხრობაზე მწერლებს სახელი და გვარი უნდა მოეწერათ თავისი ხელით, რადგან ეს სხვაგვარად ჩააფიქრებდა და შეაყვარებდა ყმაწვილებს თავიანთ სახელოვან მწერლებს. «სკოლამ ბავშვების მოტიტინე ენით უნდა გაავრცელოს კიდით-კიდემდე სამშობლო მოღვაწეთა სახელები, – წერდა პუბლიცისტი, – ხომ გახსოვთ, როცა ილიას ცხედარი მისი შესაფერისი პატივისცემით გადმოასვენეს საგურამოდან ტფილისისაკენ, საგურამოელ გლეხებს ეთქვათ: კაცო, ჩვენ როდი ვიცოდით, რომ ჭავჭავაძე ესეთი დიდი კაცი იყოო. დიახ, ზოგმა ჩვენი მიყრუებული სოფლის დიდებმა და პატარებმა კარგად იციან ბისმარკის და ტოგოს ამბავი და ილია ჭავჭავაძის ვინაობისა კი არაფერი გაეგებათ. ვინ იცის, იქნება საქართველოსა ასეთი სირცხვილი თავს არ დასტეხოდა, რომ თავის დროზე ხალხში შესაფერისად ყოფილიყო გავრცელებული ილიას სახელი”.[39]

გაზეთი აკრიტიკებდა განათლების ახალ მინისტრს – შვარცს, რომელიც დემოკრატიულ მეთოდებს კი არ ხმარობდა სისტემის მართვაში, ცდილობდა ძველი

– ტოლსტოისა და დელიანოვის რეჟიმის აღდგენას. «უქმად ჩაიარა ისტორიის მწარე გაკვეთილმა – აღნიშნავდა «ამირანის" სარედაქციო სტატიის ავტორი, – და საერთო ღაღადმაც სასკოლო რეფორმების საჭიროებაზე, დავიწყებას მიეცა ვანნოვსკის დროს გამოცემული ცნობილი აქტი, რომ სკოლა გადაკეთებულ იქნას ძირიდან თავამდე. სწავლა-განათლების უწყება ენერგიულად შრომობს რესტავრაციისათვის".

გაზეთი აკრიტიკებდა განათლების სისტემაში შემოტანილ რეაქციულ წესებს: უნივერსიტეტებისათვის თვითმმართველობის შეზღუდვას, შევიწროებულნი იყვნენ თავისუფალი მსმენელები, ქალები, ებრაელები, რასაც «ამირანის" რედაქცია ვერ ურიგდებოდა. სამინისტრო მემარჯვენე პროფესორების საშუალებით დევნიდა საუკეთესო პროფესორებს, თვით მოხელეებიც უდანაშაულო პროფესურას ავიწროებდნენ, რის მაგალითად «ამირანს" მოჰქონდა ოდესის გენერალ-გუბერნატორის ტოლმაჩოვის მიერ უნივერსიტეტიდან ორი პროფესორის უმიზეზოდ გაძევება.

ანარქიულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი საშუალო და დაბალი სკოლებიც. «ასეთი ჩქარი უკან წასვლა უარესია სწრაფად წინ წასვლაზე და ახლო მომავალში საშუალო სკოლას კვლავინდებურს კრიზისს უმზადებს". ამის ნიმუშად გაზეთი ასახელებდა გამოცდების (ეგზამენების) აღდგენას, ძველი ენების სწავლის გაძლიერებას, მშობელთა კომიტეტების მოღვაწეობის შევიწროებას, პოლიციური ზედამხედველობის გაძლიერებას სკოლაზე. ახალი მინისტრი ზღუდავდა კერძო ინიციატივას, ბიუროკრატიას აძლევდა განუსაზღვრელ უფლებებს განათლების ყველა უბანზე.[40]

გაზეთის აზრით სათათბიროს უნდა განეხილა განათლების საკითხი, თუმცა ეჭვს გამოთქვამდა იმაში, რომ სტოლიპინის მთავრობას უნდოდა პროგრესული ნაბიჯების გადადგმა გონებრივი აღზრდისა და დაწინაურების მიმართულებით.

«ამირანი" განსაკუთრებით წუხდა სკოლების პოლიტიზირებაზე, სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებაზე სკოლებში, ხატავდა მასწავლებლის ტიპს, რომელიც მაღალფარდოვნად საუბრობდა და ყველაფერზე ისე მსჯელობდა, როგორც ფილოსოფიაზე და სოციალიზმზე. პუბლიცისტ არჩილ ჯაჯანაშვილის

წერილით, სკოლები საქართველოში ან სულ არ იყო, ანდა პოლიტიკას ემსახურებოდნენ, არ შეასწავლიდნენ ქართულ ენას და სწავლება ყველა საგნისა არამშობლიურ ენაზე ხდებოდა. «განათლების რომელი საფეხურიც გინდა აიღოთ, – წერდა ჯაჯანაშვილი, – ყველგან ერთსა და იმავე სურათს დაინახავთ, უქონლობას ისეთი სასწავლებლებისას, სადაც შესაძლოა ერის ინტელექტუალურ და მორალურ ძალთა თავისუფალი განვითარება.

სკოლების საქმე ჩვენში თავის გზით მიდის, ცხოვრება კი – თავისით. მაშინ, როდესაც სკოლა და ცხოვრება მტკიცედ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი. რა შედეგი მოჰყვა ასეთ გარემოებას? ის, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც საშუალო სასწავლებლები დაასრულა, ქართულ ცხოვრებასაც დაშორდა და მის ჭირვარამსაც. იგი უცხო გახდა ქართული ცხოვრებისთვის. იგი მხოლოდ ჩინოვნიკურ ცხოვრებას დაეწაფა. საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელიც ხალხს დაუბრუნდა, ხალხთან დაიჭირა კავშირი, სრულიად უსწავლელი და არაფრის მცოდნე გამოდგა".

პუბლიცისტი ასახელებდა პესტალოცის პედაგოგიურ შეხედულებებს, თვლიდა, რომ მთავარი სწავლების შინაარსია და არა ფორმა. აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატებს, რომელიც უსწავლელ ადამიანებს «მოწინავე მუშის" იარლიყს აკრავდა და პროპაგანდისტებად, ხალხის მასწავლებლებად ნიშნავდა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ იკისრა საქართველოში პედაგოგის როლი და მათი სწავლება დამახინჯებაა პიროვნებისა და მეტი არაფერიო. ჯაჯანაშვილის აზრით, საზოგადოების მობილიზაცია უნდა მომხდარიყო ამგვარი პროპაგანდისტული სწავლების წინააღმდეგ და თვით ყველა ადამიანიც უნდა ჩაღრმავებოდა საკუთარ თავს, დაეძლია უვიცობა, მიეღო სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ამის შემდეგ შედგომოდა პედაგოგიურ სარბიელს.[41]

გაზეთი «ამირანი" წერდა, რომ რუსული პრესა შავრაზმულ იდეებს გადმოსცემდა საქართველოს, ზოგადად ამიერკავკასიის ხალხთა მიმართ. ის მკითხველს ხშირად აცნობდა ამ პრესაში გამოქვეყნებულ ანტიქართულ მასალებს, უკეთებდა მას ანალიზს და გამოჰქონდა დასკვნა, რომ რუსეთის პოლიტიკა მთლიანად ანტიხალხური, შოვინისტური იყო. ის ამცირებდა პატარა ერების ენას, კულტურას. «ამირანის" რედაქცია გამოჰყოფდა ერთადერთ გაზეთს – «რუსსკოე

სლოვოს”-ს, რომელიც გულწრფელად აღიარებდა: «კავკასიას სრულებით არ ვიცნობთ რუსები და საჭიროა იმისი ყოველმხრივი შესწავლა-გაცნობაო”. ამ გაზეთისგან სრულიად საპირისპირო აზრს ავითარებდა – «გოლოს მოსკვი”. მისი აზრით, კავკასია განათლების მიხედვით ძალზე დაბალ საფეხურზე იდგა, რომ აქ ძნელი იყო საყოველთაო და სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელება, რადგან კავკასიელ ერებს, ვისაც ანბანი და დამწერლობა აქვთ, ისეთ დაბალ დონეზე მყოფი მწერლობა გააჩნიათ, რომ თავიანთ ენაზე ვერ ვასწავლით, რუსულად უნდა ისწავლონო.

რუსული გაზეთის აზრით, ქართველებსაც და სომხებსაც, უკულტურობის გამო, რუსულად უნდა დაეწყოთ სწავლა-განათლება, რაზეც აღშფოთებული «ამირანი” ხმას იმაღლებდა: რომ კავკასიის მკვიდრთა კულტურის სხვადასხვაობაზე. «ამირანი” დასცინოდა რუსულ პრესას, რომელმაც არ იცოდა კავკასიის ძველი კულტურის ისტორია და წუხილს გამოთქვამდა, რომ ამ პრესის უკან მდგარი პოლიტიკური ძალები წყვეტდნენ სწავლა-განათლების თუ სხვა მთავარ საკითხებს, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებული იყო ქართველი ერის სვე-ბედიც.[42]

რუსიფიკატორული პოლიტიკის განსაკუთრებულ საშინელებას განათლების სფეროში ააშკარავებდა გაზეთი «ამირანი” და წერდა, რომ განვითარების ნაცვლად ამ სულისკვეთებით განმსჭვალული სკოლა ახშობდა ბავშვის გონებას, ჰკლავდა მის სულს და საზოგადოებრივ მორალს. «ეროვნული სკოლა არც ნაციონალიზმის მოთხოვნაა, არც ფედერალიზმისა და არც სეპარატიზმისა, – წერდა გაზეთი. იგი უბრალო ადამიანური სამართლიანობაა, არსებობის აუცილებელი პირობაა, ჩვენთვის ქართველებისთვის ეს აზრი ახალი არ არის. ჩვენ დიდი ხანია ვგრძნობთ ამ აზრის მჭრელ სიმართლეს. კაი ხანია ჩვენის საკუთარის თვალით ვხედავთ, როგორ სისტემატიურად სუსტდება ცხოვრების მაჯისცემა, ვხედავთ, რა სწრაფად მიდის წინ გადაშენების პროცესი, მაგრამ დღევანდლამდე მაინც არ გამოგვიყვანია ამ ჭეშმარიტი აზრიდან ის პრაქტიკული დასკვნა, რომელიც თეორიულად ყველასთვის თავისთავად ცხადია”.

ეს დასკვნა გაზეთის აზრით, იყო ბრძოლა ეროვნული სკოლისათვის, რომ სწავლება ქართულ ენაზე ყოფილიყო. ქართველ ხალხს თავისი ხარჯით გახსნილ სკოლებში მაინც უნდა გაეკეთებინა ეს, მხარი დაეჭირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, რომელიც ამ მიმართებით იბრძოდა. რა თქმა უნდა, მეტისმეტად პატარა უფლებაა ასეთი უფლების მოპოვება, რომ კერძო სკოლებში ადმინისტრაციას არ ვაიძულებინოთ სწავლება სხვა ენაზე, მაგრამ თუ ასეთ პატარა უფლებას ვერ მოვიპოვებთ, მაშინ სხვა დიდ უფლებებზე ლაპარაკიც კი ზედმეტიაო, – ირწმუნებოდა «ამირანი".[43]

გაზეთი «ამირანი" განსაკუთრებულ ყურადღებას სასკოლო განათლების საქმეში მშობლიური ენის სწავლების საკითხს აქცევდა. როდესაც 1907 წელს კავკასიაში სწავლა-განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობაზე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშს იხილავდა, გაზეთი აკრიტიკებდა მის ერთ ცნობას. ოლქის მზრუნველი მშობლიური ენის ცუდად ცოდნას სკოლაში მშობლებს, თუ თავად ადგილობრივი სკოლის ხელმძღვანელობას აბრალებდა და წერდა: «უნდა ვიგულისხმოთ, რომ ანგარიშის ავტორს იმის თქმა უნდა, რომ მიუხედავად სამზრუნველოს მეცადინეობისა, თვით მშობლებს არ ჰსურთ შეასწავლონ თავიანთ შვილებს დედა-ენა. სამზრუნველო დარწმუნებულია, რომ მისგან ყოველივე ღირსეულად შესრულებულია და თუ ადგილობრივ ენებს არ სწყალობენ, ეს იმის ბრალი აღარ არის, არამედ თვით მშობლებისა, რომელთაც არა ჰსურთ თავისი ენის სწავლების საჭიროება შეაგნებინონ თავიანთ შვილებს. სხვანაირი განმარტება მოანგარიშეს ზემოხსენებული სიტყვისა შეუძლებელია და ამიტომ სრული ნება გვაქვს ვთქვათ, რომ ავტორი პირდაპირ დაგვცინის და უდიდეს ბრიყვებად გვთვლის, თუ გგონია, რომ მის დასკვნას დავიჯერებთ".

ააშკარავებდა რა ოლქის მზრუნველის სიცრუეს, ქართული და სხვა ადგილობრივი ენების შეუსწავლელობას კავკასიაში გაზეთი სიმართლით უხსნიდა მკითხველს და წერდა, რომ ადგილობრივი ენების სწავლა სავალდებულო არ იყო, თუ ასწავლიდნენ, ძირითადად ბოლო გაკვეთილებს უთმობდნენ. მასწავლებლები ამ საგნებისა შტატს გარეშე ითვლებოდნენ, მცირე ხელფასი ჰქონდათ და ამის გამო პროფესიონალიზმიც დაბალი იყო. ხეირიანი მასწავლებელი ასეთი აბუჩად აგდების

დროს არც კი მიდიოდა სკოლაში ადგილობრივი ენების მასწავლებლად. არავითარი პროგრამა არ იყო ამ ენებისა და მასწავლებლის ნებაზე იყო დამოკიდებული მისი სწავლების მეთოდოლოგია და შინაარსი. ამიტომაც გასაგები იყო მშობელთა პოზიციაც, თუკი ისინი ასეთი დაბალი ხარისხის სწავლებაზე უარს იტყოდნენ და რუსულ ან კლასიკური ენების სწავლას მისცემდნენ უპირატესობას. გაზეთი ამ ვითარების გაანალიზების შემდეგ ასე მიმართავდა მთავრობის საგანმანათლებლო დარგის მოხელეებს: «გახადეთ ადგილობრივი ენები სავალდებულო საგნად, ასწავლეთ იგი უმცროს და უფროს კლასებშიც, შეიმუშავეთ პროგრამა ისე, რომ სამშობლო ლიტერატურასაც და ისტორიასაც ჰქონდეს ადგილი, მოიწვიეთ კარგი მასწავლებლები შესაფერის პირობებში და თუ მაშინაც ნაკლები მსურველი გამოუჩნდება თავისი ენის შესწავლისა, დაასკვენით და თქვით ჩვენს უკულტურობაზე, ჩვენს დაცემაზე რაც სათქმელია. მაშინ დაცინვისა და ზიზღის ღირსნიც ვიქნებით".[44]

ჩეხეთში არსებულ სახალხო განათლების დონეს ვრცლად ასახავდა გაზეთ «ამირანში" გამოქვეყნებული წერილი – «სახალხო განათლების საქმე ჩეხიაში". წერილის შესავალში ავტორი წერდა თანამედროვე ევროპულ ქვეყნებზე და მიაჩნდა, რომ კულტურის დონეს ყველგან განათლება განსაზღვრავდა. აღნიშნავდა, რომ პატარა ჩეხეთიც კი – განათლების დონით დიდ გერმანიას გაუთანაბრდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ევროპული ქვეყანა განსაკუთრებულად იბრძოდა კულტურის ასამაღლებლად და განათლების დონის ასაწევად. ავტორი ვრცელ წერილს ჩეხეთში არსებულ სასკოლო განათლებაზე ანიჭებდა გარკვეულ მნიშვნელობას და თვლიდა, რომ საქართველოს უნდა ევლო ჩეხეთის გზით, გადმოეღო მისი მაგალითი და დაეწინაურებინა ქართული კულტურის ეს სფერო.[45]

გაზეთი «ამირანი" ეხმაურებოდა ქართული სტამბის დაარსების ორას წლისთავს და მას საამაყოდ მიიჩნევდა, რადგან რუსეთის შემოსვლაზე უწინ ქართველებს უკვე ჰქონდათ კულტურა, სტამბა კი ამ კულტურის გამორჩეულ ნიმუშად მიაჩნდა. თუმცა ქართული კულტურა უფრო ძველ ფესვებს ატარებდა, ვიდრე ორასწლოვანი სტამბა იყო, მაგრამ გაზეთი წერდა, რომ სტამბები მთელს ევროპაში სწორედ XVIII საუკუნიდან დაარსდა და საქართველოც რომ პირველ

რიცხვშია დაბეჭდილი წიგნების მქონე ქვეყანათა შორის, დიდმნიშვნელოვანი ფაქტიაო.[46] სტამბის დიდ მნიშვნელობად გაზეთი მიიჩნევდა წიგნის ხელმისაწვდომობას უბრალო ხალხისთვის, რასაც შეჰქონდა მასებში განათლება და რითაც უმეცრების წყვდიადი იფანტებოდა. მას დაუკავშირდა გაზეთების და ბიბლიოთეკების დაარსება, რამაც შეცვალა ქვეყნის საერთო სურათი.

რედაქცია დიდი ენთუზიაზმით უჭერდა მხარს კულტურული დაწესებულებების დაარსებას, განსაკუთრებით კი საქართველოს გარეთ და არ მალავდა ასეთ დაწესებულებათა განსაკუთრებულ მისიას ქართველთა განათლების ამაღლებაში. როდესაც მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ მიზნად დაისახა წიგნთსაცავის შედგენა, რომლის მიზანი საქართველოსა და ზოგადად კავკასიის გაცნობა იყო, «ამირანმა" ეს ორნაირად სასარგებლოდ ჩათვალა. მოსკოვში ბევრი საზოგადო ხასიათის ბიბლიოთეკა იყო და ქართველებიც ამ ბიბლიოთეკით თავის წვლილს შეიტანდნენ ამ საქმეში, მეორეც ის, რომ «ყოველი ქართული საზოგადოება, რომელიც ესწრაფვის კულტურულ ინტერესებს, უნდა დიდ ყურადღებას აქცევდეს სამშობლო ქვეყნის ცხოვრების გაცნობას და შესწავლას". არავისთვის დაფარული არ არისო, – წერდა «ამირანი", რომ ქართველებს ამ მხრივ უვიცობა გვახასიათებს «და ეს უვიცობა ხომ ყველაზე უშიშარი მტერია ქართველი ეროვნებისა"-ო, ამიტომ მოსკოველ ქართველთა წიგნთსაცავს სასარგებლო საქმედ თვლიდა.

მოსკოვის ქართული საზოგადოება მადლობას უხდიდა ქართულ დაწესებულებეს და პიროვნებებს აქტიური დახმარებისათვის. დასახელებულ საზოგადოებებს შორის, რომელთაც წიგნებით თუ ფულით გაუწიეს დახმარება მოსკოველ თანამემამულეებს, იყვნენ: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, კავკასიის სამთო სამმართველო, საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტი. გაზეთები: «ისარი", «ზაკავკაზიე", «ნიშადური", «განათლება", ჟურნალი «ნაკადული", ბათუმის ქალაქის მმართველობა, საიმპერატორო საექიმო საზოგადოების კავკასიური განყოფილება და სამოსწავლო ოლქის მზუნველთა საბჭო. გაზეთი არც ამ ეროვნულ საქმეში მონაწილე კერძო პირებს ივიწყებდა და მადლობის წერილში მოიხსენიებდა ყველა

მათგანს. ესენი იყვნენ: მოსე ჯანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ალ. ფრონელი, ალ. სუბათაშვილი, თედო ჟორდანია, ანტონ ფურცელაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ალექსანდრე კვალიაშვილი, გიორგი თუმანიშვილი, ძმები თულაშვილები.[47]

1908 წლის აგვისტოში გაზეთი წერდა შესანიშნავი ქართველი მეცნიერების ვასილ პეტრიაშვილისა და ივანე თარხნიშვილის გარდაცვალებაზე. აღნიშნავდა მათ დიდ დამსახურებას რუსეთის მეცნიერების წინაშე, თუმცა აკადემიკოს თარხნიშვილის გარდაცვალებაზე დეპეშაც კი არ გაუვრცელებია რუსეთს. «ამირანი" თვლიდა, რომ 62 წლის აკადემიკოსმა თარხნიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა ფიზიოლოგიის დარგის განვითარებაში, ასეთივე იყო ოდესის უნივერსიტეტის პროფესორის ვასილ პეტრიაშვილის წვლილიც მეცნიერებაში, რომელიც სამკურნალოდ წასული 65 წლისა გარდაიცვალა კარლსბადში. გაზეთი ვრცლად აღწერდა მისი ცხოვრებისა და ავადმყოფობის ისტორიას, მის ღვაწლს, ოდესელი სტუდენტებისა და მოსახლეობის მისდამი სიყვარულს.[48]

§. III ქართული მწერლობის საკითხები გაზეთ «ამირანში"

ქართული კულტურის გამორჩეული სფერო – ქართული ლიტერატურაა. როგორც მარი ბროსე 1907 წლის სექტემბერში წერდა გაზეთ «ისარში", ილია ჭავჭავაძე ქართულ მწერლობას, ქართულ პოეზიას, მსოფლიო მასშტაბის მწერლობად თვლიდა. მის განვითარებასა და სრულყოფაზე ხშირად იყო საუბარი ქართულ პრესაში. «ამირანი" გულდაწყვეტილი იყო იმ ფაქტის გამო, რომ ქართველ ხალხში ინტერესს ჰპოვებდა და ვრცელდებოდა მდაბიო გემოვნებით შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები. გაზეთის აზრით, «სიტყვაკაზმული მწერლობა – სულიერი თვითმოქმედების ერთ-ერთი უზენაესი საფეხურია". გაზეთი მაღალ შეფასებას აძლევდა მწერლობას, მაგრამ მეორე მხრივ, არ იყო სწორი, როდესაც «ჩვენს კვალში" გამოქვეყნებული წერილის ავტორს ვინმე მეტრეველს უწუნებდა განზრახვას, შექმნილიყო კომისია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომელიც ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს გამოსცემდა. «ამირანის"

აზრით, კარგი ნაწარმოები გზას ისეც იკვალავდა და ამგვარი კომისიის შექმნა სულაც არ იყო მთავარი.

გაზეთი მწერლობას მოუწოდებდა ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული გულწრფელობის გადმოცემისაკენ, განახლების ახალი გზების მოძებნისკენ: «ქართველ სიტყვაკაზმულ მწერლებს ისე ფული არ ესაჭიროებათ, როგორც გულწრფელობის ფუძეზე დამყარებული ოჯახი მოაზროვნე ადამიანებისა, – წერდა «ამირანი", – ქველმოქმედებას და მეცენატობას თავისთავად მწერლობა არსად არ აუყვავებიათ, გულწრფელ აზროვნებას კი ხშირად უჩვენებია ქვეყნისთვის რაოდენ სიმაღლეზე ძალუძს შესდგას ფეხი ადამიანმა. თანამედროვე ქართველი მწერლები, თუ ყველანი არა, ერთი ნაწილი მაინც ჰგრძნობს ამ სულიერი განახლების საჭიროებას და განახლდება კიდეც", – ასეთი რწმენით აბოლოვებდა ვრცელ სარედაქციო სტატიას ქართული მწერლობის შესახებ გაზეთი «ამირანი".[49]

«ამირანის" ამ პუბლიკაციას, მის კამათს «ჩვენი კვალის" პუბლიცისტ მეტრეველთან ვრცელი პასუხი გასცა მწერალმა შალვა დადიანმა. მან დასაწყისშივე აღნიშნა, რომ იყო მეტრეველის მხარეზე და ეკონომიურ სიდუხჭირეს, მწერლის უსახსრობას დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან ამ დუხჭირ დროში მწერალს უსახსრობით ბევრი რამის გაკეთება არ შეეძლო. შალვა დადიანი თვით «ამირანის" სიტყვებს იშველიებდა, რომ პრესის საგანი პოლიტიკა იყო, რის გამოც ლიტერატურული ნაწარმოებების დაბეჭდვა ძნელ ჯებირს ხვდებოდა. მწერლებს არ ჰქონდათ თავიანთი ჟურნალ-გაზეთები, არ ჰქონდათ იმდენი ფული, რომ თავიანთი ნაწარმოებები დაებეჭდათ. შალვა დადიანი ასახელებდა ია ეკალაძეს, რომელმაც თარგმანები ძლივს დაბეჭდა, საკუთარი კი ვერა. დადიანი ასახელებდა «ლიტერატურულ მკვლელობებს", რომელიც საქართველოში მომხდარა ნიჭიერი მწერლების უსახსრობის გამო, ცნობილ სახელებთან ერთად მოიხსენიებს ვინმე ხაინდრავას, რომლის პიესები «ლუარსაბ აფაქიძე" და «ვაი ვახთაია" ისე მოსწონებიათ დრამატულ საზოგადოებაში, რომ კინაღამ პრემია მიუციათ. უსახსრობის გამო პიესები ვერ დაიდგა, მისი ახალბედა ავტორიკი შორს გადაიხვეწა - ბაქოში და იქ სულ ახალგაზრდა ქოლერით მოკვდა.

«ამირანს” დადიანი საყვედურობდა, XII საუკუნის დიდ ლიტერატურას რომ ასახელებთ, რატომ არაფერს ამბობთ იმაზე, რომ მეცენატების გარეშე არც ის მოვიდოდა ჩვენამდე, ეტრატს და მელანს ხომ უნდოდა შოვნა. «ნუ გადავაფუჩეჩებთ უსახსრობას!” – მოუწოდებდა საზოგადოებას შალვა დადიანი და მწერლებსაც ერთმანეთთან შეკავშირებას და საერთო ძალით ნაწარმოებების გამოცემას ურჩევდა.[50]

ამავე საკითხზე პოლემიკა გააგრძელა დუტუ მეგრელმა. მან ვრცელი წერილით «ამირანის” მკითხველს გააცნო ქართულ მწერლობაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა, როდესაც იწერებოდა ნაწარმოებები სულ რამდენიმე თვეში და წლობით ვერ ნახულობდა დღის სინათლეს. პოეტი საყვედურობდა გაზეთს საკითხის ამგვარ და სმას და უფრო ქმედით, პრაქტიკულ დახმარებას ითხოვდა ქართველი მწერლებისათვის.[51]

ქართულ მწერლობაში არსებულ პრობლემებზე გამართულ პოლემიკაში ია ეკალაძემაც მიიღო მონაწილეობა. მან თავის ვრცელ წერილში დაახასიათა ის ბიუროკრატიული რეჟიმი, რაც შექმნილი იყო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებისა და გამომცემლების მიერ. ახალგაზრდა მწერალს იმდენი ბარიერი ხვდებოდა, რომ ხშირად გული უცრუვდებოდა. ია ეკალაძის აზრით, კერძო გამომცემლები ვაჭრის თვალით უყურებდნენ მწერლობას, მხოლოდ სარგებლობაზე ფიქრობდნენ, «სიზმრის ახსნის” გამოცემა ერჩიათ ჭეშმარიტი ღირსების ნაწარმოებისას, რადგან ის მეტად გაეყიდებოდათ. გამომცემლების უგულობასა და კრიტიკოსების ტენდენციურობასთან ერთად, მწერლობის შემაფერხებლად ია ეკალაძე თვლიდა საზოგადოების გულგრილობას ქართული ლიტერატურისადმი ასევე მის დაუფასებლობას. ინტერნაციონალიზმისა და მარქსიზმის მქადაგებლებმა ისე აურია ხალხს ტვინი, რომ «სამშობლო ლიტერატურა სასაცილოდ არ ჰყოფნით, ხოლო სამშობლოს მოამაგე ქართველი მწერალი ხულიგანი ჰგონიათ”-ო, გულისტკივილით წერდა იგი, მწერლობა ხალხში უნდა იყოს პოპულარული, მან ჟურნალ-გაზეთების, ინტელიგენციის საშუალებით უნდა მიაღწიოს მშრომელი ხალხის გულამდეო.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შემაფერხებელ მეოთხე მიზეზად ია ეკალაძე ლიტერატურული სკოლის უქონლობას, მწერალთა დაქსაქსულობას,

ქართველ მწერალთა დაწესებულების არქონას და თანამოკალმეებთან უკონტაქტობას ასახელებდა. ასეთ დაწესებულებას უნდა შეეფასებინა ნაწარმოებები, «ბაზარი გაეჩინა და ღირსეული სასყიდელი" მოეპოვებინა მისთვის.

«მეხუთე და უმთავრესი მიზეზი ჩვენის მწერლობის უფერულობისა, – წერდა ია ეკალაძე, – ჩვენი მწერლების ხელმოკლეობა და უმწეობაა. ათასი გაჭირვებით გარემოცული ჩვენი მწერალთა უმრავლესობა იძულებულია უმთავრესი დრო და ძალა ლუკმა პურის შოვნას შეალიოს. . . თუ გვინდა, რომ ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა წინ წავიდეს, მწერალს საშუალება უნდა მისცეთ ადამიანური ცხოვრებისა, სწავლის შეძენისა, მოგზაურობისა, მარტოოდენ მწერლობაზე ფიქრისა და ზრუნვისა". ის ასახელებდა მაგალითებს, როგორ უხდებოდათ სხვადასხვა რედაქციებში, სააგენტოებში, საზოგადოებრივ ადგილებში მათხოვრული ხელფასისთვის დღე და ღამე მუშაობა ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს, როგორ კვდებოდა და იფანტებოდა მათი ნიჭი. «შეჰქმენით პროფესიონალური მწერლები, გააცანით ისინი ხალხს, გაავრცელეთ მათი ნაწარმოებები და აბა მაშინ დაინახავთ, ეყოლება თუ არა საქრთველოს ღირსეული ჭირისუფალნი, სახელოვანი მწერლები", – მიმართავდა იგი ქართველ საზოგადოებას.[52]

ქართული ლიტერატურის თანამედროვე პრობლემაზე გამართულ პოლემიკაში, რომელიც გაზეთ «ამირანის" ფურცლებზე გაგრძელდა, კიტა აბაშიძემაც შეიტანა თავისი წვლილი. გამოჩენილი კრიტიკოსი და ლიტერატურის საზოგადო მოღვაწე თვლიდა, რომ ქართულ ლიტერატურაში იყო კრიზისის ხანა. ის საშიშად თვლიდა არა ძველ, ბიუროკრატიულ რუსეთს, რომელიც ყველა დამონებულ ხალხს ეზიზღებოდა, არამედ «ახალ რუსეთს", დემოკრატიის სახელით მოსაუბრეს, რომელიც ხალხს ართმევდა ეროვნულ ფასეულობებს – ლიტერატურის მნიშვნელობაც და ფასიც, მისი აზრით ამ «ახალმა რუსეთმა" წაართვა ხალხს.

კიტა აბაშიძე აკრიტიკებდა ია ეკალაძის წერილში გამოთქმულ შენიშვნებს. კრიტიკოსების მიმართ მის გულისწყრომას განსაკუთრებით ეკალაძის დამოკიდებულება იწვევდა და თვლიდა, რომ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები რედაქტორ-გამომცემლებისა და კრიტიკოსების გარეშეც დიდები იყვნენ და ამგვარი დამოკიდებულება, რაც ეკალაძემ გამოიჩინა არასწორიაო. თვით მისი

ნაწარმოებები და სხვებისო (არაგვისპირელის, ვაჟასი, ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის) უფრო მალე გამოვიდა დაწერიდან, ვიდრე ილიასა და აკაკის ნაწერებიო. «ამაში გარწმუნებთ, ჩვენი ახალგაზრდა მწერლები მეტად უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი და ამ მხრით მათი გასამართლებელი არა მოიპოვება”.[53] ამ წერილით კიტა აბაშიძემ ახალგაზრდა მწერლების პრეტენზიები უარყო და მთავარი აქცენტი მათ შემოქმედებით ხარისხზე გადაიტანა. მიიჩნია, რომ დრო არაფრით იყო ადრინდელზე უარესი და თუკი ღირსეულ ნაწარმოებებს შექმნიდნენ, ყველა მწერალი მოიპოვებდა გამომცემელსაც, რედაქტორსაც და ხალხის სიყვარულსაც.

გაზეთ «ამირანში” გამართული პოლემიკა ქართულ ლიტერატურაზე შეაჯამა თვი გაზეთის რედაქციამ თავის მოწინავე წერილში. თვით პოლემიკის გამართვას ამ საკითხზე გაზეთი მიიჩნევდა ქართული მწერლობისადმი დიდი ინტერესის გამოხატულებად. დუტუ მეგრელის, შალვა დადიანის, ია ეკალაძის და სხვა მწერლების მონაწილეობას კამათში, გაზეთი თვლიდა პიროვნული აზრის გამოხატულებად. ისინი უფრო მოწმენი არიან ამ საკითხზე, ვიდრე მსაჯულნი, რადგან მათი შენიშვნები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. «ეს შენიშვნები ნათელს ჰფენენ მათს ინდივიდუალობას, გონებრივ თვალსაზრისის სივრცეს, ზნეობრივ ძალას, ესთეტიკურ გემოვნებას და სხვა. თუ ოდესმე ქართულს სიტყვაკაზმულს მწერლობას ისტორიკოსი ეღირსა, იგი უეჭველია ბევრ ძვირფას მასალას იპოვის ეხლანდელი მწერლობის დასახასიათებლად მათს ეხლანდელს მსჯელობაში”. გაზეთი განსჯიდა დუტუ მეგრელის, შალვა დადიანის, ია ეკალაძის წერილებში წამოჭრილ პრობლემებს, მიიჩნევდა, რომ ერთ აზრზე გაჩერება და გადაჭრით თქმა იმისა, რომ სოციალურად დაბალი დონე, ან რედაქტორ-გამომცემლის საკითხი უშლიდეს ხელს ლიტერატურის განვითარებას, არ შეიძლებოდა ყოფილიყო სწორი. მთავარი იყო ზოგადი შემაფერხებელი მიზეზების მოძებნა, თუმცა არც ის კონკრეტული მიზეზები იყო უგულველსაყოფი, რომელთაც ეს მწერლები ასახელებდნენ. წერილში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ რედაქცია ასკვნიდა, რომ ქართული მწერლობის განვითარებისთვის საჭირო იყო მეტი

განათლება მიეღოთ მწერლებს, მეტად ემუშავად თავიანთ ნაწარმოებებზე და მეტად ყოფილიყვნენ გულწრფელნი თავიანთ შემოქმედებაში.[54]

მიუხედავად ამ შემაჯამებელი სარედაქციო წერილისა, გაზეთში მაინც შემოდიოდა ქართველ მწერალთა წერილები, რომლებსაც ამ პოლემიკაში თავიანთი შეხედულებების გამოთქმა სურდათ. ასეთი იყო გაზეთ «ამირანის" 124-ე ნომერში გამოთქმული იროდიონ ევდოშვილის თვალსაზრისი. ევდოშვილის წერილი იყო მეტად მგრძნობიარედ და გულში ჩამწვდომათ დაწერილი. «მე მივმართავ ამჟამად ჩემს კალამს კი არა, რომელიც მიცვალებულთა გულში სველდება სევდის მელნით, არამედ თვით მიცვალებულებს. მივმართავ მათ და დეე ისინი თვისის იარებით ელაპარაკონ მკითხველებს. დეე თავდადებულმა დიმიტრი ყიფიანმა გამოიწვიოს მათში მამულიშვილური გრძნობა, დეე ილია ჭავჭავაძის იარებმა ასწავლონ ბრმებს უკეთესი გზა ბედნიერებისაკენ, დეე დავითაშვილმა ხელში შალაშინით, ტკბილის მუშურის ღიმილით შეაკრთოს ძილი ცოცხალ-მკვდრებისა და ნინოშვილმა კი გადაშალოს თავისი ნაგვემი, ბრძოლის ქარცეცხლში დაავადებული მკერდი. ჭონქაძე? ყაზბეგი? აღნიაშვილი? გრიგოლ აბაშიძე? სცენაზე მოღვაწე პირველი ქალი ბ. ავალიშვილისა? და რამდენი გინდა კიდევ სხვები აწმყოსა და წარსულში".

ჭლექი, ტყვია, საგიჟეა მხოლოდ ქართველი მწერლის მეგობარი და დამხსნელი საშინელი ყოფისგანო, – წერდა ევდოშვილი. ისინი ხომ ერის ნაშობნი, მისი შვილები არიან. თუ ჯანმრთელია ერი, მისი მწერლობაც ჯანმრთელიაო. რას წარმოადგენს დღეს ქართველი ერი? – კითხულობდა მწერალი, – პოლიტიკურად მონას, ქონებრივად ღატაკს, ქართველი მწერალი მონისა და ღატაკის შვილია. მონა – მუნჯი სასწავლებელში, მონა – მუნჯი სასამართლოში, მონა – მუნჯი სახელმწიფოს ყველა დაწესებულებაში". ის იძულებულია იმუშაოს სხვის მოსამსახურედო, მწერალი ინტელიგენციის წარმომადგენელია, მაგრამ ევდოშვილის აზრით, ქართველი ინტელიგენცია ამ დროს გადაგვარებული იყო, რადგან ის ძირითადად თავადაზნაურობისგან წარმოდგებოდა, ის კი – «დიახ, ეს წოდება დამარხულია ქართველი ერისთვის, როგორც ეროვნული ძალა – წერდა ქართველ თავადებზე იროდიონ ევდოშვილი. ამიტომ ლიტერატორების გამოსარჩევ ბუდედ დაბალი და საშუალო წოდება რჩებოდა, რომელიც ეკონომიკურ სიდუხჭირეს

განიცდიდა, უსწავლელ და ნაკლებგანათლებულ მწერლებს კი დიდი მიღწევები არ შეიძლებოდა ჰქონოდათ ქართულ ლიტერატურაში.

ევდოშვილი აკრიტიკებდა «ამირანის" წინა ნომრებში დაბეჭდილ მწერალთა პოლემიკური ხასიათის წერილებს და უარყოფდა მათ დასახელებულ მიზეზებს: არც გამოცემა, არც ხელმოკლეობა არ არის მწერლობის დაბალი დონის მიზეზი, მთავარია კარგი ნაწარმოებები იწერებოდეს და მათზე ხალხის მოთხოვნა იყოსო. ის სარედაქციო წერილსაც ეხებოდა: გულწრფელობა რას ნიშნავს, მწერალიც განა პოლიტიკურ კოჭებს ათამაშებს თავის ნაწერშიო? მას ლიტერატურის გადარჩენის მთავარ გზად – ერის გადარჩენა, «საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება" მიაჩნდა, სანამ ეს არ მოხდება, გოლგოთის გზაზე ივლიან ნინოშვილები, ყაზბეგები და სხვებიო – აი, აქ ეძებეთ მიზეზი და არა იქ, სადაც თქვენ გგონიათო.[55]

საინტერესო იყო გაზეთ «ამირანში" გამოქვეყნებული არჩილ ჯორჯაძის წერილი – «ურწმუნო მწერლებს". წერილს პუბლიცისტი ასეთი მწვავე სიტყვებით იწყებდა: «ჩვენმა მწერლებმა დამარხეს და გამოიგლოვეს მხატვრული ლიტერატურა". ის საყვედურს ეუბნებოდა პოლემიკაში მონაწილე მწერლებს. თქვენ ანდერძს უგებთ არა მარტო ერთ დავრდომილ ადამიანს, არამედ მთელ ერსო, – გულისტკივილით ამბობდა. მართალია პატარა ერს, მაგრამ იმისთანას, რომელსაც ბევრი რამ გამოუცდია ავიც, კარგიც, რომლის გულიც სიყვარულითაც ძგერდა და სიძულვილითაცო, ერს, რომელსაც ათასგვარად ჩაგრავდნენ, მაგრამ სიცოცხლის წყურვილი არ დაჰლევიაო.

«სიძულვილი იბადება იქ, სადაც ქრება სიყვარული, – წერდა არჩილ ჯორჯაძე, სიძულვილი სულისკვეთებაა სიყვარულის დახშობის გამო, სიძულვილი სიყვარულის ნატვრაა და ვაი იმ ერს თუ ადამიანს, რომელსაც სიყვარულის დაკარგვის გამო, სიძულვილის გრძნობაც დაეხშო. ამ ერს და ადამიანს სიკვდილი მოელის! და ჩვენ, ყველას, თუ გვაკლია სიყვარული, სიძულვილის წყარო ხომ დაუშრეტელი გვაქვს და მეც იმედს არ ვკარგავ. ეგ სიძულვილი, რომელიც ჩვენს გულშია, ეს უკმაყოფილება, რომლითაც გაჟღენთილია ჩვენი არსება, ეს წყურვილი სიცოცხლისა და დაუცხრომელი ძებნა ბედნიერებისა იმისი თავმდებია, რომ ჩვენი საქმე ადვილად გამობრუნდება, რომ ის, რაც დაკარგულად გვეჩვენება, ჯერ კიდევ

ჩვენს ხელშია, რომ ის, რაც სიკვდილად გველანდება, ძილი და თვლემაა მარტოოდენ".

ის გამოთქვამს რწმენას ქართული მწერლობის აღორძინებაზე, მის მომავალზე და იმედიანად წერს: «მე იგი დამარხული არა მგონია იმიტომ, რომ ვხედავ, როგორ მზადდება ნიადაგი ჩვენში ფართო ეპიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის შემოქმედებისათვის და ცხოვრების საერთო აღორძინებასთან ერთად გაჩნდება ნაწარმოებები, რომელიც სიმღერასავით ტკბილი იქნება, სიბრძნესავით ღრმა".[56] საინტერესო იყო გაზეთის შეფასებაც პოეტის მისიაზე, რომ ქართველი პოეტები ასრულებდნენ ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ მოღვაწეთა, ფილოსოფოსთა და მეცნიერთა როლს, რომ ასეთები იყვნენ ჩვენი ერის წინამძღოლები XIX-XX საუკუნეებში. ასეთ პოეტებად გაზეთი ასახელებდა ილიას და აკაკის.[57]

ქართული მწერლობის თაობაზე «ამირანის" ფურცლებზე გამართულ ცხარე პოლემიკას მოჰყვა საინტერესო ცნობა – «სიტყვაკაზმული მწერლების საზოგადოების" დაარსების შესახებ. გაზეთი «ამირანი" მიეგება ამ ცნობას და ის ქართული ლიტერატურის შემდგომი აღმავლობის საფუძვლად ჩათვალა. ვინაიდან ლიტერატურა ჩვენი ხალხისთვის უპირველესი სოციალური საზრდო იყო ყოველთვის, მისი აღორძინებაც ახალი სპეციალური საზოგადოების დაარსებით უნდა მომხდარიყო.

ბეჭდავდა რა ამ საზოგადოების შექმნაზე ინფორმაციას, გაზეთი მიუთითებდა, რომ სამწუხაროდ საქართველოში განათლების დონე ჯერ კიდევ დაბალი დონე იყო. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას უყვარდა თავისი მწერლობა, მისი წარმომადგენლები, ზოგი ჭეშმარიტი მწერალი, ზოგი კი ნამდვილი მკითხველი იყო და დაქსაქსულნი იყვნენ, ახლა კი ერთ ოჯახად გაერთიანებულნი, უფრო მჭიდროდ დაირაზმებოდნენ საერთო მიზნისათვის. «ქართველმა მწერლებმა ხელი ჩაჰკიდონ ერთმანეთს და ერთად გაუდგნენ გზას, – წერდა გაზეთი, – დაე მწერლებს სულიერი კულტურის უმაღლესი ფორმა ჰქონდეთ დასახული მიზნად და არა უმეცარ ხალხში წერა-კითხვის გავრცელება! . . მწერალს არ უნდა ეგონოს, რომ საქველმოქმედო საქმეს ჩადის თავის შემოქმედებით, ის სულით და გულით უნდა ემსახურებოდეს თავის პროფესიას, უყვარდეს იგი. «საჭიროა აღდგენა

დაცემული ხელოვნების სახელისა, სულიერი გამხნევება ხელოვნების მიმდევართაგან ურთიერთისა, ამაღლება ქართველი მწერლის სახელისა და მრავალი სხვა – ასკვნიდა «ამირანი". ახლად განზრახული სიტყვაკაზმული მწერლების საზოგადოება ერთ-ერთი რეალური საშუალება იქნება დაცემულ ქართულ მწერლობის ასაყვავებლად", – გამოთქვამდა იგი რწმენას.[58]

თუმცა ამ საზოგადოების დაარსება მართლაც განიზრახეს ქართველმა მწერლებმა 1908 წელს, მაგრამ რეალურად ვერ განახორციელეს, ვერ შექმნეს ქართველ მწერალთა კავშირი, იგი მხოლოდ 1917 წელს შეიქმნა საქართველოში. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მდგომარეობას შეეხნენ საზოგადოებრივი მოღვაწეები, სხვადასხვა პარტიული მიმდინარეობის მიმყოლი პოლიტიკოსები. ერთ-ერთი ასეთი იყო მიხაკო წერეთლის (Baton) პუბლიცისტური სერიალი, რომელიც «ამირანში" გამოქვეყნდა და ძირითადად ამ გაზეთში გამართული პოლემიკის შეჯამებას წარმოადგენდა.

მიხაკო წერეთელი პოლემისტთა შორის ემხრობოდა ია ეკალაძისა და კიტა აბაშიძის თვალსაზრისს და წერდა, რომ მხოლოდ მათ, ნაწილობრივ შეძლეს მწერლობის დაქვეითების ნამდვილ მიზეზთან მისვლა. წერეთელი ამ მოვლენის ძირითად მიზეზად თვლიდა ეროვნული სულისკვეთების დაქვეითებას, ერთიანი სახელმწიფოს არ ქონას, ქართული ენის დაცემა-წახდენას რუსიფიკატორთა ხელში, ქართული სკოლისა და განათლების არარსებობას საქართველოში. «ლიტერატურა მაშინ არის აყვავებული, – წერდა იგი, – როცა ეროვნული ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, როცა ეროვნულ ერთობისა და სიდიადის შეგნება უმწვერვალეს ხარისხამდის არის განვითარებული, როცა ერი ეკონომიურად კეთილდღეობაშია და პოლიტიკურადაც თავისუფალია, ის ხომ კიდევ უფრო უწყობს ხელს მისი კულტურის ყოველმხრივ აყვავებას".[59] იგი ახასიათებდა XII-XIII საუკუნეების ქართულ კულტურას და მის საზოგადოებრივ ყოფას. აქვე აღნიშნავდა, რომ სიდიადე ქართული ყოფისა განაპირობებდა მაშინდელი ლიტერატურისა და კულტურის აღმავლობას. შემდეგში კი საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებას, ეროვნული ცნობიერების მოსპობას, მისი საერთაშორისო მნიშვნელობის დაკარგვას მოჰყვა ენის, განათლების, ცნობიერების ნელ-ნელა დაცემა-დაქვეითება. მიხაკო

წერეთელი ასახელებდა გონებრივი ჩამორჩენილობის უამრავ მაგალითს, როცა ადამიანებს არ აინტერესებდათ არც თავისი წარსული, არც ლიტერატურა და ხელოვნება, არც ის კულტურული მონაპოვარი, რითაც ყოველთვის ამაყობდნენ.

მიხაკო წერეთლის კრიტიკა კულტურის ყველა სფეროს ეხებოდა და ზოგჯერ ძალზე მკაცრიც იყო, თუმცა მთლიანად ობიექტურად აფასებდა იმ საზოგადოებრივ სურათს, რაც ქართველ ხალხს გააჩნდა, როგორც კულტურულ ერს. «უბედურება ის არის, რომ ძლიერი უცხო კულტურა უწევს კონკურენციას ჩვენს კულტურას, – წერდა მიხაკო წერეთელი. თუმცა ეს კონკურენცია კი არა, უფრო მეტად ხელოვნური დივერსია იყო ქართული ენისა კულტურის მიმართ, რადგან მათ ან ვერ, ან არ წაიკითხავდნენ თანამედროვენი. «ვიმეორებ, მხოლოდ მაშინ აყვავდება ნამდვილად ჩვენი ეროვნული ლიტერატურა, როცა ჩვენი მიძინებული და დაავადებული ეროვნული ორგანიზმი აღსდგება და შეიქმნება ქართულად მოლაპარაკე საზოგადოებრივ ინდივიდად. . . კაცი მუდამ თავისი ნაცოხნით იკვებებოდე, ან სხვის ორგანიზმში მდუმარე იყო და თანაც როგორც ინდივიდი რამეს წარმოადგენდე – ტყუილი იმედია. . . “

პუბლიცისტი შრომას კულტურისა და ლიტერატურის გადასარჩენად აუცილებლობად თვლიდა და სწამდა, რომ ოდესმე მაინც გამოიღებდა ეს შრომა შედეგს: ქართველი ხალხი დაიბრუნებდა დაკარგულ ეროვნულ მეობას და ღირსეულ ლიტერატურულ ტრადიციებსაც ააღორძინებდა.

ამრიგად, გაზეთი «ამირანი” გამოდიოდა 1908 წელს, იყო ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანო. გაზეთი იცავდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამულ თვალსაზრისს, ჩაბმული იყო მოწინააღმდეგე პარტიებთან თეორიულ-იდეოლოგიურ ბრძოლაში, იხილავდა ამ დროს მსოფლიოში გახმაურებულ სოციოლოგთა, ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა სხვადასხვა შეხედულებებს. ცდილობდა ისინი ან მიეღო, ან აეცილებინა საქართველოსთვის, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ტრადიციული განვითარებისათვის მიუღებლად მიაჩნდა. არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთლის, ვარლამ ჩერქეზიშვილის და სხვა მოაზროვნეთა ნაწერები, ასევე ქართული მწერლობისა და კულტურის მოღვაწეთა თვალსაზრისები, რაც «ამირანში” დაიბეჭდა, დღესაც

მნიშვნელოვანია და საჭირო საქართველოს ისტორიის აღებული მონაკვეთის, ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის.

დასკვნა

1. სოციალისტ-ფედერალისტურმა პრესამ დიდი როლი ითამაშა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში. ეროვნული მიმართულების ბეჭდვით ორგანოებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართველი ერის მოწინავე მოაზროვნეთა პუბლიკაციები, ისმებოდა ერის ცხოვრებაში წამოჭრილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, ისახებოდა ამ პრობლემათა გადაჭრის გზები. აღნიშნული პრესა, მართალია პარტიული ინტერესების გამომხატველი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს მის პუბლიცისტებს ამავდროულად ყოფილიყვნენ მთელი ერის ტკივილების ამსახველები, ზოგადქართული იდეალების გამახმოვანებელნი.

2. სადისერტაციო ნაშრომით შესწავლილია 1906-1908 წლებში არსებული ოთხი სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთი: «შრომა", «მეგობარი", «ისარი" და «ამირანი". შესწავლილი გაზეთები აგრძელებდნენ XIX საუკუნის ეროვნული პრესის ტრადიციას, ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, იხილავდნენ იდეურ-პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში არსებულ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებს.

3. 1896-1906 წლებში გამომავალმა «ცნობის ფურცელმა" არსებობა შეწყვიტა მთავრობის განკარგულებით, რაც გამოწვეული იყო ამ გაზეთის (რედაქტორი ვალერიან გუნია) შეუპოვრობის, მეფის ადმინისტრაციული ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველების დაურიდებელი კრიტიკით, კოლონიური რეჟიმის მხილების, რუსული პოლიტიკის ანტიხალხური ხასიათის ჩვენებით იმპერიის შემადგენლობაში შემავალი მცირე ერების მიმართ. დახურული გაზეთის ნაცვლად, რომელმაც ხალხის დიდი ინტერესი და სიყვარული დაიმსახურა, გამოიცა იგივე მიმართულებისა და იდეოლოგიის გაზეთი, სოციალისტ-ფედერალისტური «შრომა". გაზეთის სათაურიც კი მიუთითებდა მის სოციალურ პროფილს, თუმცა ქართული პრესის ამ შესანიშნავმა ორგანომ ასახა ის მწვავე პოლიტიკური საკითხებიც, რაც რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მიმდინარეობდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მიმართ იმპერიული სადამსჯელო ორგანიზაციების მიერ გამოჩენილი სისასტიკე, ქართველი ინტელიგენციის როლი და დამოკიდებულება ამ

მოვლენებისადმი. გაზეთი იცავდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისა და მსოფლიო ფედერაციის იდეას. მისი აზრით, უნდა მოსპობილიყო სახელმწიფოთა ამდროინდელი საზღვრები, რადგანაც ისინი არ ეთანხმებოდნენ «ეთნოგრაფიულ და ეროვნულ საზღვრებს".

4. «შრომა" ეროვნული თვითგამორკვევისა და სოციალური უფლებების მოსაპოვებლად გადამჭრელი ბრძოლისათვის იყენებდა სხვადასხვა ტაქტიკურ მიმართულებას, რომელთაგან ერთ-ერთი მშვიდობიანი გზა იყო. იგი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებით ფიქრობდა ქართველი ერისათვის კონსტიტუციური უფლებების მინიჭებას, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ საგანმანათლებლო საკითხების ეროვნული ნიშნით გადაჭრას. «შრომის" ფურცლებზე მიმდინარეობდა დიდი საარჩევნო კამპანია რუსეთის I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ასარჩევად. არჩევნებში ქართველი ხალხის მოთხოვნებს «შრომა" ასე აკონკრეტებდა:

ა. გაუქმება იმ განსაკუთრებული კანონებისა და დროებითი წესებისა, რითაც ბიუროკრატიამ შეზღუდა 17 ოქტომბრის მანიფესტით მოპოვებული უფლებები;

ბ. სრული ამნისტია პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ «დამნაშავეთათვის";

გ. სიკვდილით დასჯის გაუქმება;

დ. დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, რომელიც უზრუნველყოფდა კონსტიტუციურ უფლებებს და ყველა დაჩაგრულ ერს მიანიჭებდა ფართო პოლიტიკურ თვითმმართველობას.

5. «შრომა" საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობისა და საზღვრების საკითხში ამ დროს ჯერ კიდევ ფრთხილობდა, რაც გამოწვეული იყო საშინელი პოლიტიკური რეაქციითა და ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაციით. შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტმა პუბლიცისტებმა გააფართოვეს თავიანთი შეხედულება და საქართველოს საზღვრებში მისი ისტორიული მიწა-წყლის – ზაქათალას და ტაო-კლარჯეთის შესვლაც წამოაყენეს.

6. «შრომა" დაუნდობლად აკრიტიკებდა რუს გენერლებს: ალიხანოვ-ავარსკის, კრილოვს, პოლკოვნიკ გავრილოვს, ქუთაისის გუბერნიის ამდროინდელ მმართველს – იაზიკოვს ანტიხალხური და ანტიქართული ქმედებისათვის.

7. გაზეთი «შრომა” ეხებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. მის ფურცლებზე დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის, კალისტრატე ცინცაძის და სხვათა წერილები, რომლებიც ქართული ეკლესიის ჩაგრულ მდგომარეობაში ჩაყენებასა და სომხური ეკლესიისადმი რუსეთის ყოველგვარ მხარდაჭერას აკრიტიკებდნენ, თუმცა «შრომის” თვალსაზრისი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე არ ემთხვეოდა ქართველი ერის სხვა მოწინავე მოაზროვნეთა თვალსაზრისს. თუ «შრომის” ჯგუფი რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის ჩამორთმევას თვლიდა «ხალხის გათავისუფლებად ეკლესიური მონობისაგან” და ითხოვდა მომავალ საქართველოში ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან, ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეები სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ადგნენ. «შრომა” განიხილავდა ეროვნებათშორის ურთიერთობებს საქართველოში და მწვავე პუბლიკაციებით უარყოფდა სომხური პრესისა და სომეხ პოლიტიკოსთა მიერ ტერიტორიულ თუ კულტურის სფეროში ქართველი ერის მიერ საუკუნეების მანძილზე მოპოვებული წარმატებების მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს.

8. გაზეთი «შრომა” განსაკუთრებული აქტიურობით ეხებოდა აგრარულ საკითხს. იგი იცავდა მიწის ნაციონალიზაციის და სოციალიზაციის იდეას, რაც მისი აზრით, ხელს შეუწყობდა მშრომელი კლასის ეკონომიკურად დაწინაურებას, ქვეყნის გაძლიერებას. «შრომას” და სხვა სოციალისტ-ფედერალისტურ პრესას აგრარულ თემაზე კამათი ჰქონდათ, როგორც ეროვნულ-დემოკრატებთან, ისე სოციალ დემოკრატთა ბოლშევიკურ მიმართულებასთან. გაზეთი აქტიურად ეხებოდა ქართული კულტურის საკითხებს.

9. მთავრობის მიერ დახურული «შრომის” ნაცვლად 1906 წელსვე გამოვიდა გაზეთი «მეგობარი” (რედაქტორი გრიგოლ რცხილაძე), რომლის ფურცლებზეც, წინამორბედი გაზეთების პუბლისტების წერილები იბეჭდებოდა, გრძელდებოდა ის იდეურ-პარტიული ხაზი, რაც სოციალისტურ-ფედერალისტურ პრესას ჰქონდა საერთოდ. პირველივე ნომერში გაზეთ «მეგობრის” რედაქცია აცხადებდა, რომ იგი ეროვნული იდეალების ერთგულებასთან ერთად, მიმდევარი იყო «სარევოლუციო სოციალიზმის”, რისთვისაც დაარსადა სოციალისტ-ფედერალისტური პარტია. «მეგობარი” დაუნდობლად აკრიტიკებდა რუსეთის სინამდვილეს პირველი

რევოლუციის შემდეგ, ახალ საარჩევნო კანონს და რეაქციის გაძლიერებას თვითმპყრობელობის ზოგადი ბუნებით ხსნიდა. გაზეთი ეწეოდა II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიას და მკითხველს აცნობდა საკუთარ ტაქტიკას ახალ არჩევნებში.

10. გაზეთი «მეგობარი" იზიარებდა რუსეთის დეცენტრალიზაციის იდეას, უარყოფდა პარტიების როლის გაზვიადებულ შეფასებას, მიაჩნდა, რომ პარტიებზე არანაკლები როლის შესრულება შეეძლოთ საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და პროფესიონალურ კავშირებს, ამიტომ იჩენდა ასეთ ორგანიზაცია-დაწესებულებათა დაარსების ინიციატივას. გაზეთი აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, მხარს უჭერდა ქართველ ანარქისტთა შეხედულებებს, ბეჭდავდა ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მიხაკო წერეთლის კრიტიკულ-თეორიულ წერილებს.

11. გაზეთმა «მეგობარმა" გააკრიტიკა ახალი აგრარული კანონი, უსამართლობად მიიჩნია წოდებრიობის დატოვება, წოდებრიობაზე დამყარებულ რეჟიმს იგი საშიშად და არასაიმედოდ თვლიდა. წოდებათა დაშლა მისი აზრით, ბუნებრივად ხდებოდა და ეს უნდა ასახულიყო მთავრობის პოლიტიკაში. ის თვლიდა, რომ მემამულეებს მიწა თავისი სურვილით უნდა დაეთმოთ, თუ ამას არ გააკეთებდნენ, მაშინ საჭირო გახდებოდა რევოლუციური ბრძოლით მიწის საკითხის გადაჭრა. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული მიწების კოლონიზაციის საკითხს, ქართველი უმოწაწყლო გლეხობის ჩასახლებას ჩერნომორის გუბერნიაში, აკრიტიკებდა ხელისუფლებას ანტიქართული ქმედებისათვის.

12. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აგრარული საკითხის გადაწყვეტას გაზეთი უკავშირებდა საგლეხო ბანკის დაარსებასა და საქმიანობას, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლების მიცემას ახალგაზრდებისათვის, დროებითვალდებულობის ინსტიტუტის გაუქმებას, გლეხებისათვის უსასყიდლოდ მიწის გადაცემას საკუთრებაში.

13. «მეგობარი" ეხებოდა განათლების სისტემაში რეფორმის გატარების აუცილებლობას. სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხს, ეროვნული სკოლის საფუძვლების შექმნას, საღი და პედაგოგიური პროგრამის

ჩამოყალიბების თემას. გაზეთის აზრით, სანამ უმაღლესი სასწავლებლები არ იყო ქვეყანაში, საჭირო იყო სახალხო უნივერსიტეტთა როლის გაზრდა, მათი მუშაობის გააქტიურება, სახალხო უნივერსიტეტთა ფილიალების დაარსება საქართველოს ყველა რაიონში, ლექციების წასაკითხად რუსეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველი მეცნიერების მოწვევა. პუბლიცისტი ალექსანდრე ხახანაშვილი სვამდა პედაგოგთა მომზადების, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების თარგმნის, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრების დაარსების საკითხს რუსეთის უნივერსიტეტებში.

14. ქართველი ერის სულიერი ცხოვრების ასაღორძინებლად «მეგობარი" დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ თეატრს, მუსიკალური კულტურის მოვლა-პატრონობას, წერდა მუსიკის ჩამორჩენასა და მის მიზეზებზე. გაზეთი 1907 წლის დასაწყისში დაიხურა რევოლუციურ პოზიციაზე დგომის გამო.

15. სოციალური რეფორმების მომხრე და სამოქალაქო დაპირისპირების წინააღმდეგი, «საერთო ნიადაგის" თეორიაზე მდგომი იყო «მეგობრის" ნაცვლად გამოსული გაზეთი «ისარი". «ისარში" მოღვაწე პუბლიცისტები: არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, ივანე ზურაბიშვილი, ზაქარია ედილაშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი, სამსონ ფირცხალავა, ვასილ წერეთელი, მიხაკო წერეთელი და სხვები გამოხატავდნენ ეროვნულ თვალსაზრისს ცხოვრების ყველა საკითხში. მათ ახასიათებდათ პირდაპირობა, ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და მოვლენების ღრმა ანალიზის უნარი. გაზეთს ჰქონდა ფართო ეროვნული პროგრამა, რომელიც ილია ჭავჭავაძის «ივერიიდან" მოდიოდა, იყო თერგდალეულთა იდეების ერთგული, რაც კარგად გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ირგვლივ გამართული კამათის დროს.

16. «ისარი" აკრიტიკებდა რუსეთის სათათბიროს შოვინისტ დეპუტატებს: სტოლიპინს, პურიშკევიჩს, კრუშევანს, ბობრინსკის, ხომიაკოვს და სხვებს. იგი ეწეოდა ახალი სათათბიროს საარჩევნო კამპანიას, ებრძოდა ახალი საარჩევნო კანონის ანტიდემოკრატიულ ხასიათს, რუსეთის ხელისუფლების უპატივცემულო დამოკიდებულებას ე.წ. «ინოროდცებისადმი", ასახავდა კავკასიაში რუსეთის

სადამსჯელო ოპერაციებს, აანალიზებდა და იწუნებდა რუსული შოვინისტური პრესის პუბლიკაციებს საქართველოს შესახებ.

17. «ისარი" ჩაბმული იყო ერობისათვის ბრძოლაში, რაც კავკასიის ხალხთა ცხოვრებას გააუმჯობესებდა. გაზეთი ასევე იბრძოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების დაწესებისა და ადმინისტრაციულ-მმართველობითი ორგანოების გადაკეთება-გაუმჯობესებისათვის.

18. გაზეთი «ისარი" აგრარულ თემატიკას აშუქებდა არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც. აქ იბეჭდებოდა ილია წინამძღვრიშვილის სტატიები, სადაც ნაჩვენები იყო უხვი მოსავლის მოყვანის პრაქტიკული გზები. დიდი ყურადღება ექცეოდა მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მესაქონლეობისა და მარცვლეული კულტურების მოყვანის ტრადიციული ფორმებისა და ახალი მეთოდების გაცნობას მკითხველი საზოგადოებისათვის, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე. გაზეთი აკრიტიკებდა საგლეხო ბანკის არაეფექტურ მუშაობას, ებრძოდა რუსი და სხვა ეროვნების გლეხთა ჩამოსახლებას ქართულ მიწაზე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ინსპირირებულ ეთნიკურ-რელიგიურ დაპირისპირებებს.

19. გაზეთი «ისარი" მის წინამორბედ გაზეთებზე მეტად იცავდა ეთნოისტორიულ და ეთნოკულტურულ ტრადიციებს და საქართველოს ისტორიის საკითხებს იხილავდა მომავალში გასათვალისწინებლად. ილიას მკვლელობის შემზარავი ფაქტი გაზეთმა გამოიყენა ეროვნული იდეოლოგიის მასშტაბურად წარმოსაჩენად და სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეების ანტიხალხური აზროვნების საჩვენებლად. გაზეთი ამ დიდი ტკივილისა და უბედურების ჟამს ერის გვერდით დადგა და მისი გულისტკივილი გამოხატა.

20. გაზეთი «ისარი" სისტემატურად იხილავდა განათლების საკითხს, სკოლების მოწყობას ქართულ ნიადაგზე, ქართული ენის, ქართული თეატრის საკითხებს. მუსიკალური ცხოვრების გაუმჯობესებაზე და ამ დარგის მოღვაწეთა აღზრდაზე გაზეთში ვრცელი პოლემიკა ჰქონდათ დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილსა და ასევე მუსიკალური დარგის კორიფეს – ზაქარია ფალიაშვილს. ამ საინტერესო პოლემიკაში ბევრი რამ იყო ქართველი ერისთვის საგულისხმო და

დასამახსოვრებელი. გაზეთი ასევე ეხებოდა «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობას, სახალხო უნივერსიტეტის, ქართული საქველმოქმედო დაწესებულების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობას.

21. გაზეთი «ისარი" ბეჭდავდა რელიგიების შესახებ არჩილ ჯორჯაძის პუბლიკაციებს, რაც მიზნად ისახავდა ქართველი ერის გათვითცნობიერებას რელიგიურ მიმართულებებში, ივანე ჯავახიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის, კიტა აბაშიძის და სხვათა ისტორიულ-კულტურული შინაარსის წერილებს. გაზეთის ფურცლებზე გარკვეული ადგილი ქართული მწერლობის ახალ ნიმუშებს ეჭირა. ეს იყო: ვაჟა ფშაველას, აკაკი წერეთლის, შალვა დადიანის, ვასილ ბარნოვის, იროდიონ ევდოშვილის, მარიამ გარიყულის, არტურ ლაისტისა და სხვათა ლექსები, მოთხრობები და წერილები. გაზეთმა შემოგვინახა ბევრი ისტორიული მასალა, რომელთა შესწავლის გარეშე ეპოქის მოვლენების სრულყოფილი გაანალიზება და გააზრება შეუძლებელია.

22. 1908 წელს გაზეთი «ისარი" დაიხურა და მის ნაცვლად «ამირანი" გამოვიდა, სადაც მოღვაწეობდა «ისრის" მთელი შემადგენლობა, რედაქტორი კი ქაიხოსრო ქავთარაძე იყო. გაზეთი იცავდა და აგრძელებდა საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლის თემას, აკრიტიკებდა რუსეთის შავრაზმულ პოლიტიკას, სტოლიპინის რეფორმებს, III სახელმწიფო სათათბიროს, ასევე უპირისპირდებოდა და თეორიულად ებრძოდა სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, მათ პრესას.

23. გაზეთი «ამირანი" ასახავდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შიგნით არსებულ დაპირისპირებებს, კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნეებს უწუნებდა ბურჟუაზიის ერთგულებას და თავადაზნაურულ იდეოლოგიას, სოციალისტური მიზნების არქონას, მათ შეხედულებებისათვის ეროვნული ნიადაგის უქონლობას აღნიშნავდა და საკუთარი პოზიცია აღებულ პერიოდში ყველაზე რეალურად მიაჩნდა. გაზეთი აღწერდა ქართველი ერის მდგომარეობას, ქართველ მუსულმანთა ბედს თურქეთსა და საინგილოში, მომავალში მათ მფარველობას ქართული საზოგადოებისაგან ითხოვდა.

24. გაზეთი «ამირანი” ვრცლად ეხებოდა აგრარულ საკითხებს, ქართული ვაზის ჯიშების გავრცელებას, ფილოქსერის საწინააღმდეგო ამერიკული ვაზის ჯიშის შემოტანას, სტაროსელსკის ღვაწლს და მევენახეთა საზოგადოებების საქმიანობას ასევე ქართული ღვინოების წარმოებასა და მის პერსპექტივას. გაზეთი განიხილავდა ქართული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების საქმიანობას და მიიჩნევდა, რომ ეს ორგანიზაციები დაეხმარებოდნენ საქართველოს, სოფლის მეურნეობის აღორძინებაში და მეცნიერულ მონაპოვართა გამოყენების წყალობით – სრულიად ახლებურად განვითარებაში.

25. «ამირანი” დიდ ყურადებას აქცევდა განათლებისა და კულტურის საკითხებს, ამ მიმართულებით ის აგრძელებდა «შრომის”, «მეგობრის” და «ისარის” ტრადიციას. მიუხედავად ეროვნული პოზიციისა განათლების საკითხში, უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სოციალისტ-ფედერალისტური პრესა და მათ შორის «ამირანიც” იჩენდა სოციალისტურ მიდგომას, ავლენდა გლეხურ ფსიქოლოგიას. ეს ჩანს ლუარსაბ ბოცვაძის წერილებიდან ქართველი გლეხების შესახებ, სადაც მთლიანად უარყოფილია თავადაზნაურთა კლასის დამსახურება და მისი არსებობაც კი საზიანოდაა ჩათვლილი. გაზეთი აკრიტიკებდა დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს სასკოლო სახელმძღვანელოებზე «მონოპოლიისათვის”. გოგებაშვილი კი პასუხობდა, რომ მისმა წიგნებმა კონკურსში გაიმარჯვა, შემდეგში თუ კარგი სახელმძღვანელო დაიწერებოდა ის გაიმარჯვებდა.

26. გაზეთ «ამირანში” განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პოლემიკამ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საკითხზე, რაშიც ჩაება ყველა ამდროინდელი გამოჩენილი მწერალი და პუბლიცისტი. გაზეთი სვამდა საკითხს სიტყვაკაზმული მწერლობის დაქვეითებაზე და სახავდა მისი მომავალი აღორძინების გზას. გაზეთის მიერ ქართული მწერლობის ასეთი შეფასება არ იყო სწორი, რადგან ამ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი ქართველი მწერლები, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, დავით კლდიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, ეროდიონ ევდოშვილი და სხვები. პოლემიკას მოჰყვა ცნობილ მწერალთა საზოგადოების შექმნაზე, რასაც ქართული საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა.

27. 1906-1908 წლების სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთები – «შრომა”, «მეგობარი”, «ისარი” და «ამირანი” იცავდნენ თავიანთი პარტიის პროგრამულ თვალსაზრისს, ჩაბმული იყვნენ მოწინააღმდეგე პარტიებთან თეორიულ-იდეოლოგიურ ბრძოლაში და იხილავდნენ თანადროული დიდი სოციოლოგების, პოლიტიკოსების, ეკონომისტების და ფსიქოლოგების სხვადასხვა შეხედულებებს. ეს გაზეთები ეხმარებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულ ქართველ ხალხს რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამხელდნენ მეფის ხელისუფლებისა და მისი კავკასიური ადმინისტრაციის ყველა ანტიქართულ ღონისძიებას, აფხიზლებდნენ ქართველ ერს, უსახავდნენ ბრძოლის სწორ გზას და ეხმარებოდნენ მას ეთნოისტორიული და ეთნოკულტურული ტრადიციების შენარჩუნებაში.

ამდენად, დიდი და განუსაზღვრელია 1906-1908 წლებში არსებული სოციალისტ-ფედერალისტური ორგანოების დამსახურება ჩვენი ერის ცხოვრებაში. მათი მასალები ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს ქართველი ერის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

შესავალი

1. გაზეთი «კვალი”, 1901 წლის 20 თებერვალი
2. გრ. გიორგაძე «საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე” თბ. 1926
3. გ. ჯანგველაძე «საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის 1900-1923 წლებში” თბ. 1974
4. ა. სურგულაძე «ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში” თბ.1986
5. მ. გაფრინდაშვილი «ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1905-1907 წლებში”, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VI თბ. 1972
6. ფ. ნადიბაიძე «ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900-1921 წლებში” თბ. 1980
7. ე. ახობაძე «ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში” თბ. 1977
8. შ. გაგოშიძე «ქართული რევოლუციური პრესის სათავეებთან” თბ. 1972
9. ლ. გორგილაძე «ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან” თბ. 1961 მისივე «სოციალიზმის ისტორიიდან” წიგნი IV თბ. 1970
10. Ерман Л. К. «Интелигенция в первой русской революции» М. 1966
11. გ. ზაქარიაძე «ქართული საზოგადოებრივი პოლიტიკური აზრის განვითარების ლენინური ეტაპი” თბ. 1974
12. ა. და პ. სურგულაძეები «საქართველოს ისტორია 1801-1921 წლებში” თბ. 1991
13. ა. ბენდიანიშვილი «ეროვნული საკითხი საქართველოში” (1801-1921წ.წ.) თბ. 1988
14. დ. შველიძე «პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები” თბ. 1993
15. მ. ვაჩნაძე «ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1921 წლებში” თბ. 1987
16. ვ. გურული «ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953” თბ. 1999

17. ლ. ნანიტაშვილი «ივანე ჯავახიშვილისა და არჩილ ჯორჯაძის მიმოწერიდან" ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. V თბ. 1996
18. თ. მაღლაფერიძე «არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი" გაზეთი «ლიტერატურული საქართველო" №44-45
19. თ. მირიანაშვილი «ილია და არჩილ ჯორჯაძე" გაზეთი «საქართველო" №8 1991

თავი I

გაზეთი «შრომა" და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრედო

1. «სოციალისტ-ფედერალისტების გადაწყვეტილება", გაზეთი «შრომა" №1, 1906
2. «გენერალ ალიხანოვ-ავარსკისა და პოლკოვნიკ გავრილოვის მოგზაურობის დღიური დასავლეთ საქართველოში", გაზეთი «შრომა" №1, 1906
3. «დასავლეთ საქართველოში, სვირი", გაზეთი «შრომა" №5, 1906
4. «დასავლეთ საქართველოში", გაზეთი «შრომა" №12, 1906
5. «დასავლეთ საქართველოში", გაზეთი «შრომა" №4, 1906
6. «ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია", გაზეთი «შრომა" №4, 1906
7. «საქართველოს ხალხთა მოძრაობა და ეროვნული ნიადაგი", გაზეთი «შრომა" №5, 1906
8. «ეროვნული და ტერიტორიალური", გაზეთი «შრომა" №11, 1906
9. გაზეთი «შრომა" №16, 1906
10. გაზეთი «შრომა" №19, 1906
11. «მოწოდება", გაზეთი «შრომა" №28, 1906
12. იქვე
13. «დეპეშა სახელმწიფო სათათბიროს", გაზეთი «შრომა" №28, 1906
14. «სახელმწიფო სათათბიროს წევრნი", გაზეთი «შრომა" №46, 1906
15. გაზეთი «შრომა" №49, 1906
16. «სოციალ-დემოკრატია თუ ქართველი დეპუტატები", გაზეთი «შრომა" №68, 1906
17. «სათათბიროს დათხოვნა", გაზეთი «შრომა" №77, 1906

18. «პროვინცია, შორაპანი”, გაზეთი «შრომა” №63, 1906
19. «ამიერკავკასიის საგლეხო ბანკის მოქმედება დღემდის”, გაზეთი «შრომა” №56, 1906
20. «ბრწყინვალე აზნაურობა და რევოლუცია”, გაზეთი «შრომა” №54, 1906
21. «საქართველოს გოდება”, გაზეთი «შრომა” №44, 1906
22. «ვინ არის დამნაშავე”, გაზეთი «შრომა” №47, 1906
23. მალაქია ბოლქვაძე, «ხმა პეტერბურგიდან, პარლამენტის კულუარებში”, გაზეთი «შრომა” №46, 1906
24. მალაქია ბოლქვაძე, «ხმა პეტერბურგიდან”, გაზეთი «შრომა” №49, 1906
25. იაკობ გოგებაშვილი, «ახალი შემენა”, გაზეთი «შრომა” №19, 1906
26. იქვე
27. იაკობ გოგებაშვილი, «დღევანდელი მომენტი ქართველთა და სომეხთა ეკლესიისა”, გაზეთი «შრომა” №4, 1906; «წერილი რედაქციისადმი”, გაზეთი «შრომა” №51, 1906
28. «დროა თვალი გავახილოთ, თარგმანი სომხურიდან”, გაზეთი «შრომა” №№68, 73, 75, 1906
29. «დროა თვალი გავახილოთ”, გაზეთი «შრომა” №№4, 75, 1906
30. ილია ნაკაშიძე, «მიწის საკუთრების შესახებ”, გაზეთი «შრომა” №29, 1906
31. ილია ნაკაშიძე, «მიწის საკუთრების შესახებ”, გაზეთი «შრომა” №35, 1906
32. ილია ნაკაშიძე, «დღევანდელი გურია” გაზეთი «შრომა” №38, 1906
33. «გლეხობის როლი”, გაზეთი «შრომა” №35, 1906
34. გაზეთი «შრომა” №44, 1906
35. «საჭიროა რეფორმა”, გაზეთი «შრომა” №51, 1906
36. ლუარსაბ ბოცვაძე, «ჟურნალი «ნაკადული” და ჩვენი საბავშვო მწერლობა”, გაზეთი «შრომა” №51, 1906
37. შიო ჩიტაძე, «ქართული გიმნაზიის აკლება”, გაზეთი «შრომა” №74, 1906
38. შიო ჩიტაძე, «ქართული გიმნაზიის აკლება”, გაზეთი «შრომა” №75, 1906
39. გაზეთი «შრომა” №47, 1906
40. «საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და სახელმწიფოსაგან განცალკევება”, გაზეთი «შრომა” №1, 1906

41. «ეკლესია და ქართველი სოციალ-დემოკრატების უმანძილო სიხარული”, გაზეთი «შრომა” №№4, 32, 1906
42. მიხეილ ადამაშვილი, «პასუხად «ლამპრის” რედაქციას”, გაზეთი «შრომა” №57, 1906
43. მიხეილ ადამაშვილი, «პასუხად პ. დონდაროვის ვექილს”, გაზეთი «შრომა” №62, 1906

თავი II

1. «მეგობარი” №4, 1906
2. ლუარსაბ ბოცვაძე, «მცირე შენიშვნა”, გაზეთი «მეგობარი” №6, 1906
3. «დრამატული საზოგადოება”, გაზეთი «მეგობარი” №10, 1906
4. «ოპერა”, გაზეთი «მეგობარი” №17, 1906
5. გაზეთი «მეგობარი” №21, 1906
6. «ახალგაზრდა მომღერალი”, გაზეთი «მეგობარი” №22, 1906
7. «ქართული წარმოდგენა საკრებულოში”, გაზეთი «მეგობარი” №22, 1906
8. ვ.ს.-ი «მცირე შენიშვნა”, გაზეთი «მეგობარი” №36, 1906
9. «საინტერესო წარმოდგენა და კონცერტი”, გაზეთი «მეგობარი” №42, 1906
10. «თეატრი და ხელოვნება”, გაზეთი «მეგობარი” №24, 1906
11. «თეატრი და ხელოვნება”, გაზეთი «მეგობარი” ¹42, 1906

თავი III

გაზეთი «ისარი”

1. «სოციალ-დემოკრატების გამარჯვება საქართველოში”, გაზეთი «ისარი” №73, 1907
2. გაზეთი «ისარი” №105, 1907
3. გაზეთი «ისარი” №111, 1907
4. გაზეთი «ისარი” №117, 1907
5. იქვე

6. გაზეთი «ისარი” №79, 1907
7. «ირაკლი წერეთლის სიტყვა სათათბიროში”, გაზეთი «ისარი” №80, 1907
8. გაზეთი «ისარი” №75, 1907
9. იქვე
10. გაზეთი «ისარი” №75, 1907
11. «ხმა პეტერბურგიდან, სახელმწიფო სათათბირო”, გაზეთი «ისარი” №№73,76. 1907
12. იქვე
13. «სახელმწიფო სათათბირო და საბჭო, ხომიაკოვის აზრი ებრაელთა შესახებ”, გაზეთი «ისარი” №248, 1907
14. გაზეთი «ისარი” №249, 1907
15. გაზეთი «ისარი” №131, 1907
16. გაზეთი «ისარი” №136, 1907
17. გაზეთი «ისარი” №155, 1907
18. გაზეთი «ისარი” №156, 1907
19. Baton (მ. წერეთელი), «აღსრულდა?!”, გაზეთი «ისარი” №121, 1907
20. Baton (მ. წერეთელი), «აღსრულდა?!”, გაზეთი «ისარი” №№125, 126, 128, 129. 1907
21. გაზეთი «ისარი” №273, 1907
22. გაზეთი «ისარი” №149, 1907
23. გაზეთი «ისარი” №163, 1907
24. «პრესა”, გაზეთი «ისარი” №168, 1907
25. არჩილ ჯაჯანაშვილი, «თანამედროვე საკითხები”, გაზეთი «ისარი” №№131, 133, 134. 1907
26. არჩილ ჯაჯანაშვილი, «თანამედროვე საკითხები”, გაზეთი «ისარი” №135, 1907
27. არჩილ ჯაჯანაშვილი, «საყურადღებო საქმე”, გაზეთი «ისარი” №144, 1907
28. არჩილ ჯაჯანაშვილი, «ანარქისტები”, გაზეთი «ისარი” №146, 1907
29. გაზეთი «ისარი” №147, 1907
30. არჩილ ჯაჯანაშვილი, «ანარქისტები”, გაზეთი «ისარი” №147, 1907
31. არჩილ ჯაჯანაშვილი, «პასუხად”, გაზეთი «ისარი” №165, 1907
32. Baton (მ. წერეთელი), «პასუხად განუსჯელთათდმი”, გაზეთი «ისარი” №№118, 179, 180, 182, 183. 1907

33. გაზეთი «ისარი” №176, 1907
34. გაზეთი «ისარი” №22, 1908
35. გაზეთი «ისარი” №23, 1908
36. გაზეთი «ისარი” №121, 1908
37. გაზეთი «ისარი” №125, 1908
38. აკაკი წერეთელი, «ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას”, გაზეთი «ისარი” №197, 1907
39. ვაჟა-ფშაველა, «ვერ მოჰკლეს!”, გაზეთი «ისარი” №195, 1907
40. ვაჟა-ფშაველა, «სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე”, გაზეთი «ისარი” №198, 1907
41. ვაჟა-ფშაველა, «სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე”, გაზეთი «ისარი” №198, 1907; ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 10 ტომად, ტ.IX, გვ. 272, თბ. 1964
42. იაკობ გოგებაშვილი «შურისძიება ისტორიისა”, გაზეთი «ისარი” №197, 1907
43. აკაკი, «სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედართან”, გაზეთი «ისარი” №198, 1907
44. «კალმით დაწერილს ცულით ვეღარ ამოფხეკთ”, გაზეთი «ისარი” №199, 1907
45. მიხეილ ადამაშვილი, «აღარ გაჩუმდებით”, გაზეთი «ისარი” №№222, 224. 1907
46. არტურ ლაისტი, «ჩემი მოგონება ილია ჭავჭავაძის შესახებ”, გაზეთი «ისარი” №237, 1907
47. «დიდი მამულის გაყიდვა”, გაზეთი «ისარი” №74, 1907
48. გაზეთი «ისარი” №76, 1907
49. «ნუთუ ხმას არავინ არ ამოიღებს?”, გაზეთი «ისარი” №81, 1907
50. გაზეთი «ისარი” 86, 1907
51. გაზეთი «ისარი” №91, 1907
52. «პრესა”, გაზეთი «ისარი” №94, 1907
53. მეაბრეშუმე, «მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ”, გაზეთი «ისარი” №№81, 94. 1907
54. ისიდორე კვიცარიძე, «ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა «კოლხიდა”, გაზეთი «ისარი” №104, 1907
55. ვასილ წერეთელი, «სოფლის ავი და კარგი”, გაზეთი «ისარი” №274, 1907
56. «აგრარული კომისიის მოხსენება”, გაზეთი «ისარი” №122, 1907

57. ს. მაჭარაშვილი, «ცოტა რამ ხალხის გადასახლების შესახებ”, გაზეთი «ისარი” №218, 1907
58. «მოხსენება შირაქის შესახებ”, გაზეთი «ისარი” №220, 1907
59. «საგლეხო ბანკის მოღვაწეობა კავკასიაში”, გაზეთი «ისარი” №248, 1907
60. მოწინავე, გაზეთი «ისარი” №231, 1907
61. Legatus, «ხიზან-ოსების დასახლება ფრონის ხეობებში”, გაზეთი «ისარი” №208, 1907
62. ზ. ედილი, «ქეშქელი და ბრიატი და საინგილოს გადაგვარება”, გაზეთი «ისარი” №27, 1908
63. გაზეთი «ისარი” №98, 1907
64. არჩილ ჯაჯანაშვილი, «კოოპერაციები და მათი მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში”, გაზეთი «ისარი” №247, 1907
65. გაზეთი «ისარი” №218, 1907
66. ალ. ცაგარელი, «ახალი საშუალება დაბალ სწავლა-განათლების მოსაწყობად ჩვენში”, გაზეთი «ისარი” №273, 1907
67. იაკობ გოგებაშვილი, «ქართული სიმღერის ხოროს შესახებ”, გაზეთი «ისარი” №273, 1907
68. ზაქარია ფალიაშვილი, «სტიპენდიების შესახებ, იაკობ გოგებაშვილის წერილის გამო”, გაზეთი «ისარი” №282, 1907
69. ზაქარია ფალიაშვილი, «პასუხად ბ-ნ გოგებაშვილს”, გაზეთი «ისარი” №10, 1908
70. იაკობ გოგებაშვილი, «უკანასკნელი მხილება პასუხად ბ-ნ ფალიაშვილს”, გაზეთი «ისარი” №15, 1908
71. სპირიდონ კედია, «პარიზის ქართველობის წერილი”, გაზეთი «ისარი” №273, 1907
72. «ქუთაისის ქრონიკა”, გაზეთი «ისარი” №269, 1907
73. იქვე, ალექსანდრე ჯავახიშვილი «ქართველ მასწავლებელთა შეკრების საჭიროება”.
74. სტუმარი «პროვინციის ცხოვრება, მცხეთა”, გაზეთი «ისარი” №82, 1907
75. გაზეთი «ისარი” №135, 1907
76. გაზეთი «ისარი” №78, 1907

77. «განათლების დევნა”, გაზეთი «ისარი” №79, 1907
78. ია კარგარეთელი, «ცოტა რამ ქართულ მუსიკაზე”, გაზეთი «ისარი” №144, 1907
79. «მომღერალი სარაჯიშვილი”, გაზეთი «ისარი” №184, 1907
80. «კულტურის ისტორია საქართველოში”, გაზეთი «ისარი” №№138, 139. 1907
81. ყოლა მოსეინ ონიკაშვილი, «ჩონი თავგადასავალი სპარსეთიდან საქართველოში მოგზაურობის დროს”, გაზეთი «ისარი” №№112, 113, 114, 115. 1907
82. ალ. ჯავახიშვილი, «ქართული პედაგოგიური ინსტიტუტი”, გაზეთი «ისარი” №9, 1908
83. კაი, «სამშობლო ენა სამეგრელოს სკოლებში (კურსების მოწყობის საჭიროება)”, გაზეთი «ისარი” №10, 1908
84. გრაკხი, «ა. ი. იუჟინ-სუმბათაშვილის იუბილე”, გაზეთი «ისარი” №28, 1908
85. «1907 წელიწადი საქართველოში”, გაზეთი «ისარი” №1, 1908
86. გაზეთი «ისარი” №7, 1908
87. იქვე

თავი IV

გაზეთი «ამირანი”

1. გრიგოლ რობაქიძე, «მცირე განმარტება”, გაზეთი «ამირანი” #97, 1908
2. «ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება”, გაზეთი «ამირანი” №102, 1908
3. მალაქია ბოლქვაძე, «ხმა პეტერბურგიდან”, გაზეთი «ამირანი” №97, 1908
4. «პრესა”, გაზეთი «ამირანი” №101, 1908
5. გაზეთი «ამირანი” №102, 1908
6. გაზეთი «ამირანი” №107, 1908
7. გაზეთი «ამირანი” №104, 1908
8. გაზეთი «ამირანი” №101, 1908
9. გაზეთი «ამირანი” №120, 1908
10. ვასილ წერეთელი, «ნაყოფი პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა”, გაზეთი «ამირანი” №№116, 120, 123, 126. 1908

11. «სოხუმის თვითმმართველობა”, გაზეთი «ამირანი” №118, 1908
12. «მისიონერთა კრების გამო”, გაზეთი «ამირანი” №126, 1908
13. გაზეთი «ამირანი” №133, 1908
14. იქვე
15. გაზეთი «ამირანი” №129, 1908
16. «პრესა”, გაზეთი «ამირანი” №172, 1908
17. გაზეთი «ამირანი” №159, 1908
18. გაზეთი «ამირანი” №161, 1908
19. გაზეთი «ამირანი” №171, 1908
20. გაზეთი «ამირანი” №167, 1908
21. «პრესა”, გაზეთი «ამირანი” №168, 1908
22. გაზეთი «ამირანი” №127, 1908
23. ზაქარია ედილი, «გადაგვარების ნიშნები საინგილოში”, გაზეთი «ამირანი” №98, 1908
24. გაზეთი «ამირანი” №99, 1908
25. გაზეთი «ამირანი” №136, 1908
26. კალმის-წვერა, «კარგი საქმე მთაში”, გაზეთი «ამირანი” №134, 1908
27. გაზეთი «ამირანი” №135, 1908
28. «მეღვინეობა ჩვენში და დღევანდელი კრიზისი”, გაზეთი «ამირანი” №135, 1908
29. ილია წინამძღვრიშვილი, «საიდუმლო მიწის სიმდიდრისა მიწის შემუშავებაშია”, გაზეთი «ამირანი” №133, 1908
30. ეკალი, «სრულიად რუსეთის მესამე სააკლიმატიზაციო კრება”, გაზეთი «ამირანი” №№165, 166. 1908
31. «სახელმწიფო გლეხები, მათი უფლებრივი მდგომარეობა”, გაზეთი «ამირანი” №№113, 114, 115. 1908
32. გაზეთი «ამირანი” №160, 1908
33. გაზეთი «ამირანი” №98, 1908
34. ავი, «კურსების საჭიროება სოფლის მასწავლებელთათვის”, გაზეთი «ამირანი” №98, 1908

35. გაზეთი «ამირანი” №100, 1908
36. ია კარგარეთელი «ბიბლიოგრაფია”, გაზეთი «ამირანი” №152, 1908
37. იაკობ გოგებაშვილი, «განმარტება”, გაზეთი «ამირანი” №154, 1908
38. ზაქარია ფალიაშვილი, «მოგზაურობა კახეთში და ქართული სახალხო სიმღერების დღევანდელი მდგომარეობა”, გაზეთი «ამირანი” №150, 151, 152. 1908
39. ალექსანდრე მირიანაშვილი, «ბიბლიოგრაფია”, გაზეთი «ამირანი” №159, 160. 1908
40. «საერო განათლების საქმე”, გაზეთი «ამირანი” №127, 1908
41. არჩილ ჯაჯანაშვილი, «სოციალ-დემოკრატების სკოლები”, გაზეთი «ამირანი” №132, 1908
42. გაზეთი «ამირანი” №131, 1908
43. გაზეთი «ამირანი” №145, 1908
44. გაზეთი «ამირანი” №113, 1908
45. «სახალხო განათლების საქმე ჩეხიაში”, გაზეთი «ამირანი” №119, 1908
46. გაზეთი «ამირანი” №97, 1908
47. იქვე
48. გაზეთი «ამირანი” №№134, 135, 136. 1908
49. გაზეთი «ამირანი” №103, 1908
50. შალვა დადიანი, «უსახსრობა და ქართველი მწერლები”, გაზეთი «ამირანი” №110, 111. 1908
51. დუტუ მეგრელი, «კიდევ ჩვენებური სიტყვაკაზმულ მწერლობის შეჩერების გამო”, გაზეთი «ამირანი” №109, 1908
52. ია ეკალაძე, «ჩვენი სიტყვაკაზმულ მწერლობის გამო”, გაზეთი «ამირანი” №115, 1908
53. კიტა აბაშიძე, «ჩვენის სიტყვაკაზმულის მწერლობის გამო”, გაზეთი «ამირანი” №№116, 118. 1908
54. გაზეთი «ამირანი” №121, 1908
55. ეროდიონ ევდოშვილი, «ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის შესახებ”, გაზეთი «ამირანი” №124, 1908
56. არჩილ ჯორჯაძე, «ურწმუნო მწერლებს”, გაზეთი «ამირანი” №153, 1908

57. გაზეთი «ამირანი” №158, 1908

58. «სიტყვაკაზმულ მწერლების საზოგადოება”, გაზეთი «ამირანი” №148, 1908

59. Baton (მ. წერეთელი), «ჩვენი მწერლობის დაცემა”, გაზეთი «ამირანი” №№139, 140, 141, 142, 143. 1908